



შპს „რუსთავის ფოლადი“

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების
ცვლილება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

შემსრულებელი

შპს „გამა კონსალტინგი“

დირექტორი

ზ. მაგლობლიშვილი

თბილისი 2023

სარჩევი

1	შესავალი	7
2	სამართლებრივი და ადმინისტრაციული ასპექტები	9
2.1	საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	9
2.2	საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები	10
2.3	საერთაშორისო ხელშეკრულებები	13
3	პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტები	13
3.1	არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი, დაგეგმილი ცვლილებების საჭიროების დასაბუთება	14
3.2	ფოლადის წარმოების ალტერნატიული ვარიანტები	16
4	ქარხნის მიმდინარე საქმიანობის მოკლე აღწერა	17
4.1	ზოგადი მიმოხილვა	17
4.2	ექსპლუატაციის პირობების ცვლილების აღწერა და საწარმოს ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები	23
4.3	საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების აღწერა	26
4.3.1	საურნალე საამქრო.....	26
4.3.1.1	ნედლეულის (შავი ლითონის ჯართის) მიღება, დასაწყობება და წინასწარი დამუშავება ...	27
4.3.1.2	ჯართის დამუშავება წნეხ-მაკრატელზე	27
4.3.1.3	ჯართის აირული ჭრა	28
4.3.1.4	ლითონის ჯართის ურნალით დამსხვრევა	28
4.3.1.5	ახალი საურნალე საამქრო	29
4.3.2	ელექტროფოლადსადნობი საამქრო	31
4.3.2.1	საკაზმე უბანი (საკაზმე ეზო)	32
4.3.2.2	ფოლადის დნობა ელექტრორკალურ ღუმელებში (ტექნოლოგიური ციკლის აღწერა)	34
4.3.2.3	ფოლადის დამუშავება „ციცხვ-ღუმელ“ აგრეგატზე	37
4.3.2.4	აირგამწოვი და აირმტვერგამწმენდი სისტემები	38
4.3.2.5	ჟანგბადის საამქრო	41
4.3.3	მილსაგლინავი საამქრო.....	42
4.3.4	სორტული გლინვის საამქრო.....	45
4.3.5	საფასონო-სამსხმელო (საჩამომსხმელო) საამქრო	48
4.3.6	მექანიკური საამქრო	49
4.3.6.1	სამოდელო ხის უბანი	50
4.3.7	დამხმარე საამქროები დასხვა ინფრასტრუქტურა.....	51
4.3.8	ცენტრალური ლაბორატორია	52
4.3.9	გარემოსდაცვითი განყოფილება	52
4.3.10	საწარმოს წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლები	52
4.3.11	საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა	55
4.3.11.1	წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო.....	56
4.3.12	ინფრომაცია საწარმოში არსებული ღუმელების შესახებ	56
5	გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა	57
5.1	ზოგადი მიმოხილვა	57
5.2	ფიზიკური გარემო	58
5.2.1	კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები	58
5.2.2	გეოლოგიური პირობები	60
5.2.2.1	გეომორფოლოგიური პირობები	60
5.2.2.2	გეოლოგიური აგებულება	60
5.2.2.3	ჰიდროგეოლოგია	60
5.2.2.4	სეისმური პირობები	61
5.2.2.5	გეოლოგიური საშიშროებები.....	61
5.2.3	ნიადაგი.....	62
5.2.4	ლანდშაფტები.....	62
5.2.5	ბიოლოგიური გარემო.....	62
5.2.5.1	ფლორა	62
5.2.5.2	ფაუნა	63

5.2.5.2.1	კვლევისას გამოყენებული მასალები	63
5.2.5.2.2	საველე კვლევის მიმართულებები:	64
5.2.5.2.3	ფაუნის კვლევის შედეგები	64
5.2.5.2.3.1	ძუძუმწოვრები	64
5.2.5.2.3.2	ლამურები-ხელფრთიანები (Microchiroptera)	65
5.2.5.2.3.3	ფრინველები (Aves).....	67
5.2.5.2.3.4	ქვეწარმავლები (კლასი: Reptilia)	70
5.2.5.2.3.5	უხერხემლოები (Invertebrata)	70
5.2.5.3	დაცული ტერიტორიები	71
5.2.6	სოციალურ ეკონომიკური გარემო	72
5.2.6.1	დემოგრაფია.....	72
5.2.6.2	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	73
5.2.6.3	კულტურული მემკვიდრეობა	73
5.2.6.4	ტურიზმი	74
6	გარემოზე ზემოქმედების შეფასება.....	74
6.1	გზმ-ის მეთოდოლოგიის ზოგადი პრინციპები.....	74
6.1.1	ზემოქმედების რეცეპტორები და მათი მგრძნობიარობა.....	75
6.2	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე	77
6.2.1	შეფასების მეთოდოლოგია.....	77
6.2.2	ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში	77
6.2.2.1	ელექტრო ფოლადსადნობი საამქრო	80
6.2.2.1.1	ემისიის გაანგარიშება 1 ელექტრო რკალური და 1 ციცხვ-ლუმელიდან (გ-1).....	80
6.2.2.1.2	ემისიის გაანგარიშება ნამზადთა უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარიდან (გ-2).....	81
6.2.2.1.3	ემისიის გაანგარიშება ნამზადის საწყობიდან (გ-3)	83
6.2.2.1.4	ემისიის გაანგარიშება კაზმის განყოფილებიდან (გ-4).....	83
6.2.2.1.5	ემისიის გაანგარიშება ლუმელების და ციცხვების ამონაგის შეკეთებისა და შრობისას (გ-5).....	83
6.2.2.1.6	ემისიის გაანგარიშება ფოლადის ვაკუმირების ლუმელიდან (გ-6).....	84
6.2.2.1.7	ემისიის გაანგარიშება ლუმელიდან ციცხვში ლითონის ჩამოსხმისას (გ-7)	85
6.2.2.1.8	ემისიის გაანგარიშება წიდის ორმოში ჩასხმისას (გ-8).....	85
6.2.2.1.9	ემისიის გაანგარიშება ციცხვების ჰორიზონტალური გამახურებლიდან (გ-9).....	85
6.2.2.1.10	ემისიის გაანგარიშება ციცხვების ვერტიკალური გამახურებლიდან (გ-10)	86
6.2.2.1.11	ემისიის გაანგარიშება ციცხვების შუალედური გამახურებლიდან (გ-11).....	86
6.2.2.1.12	ემისიის გაანგარიშება ლითონის აირსაჭრელიდან (გ-12)	87
6.2.2.1.13	ემისიის გაანგარიშება ჯართის დამაქუცმაცებელიდან (შრედერი) (გ-13).....	88
6.2.2.1.14	ემისიის გაანგარიშება ჯართის დასაწყობებისას (გ-14).....	89
6.2.2.1.15	ემისიის გაანგარიშება ჯართის პრეს-მაკრატლიდან (გ-15).....	91
6.2.2.1.16	ემისიის გაანგარიშება წიდის დროებით დასაწყობებისას (გ-16)	92
6.2.2.2	საფასონო საჩამომსხმელო საამქრო	95
6.2.2.2.1	ემისიის გაანგარიშება გაერთიანებული ასპირაციული სისტემიდან (გ-17)	95
6.2.2.2.2	ემისიის გაანგარიშება 5 ტონიანი ელექტრორკალური ლუმელის ელექტროდთაშორისი ღრეჭოებიდან დნობისას და გაფრქვევისას (გ-18).....	98
6.2.2.2.3	ემისიის გაანგარიშება 3 ტონიანი ელექტრორკალური ლუმელის ელექტროდთაშორისი ღრეჭოებიდან დნობისას და გაფრქვევისას (გ-19).....	99
6.2.2.2.4	ემისიის გაანგარიშება 5 ტონიანი ელექტრორკალური ლუმელიდან ციცხვში ფოლადის ჩამოსხმისას (გ-20).....	99
6.2.2.2.5	ემისიის გაანგარიშება 3 ტონიანი ელექტრორკალური ლუმელიდან ციცხვში თუჯის ჩამოსხმისას (გ-21).....	100
6.2.2.2.6	ემისიის გაანგარიშება 5 და 3 ტონიანი ელექტრორკალური ლუმელების კაზმის განყოფილებიდან (გ-22).....	100
6.2.2.2.7	ემისიის გაანგარიშება 5 და 3 ტონიანი ელექტრორკალური ლუმელებიდან წიდის ორმოში ჩასხმისას (გ-23)	101
6.2.2.2.8	ემისიის გაანგარიშება 5 და 3 ტონიანი ელექტრორკალური ლუმელებიდან წიდის დროებით დასაწყობებისას (გ-24).....	101
6.2.2.2.9	ემისიის გაანგარიშება ჯართის დასაწყობებისას (გ-25).....	104
6.2.2.2.10	ემისიის გაანგარიშება საყალიბე მასალის (ქვიშა) დასაწყობება -შენახვისას (გ-26).....	105

6.2.2.2.11	ემისიის გაანგარიშება საყალიბე მასალის (ქვიშა) ბუნკერში ჩაყრისას (გ-27)	108
6.2.2.2.12	ემისიის გაანგარიშება ბენტონიტური მასალის (თიხა) დასაწყობება შენახვისას (გ-28)	109
6.2.2.2.13	ემისიის გაანგარიშება ბენტონიტური მასალის (თიხა) სატკეპნში ხელით ჩაყრა (გ-29)	111
6.2.2.2.14	ემისიის გაანგარიშება საპირე მასალის (საყალიბე ქვიშა) დასაწყობება შენახვისას (გ-30) ..	112
6.2.2.2.15	ემისიის გაანგარიშება საპირე მასალის (საყალიბე ქვიშა) ამრევში ჩაყრისას (გ-31)	115
6.2.2.2.16	ემისიის გაანგარიშება შემრევის ლენტური ტრანსპორტიორიდან (გ-32)	116
6.2.2.2.17	ემისიის გაანგარიშება საშრობი ღუმელიდან (გ-33)	117
6.2.2.2.18	ემისიის გაანგარიშება გამოსაწვავი ღუმელიდან (გ-34)	117
6.2.2.2.19	ემისიის გაანგარიშება თერმული დამუშავების ღუმელიდან (გ-35)	118
6.2.2.2.20	ემისიის გაანგარიშება ჰორიზონტალურად მბრუნავი სატკეპნიდან (გ-36)	118
6.2.2.2.21	ემისიის გაანგარიშება გამოსაბერტყი ექსცენტრიკული ცხაური 2,5-მდე ტ/სთ ტვირთამწეობით (გ-37)	118
6.2.2.2.22	ემისიის გაანგარიშება თუჯის საჩამოსხმო მანქანა (გ-38)	119
6.2.2.2.23	ემისიის გაანგარიშება ციციხეების გახურებისას 5 და 3-ტონიანი ღუმელებისათვის (გ-39)	119
6.2.2.2.24	ემისიის გაანგარიშება სხმულის პირველადი გასუფთავებისას საჩორტნ-სახეხ ჩარხში (გ-40)	120
6.2.2.3	სამოდელო ხის უბანი	120
6.2.2.3.1	ემისიის გაანგარიშება ხის სამოდელო უბნიდან (გ-41)	120
6.2.2.4	მილსაგლინავი საამქრო	121
6.2.2.4.1	ემისიის გაანგარიშება მილსაგლინავი აგრეგატი 400 რგოლური ღუმელიდან (გ-42)	121
6.2.2.4.2	ემისიის გაანგარიშება მილების პლაზმური ჭრის დანადგარიდან (გ-43, გ-44, გ-45, გ-46) ..	121
6.2.2.4.3	ემისიის გაანგარიშება თერმული დამუშავების ღუმელიდან (გ-47)	123
6.2.2.4.4	ემისიის გაანგარიშება ფოსფატირების უბნიდან (გ-48)	123
6.2.2.4.5	ემისიის გაანგარიშება მილების თერმული დამუშავების ღუმელიდან (გ-60)	124
6.2.2.5	სორტული გლინვის საამქრო	125
6.2.2.5.1	ემისიის გაანგარიშება სორტული გლინვის ღუმელიდან (გ-49)	125
6.2.2.6	საურნალე საამქრო	125
6.2.2.6.1	ემისიის გაანგარიშება მეტალის აირული ჭრისას (გ-50)	125
6.2.2.6.2	ემისიის გაანგარიშება ჰიდრაულიკური პრესმაკრატელიდან (პირანია) (გ-51)	127
6.2.2.6.3	ემისიის გაანგარიშება ჰიდრაულიკური პრესმაკრატელიდან (ლეფორტი) (გ-52)	128
6.2.2.6.4	ემისიის გაანგარიშება არაგაბარტული წიდის მსხვრევისას (გ-53)	130
6.2.2.6.5	ემისიის გაანგარიშება მეტალის ჯართის დასაწყობებისას (გ-54)	131
6.2.2.7	შემკეთებელ მექანიკური საამქრო	132
6.2.2.7.1	ემისიის გაანგარიშება შემკეთებელ მექანიკური საამქროდან (გ-55)	132
6.2.2.8	სამჭედლო განყოფილება	138
6.2.2.8.1	ემისიის გაანგარიშება გამახურებელი ღუმელიდან (გ-56)	138
6.2.2.8.2	ლითონკონსტრუქციების უბანი	138
6.2.2.8.3	ემისიის გაანგარიშება ლითონკონსტრუქციების უბნიდან (გ-57)	139
6.2.2.9	რკინიგზის სალოკომოტივო დეპო	143
6.2.2.9.1	ემისიის გაანგარიშება ზეთის რეზერვუარიდან (გ-58)	143
6.2.2.10	სამშენებლო სარემონტო საამქრო	144
6.2.2.10.1	ემისიის გაანგარიშება სამშენებლო სარემონტო საამქროდან (გ-59)	144
6.2.3	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები	150
6.2.4	ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში	165
6.2.5	მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი	173
6.2.6	დასკვნა	173
6.2.7	შემარბილებელი ღონისძიებები	174
6.2.8	ზოგადი მოსაზრებები ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ და საწარმოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები	175
6.3	ხმაურის გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები	176
6.3.1	ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია	176
6.3.2	ზემოქმედების შეფასება	176
6.3.3	შემარბილებელი ღონისძიებები	180
6.4	ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული ზემოქმედება	180
6.4.1	ზემოქმედების დახასიათება	180

6.4.2	შემარბილებელი ღონისძიებები.....	182
6.5	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული რისკები 183	
6.5.1	ზემოქმედების შეფასება	183
6.5.2	შემარბილებელი ღონისძიებები.....	185
6.6	ზემოქმედება წყლის გარემოზე	186
6.6.1	ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია	186
6.6.2	ზემოქმედების დახასიათება.....	186
6.6.3	შემარბილებელი ღონისძიებები.....	187
6.7	ზემოქმედება გრუნტის ხარისხზე	188
6.7.1	ზემოქმედების დახასიათება.....	188
6.7.2	შემარბილებელი ღონისძიებები.....	188
6.8	სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების დახასიათება	189
6.8.1	ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები	189
6.8.1.1	შემარბილებელი ღონისძიებები.....	189
6.8.2	ზემოქმედება დასაქმებაზე და ეკონომიკურ საქმიანობაზე	190
6.9	კუმულაციური ზემოქმედება	190
6.10	შესაძლო ავარიული სიტუაციების განვითარების რისკები და რისკების მართვის ღონისძიებები 194	
6.10.1	ავარიული სიტუაციების პრევენციის ღონისძიებები და ავარიებზე რეაგირება	194
6.11	ნარჩენი ზემოქმედება:.....	196
6.12	საწარმოს დროებითი გაჩერების ან ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები.....	196
6.12.1	ქარხნის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი	196
6.12.2	ქარხნის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია	196
6.12.3	ქარხნის ლიკვიდაცია	197
6.13	ინფორმაცია საწარმოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების და მათი აღმოფხვრისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ	197
6.14	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის N2-297 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ	204
7	შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა	207
7.1	ზოგადი მიმოხილვა	207
8	გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა	216
9	საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.....	224
10	დასკვნები და რეკომენდაციები	251
11	გამოყენებული ლიტერატურა.....	254
12	დანართები.....	257
12.1	დანართი 1. დანართი N1: ჩამდინარე წყლების მიღების თაობაზე შპს „გარდაბნის გამწმენდ ნაგებობა“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.....	258
12.2	დანართი 2. მავნე ნივთიერებათა გაანგარიშების პროგრამული ამონაბეჭდი	260
12.3	დანართი 3. ნარჩენების მართვის გეგმა.....	335
12.3.1	შესავალი.....	335
12.3.2	ნარჩენების მართვის პოლიტიკა და კონტროლის სტანდარტები.....	335
12.3.3	ინფორმაცია კომპანიის შესახებ:	335
12.3.4	კომპანიის საქმიანობის მოკლე აღწერა	336
12.3.5	შპს “რუსთავის ფოლადი“-ს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა 336	
12.3.6	კომპანიის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები.....	337
12.3.7	ნარჩენების მართვის ღონისძიებები	345
12.3.7.1	ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები.....	345
12.3.7.2	წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება.....	345
12.3.7.3	წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, განთავსება, მარკირება	346
12.3.7.4	ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები.....	347

12.3.7.5	ნარჩენების გადაცემის და ტრანსპორტირების წესები	349
12.3.7.6	ნარჩენების დამუშავება/საბოლოო განთავსება.....	350
12.3.8	ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის ზოგადი მოთხოვნები	352
12.4	დანართი 4. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა	357
12.4.1	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები	357
12.4.2	ქარხნის მიმდინარე საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების სახეები	357
12.4.2.1	პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები.....	358
12.4.2.2	სატრანსპორტო შემთხვევები	358
12.4.2.3	ხანძარი/აფეთქება.....	358
12.4.3	ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები.....	358
12.4.4	ინციდენტის სავარაუდო მასშტაბები.....	360
12.4.5	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირება.....	363
12.4.5.1	რეაგირება ხანძრის შემთხვევაში.....	363
12.4.5.2	რეაგირება პერსონალის ტრავმატიზმის ან მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს.....	364
12.4.5.2.1	პირველადი დახმარება მოტეხილობის დროს	364
12.4.5.2.2	პირველადი დახმარება ჭრილობების და სისხლდენის დროს.....	365
12.4.5.2.3	პირველადი დახმარება დამწვრობის დროს	366
12.4.5.2.4	პირველადი დახმარება ელექტროტრავმის შემთხვევაში.....	366
12.4.6	ავარიებზე რეაგირებისთვის საჭირო პერსონალი და აღჭურვილობა.....	368
12.4.7	სამრეწველო ავარიების პრევენციული ღონისძიებები საამქროების მიხედვით	370
12.4.7.1.	უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია ელექტროფოლადსადნობი საამქროსთვის	370
12.4.7.1.1	უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია ელექტროლუმელის მეფოლადეებისათვის	371
12.4.7.1.2	უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია ელექტრო ღუმელების ოპერატორებისათვის (მეპულტე - მარეგულირებლებისათვის).....	372
12.4.7.1.3	ფოლადსადნობი საამქროს საკაზმე უბნის მუშაობისათვის	373
12.4.7.1.4	შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციები უწყვეტი ჩამოსხმის უბნის ჩამომსხმელებისთვის	374
12.5	დანართი N5 საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების (წიდა, ხენჯი, მტვერი) ლაბორატორიული კვლევის შედეგები	376
12.6	დანართი 6: საწარმოს სტრუქტურული ერთეულების და ძირითადი დანადგარ-მოწყობილობის განთავსების ადგილების გეოგრაფიული კოორდინატები	377
12.7	დანართი 7: 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის ტექნოლოგიური ინსტრუქცია	380
12.8	დანართი N8 ამონაწერები საჯარო რეესტრიდან საწარმოს მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების შესახებ.....	381

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ქ. რუსთავში მდებარე მეტალურგიული ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

მეტალურგიული ქარხნის ტერიტორიაზე, შპს „რუსთავის ფოლადზე“, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები (საქართველოს გარემოს დაცვისა სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებები: N2-896; 16.09.2019 - კირის წარმოება; N2-897; 16.09.2019 - მეტალურგიული წარმოება; N2-912; 23.09.2019 - ცემენტის წარმოება).

ზემოაღნიშნულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებზე თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების გაცემიდან დღემდე, ქარხნის მიმდინარე საქმიანობაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ:

- ქარხანაში ამოქმედდა ელექტროფოლადსადნობი საამქრო;
- ფოლადის წლიური წარმოება გაიზარდა 8 000 ტ/წ-დან 130000-140000 ტ/წ-მდე;
- გაიზარდა ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა;
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან დღემდე არ განხორციელებულა ცემენტის წარმოება და ცემენტისთვის განკუთვნილ დანადგარების ნაწილზე, მიმდინარეობს კირის წარმოება. კირის წარმოებაზე, 2009 წლის 25 სექტემბრის N90 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 31 ოქტომბრის N2-1043 ბრძანებით, გადაეცა შპს „ელბა ექსპორტს“. დღეისათვის შპს „ელბა ექსპორტი“ კირის საწარმოს ექსპლუატაციას ახორციელებს „ქ. რუსთავში შპს „ელბა ექსპორტის“ კირის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 07/12/2022 წლის N505/ს ბრძანების საფუძველზე;
- ელექტროფოლადსადნობ საამქროში მოეწყო ახალი, 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი;
- დემონტაჟი ჩაუტარდა ელექტროფოლადსადნობ საამქროში არსებულ ინდუქციურ ღუმელებს
- სორტული გლინვის საამქროში მოწყობილია ახალი 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელი;

დღეისათვის ქარხნის ელექტროფოლადსადნობ საამქროში ფუნქციონირებს ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი. რაც შეეხება საამქროში არსებულ 2 ერთეულ 10 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალურ ღუმელებს, მათი ექსპლუატაცია შეჩერებულია (დაკონსერვებულია) და ამოქმედება მოხდება მხოლოდ ამ ღუმელებისათვის აირმტვერდამჭერი სისტემების მოწყობის შემდეგ.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შედეგად ადგილი აქვს ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის, მიხედვით წარმოადგენს სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას. საწარმოს საქმიანობა სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას მიეკუთვნება ასევე, კოდექსის მე-2 დანართის, 10.3 პუნქტის მიხედვით, რადგან საწარმოში ფოლადის წარმოება ხდება რკინის ჯართის აღდგენით (აღდგენის კოდით R-4).

აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიურ ციკლში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის განაცხადი, რაზედაც მინისტრის 15.01.2019 წლის N2-36 ბრძანებით გაცემული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება „შპს

„რუსთავის ფოლადი“-ს ქ. რუსთავში, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“, რომლითაც საქმიანობა დაექვემდებარა გზშ-ს პროცედურას.

ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 13 ოქტომბრის N402/ს ბრძანებით გაცემული N60 სკოპინგის დასკვნა.

ანგარიში მომზადებულია N60 სკოპინგის დასკვნის და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.











წინამდებარე ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებულია საწარმოს მოქმედ გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ყველა საჭირო ღონისძიება. შესაბამისად მიზანშეწონილია საწარმოს საქმიანობაზე 16.09.2019 წლის N2-897 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების და 23.09.2019 წლის N2-912 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანიის შპს „რუსთავის ფოლადი“-ს და საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“-ს საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1., ხოლო ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილე ექსპერტების ნუსხა ცხრილში 1.2.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს „რუსთავის ფოლადი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. N12
კომპანიის ფაქტიური მისამართი	რუსთავი, გაგარინის ქ. N12
საქმიანობის განხორციელების ადგილის	რუსთავი, გაგარინის ქ. N12
საქმიანობის სახე	მეტალურგიული საწარმო
შპს „რუსთავის ფოლადი“	
საიდენტიფიკაციო კოდი	404411908
ელექტრონული ფოსტა	contacts@rustavisteel.ge
საკონტაქტო პირი	ვასილ ოთარაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	2 60 66 99
საკონსულტაციო კომპანია:	შპს „გამა კონსალტინგი“
შპს „გამა კონსალტინგი“-ს დირექტორი	ზ. მგალობლიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	2 61 44 34; 2 60 15 27

ცხრილი 1.2. ინფორმაცია გზმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული პერსონალის შესახებ.

NN	სახელი, გვარი	სამუშაო ადგილი	დაკავებული პოზიცია	სპეციალისტის მიერ მომზადებული პარაგრაფი	ხელმოწერა
1	ზურაბ მგალობლიშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	დირექტორი	პროექტის საერთო ხელმძღვანელობა	
2	ჯუღული ახვლედიანი	შპს „გამა კონსალტინგი“	ეკოლოგი	მე-3, მე-6, მე-7, მე-8, მე-10, მე-11 თავები	
3	ლევან თურმანიძე	შპს „გამა კონსალტინგი“	ეკოლოგი	პარაგრაფი 6.12 და 6.13	
4	ელენე მგალობლიშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	სოციოლოგი	პარაგრაფი 5.3 და 6.14	
5	თამაზ ბუდადაშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	ატმოსფერული ჰაერის სპეციალისტი	პარაგრაფი 6.4	
6	ნინო გელაშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	ნარჩენების მართვის სპეციალისტი	პარაგრაფი 6.11 და 14.4	
7	ნიკოლოზ დვალი	შპს „გამა კონსალტინგი“	ზოოლოგი	პარაგრაფი 5.2.5.4 და 6.9.3	
8	არჩილ ყველაშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	ბოტანიკოსი	პარაგრაფი 5.2.5.1 და 6.9.2	
9	გიორგი ზაალიშვილი	შპს „გამა კონსალტინგი“	იქთიოლოგი	პარაგრაფი 5.2.5.2 და 6.9.4	
10	გიორგი ნემსიწვერიძე	შპს „გამა კონსალტინგი“	GIS სპეციალისტი	რუკების და ნახაზების მომზადება	

2 სამართლებრივი და ადმინისტრაციული ასპექტები

საქართველოს გარემოსდაცვითი სამართალი მოიცავს კონსტიტუციას, გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო შეთანხმებებს, კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებულებებს, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებებს, მინისტრების ბრძანებებს, ინსტრუქციებს, რეგულაციებს და სხვა. საქართველო მიერთებულია საერთაშორისო, მათ შორის გარემოსდაცვით საერთაშორისო კონვენციებს.

2.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

წინამდებარე გზმ-ის ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, გზმ-ის პროცესში გათვალისწინებული იქნა საქართველოს სხვა გარემოსდაცვითი კანონები. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა მოცემულია ცხრილში 2.1.1.

ცხრილი 2.1.1. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	კონსოლიდირებული პუბლიკაციები
21/02/1921	საქართველოს კონსტიტუცია	010010000.01.001.016012	13/10/2017
12/05/1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370.010.000.05.001.000.080	07/12/2017
10/12/1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	17/03/2020

25/12/1996	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410.000.000.05.001.000.186	07/12/2017
16/10/1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253	20/07/2018
06/07/2010	საქართველოს კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ	040.030.000.05.001.004.097	00/02/2019
23/07/1999	საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ	040.160.050.05.001.000.671	07/12/2017
06/06/2003	საქართველოს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის შესახებ	360.060.000.05.001.001.297	22/12/2018
08/05/2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	07/12/2017
27/10/2000	საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“	400.010.010.05.001.000.830	20/07/2018
27/06/2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470.000.000.05.001.002.920	23/04/2020
08/05/2007	საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	450.030.000.05.001.002.815	20/12/2019
27/06/2018	საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	140070000.05.001.018915	19/12/2019
11/11/2015	საქართველოს კანონი რადიოაქტიური ნარჩენების შესახებ	120210010.05.001.017976	07/12/2017
26/12/2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.017608	26/11/2019
01/06/2017	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	360160000.05.001.018492	05/07/2018
22/05/2020	საქართველოს ტყის კოდექსი	390000000. 05. 001. 019838	15/12/2021

2.2 საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები. საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა მოცემულია ცხრილში 2.2.1.

ცხრილი 2.2.1. გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „აირმტვერდამჭერი მოწყობილობის ექსპლუატაციის შესახებ“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №21 დადგენილებით.	300160070.10.003.017590
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“,	300160070.10.003.017603

	დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №8 დადგენილებით.	
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განსაზღვრების მეთოდიკა”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №408 დადგენილებით.	300160070.10.003.017622
06/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის მეთოდიკა”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №42 დადგენილებით.	300160070.10.003.017588
03/01/2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
	ტექნიკური რეგლამენტი - „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკა”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №435 დადგენილებით.	300160070.10.003.017660
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №423 დადგენილებით.	300160070.10.003.017645
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „კარიერების უსაფრთხოების შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №450 დადგენილებით.	300160070.10.003.017633
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის” და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის” დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №415 დადგენილებით.	300160070.10.003.017618
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №70 დადგენილებით.	300160070.10.003.017688
15/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - სასმელი წყლის შესახებ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №58 დადგენილებით.	300160070.10.003.017676
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ”, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N445 დადგენილებით	300160070.10.003.017646

03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების მეთოდისა“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №26 დადგენილებით.	300160070.10.003.017615
17/02/2015	„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №61 დადგენილებით.	040030000.10.003.018446
29/12/2014	„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის მწვანე ზონის და საკურორტო ზონის ტერიტორიების ნუსხისა და მასზე მიკუთვნიებული კვარტლების ჩამონათვალი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №161 ბრძანებით.	360050000.22.023.016284
04/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით	360160000.22.023.016334
17/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით.	300230000.10.003.018812
11/08/2015	„ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება #422 (2015 წლის 11 აგვისტო, ქ. თბილისი)	360100000.10.003.018808
29/03/2016	ტექნიკური რეგლამენტი „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ საქართველოს მთავრობის დადგენილება #143 (2016 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი)	300160070.10.003.019208
29/03/2016	საქართველოს მთავრობის დადგენილება #144 (2016 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი) „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“	360160000.10.003.019209
29/03/2016	საქართველოს მთავრობის დადგენილება #145 (2016 წლის 29 მარტი, ქ. თბილისი) „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“	360160000.10.003.019209
1/04/2016	საქართველოს მთავრობის დადგენილება #159 (2016 წლის 1 აპრილი, ქ. თბილისი) „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“;	300160070.10.003.019224
08/06/2018	ტექნიკური რეგლამენტი ნარჩენების ინსინერაციის და თანაინსინერაციის პირობების დამტკიცების თაობა, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 ივნისი დადგენილება №325.	300160070.10.003.020640
15/08/2017	ტექნიკური რეგლამენტი „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №398.	300160070.10.003.020107
06/10/2021	ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების	390050010.10.003.023050

	დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება №496	
18/05/221	ტყეთსარგებლობის წესის დამტკიცების თაობა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის დადგენილება N221	390000000.10.003.022776

2.3 საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი აღნიშნული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია. გამოყენებული საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 2.3.1.

ცხრილი 2.3.1. გამოყენებული საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების ჩამონათვალი

საერთაშორისო ხელშეკრულების დასახლება	მიღების წელი	რატიფიცირების წელი
ორჰუსის კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (კონვენცია, 1998 წ.),	1998	2001
ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვის და განთავსების კონტროლის შესახებ	1989	1999
გაეროს კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ (POPs), სტოკჰოლმი.	2001	2006
რიო დე ჟანეიროს კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ	1992	1994
კარტახენას ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ	2003	2008
კონვენცია გადამწებების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი.	1973	1996
ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენცია, ვენა.	1985	1996
მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ, მონრეალი.	1987	1996
ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის 1987 წლის ოქმის ცვლილება, მონრეალი.	1997	2000
ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის 1987 წლის ოქმის ცვლილება, კოპენჰაგენი.	1992	2000
გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, ნიუ-იორკი.	1994	1994
კიოტოს ოქმი, კიოტო.	1997	2005
შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების კონვენცია, ჟენევა.	1979	1999
გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, პარიზი.	1994	1999
კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ, რამსარი 1971 წ.	1971	1996

3 პროექტის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტები

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნის შესაბამისად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ყველა გონივრული

ალტერნატივის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის, უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის შესახებ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა წარმოადგენს მოქმედ საწარმოს, რომელიც ექსპლუატაციაშია 1948 წლიდან და მას შემდეგ, სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს სამრეწველო პროცესი. არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაში, რაც ითვალისწინებს საწარმოში არსებული საამქროების გადაიარაღებას და წარმადობის გაზრდას, საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის ერთადერთ გონივრულ ალტერნატივას არსებული საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს და განთავსების ტერიტორიების ალტერნატიული ვარიანტების განხილვა საჭიროებას არ წარმოადგენს. საწარმოს გააჩნია საკმარისი ტერიტორია და საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობები, სადაც შესაძლებელია ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და უსაფრთხო ექსპლუატაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით წინამდებარე ანგარიშში განხილულია მხოლოდ არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი და ფოლადის წარმოების ალტერნატიული ვარიანტები.

3.1 არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი, დაგეგმილი ცვლილებების საჭიროების დასაბუთება

საწარმოში ელექტროფოლადსადნობი საამქროს აღდგენა მოხდა წლების წინ, თანდათან ხდებოდა ინდუქციური და ელექტრორკალური ღუმელების დამონტაჟება და ექსპლუატაციაში გაშვება.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გასული საუკუნის 90 წლებამდე ფუნქციონირებდა სრული მეტალურგიული ციკლით. შექმნილი იყო ათეულ ათასობით სამუშაო ადგილი და წარმოადგენდა ქ. რუსთავის მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. 90-იან წლებში ფუნქციონირება შეწყვიტეს ძირითადად საამქროებმა, მათ შორის ელექტროფოლადსადნობმა საამქრომ და შესაბამისად, სამუშაოს გარეშე დარჩა დასაქმებული პერსონალის ძირითადი ნაწილი. მოგვიანებით, ქარხანაში კვლავ ამოქმედდა აღნიშნული საამქრო და ქარხნის მიმდინარე საქმიანობაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ:

- ქარხანაში ამოქმედდა ელექტროფოლადსადნობი საამქრო;
- ფოლადის წლიური წარმოება გაიზარდა 8 000 ტ/წ-დან 130000-140000 ტ/წ-მდე;
- გაიზარდა ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა;
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან დღემდე არ განხორციელებულა ცემენტის წარმოება;
- ელექტროფოლადსადნობ საამქროში მოეწყო ახალი, 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი და შედეგად წარმოებული ფოლადის წლიურმა რაოდენობამ შეადგინა 280 000 ტ/წელ;
- დემონტაჟი ჩაუტარდა ელექტროფოლადსადნობ საამქროში არსებულ ინდუქციურ ღუმელებს.
- 4x12 ტ/სთ = 48 ტ/სთ ინდუქციური ღუმელების დემონტაჟის და მათ ნაცლად ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება განაპირობა არსებული ინდუქციური ღუმელების არადაამაკმაყოფილებელმა ტექნიკურმა მდგომარეობამ. ინდუქციური ღუმელების დემონტაჟის შემდეგ, ქარხანა ვერ უზრუნველყოფდა წარმოებულ პროდუქციაზე მაღალი საბაზრო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და საჭირო გახდა ახალი ღუმელის მოწყობა. ამასთანავე საამქროში არსებულ არც ერთ ფოლადსადნობ ღუმელს (მათ შორის არც 10 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალურ ღუმელებს) არ გააჩნდა აირმტვერდამჭერი მოწყობილობა, რაც განაპირობებდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების რისკებს;

- აღსანიშნავია, რომ ქარხანაში წარმოებული უნაკერო მილები, წამატებით იყიდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში და შესაბამისად აუცილებლობას წარმოადგენს ფოლადის წარმოების გაზრდა;
- მოცემულ შემთხვევაში, ნულოვანი ალტერნატივა ნიშნავს საწარმოს განახლებაზე უარის თქმას. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო, 35 ტ/სთ წარმადობის ახალი ელექტრორკალური ღუმელი აღჭურვილია მაღალი ეფექტურობის აირმტვერდამჭერი ფილტრებით, არსებული 48 ტ/სთ ჯამური წარმადობის ინდუქციური ღუმელების ნაცვლად (რომლებსაც არ გააჩნდათ აირმტვერდამჭერი სისტემები) ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის მოწყობა, მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების რისკებს;
- 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით შეწყვეტილია არსებული 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელების ფუნქციონირება და მათი ექსპლუატაციაში გაშვება მოხდება, მხოლოდ ამ ღუმელებისათვის ეფექტური აირმტვერდამჭერი სისტემის მოწყობის შემდეგ;
- სორტული გლინვის საამქროში, არსებული მოძველებული ღუმელის ნაცვლად მოწყობილია ახალი 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელი და ძველი ღუმელი იქნება როგორც სარეზერვო და მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის ავარიული გაჩერების შემთხვევაში (საამქროს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით ორივე ღუმელის ერთდროული ექსპლუატაცია შესაძლებელი არ არის);
- ქარხნის საქმიანობასთან დაკავშირებით, გარემოზე ზემოქმედების სხვა რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი, კერძოდ:
 - ქარხნის ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ დატვირთვას, განთავსებულია საწარმოო ზონის ფარგლებში და მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული უახლოესი დაცული ტერიტორიებიდან. შესაბამისად, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები მინიმალურია;
 - ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის მოწყობა დაკავშირებული არ იყო მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან, მათ შორის მიწის სამუშაოებთან (ახალი ღუმელი და დამხმარე ინფრასტრუქტურა განთავსებულია არსებულ საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებში). გამომდინარე აქედან, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გეოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს;
 - არ არის მოსალოდნელი ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები, რადგან როგორც აღინიშნა, ქარხნის მიმდინარე საქმიანობა და ახალი ღუმელების მოწყობის სამუშაოები ხორციელდება ქარხნის ტერიტორიაზე უკვე არსებულ შენობა-ნაგებობებში;
 - წყლის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკები მინიმალურია, ვინაიდან საწარმოს სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ჩართულია გარდაბნის რაიონული გამწმენდი ნაგებობის მიმყვან საკანალიზაციო კოლექტორში. ამასთანავე, საწარმოო ჩამდინარე წყლები ჩართულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში და საწარმოო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ზედაპირულ წყლის ობიექტში არ ხდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული ქარხნის საწარმოო ინფრასტრუქტურის განახლების და არსებული საწარმოო სიმძლავრეების გადაიარაღების მიზნით. ამის ნათელი მაგალითია 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის მოწყობა რომელიც აღჭურვილია მაღალეფექტური აირმტვერდამჭერი სისტემით და ასევე უწყვეტი მონიტორინგის სისტემით. ამასთანავე აირმტვერდამჭერი სისტემის მოწყობამდე შეჩერებულია ელექტროფოლად სადნობ საამქროში არსებულ 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელების ექსპლუატაცია. აირმტვერდამჭერი სისტემების მოწყობამდე შეჩერებულია ასევე საფასონე საამქროში არსებული ღუმელების ექსპლუატაცია.

გატარებული ღონისძიებები, მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მეტალურგიული ქარხნის წარმადობის, ასევე გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის გაზრდა დაკავშირებულია სამუშაო ადგილების ზრდასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის მოსახლეობის მუდმივი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ქარხნის უწყვეტ რეჟიმში ექსპლუატაცია და წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა დაკავშირებულია საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასთან, რაც მნიშვნელოვანია როგორც ქ. რუსთავის, ასევე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებების განხორციელება არ ყოფილა დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების მაღალ რისკებთან, ხოლო მიღებული სარგებელი მნიშვნელოვანია, როგორც გარემოსდაცვითი (ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შემცირება), ასევე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. შესაბამისად არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი მიუღებლად უნდა ჩაითალოს.

3.2 ფოლადის წარმოების ალტერნატიული ვარიანტები

ფოლადის წარმოების რამდენიმე მეთოდი არსებობს:

- ელექტრორკალური (ნახშირბადალდგენითი და სილიკოთერმული) მეთოდი- გამოდნობა ხდება რკალურ მადანთერმულ ღუმელში ელექტროენერჯის საშუალებით გამოყოფილი სითბოს ხარჯზე;
- ლითონთერმული მეთოდი - გამოდნობა ხდება კერიაში გარედან სითბოს მიწოდების ხარჯზე. პროცესისთვის საჭირო სითბო ეგზოთერმული რეაქციებით გამოიყოფა;
- ელექტროლიტური მეთოდი - ელემენტების აღდგენა ხდება გოგირდმჟავას ხსნარში გადასული შესაბამისი ოქსიდებიდან;
- გამოდნობა ბრძმედის ღუმელში - აღნიშნული მეთოდი შესაძლებელია ნახშირბადიანი ფერომანგანუმისა და ღარიბი ფეროსილიკომანგანუმის გამოდნობა;
- ჟანგბადკონვერტორულ მეთოდი - რომელიც თხევადი ლითონის რაფინაციის პროცესს ემყარება (ვაკუუმში ან მის გარეშე);
- გამოდნობა პლაზმურ ღუმელებში.

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან, შერჩეული იქნა ელექტრორკალური მეთოდი, რადგან აღნიშნულ მეთოდს გააჩნია რიგი უპირატესობები, კერძოდ:

- ძირითად ტექნოლოგიურ პროცესში ენერჯის წყაროდ გამოიყენება ელექტროენერჯია და საჭირო არ არის დამატებით ბუნებრივი აირი ან სხვა საწვავის გამოყენება, რომელთა წვის პროდუქტები წარმოქმნიან დამატებით ემისიებს;
- ფეროშენადნობების გამოდნობა შესაძლებელია როგორც უწყვეტი ისე პერიოდული ციკლით, რაც ელექტროენერჯის დაზოგვის და პროცესების ეკონომიურად მართვის საშუალებას იძლევა;
- შესაძლებელია თვითცხოვადი ელექტროდების გამოყენება, რომელიც გაცილებით იაფია გრაფიტისა და ნახშირის ელექტროდებთან შედარებით;
- სხვადასხვა ტიპის ფოლადის წარმოებისთვის შესაძლებელია შესაბამისი, სპეციალური ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფა.

ატმოსფერულ ჰაერში აირმტვერნარევის ემისიის შედარებით დაბალი ინტენსივობა ახასიათებს ინდუქციურ ღუმელებს, მაგრამ ასეთი ღუმელების დაბალი წარმადობის და დნობის პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, საჭირო რაოდენობის მზა პროდუქციის მისაღებად საჭიროა რამდენიმე ღუმელების გამოყენება, რაც დიდი წარმადობის საწარმოების შემთხვევაში ზრდის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების რისკებს.

გამომდინარე ყოველივე ზემოთ აღნიშნული უპირატესობებიდან, გარემოზე ზემოქმედების შედარებით დაბალი რისკების გათვალისწინებით, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით

უპირატესობა ენიჭება ფოლადის წარმოებისათვის ელექტრორკალური ღუმელის გამოყენებას.

4 ქარხნის მიმდინარე საქმიანობის მოკლე აღწერა

4.1 ზოგადი მიმოხილვა

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ფუნქციონირებს 1948 წლიდან და ქარხანაში, გასული საუკუნის 90- იან წლებამდე, ფოლადის წარმოება მიმდინარეობდა სრული მეტალურგიული ციკლით. ქარხანა აწარმოებდა ფოლადს, ცხლადნაგლინ უნაკერო მილებს, თუჯის, ალუმინისა და რკინის სხვადასხვა კონსტრუქციებს.

ქარხანა განთავსებულია ქ. რუსთავში, გაგარინის ქ. N12-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კიდეები: (02.07.04.764; 02.07.04.014; 02.07.02.486). ტერიტორია წარმოადგენს ქალაქის სამრეწველო ზონას, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა პროფილის სამრეწველო ობიექტები, მათ შორის, შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოები.

საწარმოს ტერიტორია შემოღობილია რკინა-ბეტონის ფილებით, ტერიტორიის შიდა პერიმეტრზე მოწყობილია შიდა გზები. ტერიტორიის დიდი ნაწილი (თითქმის ნახევარი) გამწვანებულია მრავალწლიანი ხე-მცენარეებით.

ქარხნის ტექნიკური წყლით მომარაგება ხორციელდება შპს „რუსთავის ფოლადის“ საკუთრებაში არსებული მტკვრის ფილტრატის მიმწოდებელი სატუმბი სადგურიდან და პირველი აწვევის სატუმბი სადგურიდან, ხოლო, ქარხნის ჯართით და წიდისაგან განთავსებული ლითონით (სკრაბი) მომარაგება წარმოებს ქარხნის ერთერთი სტრუქტურული ერთეულიდან, ჯართისა და წიდის გადამამუშავებელი საამქროდან (წიდასყარი), რომელიც მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ჭალაში (ჯართისა და წიდის გადამამუშავებელი საამქროს გარემოსდაცვითი დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილია დამოუკიდებლად).

საწარმოს, ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული ქარხანა, შპს „ჯორჯიან ელვის გრუპი“-ს ფეროშენადნობების საწარმო, შპს „ბულატი“-ს ფეროშენადნობების საწარმო, ჩრდილო-აღმოსავლეთით - სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური წარმოება; ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით შპს „რუსელოს“-ის ფეროშენადნობების საწარმო და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის წარმოება და სხვა ქარხნის განთავსების ადგილის სიტუაციური სქემა მოცემულია ნახაზებზე 4.1.1. და 4.1.2., ხოლო ქარხნის გენერალური გეგმა ნახაზზე 4.1.3.

4.1.1. ნახაზზე, მითითებულ ობიექტებამდე დაშორების მანძილები ათვლილია უშუალოდ საწარმოს ღობიდან, მაგრამ თითოეული საამქროდან ამავე ობიექტებამდე დაშორების მანძილები მნიშვნელოვნად მეტია, რაც კარგად ჩანს 4.1.2. ნახაზზე. საწარმოს მთლიანი ფართობი 3 162 265მ², სადაც დღეისათვის ფუნქციონირებს 11 ძირითადი საამქრო, აქვე წარმოდგენილია სხვა დამხმარე ობიექტები, საოფისე შენობები, ლაბორატორიები და სხვა. თითოეული საამქროს პერიმეტრი არ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული შენობით და გააჩნია საქმიანი ეზოებიც. საამქროებს შორის, საქმიანი ეზოები არ არის გამიჯნული საზღვრებით, ამიტომ, თითოეული საამქროდან ზემოთ ჩამოთვლილ ობიექტებამდე ზუსტი მანძილების დადგენა შეუძლებელია და თითოეულ საამქროს ფართობსაც მხოლოდ პირობითი და ამავე დროს არაზუსტი დატვირთვა ექნება.

როგორც ზემოთ აღინიშნა 4.1.1. ნახაზზე მოცემული მანძილები ათვლილია უშუალოდ საწარმოს საზღვრიდან და საწარმოში განთავსებული საამქროებიდან, საწარმოს გარშემო არსებულ ობიექტებამდე მანძილი შედარებით მეტია (იხილეთ ნახაზი 4.1.2.). საწარმოში წარმოდგენილი საამქროებიდან საწარმოს ღობემდე მანძილი (საწარმოს შიდა პერიმეტრზე) დაახლოებით 200 მ-დან >600 მ-მდე იცვლება. შესაბამისად საწარმოში არსებული მავნე ნივთიერებების ემისიის და

ხმაურის გავრცელების წყაროები მნიშვნელოვანი მანძილებითაა დაცილებული უახლოესი საცხოვრებელი ზონებიდან.

დღეისათვის ქარხანა აწარმოებს მრავალი სახეობის პროდუქციას, მათ შორის: სხვადასხვა დიამეტრის არმატურას, უნაკერო მილებს, კვადრატულ ნამზადს, თუჯის სხმულებს, ლითონკონსტრუქციებს, მექანიკურ დეტალებს, ფასონურ სხმულებს, გრანულირებულ წიდას, სილიკომანგანუმს.

საწარმოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. ავტოტრანსპორტის განყოფილება;
2. ენერგეტიკული უზრუნველყოფის სამსახური, რომლის შემადგენლობაში შედის :
 - ენერგო საამქრო (შედგება ორი უბნისაგან: 1. ენერგომემკეთებელი უბანი და 2. წყალმომარაგების უბანი);
 - ელექტრო საამქრო (შედგება სამი ერთეულისაგან: 1 ელექტრო მემკეთებელი უბანი, 2. ელექტრო მომარაგების უბანი და 3. ელექტრო ლაბორატორია).
 - ჟანგბადის საამქრო;
 - ბუნებრივი და დაჭირხნული აირის საამქრო (შედგება ორი უბნისაგან: 1. საკომპრესორო უბანი და 2. ბუნებრივი აირის უბანი);
 - ავტომატური მართვის სამსახური (შედგება ორი განყოფილებისაგან: 1. ავტომატური მართვის განყოფილება და 2. საკონტროლო გამზომი ხელსაწყოების განყოფილება).
3. ელექტროფოლადსადნობი საამქრო;
4. მექანიკური უზრუნველყოფის სამსახური, რომლის შემადგენლობაში შედის:
 - ტ.მ.შ.ს. - ტექნოლოგიურ მოწყობილობათა მემკეთებელი საამქრო;
 - საფასონო-საჩამომსხმელო საამქრო;
 - მემკეთებელ-მექანიკური საამქრო;
 - მცირე პროექტების საამქრო.
5. მილსაგლინავი საამქრო;
6. რკინიგზის განყოფილება;
7. საურნალე საამქრო;
8. სორტული გლინვის საამქრო;
9. წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო;
10. ცენტრალური ლაბორატორია;
11. მეტალურგიული ღუმელების მემკეთებელი საამქრო;
12. სამშენებლო-სარემონტო საამქრო.

საწარმოს ცალკეული სტრუქტურული ერთეული განთავსების ადგილების გეოგრაფიული კოორდინატები UTM კოორდინატთა სისტემაში მოცემულია დანართში N6.

საწარმოს ტერიტორიაზე საწარმოო შენობა-ნაგებობის კონსტრუქციები წარმოდგენილია მაგრამ, არ ფუნქციონირებს აგლომერაციის საამქრო; აღარ ფუნქციონირებს ბრძმედის, მარტენის, მილამდიდავი და ტეც-ის საამქროები, ამასთან, (მარტენის და მილამდიდავი საამქროები დემონტირებულია). საამქროების დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო ნარჩენები (ინერტული ნარჩენები) განთავსებულია საწარმოს ტერიტორიაზე და მათი გადამამუშავება/აღდგენა იგეგმება, შპს „რუსთავის ფოლადი“-ს წიდასაყარზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.


აღსანიშნავია, რომ საწარმოში გაუქმებულია ცემენტის წარმოება და მილამდიდავი საამქრო, ხოლო აღდგენილი და დღეისათვის ექსპლუატაციაშია ელექტროფოლადსადნობი საამქრო.

საწარმო მუშაობს უწყვეტ რეჟიმში, წელიწადში საშუალოდ 330 დღის განმავლობაში, სამი ცვლით (ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი). დასაქმებულია 1300-მდე ადამიანი. დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქ. რუსთავის მცხოვრებია.

საწარმოს მიმდებარე 500 მ-იანი ზონის ფარგლებში წარმოდგენილია შემდეგი მოქმედი საწარმო ობიექტები: შპს „ჯეოსთილი“ - დაცილების მანძილი 30 მ, შპს „ჰაიდელბერგ ჯორჯია“ – დაცილების მანძილი 435 მ, შპს „რუსელოსი“ - დაცილების მანძილი 440 მ, შპს „რუსთავილი“- დაცილების მანძილი 45 მ, შპს „ნიუ პლასტიკ ჯი“ - დაცილების მანძილი 80 მ, სს „მეტალურგრემონტი“- დაცილების მანძილი 40 მ, შპს „მილენი-უმ კონსტრაქშენი“ - დაცილების მანძილი 360 მ, შპს „კავკასპაკ“- დაცილების მანძილი 280 მ, შპს "ქვები" - დაცილების მანძილი 80, სს "რუსთავის მეტალურგიული კომბინატი" - დაცილების მანძილი 445 მ, შპს „რუსთავი“- დაცილების მანძილი 80 მ, შპს „გზატკეცილი +“ – დაცილების მანძილი 35 მ და შპს „არსემ კორპი“ (ბულატი)- დაცილების მანძილი 5 მ.

საწარმო მუშაობს უწყვეტი ციკლით წელიწადში საშუალოდ 330 დღის განმავლობაში, სამუშაო რეჟიმი 4 ცვლიანია, ცვლის ხანგრძლივობა 8 საათი. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 1300 საშუალოდ ადამიანს. დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქ. რუსთავის მცხოვრებია.


სურათი 4.1.1. ქარხნის განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა



სურათი 4.1.2. ქარხნის ცალკეული სამეპროების დაცილების მანძილები უახლოესი საცხოვრებელი ზონებიდან



ნახაზი 4.1.1. ქარხნის გენერალური გეგმა



- 1-რაიონის განყოფილება
- 2-ტექნოლოგიური მოწყობის სახეობის შემადგენელი სახეობა
- 3-სამსახურე სახეობის სახეობა
- 4-შემადგენელი მანქანების სახეობა. სახეობა უსახეო
- 5-მედიკამენტების სახეობა
- 6-ავტოტრანსპორტის განყოფილება
- 7- მენეჯერების სახეობა
- 8- ფინანსურ განყოფილება
- 9-ელექტრომომარაგების სახეობა
- 10-ელექტრო მოწყობის სახეობა
- 11-ელექტრო რეპარატორია
- 12- მანქანების სახეობა
- 13-სამსახურე სახეობა
- 14-სამსახურე სახეობა
- 15-ავტოტრანსპორტის განყოფილება

- 16-სამსახურე განყოფილება
- 17-ელექტრო მოწყობის სახეობა
- 18- სერვისული განყოფილება
- 19-მანქანების სახეობა
- 20-სამსახურე-სამსახურე სახეობა
- 21-მედიკამენტების სახეობა
- 22-მედიკამენტების რეპარატორია
- 23-მედიკამენტების რეპარატორია
- 24-სახეობის სახეობა
- 25-სახეობის სახეობა
- 26-სახეობის სახეობა
- 27-სახეობის სახეობა
- 28-№1 15ტ რეპარატორია
- 29-№2 15ტ რეპარატორია
- 30-№3 35ტ რეპარატორია

4.2 ექსპლუატაციის პირობების ცვლილების აღწერა და საწარმოს ძირითადი ფიზიკური მახასიათებლები

2009 წლის გზშ-ს ანგარიშისა და ასევე, 2009 წლის 20 იანვრის N6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, რუსთავის მეტალურგიული საწარმო, საკუთარი ნედლეულის წარმოებამდე იყენებდა შემოტანილ კვადრატულ ნამზადს. მას შემდეგ, რაც საწარმოში ამოქმედდა ელექტროფოლადსადნობი საამქრო, ჯართისა და წიდის გადამუშავებით, შესაძლებელი გახდა საკუთარი ნედლეულის (ფოლადის ნამზადი) წარმოება და პროდუქციის წლიური წარმოება 8000 ტ/წელ-დან გაზარდა 130000-140000 ტ/წელ-მდე. საწარმოში, ახალი 35 ტ/სთ ელექტრორკალური ღუმელის ამოქმედების შემდეგ, საწარმოს მაქსიმალური წარმადობა გახდა 35 ტ/სთ (35 ტ/სთ x 8000 სთ/წელ = 280 000 ტ/წელ).

ელექტროფოლადსადნობ საამქროში ახალი ღუმელის ამუშავებამ გაზარდა, როგორც ნედლეულის (ფოლადი) ისე ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი და რაოდენობა და ქარხნის ფაქტობრივი საწარმოო სიმძლავრეები ასე გამოიყურება:

- მილსაგლინავი საამქრო - „დგან 400“-ზე ამჟამად იწარმოება წელიწადში 112 000 ტონა უნაკერო მილები. საამქრო აწარმოებს შემდეგი სახის უნაკერო მილებს (პროდუქციის ზრდის პერსპექტივით):
 - სამაგრი მილები - სამაგრი მილები იწარმოება API Spec 5 CT და GOST 632 სტანდარტების შესაბამისად, სამაგრი მილები გამოიყენება ნავთობის და გაზის ინდუსტრიაში;
 - მაგისტრალური მილები - მაგისტრალური მილები იწარმოება API Spec 5 L, EN 10210, EN 10297 და GOST 8731/32 სტანდარტების შესაბამისად. მაგისტრალური მილები გამოიყენება ნავთობის, გაზის და წყლის ტრანსპორტირებისთვის;
 - უნაკერო მილები - უნაკერო მილები იწარმოება EN 10210, EN 10297, GOST 8731 და GOST 8732 სტანდარტების შესაბამისად. უნაკერო მილები ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში და ზოგად ტექნიკური მიზნებისთვის.
- საფასონო-სამსხმელო საამქრო - საამქროში შესაძლებელია თვეში 1000 ტონა თუჯის სხმულების წარმოება და 300-350 ტონა სილიკომანგანუმის წარმოება (დღეისათვის ფეროშენადნობთა სადნობი ღუმელი დაკონსერვებულია აირგამწმენდი სისტემის მოწყობამდე):
 - თუჯის სხმულები - ქარხნის საფასონო-სამსხმელო საამქრო აწარმოებს სხვადასხვა ზომისა და წონის სხმულებს, რომლებიც თუჯისა და ფერადი ლითონებისაგან მზადდება. ამჟამად, საამქრო აწარმოებს 20 კილოგრამიან თუჯის სხმულებს. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ წარმოებული თუჯის სხმულები, ადგილობრივი ბაზრის გარდა, საექსპორტო ბაზრებზეც აქტიურად იყიდება;
 - საფასონო - სამსხმელო საამქროში აგრეთვე მზადდება შემდეგი სახის პროდუქცია: სხვადასხვა სახის რედუქტორების კორპუსები; ჯავშნები; წისქვილის ბურთულები; საკანალიზაციო ჭების სახურავები; სანიაღვრე ჭების სახურავები; მოაჯირები და სხვა დეტალები. დამზადებული სხმულების წონა 0,5 კგ-დან 5000 კგ-მდე მერყეობს. ასევე, ფერადი ლითონები (ალუმინის, ბრინჯაოს, სპილენძისა და სხვა შენადნობის), რომელთა წონა 0,5 კგ-დან 300 კილოგრამამდეა.
- არმატურა - რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აწარმოებს თერმოგამტკიცებულ, არმატურის თვიური წარმოება შეადგენს 165 000 ტონას; (პროდუქციის ზრდის პერსპექტივით):
- ფოლადსადნობი საამქრო СтИ 21517842-002-2012 სტანდარტის და GOST 380-2005 ქიმიური შემადგენლობის სტანდარტის შესაბამისად აწარმოებს კვადრატულ ნამზადს და მილნამზადს;
- ლითონკონსტრუქციები - რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მოქმედი საამქროების სიმძლავრეები იძლევა იმის საშუალებას, რომ დამკვეთის კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად წარმოებული იქნას სხვადასხვა სპეციფიკაციის ლითონის კონსტრუქციები. ქარხნის ბაზაზე შესაძლებელია შემდეგი ტიპის საქმიანობის წარმოება:

- სხვადასხვა ზომისა და მოცულობის რეზერვუარების დამზადება;
- სხვადასხვა ზომის ფოლადის ფურცლების დაჭრა;
- 40 მმ-მდე ფოლადის ფურცლების მოღუნვა და დამრგვალება 3500 მმ დიამეტრამდე;
- სხვადასხვა ზომის ინდუსტრიული კონსტრუქციების დამზადება (ხიდურა ამწის სავალი კოჭების დამზადება და ა.შ.);
- სხვადასხვა ზომის ცილინდრების, კონუსებისა და ფერმების დამზადება

ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის სახეების შესახებ მოკლე ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

არმატურა: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა აწარმოებს თერმოგამტკიცებულ, A500C და A400C კლასის, 10-32 მმ დიამეტრის არმატურას. ქარხანაში ასევე იწარმოება 10-32მმ დიამეტრის, ნებისმიერი სიგრძის გლუვი არმატურა.

ქარხანაში არმატურის წარმოება შემდეგი სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება:

- гост 10884-94;
- гост р 52544-2006;
- дсту 3760-2006;
- ASTM A615.

კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, არმატურის წარმოება აგრეთვე შესაძლებელია ბრიტანული BS 4449-2005 სტანდარტითაც.



კვადრატული ნაშაადი: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადსადნობი საამქრო СП 21517842-002-2012 სტანდარტის და GOST 380-2005 ქიმიური შემადგენლობის სტანდარტის შესაბამისად აწარმოებს СТ.3 сп, СТ.3 Гсп, СТ.5 сп, СТ.5 Гсп, 35Гс მარკის, 100X100მმ ზომის კვადრატულ ნაშაადს.

ამჟამად, საამქრო, აწარმოებს 6 მეტრამდე სიგრძისა და 100X100 მმ ზომის კვადრატულ ნაშაადს.



უნაკერო მილები: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავ საამქროში იწარმოება ცხლადდეფორმირებული დიდი დიამეტრის უნაკერო მილები დგან - 400-ზე და პატარა დიამეტრის უნაკერო მილები დგან-140 ზე (დგან - 140 ამჟამად არ ფუნქციონირებს).

მილსაგლინავი საამქრო აწარმოებს შემდეგი სახის უნაკერო მილებს:

სამაგრი მილები: სამაგრი მილები იწარმოება API Spec 5 CT და GOST 632 სტანდარტების შესაბამისად, დიამეტრით 168მმ-დან 324მმ-მდე, კედლის სისქით 7.32მმ - დან 14.2მმ-მდე. სამაგრი მილები გამოიყენება ნავთობის და გაზის ინდუსტრიაში.

მაგისტრალური მილები: მაგისტრალური მილები იწარმოება API Spec 5 L, EN 10210, EN 10297 და GOST 8731/32 სტანდარტების შესაბამისად, დიამეტრით 168მმ-დან 426მმ-მდე, კედლის სისქით 6მმ-დან 50მმ-მდე. მაგისტრალური მილები გამოიყენება ნავთობის, გაზის და წყლის ტრანსპორტირებისთვის.

უნაკერო მილები: უნაკერო მილები იწარმოება EN 10210, EN 10297, GOST 8731 და GOST 8732 სტანდარტების შესაბამისად, დიამეტრით 168მმ-დან 426მმ-მდე, კედლის სისქით 6მმ და 50მმ-მდე.

უნაკერო მილები ფართოდ გამოიყენება მანქანათმშენებლობაში და ზოგადტექნიკური მიზნებისთვის.



თუჯის სხმულები: ქარხნის საფასონო-სამსხმელო საამქრო აწარმოებს სხვადასხვა ზომისა და წონის სხმულებს, რომლებიც თუჯისა და ფერადი ლითონებისაგან მზადდება.

ამჟამად, საამქრო აწარმოებს 20 კილოგრამიან თუჯის სხმულებს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მიერ წარმოებული თუჯის სხმულები, ადგილობრივი ბაზრის გარდა, საექსპორტო ბაზრებზეც აქტიურად იყიდება.

თუჯის სხმულების წარმოების საერთო მოცულობა თვეში 1000 ტონას შეადგენს.



ფასონური სხმულები:

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საფასონო-სამსხმელო საამქრო აწარმოებს ფოლადის, თუჯისა და ფერადი ლითონების სხმულებს. საამქრო აგრეთვე ამარაგებს საწარმოს ძირითად საამქროებს სხვადასხვა სახის დეტალებით და მილსაგლინავ საამქროს სამილე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით.

საფასონო-სამსხმელო საამქროში აგრეთვე მზადდება შემდეგი სახის პროდუქცია:

- სხვადასხვა სახის რედუქტორების კორპუსები, ჯავშნები, წისქვილის ბურთულები, საკანალიზაციო ჭების სახურავები, სანიაღვრე ჭების სახურავები, მოაჯირები და სხვა დეტალები. დამზადებული სხმულების წონა 0,5 კგ-დან 5000 კგ-მდე მერყეობს;



ლითონკონსტრუქციები: რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მოქმედი საამქროების სიმძლავრეები იძლევა იმის საშუალებას, რომ დამკვეთის კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად წარმოებულ იქნას სხვადასხვა სპეციფიკაციის ლითონის კონსტრუქციები. ქარხნის ბაზაზე შესაძლებელია შემდეგი ტიპის საქმიანობის წარმოება:

- სხვადასხვა ზომისა და მოცულობის რეზერვუარების დამზადება;
- სხვადასხვა ზომის ფოლადის ფურცლების დაჭრა;
- 40მმ–მდე ფოლადის ფურცლების მოღუნვა და დამრგვალება 3500მმ დიამეტრამდე;
- სხვადასხვა ზომის ინდუსტრიული კონსტრუქციების დამზადება (ხიდურა ამწის სავალი კოჭების დამზადება და ა.შ);
- სხვადასხვა ზომის ცილინდრების, კონუსებისა და ფერმების დამზადება.



ქარხანაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები, საამქროების მიხედვით, აღწერილია მომდევნო თავებში.

4.3 საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების აღწერა

საწარმოს ნედლეულს წარმოადგენს ჯართი, წიდის დამუშავების პროცესში წარმოქმნილი მეტალური ფრაქცია, კირი და სხვა დამხმარე მასალები. ნედლეულის შემიტანა ხდება ძირითადად ავტოტრანსპორტით, მაგრამ გამოიყენება ასევე სარკინიგზო ტრანსპორტი. ტექნოლოგიური პროცესი იწყება ჯართის დასაწყობებით საწარმოში არსებულ ძველ და ახალ საურნალე საამქროების ტერიტორიებზე (ახალი საურნალე საამქრო მოეწყო, 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის ამოქმედებასთან დაკავშირებით). საურნალე საამქროებში ჯართი დამუშავების (დახარისხება, დაჭრა, დაპრესვა) შემდეგ, მიეწოდება ელექტრორკალური ღუმელის კაზმის განყოფილებას, სადაც დასაწყობებულია დნობის პროცესისათვის საჭირო დამხმარე მასალები. კაზმის მომზადების და დნობის პროცესის შესახებ ინფრომაცია მოცემულია პარაგრაფში 4.3.2.

ელექტროფოლად სადნობ საამქროში წარმოებული ნამზადი, მიეწოდება სორტული გლინვის და მილსაგლინავ საამქროებში შესაბამისი პროდუქციის (მილები არმატურა და სხვა) წარმოების მიზნით.

4.3.1 საურნალე საამქრო

ქარხნის ნედლეულს წარმოადგენს შავი ლითონის ჯართი (HMS1 და HMS2 ტიპის ჯართი ანუ მძიმე და დასაპრესი) და წიდისგან გასუფთავებული ლითონი, ამ ეტაპზე, საწარმოში ჯართის მიღება მიმდინარეობს ავტომანქანებით, თუმცა, ტერიტორიაზე ასევე შემოდის რკინიგზა და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მისი გამოყენებაც. საამქროს გეოგრაფიული კოორდინატები შემდეგია: X=502100, Y=4598047.

საწარმოში, ახალი 35 ტ/სთ ელექტროფოლადსადნობი ღუმელის მოწყობასთან დაკავშირებით, საურნალე საამქრო მოწყობილია ელექტროფოლად სადნობი საამქროს მიმდებარე შენობაში, მაგრამ ჯართის დამუშავება მიმდინარეობს, ასევე ძველ საურნალე საამქროში, სადაც წარმოდგენილია ჯართის დასაწყობების ღია უბანი. ამ უბანზე მიმდინარეობს ლითონისა და

„სკრაპის“ (მეტალის დნობის პროცესში ზედაპირზე წარმოქმნილი მასა) აირული ჭრა. არა გაბარიტული „სკრაპის“ მსხვრევა და სხვა. საამქროში ფუნქციონირებს შემდეგი განყოფილებები:

- ფოლადის ჯართის მანქანით (პრესმაკრატელი) და ხელით ჭრისთვის განკუთვნილი მალეები, სპეციალური დანიშნულების შვიდი უბნის სახით;
- ჯართის საურნალე დამუშავების უბანი მძიმე წონიანი (10 ტ) ბურთულით (ე. წ. კუტით);
- მზა პროდუქციის (ამ შემთხვევაში, საურნალე საამქროში დამუშავებული ჯართი) დასაწყობების 180 მ სიგრძის ღია მალი, რომელიც აღჭურვილია ერთი ხიდური ამწით.
- საამქროში ჯართის შემოტანა და ფოლადსადნობში გადატანა მიმდინარეობს როგორც სარკინიგზო, ასევე საავტომობილო ტრანსპორტით;

ელექტროფოლადსადნობ საამქროსთან არსებულ საურნალე უბანზე მოწყობილია ჯართის საპრესი და საჭრელი უბნები, ორი სასწორი, მათ შორის ერთი საავტომობილო, რომელიც განკუთვნილია შესყიდული ჯართის ასაწონად და მეორე სარკინიგზო, რომელიც გამოიყენება საურნალე საამქროს მიერ ფოლადსადნობი საამქროსთვის გადაცემული ჯართის რაოდენობის აღსარიცხად. ელექტროფოლადსადნობ საამქროსთან არსებულ საურნალე საამქროში დამონტაჟებულია პრესმაკრატელი და მოწყობილია ჯართის აირჭრის უბანი.

უბანს ემსახურება ორი ხიდურა ამწე (მათ შორის ერთი მაგნიტი) და სამი მანიპულატორი (ერთი სტაციონალური). ახალ უბანზე ხდება ჯართის მიღება, გადარჩევა, დასაწყობება, დაპრესვა და ფოლადსადნობისათვის გადაცემა, აწონვის შემდეგ.

4.3.1.1 ნედლეულის (შავი ლითონის ჯართის) მიღება, დასაწყობება და წინასწარი დამუშავება

საწარმოში ჯართის გადმოტვირთვა და დასაწყობება მიმდინარეობს სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე, მაგნიტური ან გრეიფერული ამწეების დახმარებით. საამქროში შემოტანილი ლითონის ჯართი იწონება სტაციონალური სასწორით. ავტოტრანსპორტის (ვაგონების) გაწმენდა წვრილი ჯართისაგან წარმოებს განტვირთვის ადგილზე, მაგნიტური ამწის დახმარებით, ხოლო არამეტალურ ნარჩენებს აშორებენ ხელით. საურნალე საამქროში დამუშავებული ჯართის საჭირო რაოდენობის გაგზავნა ხდება ელექტროფოლადსადნობ საამქროში, ხოლო მარაგი საწყობდება სპეციალურად მოწყობილ დახურულ მალში. აღნიშნული მალი აღჭურვილია ორი ხიდური ამწით, რომელთაგან ერთი აღჭურვილია მაგნიტით.

საწარმოს ტექნოლოგიური ინსტრუქციის მიხედვით, საწარმოში შემოტანილი ლითონის ჯართი მოწმდება (ხორციელდება ვიზუალური ინსპექტირება) ფეთქებად-საშიშროებაზე და მხოლოდ შემოწმების შემდეგ მიმდინარეობს მისი წინასწარი დამუშავება, რაც გულისხმობს მის მექანიკურ დამუშავებას (დახარისხება, დაჭრა, დაპრესვა და ა.შ.). ჯართის მექანიკურად დამუშავება წარმოებს წნებ-მაკრატლით.

დახარისხების შედეგად მიღებული ნარჩენების დასაწყობება ხდება ამისათვის ცალკე გამოყოფილ უბანზე და სახეობების მიხედვით ხდება მართვა ნარჩენების გეგმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.3.1.2 ჯართის დამუშავება წნებ-მაკრატელზე

წნებ-მაკრატელზე პაკეტირებისათვის (დაბრიკეტება) გამოიყენება ფოლადის ფურცლოვან-ზოლოვანი, სორტული გლინვის და სამილე წარმოების ნარჩენები, აგრეთვე მსუბუქ წონიანი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჯართი, მავთული, მავთულისგან დამზადებული ლითონ-კონსტრუქციები და ხვიარას მგავსი ბურბუმელა. პაკეტირებისათვის განკუთვნილი ჯართიდან მიმდინარეობს მავნე მინარევებიანი, მოკალულები, ემალირებული, მოთუთიებული და ფერადი ლითონების, ასევე ძლიერ დაჟანგული მეტალების ამორჩევა.

ლითონის ჯართის მომზადება პაკეტირებისათვის მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

- მობილური ამწის დახმარებით ჯართის გადარჩევა;

- აირ-ჭრით დიდი ზომის, არაგაბარიტული ჯართის დაჭრა პაკეტირებისათვის;
- ჯართიდან არალითონური საგნების ამორჩევა.

აირ-ჭრით დამუშავებული ჯართი ძირითადად იგზავნება პირდაპირ ღუმელში, ხოლო პრეს-მაკრატელში იყრება ამწის გადარჩეული ჯართი - აირჭრის გარეშე. აირ-ჭრით დამუშავების შემდეგ, ლითონის ჯართი განთავსდება საწყობში ან პაკეტირების მიზნით ჩაიტვირთება წნეხ-მაკრატლის მიმღებ კამერაში. წნეხ-მაკრატლის მიმღებ კამერაში ჯართის ჩატვირთვა წარმოებს ნედლეულის საწყობიდანაც ან სორტირების შტაბელებიდან. ჩატვირთვის მასა ერთ პაკეტზე რეგულირდება ვიზუალურად, ჩამტვირთავისა და ხიდური ამწის მემანქანების მიერ. ჩატვირთვის რაოდენობამ უნდა უზრუნველყოს პაკეტის სიმტკიცე.

პაკეტების გადატანა ჯართის მიმღები უბნიდან, მზა პროდუქციის საწყობში, წარმოებს ელექტრო-მაგნიტის ან საცეცებიანი გრეიფერის დახმარებით.

4.3.1.3 ჯართის აირული ჭრა

ჯართის აირული ჭრა მიმდინარეობს ღია მოედნებზე. აირ-ჭრის უბანზე მიმდინარეობს დიდი ზომის, არაგაბარიტული ჯართის დაჭრა.

4.3.1.4 ლითონის ჯართის ურნალით დამსხვრევა

როგორც აღინიშნა ჯართის ურნალით დამსხვრევა ხება ძველ საურნალე საამქროში. დამუშავების მიზანია დიდი ზომის თუჯის და ფოლადის ჯართის დანაწევრება, შედარებით პატარა ნაჭრებად, რომლებიც, შემდგომ გამოიყენება ელექტროფოლადსადნობ ღუმელებში, ფოლადის გამოსადნობ ლითონურ კაზმად.

ლითონის ჯართის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი საურნალე დამსხვრევის უბანზე მოიცავს შემდეგ ტექნოლოგიურ ოპერაციებს:

- ლითონის ჯართის ჩამოტვირთვა და დასაწყობება;
- ლითონის ჯართის მომზადება საურნალე დანაწევრებისათვის;
- ურნალით დამსხვრევის უბნის ჩატვირთვა;
- დამსხვრევა;
- დამსხვრეული ლითონის ჯართის დასაწყობება და გაგზავნა.

საურნალე დამსხვრევის უბანი განლაგებულია ღია ესტაკადის თავზე. ესტაკადა გაყოფილია ორ ტოლ ნაწილად და თითოეულ მათგანში განლაგებულია ერთი და იგივე ზომის მრგვალი ფორმის ორმოები. ორმოს კედლები ფორმირებულია ფოლადის მსხვილი ბლოკებით, მათზე მიდუღებული სოლებით. ორმოს ქვედა ნაწილი ფორმირებულია ასევე ფოლადის ბლოკებით. ორმოების ცენტრალური ნაწილი გამაგრებულია ფოლადის ხარიხებით. თითოეულ ორმოს ემსახურება 15 ტონიანი ტვირთამწეობის ელექტრომაგნიტური ამწეები და 10 ტ სიმძიმის მრგვალი ბურთულა. ხიდურ ამწეებს შეუძლიათ ორივე ორმოს მომსახურება. ჯართის დანაწევრება წარმოებს ბურთულის (კუტის) თავისუფალი ვარდნის ენერგიით.

ამჟამად, საურნალე დამსხვრევის უბანზე ნედლეულის შემოტანა და დამუშავებული (მზა) პროდუქციის გატანა წარმოებს ავტომობილებით, შესაძლებელია ვაგონების გამოყენებითაც. ორმოებიდან ამოღებული არამეტალური ნარჩენების გატანა წარმოებს სპეციალური კონტეინერების დახმარებით.

ურნალები, მთელ სიმაღლეზე შემოღობილია ჩამოკიდებული მორებით, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას და გამორიცხავენ ლითონის ნამსხვრევის გარეთ გაზნევას. მემანქანების კაბინები მტკიცედ არიან დაცულნი ლითონის ფურცლით.

საამქროში მიღებული ჯართი, ურნალით დამუშავებამდე დახარისხდება თუჯის და ფოლადის ნარჩენებად. ლითონის რთული კონსტრუქციები, რომლებიც შეიცავენ, როგორც თუჯის, ასევე

ფოლადის ნაწილებს, თუჯის და ფოლადის განცალკევების მიზნით თავდაპირველად მუშავდება აირ-ჭრით.

ურნალის საცემი ორმოს ჩატვირთვა წარმოებს ელექტრომაგნიტური ხიდური ამწეების გამოყენებით. საცემ ორმოში, ჯართის ჩატვირთვის წინ საურნალე ბურთულას (კუტს) ათავსებენ მისთვის განკუთვნილ, მდგრად ადგილზე. ორმოში ჩატვირთვას ერთი სახეობის ჯართს/“სკრაპს“. ლითონის ჯართის დამსხვრევა მიმდინარეობს საურნალე ბურთულის (კუტის) აწევით და დარტყმით. დარტყმების გამეორება წარმოებს საჭირო ზომის ნამსხვრევების მიღებამდე.

ურნალით დამსხვრეული ჯართი განთავსდება დასაწყობების უბანზე და შემდეგ გადადის ელექტროფოლადსადნობ საამქროში.

საურნალე საამქროში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები არ ითვალისწინებს წყლის გამოყენებას, შესაბამისად, საამქროში სამრეწველო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, სანიაღვრე წყლები ჩართულია საწარმოს საკანალიზაციო ქსელში.

4.3.1.5 ახალი საურნალე საამქრო


ახალი საურნალე საამქრო მოწყობილია ელექტროფოლადსადნობი საამქროს მიმდებარედ არსებულ საწარმოო დანიშნულების შენობაში, ხოლო ჯართის დასაწყობებისათვის გამოყენებულია საამქროს ჩრდილო-დასავლეთით არსებული ტერიტორია. საამქროს გეოგრაფიული კოორდინატები შემდეგია: X=502861, Y=4596725.

ახალ საურნალე საამქროში ფუნქციონირებს 4 ერთეული აირჭრის აპარატი და დაგეგმილია დამატებით 12 ერთეული აირით ჭრის აპარატის დამონტაჟება, რაც გათვალისწინებულია გაფრქვევის გაანგარიშებაში. საამქროში დამონტაჟებულია ასევე ჰიდრაულიკური პრეს მაკრატელი (პირანია), გადამუშავებული ჯართის რაოდენობა 237 600 ტ/წელ (წარმადობა 30 ტ/სთ) და ჯართის დასაქუცმაცებელი (შრედერი), გადამუშავებული ჯართის რაოდენობა 60000 ტ/წელ (წარმადობა 15-20 ტ/სთ).

ჯართის დასაწყობების ტერიტორია გათვალისწინებულია წელიწადში 336 000 ტონა ჯართის მიღება-დასაწყობებაზე.

საურნალე საამქროების და საკაზმე ეზოების განლაგების სქემა მოცემულია სურათზე 4.3.1.1.

სურათი 4.3.1.1.



N	დასახლება
1.	ძველი საურნალე საამქრო,
2	ახალი საურნალე საამქრო - პრესის უბანი
3	ახალი საურნალე საამქრო - შრედერის უბანი
4	ახალი საურნალე საამქრო - აირით ჭრის უბანი
5	ახალი საურნალე - დასამუშავებელი და დამუშავებული ჯართის დასაწყობების უბანი

N	დასახლება
6	10 ტ/სთ ღუმელის საკაზმე უბანი
7	10 ტ/სთ ღუმელის საკაზმე უბანი
8	35 ტ/სთ ღუმელის საკაზმე უბანი

4.3.2 ელექტროფოლადსადნობი საამქრო

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საწარმოს ელექტროფოლადსადნობი საამქროს შემადგენლობაშია:

- ადმინისტრაციული აპარატი;
- ელექტროდუმელების უბანი, რომელიც მოიცავს ელექტრორკალურ და ციცხვ ღუმელებს;
- უწყვეტი ჩამოსხმის უბანი;
- საკაზმე ეზოები;
- მექანიკური უზრუნველყოფის უბანი;
- ენერგეტიკული უზრუნველყოფის უბანი, რომელიც მოიცავს ელექტრო მოწყობილობებისა და ამწე მექანიზმების სარემონტო ჯგუფს და ენერგეტიკული კომუნიკაციების სამსახურს;
- კვადრატული ნამზადის დასაწყობებისა და დატვირთვის უბანი.

საამქროს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატებია X=502244, Y=4597828.

როგორც უკვე აღინიშნა, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში განხორციელდა ცვლილებები და ექსპლუატაციაში იქნა გაშვებული ელექტროფოლადსადნობი საამქრო, სადაც მოქმედებდა 6 ფოლადსადნობი ღუმელი მათ შორის: 2 x 10 ტ/სთ ელექტრორკალური და 4 x 12 ტ/სთ ინდუქციური ღუმელი და შედეგად, 2009 წლიდან დღემდე ქარხანაში ფოლადის წარმოების წლიური სიმძლავრე 8 000 ტ/წელ-დან გაიზარდა 130 000-140 000 ტ/წელ-მდე. დღეისათვის, საამქროში დემონტაჟი ჩაუტარდა ინდუქციურ ღუმელებს, ხოლო 10 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელები და დამხმარე დანადგარები (ციცხვღუმელები, უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარები და სხვა) დაკონსერვებულია და მათი ამოქმედება მოხდება მხოლოდ აირმტვერდამჭერი სისტემის და უწყვეტი მონიტორინგის სისტემის მოწყობის შედეგ (აღსანიშნავია, რომ 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის მიერ გამოშვებული პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს ქარხნის სხვა საამქროების საჭიროებას და შესაბამისად უახლოეს პერსპექტივაში 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელების ამოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს).

დღეისათვის საამქროში ექსპლუატაციაშია ახალი, 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი და წელიწადში 8000 საათის სამუშაო დროის გათვალისწინებით წარმოებული პროდუქციის წლიური რაოდენობა შეადგენს 280 000 ტონა.

ახალი, 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის შემადგენლობაში შედის ელექტრორკალური ღუმელი, ციცხვღუმელი, ვაკუუმატორი და უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი. ღუმელს ემსახურება მისთვის განკუთვნილი ჯართის დამუშავების უბანი, კაზმის მომზადების უბანი, ჟანგბადის საამქრო, აირმტვერდამჭერი მოწყობილობა და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურა.

საამქროს მზა პროდუქციას წარმოადგენს 100 X 100 მმ და 130X130 მმ კვადრატული ნაწარმი, ასევე, სხვადასხვა დიამეტრის მრგვალი ნამზადი (მილების დასამზადებლად).

სურათი 4.3.2.1.



35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი



ვაკუუმ ღუმელი



ციცხვის გაცხელება

ღუმელის შესახებ დეტალური ინფორმაცია (ტექნოლოგიური ინსტრუქციები) მოცემულია დანართში N7.

4.3.2.1 საკაზმე უბანი (საკაზმე ეზო)

ელექტროფოლადსადნობი საამქროს ნედლეული თავდაპირველად შედის საკაზმე უბანზე. ნედლეულის მიწოდება წარმოებს: სარკინიგზო ვაგონებით, დუმპკარებით, ღია პლატფორმებით და ავტოტრანსპორტით. ჯართით დატვირთული ვაგონების ჩამოტვირთვა მიმდინარეობს ხიდური ამწით ან მაგნიტური რგოლით. ჩამოტვირთვის შემდეგ ხდება ჯართის ვიზუალური დათვალიერება, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული და საექვო საგნების მოცილება წარმოებს ხელით.

ელექტროფოლადსადნობი საამქროს ნედლეულს წარმოადგენს:

- ჯართი (მათ შორის ნაბრუნე მასალა), რომელიც საამქროს მიეწოდება ქარხანაში არსებული საურნალე საამქროებიდან, ასევე შპს „რუსთავის ფოლადის“ საკუთრებაში არსებული, ქ. რუსთავის წიდასაყარზე არსებული წიდასა და ჯართის გადამამუშავებელი საამქროდან;
- ფეროშენადნობები, რომელთა მიწოდება ხდება ქარხანაში არსებული ფასონური სხმულების საამქროდან ან მათი შემოტანა წარმოებს საზღვარგარეთიდან (ჩინეთი, თურქეთი და სხვ.);
- ხენჯი, მისი მიწოდება ხდება ნადნობის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანიდან (ნუჩმ-დან) და სორტული გლინვის საამქროდან;
- ნახშირბადშემცველი, თბო-საიზოლაციო და დამატებითი მასალები. მათი მიწოდება წარმოებს, როგორც ადგილობრივი საწარმოებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან;
- კირი - ქარხნის ტერიტორიაზე არსებული კირის საწარმოდან.

საამქროში ფეროშენადნობების მიწოდება წარმოებს სპეციალური 1,0-1,5 ტ ტომრებით (ბიგ-ბეგებით), ხოლო დამატებითი მასალები შეფუთულია 10-15 კგ ქაღალდის ან „ჟგუტის“ ტომრებში. საკაზმე ეზოში წარმოებს საკაზმე მასალების ულუფების აწონვა და საღუმელე მოედანზე მიწოდება.

საკაზმე უბანზე მიღებული ჯართი, ფეროშენადნობები, ხენჯი, კოქსი, ნახშირბად შემცველები (კარბურიზატორული ნარევი), თბოსაიზოლაციო ნარევი და დამატებითი მასალები, ვაგონების საშუალებით გადადის ცეცხლგამძლე მასალების უბანზე. თითოეული ვაგონი აღჭურვილია ორ-ორი ბადიით. ბადიების შევსების შემდეგ, ვაგონებს მიაწოდებენ საღუმელე მალში. ვაგონების მოძრაობა იმართება საკაზმე ეზოს მუშაკების მიერ, სამართი პულტიდან. ბადიების მიწოდება ღუმელში ჩასატვირთად წარმოებს საღუმელე მალის, ხიდური ამწეების დახმარებით.

ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც წაეყენებათ საკაზმე, მალეგირებელ, განმჟანგველ და დამატებით მასალებს.

ყველა საკაზმე, მალეგირებელი, გამწვანგველი და დამატებითი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს სტანდარტებს.

- ლითონური კაზმი
 - ფოლადის ჯართი (ნაყიდი, ამორტიზირებული) - საერთო აღნიშვნით 5A და 12A.
 - ქარხანაში წარმოქმნილი ნაბრუნე ჯართი (ნუჩმ-ზე წარმოშობილი წუნი, სორტული და მილსაგლინი საამქროების ნარჩენები) - საერთო აღნიშვნით 5A და 12A.
 - წიდასაყარიდან ამოღებული ჯართი - საერთო აღნიშვნით 5A და 12A.
 - ნაბრუნე ჯართი (ფოლადსადნობი საამქრო) - საერთო აღნიშვნით 5A.
 - თუჯი (გადასამუშავებელი) - GOCT 805 მარკით II-1, II-2 საერთო აღნიშვნით 22A.
 - თუჯი (სამსხმელო) - GOCT 4832 საერთო აღნიშვნით 22A.

ასევე, წიდასა და ჯართის გადამამუშავებელი საამქროს მიერ ლითონშემცველი ნედლეულის (მარტენის და ბრძმედის) გადამამუშავების შედეგად მიღებული ფოლადშემცველი ფრაქციები ზომებით 8-16 მმ, 16-300 მმ, 300-500 მმ და თუჯის ფრაქცია.

მეორადი შავი ლითონის მიწოდება უნდა განხორციელდეს გადადნობისათვის არა საშიშ მდგომარეობაში. ცეცხლსაშიში და ფეთქებადი ნივთიერებები უნდა იყვნენ გაუვნებელყოფილნი, ქიმიური საწარმოებიდან მოწოდებული მასალებიდან ამოღებული უნდა იყოს ნარჩენი ქიმიური ნივთიერებები.

ნაყიდი ნაჭროვანი ჯართი უნდა იყოს მოსახერხებელი აგრეგატში ჩასატვირთად. დაუშვებელია, მავთულის ან მისგან დამზადებული ნაკეთობების ჯართში შერევა.

ლითონურ კაზმში დაუშვებელია დენგაუმტარი მასალების, წიდანი სკრაპის, ნაგვის, ფერადი ლითონების ნარჩენების (სპილენძი, ნიკელი, ქრომი, ტყვია, კალა), ტოქსიკური, რადიოაქტიური და ფეთქებად საშიში ნივთიერებების, მათ შორის ტენის (ყინულის ან თოვლის სახით) არსებობა, ასევე ნახშირბადოვანი ჯართი არ შეიძლება შერეულ იქნეს ლეგირებულ ნარჩენებთან. ლითონის ჯართი არ უნდა იყოს გადამწვარი და მჟავებით „შეჭმული“, (ჟანგის თხელი ფენა დასაშვებია). არა მავნე ნივთიერებებით დაჭუჭყიანება დასაშვებია 1-დან 2%-მდე მასური წილით. გოგირდის და ფოსფორის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,05% (თითოეულის).

კაზმში აღნიშნული მასალების აღმოჩენა წარმოებს ვიზუალურად.

- მალეგირებლები და გამწვანგველები
 - ფეროსილიციუმი GOCT 1415 მოყვანილი ქიმიური შედგენილობის მიხედვით;
 - ფეროსილიკომანგანუმი GOCT 4755 მოყვანილი ქიმიური შედგენილობის მიხედვით;
- წიდა წარმომქმნელები
 - კირი GOCT 22688 მოყვანილი ქიმიური შედგენილობის მიხედვით;
 - მლღობშპატიანი კონცენტრატი GOCT 29219 მოყვანილი ქიმიური შედგენილობის მიხედვით.
- დამწვანგველები:
 - ხენჯი (წარმოქმნილი ნუჩმ-ზე ჩამოსხმის პროცესში და ნამზადის გახურების პროცესში, სორტული საამქროს გამახურებელ ლუმელში).
 - საგლინი წარმოების ხენჯში დაუშვებელია ჩამონაჭრების შერევა.
- ნახშირბადშემცველები:
 - კარბურიზატორული ნარევი;
 - ანტრაციტი;
 - კოქსი GOCT 22898 მოყვანილი ქიმიური შედგენილობის მიხედვით, KO-1 და KO-2 მარკები.
- მალეგირებელი, გამწვანგველი და დამატებითი მასალების მიღება და დასაწყობება-შენახვა მალეგირებელი, გამწვანგველი და დამატებითი მასალების შექმნა წარმოებს მცირე

პარტიებად, რომელთა დასაწყობება ხდება უშუალოდ საამქროს ტერიტორიაზე. აღნიშნული მასალების შენახვისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა:

- ფეროსილიკომანგანუმი და ფეროსილიციუმი უნდა ინახებოდეს გადახურულ შენობაში, მოედანზე სწორი და მყარი ზედაპირით, მშრალ ადგილას, რომელიც უნდა იყოს დაცული ატმოსფერული ნალექისგან.
- კირი, იმის გამო ხასიათდება ჰიგროსკოპულობით, საჭიროა მისი მოთავსება მშრალ ადგილზე, სადაც დაცული იქნება ტენის ზემოქმედებისაგან. ასევე არ უნდა მოხდეს მისი დაბინძურება მინარევებით და მინიმუმადე უნდა იქნას დაყვანილი კირით გარემოს დამტვრიანება.
- მლღობშპატიანი კონცენტრატი უნდა ინახებოდეს დახურულ შენობაში.
- კოქსის შენახვისას თავიდან უნდა იქნას აცილებული მისი დამსხვრევა-დაწვრილმარცვლოვნება. იგი უნდა განთავსდეს ქიმიკატებისაგან მოშორებით. არ საჭიროებს ატმოსფერული ნალექისაგან დაცვას.

4.3.2.2 ფოლადის დნობა ელექტრორკალურ ღუმელებში (ტექნოლოგიური ციკლის აღწერა)

ღუმელში კაზმის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს: ე. წ. „ჭაობზე“, „მშრალ“ ანუ ცარიელ ქვედზე მთლიანი ნადნობის გამოშვებამდე, ასევე ხდება კაზმის საჭირო რაოდენობის დამატება დნობის მიმდინარეობისას.

„ჭაობზე“ კაზმის მიწოდება გულისხმობს ღუმელის ჩატვირთვას წინა დნობიდან დარჩენილ ლითონზე, რაც ხელს უწყობს გამოდნობის პროცესის ხანგრძლივობის შემცირებას, ამიტომ „მშრალ“ ქვედზე ჩატვირთვა წარმოებს მხოლოდ ღუმელის შეკეთების შემდეგ, ხოლო მთლიანი ნადნობის გამოშვებამდე მცირე რაოდენობის კაზმის ჩატვირთვა ხდება ღუმელ(ებ)ის სარემონტოდ გაჩერების წინ.

ელექტრორკალურ ღუმელში ფოლადის გამოდნობისთვის საჭირო მთავარი საკაზმე მასალებია:

- სხვადასხვა სიმკვრივის ჯართი;
- წიდა წარმომქმნელები - კირი, დოლომიტიზირებული კირი ან დოლომიტი და ლღობადი შპატი;
- ნახშირბადშემცველები: კოქსი, ანტრაციტი და სხვ;
- ტექნოლოგიური დანამატები - ნახშირბადშემცველი ფხვნილები (კარბურიზატორი), დამჟანგველები, განმჟანგველები, მალეგირებლები და ნახშირბადოვანი ფხვნილები (წიდის აქაფებისათვის);
- ნახშირბადის რაოდენობის შემცირების მიზნით (დაბალ ნახშირბადიანი მარკის ფოლადის გამოდნობის დროს), ხენჯის დამატება შესაძლებელია დნობის პროცესში.

კაზმის ჩატვირთვა ღუმელში წარმოებს ბადიების საშუალებით, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ღუმელის მოცულობის 90%-ს. ჯართის სიმკვრივის გათვალისწინებით, კაზმის ჩატვირთვა ხორციელდება ყოველი დნობის დროს 3-ჯერ, ამასთან ჩატვირთული კაზმის ძირითადი ულუფის რაოდენობა უნდა შეადგენდეს კაზმის საერთო რაოდენობის არა უმცირეს 40%-ს. კაზმის მეორე ულუფის დასამატებლად, ღუმელში გამოიყენება მსუბუქი ჯართი ან პაკეტები.

ბადიაში საკაზმე მასალების ჩატვირთვა ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ბადიის ძირზე იტვირთება მსუბუქი ჯართი;
- ბადიის ცენტრში იტვირთება ნახშირბადშემცველი მასალები - კოქსი ან ანტრაციტი;
- შემდეგ ხდება მძიმე ჯართის და სკრაპის ჩატვირთვა;
- შემდეგ იტვირთება წიდა წარმომქმნელები (კირი), ბადიის გვერდებზე;
- შემდეგ იტვირთება საშუალო ჯართი (ჯართის ჩატვირთვა შეიძლება მოხდეს რამდენჯერმე).

კაზმით სავსე ბადია ღუმელის თავზე თავსდება ისე, რომ ჩატვირთვის დროს არ დაზიანდეს ღუმელის კონსტრუქცია და მინიმუმამდე შემცირდეს ლითონის და წიდის გადმოსვლა. შემდეგ ბადია დაეშვება ღუმელის გარსაცმის ზედა რკალის ქვემოთ და ნელა გაიხსნება ბადიის ყბები, დაახლოებით ერთ მეტრზე, ხოლო გარკვეული რაოდენობის ჯართის ჩატვირთვის შემდეგ, ბოლომდე მოხდება ყბების გახსნა. ღუმელში ჯართის ჩაყრა მიმდინარეობს ნელა, მცირე პორციებით, ამ დროს, უსაფრთხოების მიზნით, სამუშაო უბანზე დაუშვებელია მუშა პერსონალის ყოფნა. ელექტრორკალური ღუმელის ჩატვირთვის და ფოლადის გამოდნობის პროცესი მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში.

ელექტრორკალურ ღუმელში ფოლადის გამოდნობის თანამედროვე ტექნოლოგია ეფუძნება, ელექტრო ენერგიასთან ერთად ალტერნატიული ენერჯის წყაროს გამოყენების კონცეფციას. პრაქტიკული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ დიდი რაოდენობით ჟანგბადი და ნახშირბადი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ელექტროენერჯის შემცვლელი. აღნიშნული კონცეფციის გათვალისწინებით ელექტრორკალური ღუმელები აღჭურვილია: ჟანგბადის და ბუნებრივი აირის ნარევის სანთურებით; ჟანგბადის ქმენით და ნახშირბადის შებერვის სისტემით.

ჟანგბადის და ბუნებრივი აირის ნარევის სანთურების დანიშნულებაა, დამატებითი ენერჯის შეტანა, რაც ხელს უწყობს კაზმის გახურებას და გადნობას ღუმელის პერიფერიულ ნაწილებში (კედლებთან), იქ სადაც რკალის გამოსხივება არასაკმარისია. აღნიშნული ენერჯის გამოყენებით მნიშვნელოვნად მცირდება დნობის ხანგრძლივობა.

სანთურები განლაგებულია ღუმელის კედლებზე. ჟანგბადის და ბუნებრივი აირის შებერვა ხორციელდება სტექიომეტრიული თანაფარდობის დაცვით. სანთურების ჩართვა შესაძლებელია როგორც ავტომატურად, ისე ხელით მართვის რეჟიმში მუშა პროცესის საიმედოობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფიდან გამომდინარე. სანთურებს არ გააჩნიათ თვითაალების მექანიზმი, ამიტომ მათი გამოყენება ხდება გახურებულ ღუმელში, როდესაც ცეცხლგამძლე აგური გაწითლებულია, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ელექტრო რკალის მიერ გამოყოფილი ენერჯია საკმარისია ჟანგბადის და ბუნებრივი აირის ნარევის აალებისათვის. სანთურების დაცვა ხორციელდება მასში დაწნეხილი ჰაერის გატარებით. სანთურების მუშაობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კაზმის ხარისხზე და განისაზღვრება ექსპლუატაციაში შეყვანამდე. სანთურების ანთების შემდეგ კაზმის გადნობა მიმდინარეობს უფრო თანაბრად და სწრაფად ხდება კაზმის ქვედა დაჯდომა. ღუმელის კედლების მოშიშვლების შემდეგ ხდება სანთურების გამორთვა და ავტომატურად დაწნეხილი აირის მიწოდება. კაზმის დამატების შემდეგ სანთურების მუშაობის ციკლი მეორდება. სანთურების ჩართვა-გამორთვა შესაძლებელია, როგორც ავტომატურად, ისევე ხელითაც.

ქმენით ჟანგბადის შებერვის მთავარი მიზანია დამატებითი ენერჯის წყაროს გამოყენება, რომელიც მიიღება ჟანგბადის შებერვისას - ჟანგბადის ნახშირბადთან, სილიციუმთან და მანგანუმთან მიმდინარე ეგზოთერმული რეაქციის შედეგად, ამიტომ თითოეული ამ ელემენტის რაოდენობას კაზმში დიდი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ნადნობის დაყვანის პერიოდში, ჟანგბადი აჩქარებს თხევადი ლითონის ნახშირბადისგან გათავისუფლების პროცესს და ზრდის ნახშირბადის მონოოქსიდის წარმოქმნას, რომლის შემდგომი წვის შედეგად სადნობ არეში გამოიყოფა დამატებითი თბური ენერჯია. ჟანგბადის შებერვა საქმენით იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია საქმენის შუბის შეყვანის მუშაობის ციკლი ემთხვევა სანთურების მუშაობის ციკლს. ჟანგბადის შებერვას ასრულებენ ღუმელ(ებ)ის გამორთვამდე რამდენიმე წუთით ადრე.

ნახშირბადის შებერვის სისტემა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- ნახშირბადის პირდაპირი რეაქცია ფოლადში არსებულ ჟანგბადთან, რომლის შედეგადაც მიიღება ნახშირბადის მონოოქსიდი და გამოიყოფა დამატებითი ენერჯია. შედეგად თბოგადაცემის გაუმჯობესება ელექტრო რკალიდან ლითონის აბაზანაზე, რაც იწვევს ელექტროენერჯის ხარჯის შემცირებას;
- წიდის დაჟანგულობის რეგულირება, განსაკუთრებით დამამთავრებელი დამუშავების

დროს;

- წიდის აქაფება ღუმელის გრძელი რკალით მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- ელექტრორკალის გამოსხივების ეკრანიების შედეგად ღუმელ(ებ)ის კედლის ამონაგის ცვეთის შემცირება.

ნახშირბადის შეყვანა წარმოებს დაწნეხილი ჰაერის გამოყენებით. უშუალოდ დნობის პროცესში ღუმელის სამუშაო სარკმელიდან, ფოლადის მილის გამოყენებით. ასეთი სახით ნახშირბადის შეყვანა უზრუნველყოფს მის სწრაფ ხსნადობას წიდაში და თხევად ლითონში. ნახშირბადის საშუალებით მიმდინარეობს წიდაში და ლითონის აბაზანაში არსებული რკინის ჟანგის აღდგენა და აჩქარებს წიდის აქაფებას. შესაბამისად ფხვნილოვანი სახით ნახშირბადოვანი მასალების შებერვა უნდა წარმოებდეს წიდური რეჟიმის მიმდინარეობისას.

ნახშირბადოვანი მასალების შებერვა ემთხვევა ჟანგბადის საქშენის მუშაობის ციკლს. ნახშირბადის შესაბერი სისტემის ჩართვა წარმოებს ჟანგბადის მიწოდების დაწყებიდან რამდენიმე წუთში, ხოლო გამორთვა რამდენიმე წუთით ადრე.

ფოლადის დნობის შემდეგი ეტაპია დეფოსფორიზაცია და დესულფურიზაცია, იმ შემთხვევაში თუ ფოსფორის და გოგირდის მასური წილები აღემატება სტანდარტით გათვალისწინებულ რაოდენობას. ამ დროს თხევადი მასიდან ხდება წიდის მოცილება (სიდის მოხდა). წიდის მოხდის შემდეგ, ღუმელში დამატებით ხდება წიდა წარმოქმნელების და საჭიროების შემთხვევაში ხენჯის შეტანა. წიდის ქიმიური შედგენილობა უნდა უზრუნველყოფდეს მის აქაფებას, მავნე მინარევების მოცილებას, პირველ რიგში ფოსფორის და მისი აგრესიულობის განეიტრალებას ცეცხლგამძლე ამონაგის მიმართ. ღუმელიდან ლითონის გამოშვების წინ წიდას ხდიან შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად, ღუმელიდან ნადნობის გამოშვებამდე ხდება ლითონის ტემპერატურის გაზომვა. რეკომენდებული ტემპერატურა უნდა იყოს 1650°C.

ფოლადის ჩამოსხმა ხდება ფოლადსახმელ ციცხვში, რომლის მიწოდება ელექტრორკალურ ღუმელზე წარმოებს ნადნობის გამოშვებამდე 5 წთ-ით ადრე. ციცხვის ამონაგი გახურებული უნდა იყოს არა უმცირეს 900°C-ზე (უნდა იყოს გაწითლებული), ფოლადის ჩამოსხმა იწყება ლითონის სასურველი ქიმიური შედგენილობის და ტემპერატურის მიღწევის შემდეგ, ფოლადის გამოსაშვები ხვრელიდან.

ფოლადის განჟანგვა და ლეგირება წარმოებს ციცხვში, შემდეგი მასალების გამოყენებით:

- ნახშირბადშემცველების (კოქსის ნარჩენები, კარბონიზაციის ფხვნილი), სილიკომანგანუმის, ფეროსილიციუმის და სხვა;
- განმჟანგველების და მალეგირებელი მასალების გამოყენებით, კონკრეტული მარკის ფოლადის მიღების ტექნოლოგიაზე დამოკიდებულებით.

ფეროშენადნობების და ნახშირბადშემცველი მასალების დამატება ხორციელდება ლითონის ქიმიური ანალიზის პასუხის მიღების შემდეგ.

ფოლადის ჩამოსხმის შემდეგ ციცხვი არ უნდა შეივსოს ბოლომდე და თავისუფალი ადგილი უნდა იყოს არა უმცირეს 250 მმ (იმ შემთხვევაში თუ ფოლადი გადის ვაკუმატორში დამუშავებას, მაშინ ციცხვში თავისუფალი ადგილი უნდა იყოს არა ნაკლები 600 მმ), ტრანსპორტირებისას ლითონისა და წიდის ამოფრქვევის თავიდან აცილების მიზნით. ციცხვში ღუმელის წიდის მოხვედრისას, ან წიდანარევი ფოლადის ჩამოსხმისას ხდება ჭარბი წიდის მოხდა საწიდე ფიალაში, ხიდური ამწის დახმარებით. ციცხვში დიდი რაოდენობით წიდის მოხვედრის შემთხვევაში, გათვალისწინებულია მანგანუმის აღდგენის შესაძლებლობა წიდიდან, აგრეგატ „ციცხვ-ღუმელზე“ (აცდ) დამუშავების დროს.

ჩამოსხმის პროცესის და ციცხვის ტრანსპორტირების განმავლობაში მიმდინარეობს ინერტული აირის (არგონი) დაბერვა. დაბერვას იწყებენ ფოლადის გამოსაშვები ხვრელის გახსნამდე. გადმოსხმის შემდეგ ციცხვი გადააქვთ სპეციალურ მოძრავ ურიკაზე, შემდგომი დამუშავების მიზნით.

ღუმელიდან მიღებული წიდის გაგრილება ხდება წყლის დამატებით, ხოლო ნამზადის

გაგრილება ბუნებრივად.

ცხრილი 4.3.2.2. ღუმელის ტექნიკური პარამეტრები

№	მახასიათებლების დასახელება	განზომილების ერთეული	მნიშვნელობა
1	ტევადობა		
	- ნომინალური	ტ	35
	- მაქსიმალური	ტ	40
2	ტრანსფორმატორის სიმძლავრე	კვა	32000
3	მაქსიმალური დენის ძალა	კა	39849
4	სიხშირე	ჰერცი	50
5	ზედა ზღვრული ძაბვა	კვ	35
6	ქვედა ზღვრული ძაბვა	ვ	680
7	გარსაცმის დიამეტრი ფერდობის დონეზე	მმ	4600
8	ელექტროდების გაშლის დიამეტრი	მმ	1050±50
9	გრაფიტის ელექტროდების დიამეტრი	მმ	450
10	ელექტროდების სვლა	მმ	3100
11	ელექტროდების ერთდროული გადაადგილების მაქსიმალური სიჩქარე	მ/წთ	9
12	თალის აწევის სიმაღლე	მმ	400
13	ღუმელის დახრის კუთხე		
	- ლითონის გადმოსხმის დროს	გრად.	20
	- წიდის მოხსნის დროს	გრად.	15
14	ღუმელის წონა	ტ	85

4.3.2.3 ფოლადის დამუშავება „ციცხვ-ღუმელ“ აგრეგატზე

აგრეგატ ციციხვ-ღუმელში (შემდეგში “აცლ”) დამუშავების მიზანია, ფოლადის ჩამოსხმის ციციხვში თხევადი ნახევარ-პროდუქტის (რომელიც ელექტრორკალურ ღუმელ(ებ)შია გამოდნობილი) დამუშავებით, სასურველი ქიმიური შედგენილობის და მარკის ფოლადის მიღება მისი შემდგომი ჩამოსხმისათვის.

„აცლ“-ზე ლითონის დამუშავება იწყება არგონის დაბერვით. არგონის დაბერვა გრძელდება ლითონის დამუშავების განმავლობაში. დამუშავების დაწყებამდე ნადნობის ტემპერატურა უნდა იყოს 1560 - 1580°C. ციციხვს, სამუშაო პოზიციაში დაყენების შემდეგ ეხურება “აცლ“-ის თავსახური და წიდის გადნობის მიზნით იწყებენ ნადნობის გახურებას ელექტროდებით.

გახურების დასაწყისში მიმდინარეობს ნადნობის ქიმიური შედგენილობის და ტემპერატურის გაერთვაროვნება, მინიმალური რაოდენობის რკინის ჟანგისა და მანგანუმის შემცველი მაღალი ფუძიანობის მქონე ციციხვის წიდის გადნობა და თხევად დენადობის ფორმირება. ამისათვის აწარმოებენ წინაწარმომქმნელი მასალების დამატებას და წიდის დამუშავებას განმჟანგველებით. ყველა მასალა, რომელიც გამოიყენება დამუშავების დროს, მიეწოდება “აცლ“-ის თავსახურის სარკმელიდან. საჭიროების შემთხვევაში ციციხვ-ღუმელში ხდება დესულფურიზაცია და დეფოსფორიზაცია.

ციციხვის გახურებისას ელექტროდენი ნაწილობრივ გადის წიდაში, ამის გამო წიდის ტემპერატურა სწრაფად იზრდება და გარკვეული სისქის შემთხვევაში აღწევს 1800-1900°C-ს, ამასთან ლითონის ტემპერატურის ზრდა მცირდება, მიუხედავად იმისა, რომ გრძელდება ელექტრო ენერჯის მიწოდება.

ფუძე წინაწარმომქმნელი მასალების დამატების და გადნობის შემდეგ, აწარმოებენ მარაფინირებელი თხევადი ფოლადის განჟანგვას წვრილ ფრაქციული (5-20 მმ) ფეროსილიციუმის და გრანულირებული ალუმინის დამატებით. განმჟანგველების რაოდენობა დამოკიდებულია წიდის სისქეზე. წიდის სისქეს ზომავენ შემდეგნაირად: ჟანგბადის მილს

ჩაუშვებენ 0,5 მ-ის სიღრმეზე (“აცლ“-ის სარკმელიდან) ნაღობში და აჩერებენ 10-15 წმ-ის განმავლობაში, რის შემდეგაც ამოიღებენ. სისქეს ზომავენ დამწვარი ნაპირიდან შეწიღული მილის მთელ სიმაღლემდე.

„აცლ“-ზე ლითონის დამუშავების პერიოდში, ციცხვის სახურავის სარკმლიდან წარმოებს სინჯების აღება და ანალიზის პასუხების შესაბამისად სხვადასხვა (ნახშირბადდამცველების, ფეროშენადნობების) მასალების დამატება. როდესაც, ანალიზის შედეგად დადასტურდება მისაღები ლითონის შესაბამისი ქიმიური შედგენილობა, მთავრდება ლითონის დამუშავება „აცლ“-ზე.

დამუშავების დამთავრების შემდეგ წყვეტენ არგონის მიწოდებას, ასწევენ ელექტროდებს, “აცლ“-ის სახურავს და ციცხვი დამუშავების პოზიციიდან გადადის ამწის პოზიციაში, სადაც ხსნიან არგონის მიმყვან რეზინის მილს და ციცხვი მიეწოდება ნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანაზე („ნუჩმ“).

ჩამოსხმის დამთავრების და ციცხვიდან წიდის მოცილების შემდეგ, ციცხვი მიაქვთ გამოსარეცხ სტენდთან ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და ატარებენ სამუშაოებს დასაბერი არხის მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად. ნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის მანქანაზე („ნუჩმ-ზე“) ფოლადის ჩამოსხმის ამოცანას წარმოადგენს, შემდგომი გლინვის მიზნით, სასურველი სიგრძის; სწორი გეომეტრიული ზომების; სასურველი ქიმიური შემადგენლობის, მიკრო და მაკროსტრუქტურის, მექანიკური თვისებების ნამზადის ჩამოსხმა.

4.3.2.4 აირგამწოვი და აირმტვერგამწმენდი სისტემები

35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის მტვერდამჭერი სისტემა ავტომატიზებულია და მისი ექსპლუატაცია წარმოებს პროგრამული უზრუნველყოფით. მტვერდამჭერი სისტემა მოიცავს კვამლის და მტვრის შემგროვებელ მოწყობილობას, მილსადენს, ჰაერის მოცულობის მარეგულირებელ მოწყობილობას, მტვრის ფილტრებს, ნაცრის მოსაცილებელ სისტემას, ელექტრო აღჭურვილობას და ელექტრო ავტომატური მართვის სისტემას.

კვამლის და მტვრის შემგროვებელ მოწყობილობაში აირმტვერნარევის შეგროვების შემდეგ ხდება მისი მტვრის ფილტრში სეპარირება. მტვერი ეკრობა ფილტრს (სახელობიანი ფილტრის ზედაპირს) და ვარდება ბუნკერში, საიდანაც კონვეიერის საშუალებით ხდება მისი ტრანსპორტირება. ამის შემდეგ ხდება გაფილტრული სუფთა აირის ატმოსფეროში გაფრქვევა. სისტემის მუშაობის პროცესის მართვის და მონიტორინგის მიზნით, მტვერდამჭერი სისტემა აღჭურვილია Siemens S7-300 PLC ავტომატური მართვის სისტემით.

ელექტრორკალურ ღუმელში და ციცხვ - ღუმელში მასალის ჩატვირთვის და დნობის პროცესში წარმოქმნილი კვამლი გროვდება და იწმინდება მტვერდამჭერი სისტემის მეშვეობით. დანადგარის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივების, ემისიის შემცირების და სისტემის საოპერაციო ხარჯის შემცირების მიზნით, მტვერდამჭერი სისტემა აღჭურვილია ვაკუუმმეტრული წნევის მშრალი სახელობიანი ქსოვილის ფილტრებით. აირმტვერნარევის გაწოვა ხდება გამწოვი მეოთხე ღიობის, გამშვები სარქველის და ხუფის საშუალებით. გამშვები სარქველი შედგება მოძრავი და ფიქსირებული ნაწილებისგან. გამწოვი მეოთხე ღიობი წარმოადგენს წყლით გაგრილების მილისებრ კონსტრუქციას. რომლის ზედაპირი დაფარულია ანტიკოროზიული საღებავით.


ელექტროღუმელში დნობის და ოქსიდაციის პროცესის მიმდინარეობისას, მეოთხე ღიობის სარქველი სრულად იხსნება და მეოთხე ღიობის გამწოვი სისტემა მუშაობს სრული დატვირთვით, ამ დროს ხდება ღუმელში წნევის შემცირება. ელექტროღუმელის მეოთხე ღიობიდან გამოსული ცხელი გამონაბოლქვი გადადის ნაპერწკალდამჭერ კამერაში მას შემდეგ, გადადის წყლით გაგრილების კვამლსადენში სადაც ტემპერატურა ეცემა 450°C-ზე დაბლა და საბოლოოდ გადის ცირკულაციური გამწოვი ხუფის მქონე მთავარ კვამლსადენში, სადაც ხდება მისი დაბალი ტემპერატურის მქონე ჰაერთან შერევა და საბოლოო ჯამში შერეული გამონაბოლქვის ტემპერატურა ეცემა 120°C-ზე დაბლა. ჰაერთან შერევის პროცესში ნახშირბადის მონოქსიდი

ნაწილობრივ იჟანგება ნახშირორჟანგად. მტვრის მსხვილი ნაწილაკები ილექება ნაპერწკალდამჭერში.

მტვერდამჭერი სისტემის ელექტრული წინაღობის ბალანსის უზრუნველყოფის და სახელოებიან ფილტრში გატარებამდე გამონაბოლქვის ტემპერატურის 120°C-ზე დაბლა შენარჩუნების მიზნით, ელექტრორკალური ღუმელის მეოთხე დიობის კვამლსადენი, ცირკულაციური გამწოვი ხუფის მქონე მილსადენი და LF-ის ნახევრად დახურული მილსადენი, აღჭურვილია ვაკუუმმეტრული წნევის მარეგულირებელი სარქველით, რომლის მეშვეობით შესაძლებელია აირმტვერნარევის და დინამიური წნევის სხვაობის პროპორციის რეგულირება, რაც ასევე უზრუნველყოფს მოწყობილობის უსაფრთხო და საიმედო მუშაობას.


TJMC-ის იმპულსურ სახელოებიან ფილტრში აირმტვერნარევი გადადის მთავარი მტვერგამყვანი მილით, რის შემდეგაც, ატმოსფეროში გაფრქვევის მიზნით, გამწოვი ვენტილატორის საშუალებით გადადის გამოსაბოლქვ მილში. ეს პროცესი სქემატურად გამოსახულია 4.3.2.4.1. ნახაზზე.

ნახაზი 4.3.2.4.1. აირის ნაკადის მოძრაობა



ფილტრზე კონცენტრირებული მტვრის ტრანსპორტირება ხდება ტრანსპორტირების სისტემის საშუალებით შემდეგნაირად (იხ. ნახაზი 4.3.2.4.2.):

ნახაზი 4.3.2.4.2. მტვერდამჭერ სისტემაზე დაგროვილი მტვრის ტრანსპორტირება



სისტემის საპროექტო ტემპერატურა შეადგენს 80°C - ს, ხოლო მტვერდამჭერ სისტემაში ჰაერის გაანგარიშებული მოცულობა - 800,000მ³/სთ-ს. გარდა ამისა, წვის კამერის და წყლით გაგრილების კვამლსადენის წნევის დანაკარგი შეადგენს 600 პა-ს, მილსადენების წნევის დანაკარგი დაახლოებით შეადგენს 1200 პა-ს, მტვერდამჭერის წნევის დანაკარგი - 1300 პა-ს, ხოლო მტვერდამჭერის გასასვლელიდან მტვერგამყვანამდე წნევის დანაკარგი - 600 პა-ს. სისტემის ვენტილატორის საპროექტო სრული წნევა შეადგენს დაახლოებით 4500 პა-ს. მტვერდამჭერი სისტემის ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ქვემოთ:

- ტიპი: TJMC-10000;
- რაოდენობა: 1;
- ჰაერის მოცულობა: 800 000 მ³/სთ;
- ფილტრაციის ფართობი: 10 000 მ²;
- ბუნკერების რაოდენობა: 30 ცალი;
- ფილტრაციის მეთოდი: ვაკუუმმეტრული წნევით ფილტრაცია;
- სახელოიანი ფილტრის მასალა: სპეციალური სინთეტიკური ბოჭკოვანი მასლა;
- საფილტრავი სახელოს თბომდეგობა: 130°C;
- საფილტრავი სახელოს ტექნიკური მახასიათებლები: Φ140 × 6000;
- საფილტრავი სახელოს რაოდენობა: 4000;
- ფილტრის ქვეშაგების ტექნიკური მახასიათებლების: Φ135×5950;
- ფილტრის ქვეშაგების რაოდენობა: 4000;
- ფილტრის ქვეშაგების მასალა: ცივად გადაჭიმული ფოლადის მავთული, მოთუთიებული;
- ფილტრაციის სიჩქარე: ~1.3 მ/წთ;
- იმპულსური სარქველის ტიპი: 3" ჩასადირი იმპულსური სარქველი;
- იმპულსური სარქველების რაოდენობა: 300 ც;
- იმპულსის წნევა: 0.25-0.4 მპა;

- იმპულსების სიხშირის დიაპაზონი: 0.1~0.2 S;
- გაუმტვერიანების მეთოდი: ავტომატური წმენდა;
- აღჭურვილობის წინაღობა: ≤ 1300 კა;
- დასაშვები ძაბვა: 5000 ვა;
- მტვერის მოცილების ეფექტურობა: 99%.

მტვერდამჭერის ბუნკერის ფილის სისქე არანაკლებ 5 მმ-ია. ზედაპირი გამაგრებულია სორტული (პროფილური) ფოლადით. კონუსისებრი კუთხე არაუმეტეს 45°-ია. ტექნიკური მომსახურების მიზნით, მტვერის ბუნკერის შუა და ზედა ნაწილში მოწყობილია ადვილად ასახდელი სარქველი (ლიუკი). მტვერდამჭერის პულსაციური ჰაერის ჯიბე (პარკი) და სარქველი აღჭურვილია წყალგაუმტარი მოწყობილობით, რაც ეფექტურად იცავს მტვერდამჭერ მოწყობილობას და ახანგრძლივებს მისი ექსპლუატაციის ვადას. მტვერდამჭერის საყრდენი კარკასი დამზადებულია სორტული (პროფილური) ფოლადისგან. მტვერდამჭერი აღჭურვილია საინსპექციო ბაქნით.

აირმტვერნარევი ხვდება ბუნკერში მტვერდამჭერი ფილტრის ქვედა ნაწილიდან, ჰაერის დეფლექტორის საშუალებით. მსხვილი ნაწილაკები პირდაპირ ეცემა და ილექება ნაცრის ბუნკერში, რაც ამცირებს სახელოებიანი ფილტრის დატვირთვას და ახანგრძლივებს მის სასიცოცხლო ციკლს; მოთუთიებული კარკასი უზრუნველყოფს მაქსიმალურ დალექვას იმპულსური გაუმტვერიანების დროს და ამცირებს სახელოებიან ფილტრსა და კარკასს შორის ხახუნს.

სახელოებიანი ფილტრი დამზადებულია სპეციალური სინთეტიკური ბოჭკოვანი მასალისაგან, რომლის ფილტრაციის ეფექტურობა მაღალია, ხოლო სასიცოცხლო ციკლი ხანგრძლივი, რაც ზრდის ეფექტურობას და მნიშვნელოვნად ამცირებს ტექნიკური მომსახურების ხარჯებს.

დანადგარის გაუმტვერიანების სისტემა იმართება ავტომატურ რეჟიმში. გამოყენებულია დაბალი დაწნევის და დიდი დიამეტრის იმპულსური სარქველი. აირსატარი მილი აღჭურვილია ზეთის და წყლის სეპარატორით და წნევის შემცირების სარქველით. დაჭირხნული აირის მილი აღჭურვილია HSF7 და HSF5 კლასის მეორადი ჰაერგაწმენდი ფილტრით. მტვერის მოცილების სისტემის ყველა მოწყობილობა დაფარულია ანტი-კოროზიული საღებავით.

მტვერშემკრები, გამწოვი მილი, მილსადენი სისტემა და ელექტრო დანადგარები აღჭურვილია მეხდამცავი დამიწების სისტემებით. გარდა ამისა, ისეთ მოწყობილობებს, როგორც არის მტვერშემკრები, ვენტელატორები, სარქველები და საკვამური გააჩნიათ ტექ. მომსახურების საოპერაციო ბაქნები. მბრუნავი მოწყობილობის ყველა ღია ნაწილი უზრუნველყოფილია დამცავი საფარით. მაღალი ძაბვის აღჭურვილობისა და მბრუნავი მოწყობილობების გარშემო დამონტაჟებულია დამცავი ღობეები და გამაფრთხილებელი ნიშნები.

სურათი 4.3.2.4. ელექტროფოლად სადნობი საამქროს აირმტვერდამჭერი სისტემა და გამფრქვევი მილი



4.3.2.5 ჟანგბადის საამქრო

ელექტროფოლადსადნობ საამქროს ემსახურება ჟანგბადის საამქრო, რომლის დანიშნულებაა ატმოსფერული, ჰაერიდან, აირების დაყოფის გზით, თხევადი ჟანგბადის მიღება. ჟანგბადის მიღების დანადგარის მწარმოებელია Sichuan Air Separation Plant Group (SASPG)-ი. საამქრო განთავსების გეოგრაფიული კოორდინატებია X= 502613 Y= 4597480.

ჟანგბადის მიღების მიზნით, დანადგარში ატმოსფერული ჰაერი შეიწოვება სპეციალური ფილტრით, სადაც ხდება მისი გასუფთავება მტვერისა და მექანიკური მინარევეებისგან. ფილტრის გავლის შემდეგ გასუფთავებული ჰაერი, გადავა წინასწარი გაგრილების სისტემაში, სადაც მოხდება მისი 8-10°C-მდე გაგრილება.

წინასწარ დამუშავებული და გაგრილებული ჰაერი, ტენის, ნახშირორჟანგის და ნახშირწყლების მოცილების მიზნით, გადადის გამწმენდ სისტემაში.

გამწმენდი სისტემა შედგება ორი ვერტიკალური, ორმრიანი ადსორბერისგან. რომლის ფსკერზე მოთავსებულია გააქტივებული ალუმინის ოქსიდი, ხოლო ზედა ნაწილზე მოთავსებულია ცხავი. ერთი ადსორბერის მუშაობის პირობებში, წყლის რეგენერაცია მიმდინარეობს

ელექტროგამახურებლით, ხოლო აზოტის, გამაციებელ კამერაში.

გაწმენდილი აირი, გამწმენდი სისტემიდან გადადის თბომცვლელ სისტემაში, სადაც ხდება მისი გაციება, სისტემაში მბრუნავი აირის საშუალებით. გაგრილებული აირის ფრაქცია, რომელიც გადავა თხევად მდგომარეობაში, გადავა ქვედა კოლონის ფსკერზე, სადაც მოხდება პირველი რექტიფიკაცია.

სარექტიფიკაციო სვეტში შემავალი ჰაერი და გამომავალი გათხევადებული ფრაქცია, სითბოს ართმევის მიზნით, ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, შედეგად, შემავალ აირებში აზოტის რაოდენობა თანდათან იზრდება.

სუფთა აზოტი, აორთქლების მიზნით გადადის კონდენსატორში და აზოტის აორთქლების შემდეგ, თხევადი ჟანგბადი გამოიღვინება სისტემიდან.

4.3.3 მილსაგლინავი საამქრო

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საწარმოს მილსაგლინავი საამქროს შემადგენლობაშია:

- ლითონის მოსამზადებელი უბანი;
- მზა პროდუქციის მომზადების და დატვირთვის უბანი;
- აგრეგატი „400“, რომელიც მოიცავს: ღუმელებს, დგანებს, გამაღრუბებელ დგანებს, ავტომატურ დგანს, მაკალიბრებელ დგანს;
- აგრეგატების საცვლელი ტექნოლოგიური მოწყობილობის უბანს;
- მილების ცივად გამოყვანის უბანს „400“, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ბრიგადას;
- სამაგრი მილების წარმოება, თერმული, ხრახნმჭრელი და ქუროების უბნები „400“;
- მექანიკური სამსახური, რომლის შემადგენლობაშია: მექანიკური სახელოსნო; ამწე მეურნეობა; მექანიკური უზრუნველყოფის ბრიგადა; კომუნიკაციის, ვენტილაციის და შეხეთვის უბანი; აგრეგატი „400“ მექანიკური უზრუნველყოფის ჯგუფი; მილების ცივად გამოყვანის მექანიკური უზრუნველყოფის ბრიგადა; სამაგრი მილების წარმოების თერმული ხრახნმჭრელი და ქუროების მექანიკური უზრუნველყოფის ბრიგადა;
- ენერგეტიკული სამსახური, რომელშიც გაერთიანებულია: აგრეგატ „400“ ელექტროუზრუნველყოფის ბრიგადა; სამანქანო დარბაზი; მილების ცივად გამოყვანის უბნის ელექტროუზრუნველყოფის ბრიგადა; სამაგრი მილების წარმოების, თერმულის, ხრახნმჭრელი და ქუროების ელექტროუზრუნველყოფის ბრიგადები; ამწე მეურნეობის ელექტროუზრუნველყოფის ბრიგადა; ავტომატიზაციის უბანი (უბანი ამ ეტაპზე არის უმოქმედო მდგომარეობაში).

საამქროს განთავსების განთავსდების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატებია $X=502001$, $Y=4597645$.

მილსაგლინავ საამქროში იგლინება წარმოებული ლითონის 40% რაც შეადგენს 112 000 ტონა ლითონს წელიწადში. აგრეგატი 400-ის ბუნებრივი აირის ხარჯი 1 ტონა ლითონზე შეადგენს 150 მ³-ს. ღუმელის წარმადობაა 40 ტონა ლითონის გახურება საათში.

ბუნებრივი აირის ხარჯია 112 000 ტ/წელ ლითონი \times 150 მ³ = 16 800 000 მ³/წელ.

წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობაა: 112 000 ტ/წელ ლითონი : 40ტ/სთ = 2800 სთ/წელ

მილსაგლინავი აგრეგატები განლაგებულნი არიან ერთ საერთო 8 მალიან შენობაში, რომლის სიგრძე 632მ-ია, ხოლო სიგანე 240 მ. მილსაგლინი აგრეგატის-დგან „400“-ის მხრიდან ძირითად შენობაზე მიშენებულია სწორკუთხოვანი მილების წარმოების უბანი და ქუროების დამზადების ავტომატიზებული ხაზები.


აგრეგატი 400 წელიწადში გადაამუშავებს 180 000 ტ. მილნამზადს. 1ტ. ნამზადის გახურებას სჭირდება 150 მ³ ბუნებრივი აირი, წარმადობა 35 ტ/სთ. წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 5142. 180000 ტ/წელ \times 150 მ³ = 27000000 მ³. შესაბამისად მილსაგლინავი საამქროს


ფუნქციონირებისათვის წლის განმავლობაში საჭირო იქნება 27 მლნ/მ³ ბუნებრივი აირი.

აგრეგატ “400”-ზე მიღების წარმოების სქემა მოცემულია ნახაზზე 4.3.3.1.

სქემა გამოხატავს ცხლადნაგლინი მიღების წარმოებას და კონტროლს მაგისტრალური მილგაყვანილობების გლუვბოლოებიანი, საერთო დანიშნულების და სამაგრი და საქუროვე მიღების ცივად დამუშავების პროცესებს სტანდარტების API 5L, API 5Xთ, ГОСТ 8731-32, ГОСТ 632, EN 10210, EN 10216, EN 10297 მიხედვით.

ნახაზი 4.3.3.1.





მილსაგლინავ საამქროში წარმოქმნილი ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 80 მ სიმაღლის საკვამლე მილის საშუალებით. საამქროს შენობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი სააერაციო „ფანრებით“.

მიღების თერმული დამუშავების უბანი: მიღების თერმული დამუშავება - ნორმალიზაცია ხორციელდება 20 სექციიან თერმულ ლუმელში. მიღების გახურება ნორმალიზაციის რეჟიმით წარმოებს მათი სექციურ ლუმელებში ბრუნვით გავლისას (ხრახნული გადაადგილებით). მიღების მთელ სიგრძეზე თანაბარი ტემპერატურის მისაღწევად ლუმელის სექციების მიხედვით დადგენილია შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმები ტექნოლოგიური რეჟიმების მიხედვით. ლუმელში მიღების გატარების სიჩქარე (მ/წთ) ასევე დამოკიდებულია მიღების დიამეტრსა და კედლის სისქეზე.

თერმულ ლუმელში ნორმალიზაცია ხორციელდება ბუნებრივი აირის მეშვეობით. ლუმელი აღჭურვილია 80 ერთეული ბუნებრივი აირის საქშენებით, მათ შორის 40 საქშენით ხარჯით 18 მ³/სთ და 40 საქშენით ხარჯით 25 მ³/სთ, სულ ჯამში მაქსიმუმ 1720 მ³/სთ. საპროექტო მონაცემებით ლუმელის წარმადობაა 80 000 ტ/წელ ნორმალიზებული მიღები, საათური წარმადობით 12 ტ, შესაბამისად წლიური სამუშაო დრო განისაზღვრება მიახლოებით 6 700 სთ/წელ. (80000 ტ/წელ : 12 ტ/სთ). ნამწვი აირები ლუმელიდან გაიფრქვევა ატმოსფეროში საკვამლე მილით შემდეგი გეომეტრიული პარამეტრებით: სიმაღლე-75 მ; დიამეტრი-2,5 მ; ტემპერატურა მილის გამოსასვლელზე 325°C, მოცულობითი ხარჯი 10,46 მ³/წმ.


სურათი 4.3.3.1. მილსაგლინავი საამქროს ზოგიერთი უბნის ხედი



თერმული დამუშავების ღუმელი



თერმული დამუშავების ღუმელის საკვამლე მილი



საამქროს ზოგადი ხედი



ფოსფატირების უბანი



პლაზმური ჭრის უბანი

4.3.4 სორტული გლინვის საამქრო

სორტული გლინვის საამქროს შემადგენლობაშია:

- სამ ზონიანი ღუმელი;
- ნამზადის მიღების დ მომზადების უბანი;
- მექანიკური უზრუნველყოფის უბანი;
- ენერგეტიკული უზრუნველყოფის უბანი;
- ტექნოლოგიური უზრუნველყოფის უბანი;
- თერმული გამტკიცების უბანი;

- მოპირკეთების უბანი;
- მზა პროდუქციის დატვირთვის უბანი.

სორტული გლინვის საამქროს გეოგრაფიული კოორდინატებია X=502150 Y=4597767.

საამქრო აწარმოებს თერმო გამტკიცებულ არმატურას, რომელიც “დგან 320-ზე” მზადდება. არმატურის დიამეტრი შეადგენს 8-32 მმ-ს და იგი B500B და B500C კლასს განეკუთვნება. დგანი "320" შემდეგი ტიპის დანადგარებისაგან შედგება:


1. ლითონის გამახურებელი სამზონიანი ღუმელი, რომელიც მოიცავს შემდეგ მოწყობილობებს:
 - ნამზადის მიმწოდებელი და შემტანი როლგანგი;
 - საბიძგებელი;
 - ნამზადის გამომგდები სისტემა.
 - ღუმელის წინა როლგანგი
 - ნამზადის გლინვის ხაზთან მიმტანი როლგანგი.
2. ნამზადის (გლინვისათვის არასათანადო) გადამგდები სისტემა
3. გამქაჩი როლგანგი.
4. გლინვის ხაზი, რომელიც შედგება:
 - 18-უჯრიანი დგანისაგან, მათ შორის:
 - 8 უჯრა-მომჭიმავი ჯგუფი;
 - 6 უჯრა-შუალედური ჯგუფი;
 - 4 უჯრა-სასუფთაო ჯგუფი;
 - 2 მფრინავი მაკრატელი - რომელიც დამონტაჟებულია როგორც მომჭიმავი ჯგუფის, ასევე თერმული დამუშავების დანადგარი შემდეგ;
 - ავარიული ჭრის მაკრატელი;
 - თერმული განმტკიცების დანადგარი და გამქაჩი.
5. ცივად ჭრა და შეფუთვა, რომელიც მოიცავს შემდეგ მოწყობილობებს:
 - მაცივარი;
 - ცივად ჭრის წნეხი;
 - შესაფუთი მოწყობილობა;
 - საწყობი.

საამქროში ლითონის გახურება ხდება სამ ზონიან მეთოდურ ღუმელში რომლის წარმადობაა 43 ტ/სთ. საწვავად გამოიყენება ბუნებრივი აირი. საამქრო გადაამუშავებს 168 000 ტ/წელ ნამზადს. 1 ტ ფოლადის გახურებას სჭირდება 30 მ³ ბუნებრივი აირი. წელიწადში სამუშაო საათების რაოდენობა შეადგენს 3907-ს. ბუნებრივი აირის ხარჯი შეადგენს 168 000 ტ/წელ ლითონი × 30 მ³ ბუნებრივი აირი = 5 040 000მ³.

ნამწვი აირების გამფრქვევი მილის სიმაღლე-49,5მ, ხოლო მილის დიამეტრი-2 მ.

საამქროში არსებობს 25ტ/სთ წარმადობის ძველი ღუმელი. მისი დემონტაჟი არაა გათვალისწინებული, საჭიროების შემთხვევაში (43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის გეგმიური შეკეთება ან დაზიანება) გამოყენებული იქნება სარეზერვოდ. საამქროში მიმდინარე ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით ორივე ღუმელის ერთდროულად-პარალელურ რეჟიმში ექსპლუატაცია არ არის შესაძლებელი, რადგან 2 ღუმელის ერთ საგლინავ ხაზზე დაერთება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთანავე საგლინავი ხაზის წარმადობა ვერ უზრუნველყოფს ორი ღუმელის მიერ გახურებული ნამზადის დამუშავებას. ღუმელები ელექტროენერგიით მომარაგება ხდება ერთი და იგივე სისტემიდან და მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ ერთ ღუმელზე.

ნახაზი 4.3.4.1. სორტული გლინვის საამქროს პროდუქციის წარმოების და კონტროლის სქემა



სურათი 4.3.4.1. სორტული გლინვის საამქროს მოქმედი 43/ტ/სთ წარმადობის ღუმელი



4.3.5 საფასონო-სამსხმელო (საჩამომსხმელო) საამქრო

საამქრო აგრეთვე ამარაგებს საწარმოს ძირითად საამქროებს სხვადასხვა სახის დეტალებით და მილსაგლინავ საამქროს სამილე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით. საფასონო - სამსხმელო საამქროში აგრეთვე მზადდება შემდეგი სახის პროდუქცია:

- სხვადასხვა სახის რედუქტორების კორპუსები, ჯავშნები, წისქვილის ბურთულები, საკანალიზაციო ჭების სახურავები, სანიაღვრე ჭების სახურავები, მოაჯირები და სხვა დეტალები. დამზადებული სხმულების წონა 0,5 კგ–დან 5000 კგ–მდე მერყეობს;
- ასევე, ფერადი ლითონები (ალუმინის, ბრინჯაოს, სპილენძისა და სხვა შენადნობის), რომელთა წონა 0,5 კგ–დან 300 კილოგრამამდეა.

საამქროს გეოგრაფიული კოორდინატებია: X=502243, Y= 4598500.

საამქროში დღეისათვის ექსპლუატაციაშია 3 ტ/სთ და 5 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელები რისი მემვეობითაც იწარმოება ფოლადისა და თუჯის სხმულები. მოქმედებაშია ასევე თერმული ნორმალიზაციის ღუმელი, თუჯის საჩამომსხმელო მანქანა, თუჯის სხმულების პირველადი გასუფთავების დოლი.

საამქროში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ქვემოთ ჩამოთვლილი დანადგარები:

- 2 ერთეული მრგვლადსახეხი ჩარხი -18.5 კვტ 2.2 კვტ ქვა 600 მმ;
- ფერად განყოფილებაში დისკური ხერხი-1.5 კვტ;
- ჩამოსაკიდი სახეხი ჩარხი -7.5 კვტ ქვა 400 მმ;
- ჩამოსაკიდი სახეხი ჩარხი-5.5 კვტ. ქვა 400 მმ.

გარდა აღნიშნულისა საამქროში დამონტაჟებულია, მაგრამ უმოქმედო მდგომარეობაშია (დაკონსერვებულია) ერთ ტონიანი ჰორიზონტალური ელექტრორკალური ღუმელი, 3 ტონიანი ინდუქციური ღუმელი, 0.4 ტონიანი ინდუქციური ღუმელი და მადანაღმდგენელი 5 მგვტ-იანი სილიკომანგანუმის ღუმელი.

დღეისათვის, საამქროში არსებულ ღუმელებს აირგამწმენდი სისტემები არ გააჩნია და შპს „რუსთავის ფოლადი“ გეგმავს აირგამწმენდი სისტემების მოწყობას და ექსპლუატაციას. გაწმენდილი აირმტვერნარევის ატმოსფეროში გაფრქვევა მოხდება არსებული 15 მ სიმაღლის მილის საშუალებით.

საამქროს გეოგრაფიული კოორდინატებია X=502243, Y=4598500.

სურათი 4.3.5.1.



5 და 3 ტონიანი ელექტრო რკალური ღუმელები



თერმული ნორმალიზაციის ღუმელი



თუჯის საჩამომსხმელო მანქანა



თუჯის სხმულების პირველადი გასუფთავების დოლი

4.3.6 მექანიკური საამქრო

მექანიკურ საამქროში მზადდება სხვადასხვა სახის მექანიკური დეტალები. მექანიკური დეტალები იწარმოება როგორც ქარხნის შიდა მოხმარებისათვის, ასევე სრულდება ქართული და უცხოური კომპანიების დაკვეთები. საამქროს გეოგრაფიული კოორდინატებია $X= 502114$, $Y=4598301$.

მექანიკურ საამქროში მოქმედებს სამჭედლო უბანი, სადაც შესაძლებელია დამზადდეს 50 მმ-დან 600 მმ-მდე დიამეტრის მქონე ფოლადის ნაჭედი (ნამზადი), რომელიც გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების დეტალების დასამზადებლად.

მექანიკურ საამქროში შესაძლებელია შემდეგი სახის მექანიკური დეტალების დამზადება:

- საკარუსელო დაზგებზე შესაძლებელია დამუშავდეს 1000 მმ-დან 5000 მმ-მდე დიამეტრის და 1,5 მ სიმაღლის დეტალები;
- ფოლადის ნამზადიდან კბილანების, ქუროების, ცილინდრების, ჭია კბილანების და სხვა დეტალების დამზადება;
- დიდი გაბარიტის დაზგებზე მუშავდება 100 მმ-დან 650 მმ-მდე დიამეტრის და 10 მეტრი სიგრძის ღერძები და ლილვები;
- კბილ საჭრელ ჩარხებზე 4 მოდულიდან 16 მოდულამდე 1.5 მ დიამეტრის გარე მოდების კბილანების მოჭრა. ასევე შიდა მოდების კბილანები 2 მოდულიდან 10 მოდულამდე;
- მექანიკურ საამქროში არსებული საფრეზი, სარანდი, სატეხი, შიგმჩარხი და საბურღი ჩარხების საშუალებით მზადდება სხვადასხვა ზომის ქუროები, კბილანები, ხიდური ამწის სავალი ბორბლების რედუქტორების კორპუსები, ღერძები, ლილვები და სხვადასხვა ზომისა და წონის დეტალები.

სურათი 4.3.6.1. მექანიკური საამქროს ხედები



4.3.6.1 სამოდელო ხის უბანი

სხმულის მისაღებად პირველ ყოვლისა საჭიროა დეტალის ნახაზი, რომელზეც მოცემულია ყველა ზომა, მისი ზედაპირის მექანიკურად დამუშავების სიზუსტის კლასის ჩვენებით და იმ მასალის აღნიშვნით, რომლისგანაც იგი უნდა დამზადდეს.

დამუშავებული ნახაზი იგზავნება სამოდელო განყოფილებაში, სადაც მის საფუძველზე ამზადებენ მოდელს და საკოპე ყუთს. საყალიბე განყოფილებაში აყალიბებენ მოდელს და ლებულობენ საჩამოსხმო ყალიბს, ხოლო საკოპე განყოფილებაში საკოპე ყუთში ამზადებენ კოპს.

სამოდელო კომპლექტის დანიშნულება.

სამსხმელო ყალიბებისა და კოპების დასამზადებლად აუცილებელია სამოდელო კომპლექტი, რომელიც შედგება:

- საკუთარი მოდელისაგან ან საყალიბე შაბლონებისაგან, რომლებიც ემსახურება ყალიბის სიღრუის წარმოქმნას;
- საკოპე ყუთისაგან ან შაბლონისაგან;
- მოდელებისაგან, სასხმო სისტემის ელემენტებისაგან, სასულებებისაგან და სხვა დეტალებისაგან;
- მოდელებზე ფილებისაგან (რომელზეც მაგრდება სხმულის მოდელი), სასხმო სისტემის ელემენტებისაგან და სხვა.

კოპების ყალიბობისას სამოდელო კომპლექტის შემადგენლობაში შედის მხოლოდ საკოპე ყუთები;

სამოდელო კომპლექტი წარმოადგენს აღჭურვილობის ძირითად ნაწილს, რაც აუცილებელია ყალიბის დასამზადებლად. სამოდელო კომპლექტის გარდა, მთელი აღჭურვილობის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კოპების ხელსაწყოები, მათი კონტროლისათვის;

სამოდელო კომპლექტის დამზადება.

მოდელი შეიძლება დამზადდეს ხის, ლითონის, პლასტმასის, თაბაშირის, ცემენტის, რეზინის და სხვა მასალისაგან.

ხის მოდელები გამოიყენება ხელით დაყალიბებისას, ძირითადად ერთეულ წარმოებაში. ხის მასალის დადებით მხარეს წარმოადგენს მისი სიიაფე, მცირე სიმკვრივე, დამუშავების სიადვილე და სუფთა და გლუვი ზედაპირის მიღების

შესაძლებლობა; სახერხი მასალები ხარისხდება მერქნის ჯიშისა და სისქის მიხედვით.

ჯიშის მიხედვით შეიძლება გავაერთიანოთ რამდენიმე პარტია:

- ნადვი, ფიჭვი, თხმელა (მურყანი) და ცაცხვი;
- არყა, ნეკერჩხალი, წიფელი და რბილწიწვიანა (ლარიქსი);
- მუხა და კაკალი.

სისქით: 30მმ-მდე და 30მმ-ზე მეტი.

მასობრივი და მსხვილსერიული წარმოებისათვის გამოიყენება ლითონის მოდელები და საკოპე ყუთები. გარდა ამისა ლითონის სამოდულო კომპლექტს მიეკუთვნება სამოდულო ფილა, საშრობი ფილები, კონდუქტორები კოპების ასაწყობად და სხვა.

ხის მოდელებთან შედარებით ლითონის მოდელები უფრო ხანგამძლეა, ხასიათდება მეტი სიზუსტით და გლუვი ზედაპირით.

სამოდულო უბანზე განთავსებულია 6 ერთეული ხის დამამუშავებელი დანადგარი, მათ შორის: ლენტურხერხიანი სადურგლო დანადგარი JC-80-1, JC-40-1, საბურღი დანადგარი 2Π, 125ΠG, რეისმუსიანი ცალმხრივი CP3-6, CP-6-7, CP-12-2, CP-18, სახარატე ჩარხი 1E61M, 1A616G, საბურღი ჩარხი 2Π, 125ΠG და საფრეზავი ერთმშინდელიანი ჩარხი ΦL, ΦLА, Φ-4, ΦIII-4, ΦA-2.

სამოდულო ბანზე გამწოვი ვენტილაცია და აირმტვერდამჭერი სისტემა მოწყობილი არ არის.

4.3.7 დამხმარე საამქროები დასხვა ინფრასტრუქტურა

ქარხნის ენერგეტიკული და მექანიკური უზრუნველყოფის სამსახურებში გაერთიანებულია საამქროები, რომლებიც დამხმარე ქვედანაყოფების ფუნქციას ასრულებენ და მათ მთავარ დანიშნულებასაც სათადარიგო ნაწილების დამზადება წარმოადგენს. გარდა ამისა, სწორედ ამ საამქროებში ტარდება ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობების მიმდინარე და გეგმიური შეკეთების სამუშაოები.

ენერგეტიკული და მექანიკური უზრუნველყოფის სამსახურების ქვედანაყოფებია:

- მექანიკური უზრუნველყოფის სამსახურში გაერთიანებულია შემდეგი საამქროები:
 - შემკეთებელ-მექანიკური საამქრო;
 - ტექნოლოგიურ მოწყობილობათა შემკეთებელი საამქრო;
 - საფასონო-სამსხმელო საამქრო;
 - ლითონკონსტრუქციების განყოფილება (ტექნოლოგიურ მოწყობილობათა შემკეთებელი საამქრო);
 - მცირე პროექტების განყოფილება.
- ენერგეტიკული უზრუნველყოფის სამსახურში გაერთიანებულია შემდეგი საამქროები:
 - ენერგომემკეთებელი უბანი;
 - ელექტრომემკეთებელი უბანი;
 - ელექტრომომარაგების უბანი;
 - ბუნებრივი აირის და ჟანგბადის საამქრო;
 - ელექტრო საამქრო;
 - ელექტრო-ტექნიკური ლაბორატორიის ჯგუფი;
 - საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებისა უბანი;
 - ავტომატიზაციის ჯგუფი.
- დამხმარე წარმოებას აგრეთვე მიეკუთვნება შემდეგი განყოფილებები და საამქროები:
 - რკინიგზისა და ავტოტრანსპორტის განყოფილებები;
 - მეტროლოგიის განყოფილება;
 - გარემოსდაცვითი განყოფილება;
 - ცენტრალური ლაბორატორია;
 - მეტალურგიული ღუმელების შემკეთებელი საამქრო.

4.3.8 ცენტრალური ლაბორატორია

ქარხნის ცენტრალურ ლაბორატორიაში ხორციელდება ყველა ის ანალიზი და გამოკვლევა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთან გაგზავნილი პროდუქციის სრულ შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან. ცენტრალური ლაბორატორიის აღჭურვილობა და პერსონალის პროფესიონალიზმი იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს შემდეგი სახის გამოცდები:

- მექანიკური თვისებების განსაზღვრა, მათ შორის:
 - ლითონის ტესტირება გაწყვეტაზე. მოწყობილობა: ჩინეთის და ტაივანის წარმოების ორი 100 ტონიანი და ჩინური წარმოების 60 ტონიანი სიმძლავრის კომპიუტერიზებული უნივერსალური მანქანა, რუსეთის წარმოების 10 ტონიანი სიმძლავრის მანქანა;
 - ლითონის დარტყმითი სიბლანტის განსაზღვრა (შარპის ტესტირება). მოწყობილობა: რუსული წარმოების მანქანა მარკა MK – 30;
 - ლითონის სისალის განსაზღვრა როკველის და ბრინელის მეთოდებით.
- ქიმიური ანალიზი, მათ შორის:
 - ფოლადის სრული ქიმიური ანალიზი. მოწყობილობა: შვეიცარიის წარმოების ARL ტიპის სპექტრომეტრი ARL 3460 სპექტრომეტრი;
 - თუჯის ქიმიური ანალიზი კლასიკური მეთოდით;
 - ფეროშენადნობების ქიმიური ანალიზი კლასიკური მეთოდით;
 - სპექტრული ანალიზი ყველა სახის ფეროშენადნობების, მათი მადნების და წიდების ჩათვლით. მოწყობილობა: გერმანული წარმოების ლაზერული მიკროსპექტროანალიზატორი ELEMA – 10.

4.3.9 გარემოსდაცვითი განყოფილება

საწარმოს გარემოსდაცვითი განყოფილების საქმიანობის სფეროა, საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის პროცესში გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციისათვის შესაბამისი წინადადებების მომზადება. განყოფილება, ქარხნის მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, მონიტორინგს ახორციელებს:

- ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე;
- ხმაურის გავრცელების დონეებზე;
- ქარხნისა წყალმომარაგების სისტემის მდგომარეობაზე და სხვა.

განყოფილება დაკომპლექტებულია შესაბამისი კადრებით და აღჭურვილია საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით.

4.3.10 საწარმოს წყალმომარაგება და ჩამდინარე წყლები

მეტალურგიული ქარხნის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის წყალსადენის ქსელიდან, ხოლო ტექნიკური წყლის მოწოდება ხდება მდ. მტკვარის მარცხენა სანაპიროზე არსებული სათავე ნაგებობიდან, ხოლო წყალმომარაგების წყაროდ გამოყენებულია შახტური ჭები. შახტური ჭების კვების წყაროს წარმოადგენს ტყეპარკში არსებული ტბის (ფილტრატები) და მარინის არხის წყალი. ქარხნის მიერ მოხმარებული წყლის რაოდენობა თვის განმავლობაში შეადგენს 75-80 ათას მ³-ს, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 960 ათას მ³-ს. ტექნიკური წყალის გამოყენება ხდება სხვადასხვა მიზნებისათვის, მათ შორის გამაგრილებელი სისტემების ფუნქციონირებისათვის. გამაგრილებელი სისტემებისათვის მოწყობილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამოყენებული ტექნიკური დანიშნულების წყლის რაოდენობას. გამაგრილებელი სისტემაში წყლის დამატება ხდება სისტემის შევსების მიზნით.

საწარმოს შიდა სტრუქტურული დაყოფის მიხედვით, საწარმოს წყალმომარაგების უზრუნველყოფის ენერგეტიკული უზრუნველყოფის სამსახურის ენერგო საამქროს შემადგენლობაში. წყალმომარაგების უზრუნველყოფის ძირითადი კომპონენტებია:

- პირველადი აწევის სატუმბო სადგური;
- ფილტრატის წყლით მომარაგების სატუმბო სადგური;
- უწყვეტი ჩამოსხმის წყალმომარაგების სატუმბო სადგური;
- ტექნიკური წყლით ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის სატუმბო სადგური;
- სახენჯე სატუმბო სადგური;
- ელექტროფოლადსადნობი საამქროს ბრუნვითი წყალმომარაგების სატუმბო სადგური.

ფილტრატის წყლით მომარაგების სატუმბო სადგური მდებარეობს საწარმოდან მოშორებით, მდ. მტკვარის მარჯვენა სანაპიროს ჭაღის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 02.06.01.020), რომელიც წარმოადგენს შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საკუთრებას. ტერიტორიის ფართობია 397587 მ².

სათავე ნაგებობის ტერიტორიის სიტუაციური სქემა მოცემულია სურათზე 4.3.10.1.

ტერიტორიაზე წარმოდგენილია ფილტრატის შემკრები შახტური ჭები და შემკრები რეზერვუარი, საიდანაც წყალი თვითდენით გადადის მიწისქვეშა სატუმბო სადგურში. ფილტრატის შემკრები ჭების მიერ ხდება მდ. მტკვარის და ტყეპარკის ტერიტორიაზე არსებული ტბის ფილტრატების შეკრება, ხოლო გვალვის შემთხვევაში, როცა შემცირებულია მიწისქვეშა წყლების დონეები, გამოიყენება ე.წ. მარინის არხის წყალი შპს „მტკვარი ენერჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, კერძოდ: საჭიროების შემთხვევაში მარინის არხიდან აღებული წყალი შედის შახტური ჭების განთავსების ტერიტორიაზე და ფილტრატის შედეგად ხვდება შახტურ ჭებში.

საწარმოს წყალმომარაგების სისტემის მილგაყვანილობა და ჰიდრო მოწყობილობები განლაგებულია მის მთელ ტერიტორიაზე, რომელშიც შედის:

- სასმელი-სამეურნეო წყლით მომარაგების სისტემა;
- ტექნიკური-საწარმოო წყლით მომარაგების სისტემა;
- საამქროების წრიული წყალმომარაგების სისტემები;
- სუფთა წყლის წრიული წყალმომარაგების სისტემა;
- სამეურნეო საყოფაცხოვრებო კანალიზაციის სისტემა;
- საწარმო-სანიაღვრე კანალიზაციის სისტემა.

საამქროების წრიული წყალმომარაგების სისტემა მუშაობს შემდეგ პრინციპზე: საამქროებიდან გამომავალი ხენჯიანი წყალი გაივლის თვითდენით საამქროშივე პირველად სალექარს, სადაც ხდება ძირითადი ხენჯის დალექვა და შემდგომ გვირახის გავლით, წყალი მიეწოდება სახენჯე სატუმბო სადგურს. აღნიშნული სადგურიდან ხენჯიანი წყლის გადატუმბვა ხდება ღია არხის საშუალებით ჰორიზონტალურ სალექარებში. სალექარები იყოფა ორ განყოფილებად, თითო განყოფილება შედგება 19 სექციისაგან. სალექარების განყოფილება მუშაობს რიგრიგობით, როდესაც ერთი განყოფილება ივსება ხენჯით ირთვება მეორე განყოფილება და სალექარები სუფთავდება ხენჯისგან, რომელიც შემდეგ თავსდება წიდასაყარზე. სალექარებიდან გასუფთავებული წყალი შედის წრიული წყალმომარაგების სატუმბო სადგურის მიმდებარე კამერაში, საიდანაც ტუმბოების საშუალებით მიეწოდება საამქროებს ხელმეორედ გამოყენებისათვის. პერიოდულად ხდება აორთქლების შედეგად დანაკარგების შევსება.

ფოლადსადნობი საამქროს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში გამოიყენება სუფთა ქიმიურად დამუშავებული წყალი. საამქროდან დაბრუნებული წყალი გაივლის შხეფსაცივრებს და გაგრილებული წყალი ჩაედინება სალექარში.

ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემებში აორთქლებაზე დანაკარგების შევსება ხდება ტექნიკური წყალმომარაგების სათავე ნაგებობის სატუმბო სადგურიდან, რომელიც თვეში შეადგენს დაახლოებით 50 000 მ³-ს, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 600 ათას მ³-ს.

სურათი 4.3.10.1. ტექნიკური წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ტერიტორიის სიტუაციური სქემა



აღსანიშნავია, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის წყალი მაგნე ნივთიერებებით დაბინძურების რისკი მინიმალურია და მასში აღინიშნება ძირითადად ხენჯის შემცველობა. გაწმენდილი წყლის ხარისხი სრულად აკმაყოფილებს გაგრილების სისტემებისათვის საჭირო წყლის ხარისხს. სალექარების გაწმენდის პროცესში ამოღებული ხენჯის დასაწყობება ხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული დროებითი წიდასაყარის ტერიტორიაზე.

მეტალურგიული ქარხნის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგება ხორციელდება ქ. რუსთავის წყალსადენის ქსელიდან და მოხმარება შეადგენს თვეში 7500 მ³-ს და წელიწადში 90 ათას მ³-ს.

სურათი 4.3.10.2. ფოლადსადნობი საამქროს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემის შხეფსაცივარი და სალექარები



როგორც აღინიშნა, საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლების ძირითადი ნაწილი ჩართულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში და რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საწარმოო ჩამდინარე წყლების რაოდენობას. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლები ჩაშვებულია გარდაბნის რეგიონალური გამწმენდი ნაგებობის მიყვან კოლექტორში.

საწარმოს ტერიტორიაზე, სანიაღვრე წყლების დაბინძურების პოტენციური რისკი არსებობს სატრანსპორტო უბნის ტერიტორიაზე, სადაც წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაწმენდისათვის მოწყობილია 3 სექციიანი სალექარი და გაწმენდილი წყლების ჩაშვება ხდება გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის მიყვან კოლექტორში.

გარდაბნის რეგიონალური გამწმენდი ნაგებობის მიყვან კოლექტორშია ჩართული, საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლებიც.

გამწმენდი ნაგებობის მიყვან კოლექტორში ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება გამწმენდი ნაგებობის დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე (იხილეთ დანართი N1). ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებულია, როგორც საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების, ასევე საწარმოო და სანიაღვრე წყლების ჩაშვება.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საწარმოს საქმიანობის პროცესში საწარმოო ჩამდინარე წყლების ზედაპირულ წყლებში ჩაშვებას ადგილი არ აქვს და შესაბამისად ზედაპირული წყლების ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

როგორც გზმ-ს პროცესში ჩატარებული აუდიტის შედეგებით დადგინდა საწარმოს შიდა ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების ტექნიკური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ვიზუალური აუდიტის შედეგების მიხედვით, საკანალიზაციო კოლექტორების დაზიანების ფაქტები დაფიქსირებული არ ყოფილა. წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლის და მომსახურებისათვის გამოყოფილია შესაბამისი პერსონალი საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად ხდება ავარიული დაზიანებების აღდგენა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიწისქვეშა წყლების ხარისხზე ზემოქმედების რისკი არ არის მაღალი.

4.3.11 საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა

დღეისათვის, ქარხნის მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა წარმოებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით. ტექნოლოგიური ციკლის ცვლილების მიხედვით, წარმოქმნილი განახლებული ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებული იქნება გზმ-ს პროცესში და დადგენილი წესით შეთანხმდება სამინისტროსთან.

აღსანიშნავია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით საწარმოში დამატებით წარმოიქმნება აირმტვერდამჭერ სისტემებში დაჭერილი მტვერი. აირმტვერდამჭერი სისტემის ბუნკერიდან მტვერის გადატანა დროებითი დასაწყობების მიზნით ხდება ელექტროფოლადსადნობ საამქროსთან არსებულ დახურულ სათავსში შემდგომი მართვის მიზნით, კერძოდ: დაგროვების შესაბამისად მტვერის გადაცემა მოხდება შესაბამის კონტრაქტორზე სამშენებლო მასალების წარმოებაში გამოყენების მიზნით ან მუდმივად დასაწყობდება შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ჯართისა და წილის გადამუშავების საამქროს ტერიტორიაზე.

კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოში წარმოქმნილი მტვერი არ მიეკუთვნება სახიფათო ნარჩენებს და შესაბამისად მისაღებია ჯართისა და წილის გადამუშავების საამქროს ტერიტორიაზე განთავსება.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობრივ ცვლილებას, მაგრამ ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობის ცვლილებას ადგილი არ აქვს. 35 ტ/სთ წარმადობის ლუმელის ამოქმედებასთან დაკავშირებით

გაზრდილია დნობის პროცესში წარმოქმნილი წიდის რაოდენობა, კერძოდ 40 000 ტონიდან გაზრდილია დაახლოებით 80 ათას ტ/წლამდე. მეორეული ხენჯის რაოდენობა 2700 ტონიდან გაზრდილია 3200 ტ/წლამდე.

აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 1450

ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის (10 02 02), ხენჯის (10 02 10) და მტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის (10 02 15) მართვა მოხდება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

წიდის და ხენჯის დროებითი დასაწყობება შემდგომი გადამუშავების მიზნით, ხდება ელექტროფოლადსადნობი საამქროს აღმოსავლეთის მხარეს არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე.

ტერიტორიაზე დასაწყობებული წიდა დაექვემდებარება გადამუშავებას მეტალური და არამეტალური ფრაქციების მიღების მიზნით. მეტალური ფრაქცია დაბრუნდება ფოლადსადნობ საამქროში, როგორც ნედლეული, ხოლო არამეტალურ ფრაქციას გაუკეთდება რეალიზაცია შემდგომი გამოყენების მიზნით ან დასაწყობდება წიდისა და ჯართის გადამუშავების საამქროს ტერიტორიაზე.

4.3.11.1 წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო

საწარმოს შიდა სტრუქტურული დაყოფის მიხედვით, ქ. რუსთავის არსებულ წიდასაყარზე განთავსებულ საამქროს ეწოდება „წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო“ და წარმოადგენს შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს. წიდასაყარი განთავსებულია ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე.

წიდისა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში, მარტენისა და ბრძმედის წიდის დამუშავება მიმდინარეობს მექანიკური დამუშავების და მაგნიტური სეპარაციის გზით, გადამუშავების შემდეგ წიდიდან გამოიყოფა ლითონური მასები, ანუ ჯართი, რომელთა შემადგენლობაშიც რკინის შემცველობა 90%-მდეა. აღნიშნული ჯართი აქტიურად გამოიყენება ფოლადის დნობაში.

წიდის დამუშავების შედეგად, წიდიდან ამოღებული ჯართი, დამუშავების გარეშე იგზავნება შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიულ ქარხანაში. ბრძმედის წიდას, ბრძმედის პირველი ხარისხის წიდას იყენებენ სამშენებლო მასალების დასამზადებლად, კლინკერის წარმოებაში და ასევე, მშენებლობის პროცესში სხვადასხვა დანიშნულებით, ხოლო მეორე ხარისხის, გრანულირებული წიდა გამოიყენება ცემენტის წარმოებაში. 35ტ/სთ ფოლადსადნობის საამქროში წარმოქმნილი წიდა, მარტენისა და ბრძმედის პროცესით წარმოებული ლითონშემცველი ნედლეულის გადამამუშავების შედეგად მიღებული წიდის ფრაქციების შეგროვება და დასაწყობება ხდება ცალ-ცალკე, სპეციალურად მათთვის გამოყოფილ ადგილებში (ღია მოედნებზე).

შენიშვნა: წინამდებარე დოკუმენტი წიდისა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროს არ განიხილავს დეტალურად რადგან, მომზადების პროცესშია „არასახიფათო ნარჩენების აღდგენა (წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“ შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მიერ და უახლოეს პერიოდში წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

4.3.12 ინფრომაცია საწარმოში არსებული ღუმელების შესახებ

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, საწარმოში 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ექსპლუატაცია შეუჩერდა (დაკონსერვებულია) ელექტროფოლად საამქროში არსებულ 10 ტ/სთ წარმადობის 2 ღუმელს, რომელთა ამოქმედება მოხდება მხოლოდ აირმტვერდამჭერი სისტემების და უწყვეტი მონიტორინგის სისტემით სისტემების უზრუნველყოფის და უწყვეტი მონიტორინგის სისტემაში ჩართვის შემდეგ.

დაკონსერვებულია ასევე საფასონე-საჩამომსხმელო საამქროში არსებული 4 ლუმელი, რომელთა ამოქმედება მოხდება მხოლოდ აირმტვერდამჭერ სისტემის მოწყობის შემდეგ. ინფორმაცია საწარმოში მოქმედი და დაკონსერვებული ლუმელების შესახებ მოცემულია ცხრილში 4.3.12.1.

ცხრილში 4.3.12.1.

N	ლუმელის დასახლება და ტიპი	წარმადობა			მუშაობის დრო, სთ/წელ	არსებული მდგომარეობა
		ტ/სთ	ტ/დღ	ტ/წელ		
ელექტროფოლად სადნობი საამქრო:						
1	ელექტრორკალური ლუმელი	35	840	280 000	8 000	მოქმედი
2	ელექტრორკალური ლუმელი	10	240	-	-	დაკონსერვებული
3	ელექტრორკალური ლუმელი	10	240	-	-	დაკონსერვებული
მილსაგლინავი საამქრო						
1	გამახურებელი რგოლური ლუმელი	40	960	112 000	2800	მოქმედი
2	მილების თერმული დამუშავების ლუმელი	12	288	80 000	6700	მოქმედი
სორტული გლინვის საამქრო:						
1	გამახურებელი	43	1032	168 000	3907	მოქმედი
2	გამახურებელი	20	480	78 140	-	სარეზერვო
საფასონე-საჩამომსხმელო საამქრო:						
1	5 ტონა ტევადობის ელექტრორკალური ლუმელი	2.5	60	2690	1076	მოქმედი
2	3 ტონა ტევადობის ელექტრორკალური ლუმელი	1.5	36	1614	1076	მოქმედი
3	ელექტრორკალური ჰორიზონტალური	1	24	-	-	დაკონსერვებული
4	ინდუქციური	3	72	-	-	დაკონსერვებული
5	ინდუქციური	0.4	9.6	-	-	დაკონსერვებული
6	ელექტრორკალური (მადანადმდგენელი)	0.3	6.3	-	-	დაკონსერვებული

გარდა ცხრილში მოცემული ძირითადი ლუმელებისა, საწარმოს საამქროებში განთავსებულია ტექნოლოგიური პროცესის დამხმარე ლუმელები, რომელთა ენერჯის წყაროდ გამოყენებულია ბუნებრივი აირი. ცალკეული ლუმელიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელების გაანგარიშება მოცემულია პარაგრაფში 6.2.

აღნიშნული ლუმელების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:


- საფასონე-საჩამომსხმელო საამქრო:
 - საშრობი ლუმელი - მუშაობის დრო 100 სთ/წელ;
 - გამოსაწვავი ლუმელი - მუშაობის დრო 220 სთ/წელ;
 - თერმული დამუშავების ლუმელი 220 სთ/წელ.
- მილსაგლინავი საამქრო: თერმული დამუშავების ლუმელი - მუშაობის დრო 1000 სთ/წელ ;
- მექანიკური საამქრო- თერმული დამუშავების ლუმელი - მუშაობის დრო 670 სთ/წელ;
- სამჭედლო განყოფილება - თერმული დამუშავების ლუმელი-მუშაობის დრო 810 სთ/წელ.

5 გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა

5.1 ზოგადი მიმოხილვა

ქალაქი რუსთავი ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია. მდებარეობს ქვემო ქართლის ვაკეზე, მდინარე მტკვრის ორივე ნაპირას, ზღვის დონიდან 350მ სიმაღლეზე. ქალაქის ტერიტორია 60 კვ. კმ-ს შეადგენს, მოსახლეობა 138 ათასი. რუსთავი საქართველოს უმთავრესი

სამრეწველო ქალაქია თბილისის შემდეგ.



რუსთავი ქვემო ქართლის მხარის ყველაზე მსხვილი ქალაქია და მდებარეობს 41,5° განედსა და 41,5° გრძედზე, ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მეტრზე. მას უკავია 6060 ჰექტარი უწყველი სტეპის ტერიტორია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 27 კილომეტრ მანძილზე. რუსთავის ადმინისტრაციული საზღვარი გადის მარნეულის და გარდაბნის მუნიციპალიტეტებთან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან აკრავს იაღლუჯისა და ჩათმის მთები, ხოლო აღმოსავლეთით გარდაბნისა და ფონიჭალის ველები. ქალაქს ორ ნაწილად ჰყოფს მდინარე მტკვარი (მარჯვენა და მარცხენა სანაპირო; ძველი და ახალი რუსთავი). რუსთავზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა - ს4 „თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი)“, რომელსაც ასევე ემთხვევა ევროპის ავტომარშრუტული E60 სიგრძე 28კმ.

რუსთავის მუნიციპალიტეტი ადმინისტრაციულად ქვემო ქართლის რეგიონს მიეკუთვნება. რეგიონის ტერიტორიის ფართობი 6,528 კვ. კმ2-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 10 %-ია. ქვემო ქართლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებია: რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრი წყარო, მარნეულის და წალკის მუნიციპალიტეტები. მხარეში 353 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 7 ქალაქი, 8 დაბა და 338 სოფელი. ადმინისტრაციული ცენტრია – ქ. რუსთავი (თბილისიდან 35კმ მანძილის დაშორებით).


5.2 ფიზიკური გარემო

5.2.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები

რუსთავის კლიმატური პირობები გარდამავალია ხმელთაშუა ზღვისა და სტეპს შორის. ხასიათდება არა მკაცრი, თოვლიანი ზამთრით და მშრალი, ზომიერი და ცხელი ზაფხულით ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში და დიაგრამებზე წარმოდგენილია კლიმატის მახასიათებლები აღებულია („სამშენებლო კლიმატოლოგია“) მიხედვით, საკვლევი ტერიტორიისათვის უახლოესი მეტეოსადგურის (რუსთავის) მონაცემების გათვალისწინებით.


ცხრილი 5.2.1.1 საშუალო ტემპერატურა

თვე საშ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ. წლ.	აბს. მინ. წლ.	აბს. მაქს. წლ.
°C	0.8	2.6	6.6	11.9	17.5	21.6	25.0	25.0	20.3	14.4	7.7	2.6	13.0	-24	41



ცხრილი 5.2.1.2. ფარდობითი ტენიანობა, %

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	საშ.
%	74	70	68	63	63	58	55	54	62	69	77	77	66



საშუალო ფარდობითი ტენიანობა 13 საათზე		ფარდობითი ტენიანობის საშ. დღე-ღამური ამპლიტუდა	
ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
62	41	18	30

ცხრილი 5.2.1.3. ნალექების რაოდენობა


ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
382	123

ცხრილი 5.2.1.4. ქარის მახასიათებლები

ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20. წელიწადში ერთხელ. მ/წმ				
1	5	10	15	20
25	29	31	32	33

ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ	
იანვარი	ივლისი
2,6/0,3	2,4/0,4

ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
35	5	2	14	13	11	2	18	55



5.2.2 გეოლოგიური პირობები

5.2.2.1 გეომორფოლოგიური პირობები

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით ქარხნის ტერიტორია წარმოადგენს ვაკეს, ე.წ. ყარაის ველის ცენტრალურ ნაწილს, მდ. მტკვრის ჭალისზედა ტერასას და იგი აგებულია ნეოგენური ასაკის ე.წ. „სარმატის სართულის“ ქვიშაქვების და არგილითების მორიგეობის წყებით, რომლებიც საკვლევი უბნის ფარგლებში ზემოდან იფარება თიხებით, ქვიშნარებით, კენჭნარებით და ტექნოგენური გრუნტებით. საფარი ქანის სიმძლავრე უბანზე 8-10 მ-ია.

5.2.2.2 გეოლოგიური აგებულება

გეოლოგიური დარაიონების მიხედვით რუსთავი ეკუთვნის ქვემო ქართლის ბარს. ქვემო ქართლის ბარის რეგიონი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს შეადგენს ამიერკავკასიის დამრეცნაოჭა ზონის იმ შეფარდებით დაძირული ელემენტისას, რომელსაც ზოგი გეოტექტონიკოსი აზერბაიჯანის ბელტს უწოდებს და ზოგიც პონტოს-კასპიის სინკლინორიუმის კასპიისპირა მონაკვეთს გარდაბნსა და მარნეულის ვაკეთა ფარგლებში მეოთხეული მდინარეული ნაფენების ქვეშ ჩამარხულია არა მარტო უძველესი კრისტალური სუბსტრატი, რომელიც შიშვლდება უფრო დასავლეთით - მდ. ხრამის შუა წელის ხეობაში, არამედ ყველა მეზო-კაინოზოური წყებებიც. თვით უახლესი ლავური ღვარებიც კი, რომლებიც ქვედა მეოთხეულში ჩამოვიდა ჯავახეთის ქედიდან მაშავერისა და პალეო-ხრამის ხეობებით, დაძირვის პროცესში მყოფი მარნეულის ვაკის საზღვართან ალუვიონით იფარება. აკუმულაციურ ვაკეზე გარშემოკრული ბორცვნალი მთისწინეთი და პლატო აგებულია მეოთხეულზე ძველი წარმონაქმნებით, მაგრამ ჩრდილო ნაწილში გავრცელებულ მესამეულ ნალექ წყებებს შორის დასავლეთიდან სოლისებურად შემოჭრილია ქვედამეოთხეული დოლერიტური ლავის ენები.

5.2.2.3 ჰიდროგეოლოგია


საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების (ი. ბუაჩიძე, 1970წ.) მიხედვით საკვლევი ტერიტორია განლაგებულია მარნეული-გარდაბნის ფოროვანი და ნაპრალოვანი წყლების არტეზიული აუზის და თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების წყალწნევითი სისტემის საზღვარზე. მარნეული-გარდაბნის არტეზიული აუზი, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში, შედგება ძველმეოთხეული ალუვიური ნალექების-კენჭნარის, კონგლომერატების, ქვიშების, ქვიშნარის, თიხნარის,

აგრეთვე თანამედროვე ალუვიური წარმონაქმნების წყალშემცველი ჰორიზონტებისაგან. აღნიშნულ ნალექებთან დაკავშირებული წყაროები, ძირითადად მცირე დებიტიანია. ძველმეოთხეული წარმონაქმნების დასტებში 20მ სიღრმემდე ცირკულირებენ მიწისქვეშა წყლების ნაკადები. ქიმიური შედგენილობის მიხედვით ძველმეოთხეულ ნალექების წყლები სულფატურ - ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიან-მაგნიუმიანია, საერთო მინერალიზაცია მერყეობს 1.0-დან 10.0გ/ლ ფარგლებში, ხოლო თანამედროვე ნალექებში კი 0.5-1.5გ/ლ ფარგლებში. აღნიშნულ წარმონაქმნებს ქვეშ უძევს ქვედა მიოცენის, ოლიგოცენის და ზედა ეოცენის წყალგაუმტარი ლაგუნურ-ზღვიური ნალექები. წარმოდგენილია ძირითადად თიხებით ქვიშნარის შუაშრეებით. საკვლევი ტერიტორიის სამხრეთით არტეზიული აუზის ცენტრალურ ნაწილში ასევე განვითარებულია მიოპლიოცენის სპორადულად გაწყლიანებული ლაგუნურ-კონტინენტური ნალექები. თიხები კონგლომერატები (იშვიათად კირქვები, მერგელები). მტკვრის ხეობის ნაპირზე თანამედროვე ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტია (კენჭნარი, ქვიშაქვები).

5.2.2.4 სეისმური პირობები

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავში, რომელიც საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომდეგი მშენებლობა“ (პნ 01. 01-09), №1 დანართის მიხედვით, მოქცეულია 8 ბალიან (MSK 64 სკალა) სეისმურ ზონაში (იხ. სურათი 5.3.3.1.). რაიონის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A შეადგენს 0,12-ს.

სურათი 5.2.2.3.1. საქართველოს სეისმური დარაიონების რუკა



5.2.2.5 გეოლოგიური საშიშროებები

თანამედროვე გეოდინამიკური პროცესებიდან ქ. რუსთავის საკვლევი ზონის ფარგლებში ძირითადად გავრცელებულია გამოფიტვა და ეროზია. გამოფიტვას აქვს ყოველმხრივი გავრცელება და თანამედროვე ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულ ეგზოგენურ პროცესს წარმოადგენს. თავისი ინტენსივობის მიხედვით ეროზია ეგზოგენურ ფაქტორებს შორის მეორეა. ზედაპირული და მდინარეული წყლების ეროზიული მოქმედება პერიოდულ ხასიათს ატარებს და გამოიხატება ხევების და ხრამების ჩაღრმავება გაფართოებაში, ასევე მდინარეთა ნაპირების გარეცხვაში. დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექების მოსვლის შემთხვევაში, დამრეც ფერდობებზე ვითარდება მცირე ფართობითი ეროზია.

საწარმოს ტერიტორიაზე რაიმე სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების ნიშნები არ გამოვლენილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ განხორციელებული ცვლილებები სამშენებლო

სამუშაოების, მათ შორის მიწის სამუშაოებთან დაკავშირებული არ ყოფილა, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს როგორც მინიმალური.

5.2.3 ნიადაგი

საკვლევ რეგიონში ნიადაგები ზონალურად არის გავრცელებული. ტერასულ ვაკეებზე წაბლა ნიადაგები ჭარბობს, ზეგანზე ნემომპალა-სულფატური (გაჯიანი). მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს შავმიწებსაც. მთისწინეთში ტყის ყავისფერი და მდელოს ყავისფერი, მეტწილად, კარბონატული ნიადაგებია, რომელთაც ზემოთ სხვადასხვა სახის ტყის ყომრალი ნიადაგი ენაცვლება. ქედების თხემები და მწვერვალები მეორეულ მთის მდელოს ნიადაგებს უჭირავს. განვითარებულია აგრეთვე ალუვიური (მდინარეთა ტერასებზე), ჭაობის (ტბების პირა ზოლში) და მლაშობი (ნატბეურებზე) ნიადაგები. ხევ- ხრამების ციცაბო ფლატეებზე ძლიერ ჩამორეცხილი ნიადაგებია.

ქარხნის ტერიტორიაზე ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობს სამრეწველო საქმიანობა და შესაბამისად მნიშვნელოვან ნაწილზე ფიქსირდება ნიადაგის ტექნოგენური ფენა და დაფარულია მყარი საფარით. ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გვხვდება ხელოვნურად შექმნილ გაზონებზე და გამწვანებულ ტერიტორიებზე.

5.2.4 ლანდშაფტები

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ნაირგვარი ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები (ლანდშაფტები), დაწყებული ნახევარუდაბნოსა (აღმოსავლეთი საქართველო) და კოლხური ნოტიო სუბტროპიკულიდან (დასავლეთი საქართველო), დამთავრებული მარადთოვლიან-მყინვარებიანი (გლაციალურ-ნივალური) ლანდშაფტებით. საქართველოს ტერიტორიაზე 100-ზე მეტი დასახელების (ტიპი, ქვეტიპი, სახე) ლანდშაფტია გავრცელებული.

რუსთავის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილია სუბტროპიკების ვაკეთა, ზომიერად მშრალი სუბტროპიკების ზეგნების და ზომიერად ნოტიო ჰავიანი მთის ტყის ლანდშაფტთა ჯგუფებით, რაიონებშიც გამოიყოფა ნახევარუდაბნოს, მშრალი სტეპური (ვაკეებსა და ზეგნებზე), ჯაგეკლიანი და მეჩხერტყიანი (მთისწინეთში), მთა-ტყისა და მთა-მდელოს ლანდშაფტები. ინტრაზონალური ლანდშაფტებია: ჭალის (ტუგაის), ტყის (მტკვრის გასწვრივ), ჭაობებისა და მლაშობების (ტბების პირა ზოლში) ლანდშაფტები. ლანდშაფტების ძირითადი ტიპებია: ვაკისა და მთის ლანდშაფტები.

საწარმოს ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპიური ტექნოგენური ლანდშაფტი, შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიებს რაიმე დაცვითი ღირებულება არ გააჩნიათ.

5.2.5 ბიოლოგიური გარემო

5.2.5.1 ფლორა

საქართველოს ფლორისტიკული დაყოფის მიხედვით, ქარხნის განთავსების რეგიონი განლაგებულია ქვემო ქართლის, გარდაბნისა და გარე ქართლის ველებსა და ნახევრად უდაბნოს ზონაში ("საქართველოს ფლორა", 1971-2003). სამხრეთ- აღმოსავლეთიდან ეს ზონა ესაზღვრება მსგავსი ბუნებრივი პირობების მქონე აზერბაიჯანის და სომხეთის მიწებს. ბიოგეოეკოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია განლაგებულია მტკვარი-არაგვის დაბლობის ნახევრად უდაბნოების ექსტრაზონალური განვითარების ზონაში, რომელიც ჩრდილო- დასავლეთისაკენ თბილისამდეა გადაჭიმული.

საკვლევ რეგიონში ნახევრადუდაბნოს მცენარეულობა ძირითადად გვხვდება მთისწინეთის ჯაჭვში და დაბლობებში; ისინი იზრდება ნაცრისფერ-ყავისფერსა და ყავისფერ - წაბლისფერ

ნიადაგებზე (ეგოროვი, ბაზილევჩი, 1976). სხვადასხვა ფლორისტიკული შემადგენლობის ველის მცენარეულობის ფრაგმენტები გვხვდება ბორცვოვან რელიეფზე, სადაც ნიადაგები ნაკლებად მარილიანი და მშრალია.

საველე კვლევის დროს ქარხნის ტერიტორიაზე გამოიყო 1 ჰაბიტატი, რომელიც EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით არის:

- J განაშენიანებული, სამრეწველო ან სხვა ხელოვნური ჰაბიტატები

საქართველოს ფლორისტიკული დარაიონების მიხედვით, საკვლევი რეგიონი განლაგებულია ქვემო ქართლის, გარდაბნისა და გარე ქართლის ველებსა და ნახევრადუდაბნოს ზონაში ("საქართველოს ფლორა", 1971-2003). სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეს ზონა ესაზღვრება მსგავსი ბუნებრივი პირობების მქონე აზერბაიჯანის და სომხეთის მიწებს. ბიოგეოეკოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია განლაგებულია მტკვარი-არაგვის დაბლობის ნახევრად უდაბნოების ექსტრაზონალური განვითარების ზონაში, რომელიც ჩრდილო-დასავლეთისაკენ თბილისამდეა გადაჭიმული.

საკვლევ რეგიონში ნახევრადუდაბნოს მცენარეულობა ძირითადად გვხვდება მთისწინეთის ჯაჭვში და დაბლობებში; ისინი იზრდება ნაცრისფერ-ყავისფერსა და ყავისფერ - წაბლისფერ ნიადაგებზე (ეგოროვი, ბაზილევჩი, 1976). სხვადასხვა ფლორისტიკული შემადგენლობის ველის მცენარეულობის ფრაგმენტები გვხვდება ბორცვოვან რელიეფზე, სადაც ნიადაგები ნაკლებად მარილიანი და მშრალია.

საველე კვლევის დროს საწარმოს ტერიტორიაზე გამოიყო 1 ჰაბიტატი, რომლებიც EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით იქნა გამოყოფილი, ეს ჰაბიტატია:

- J განაშენიანებული, სამრეწველო ან სხვა ხელოვნური ჰაბიტატები

საწარმოს ტერიტორია გამოირჩევა ძალიან მაღალი ტექნოგენური და ანთროპოგენური დატვირთვით, სადაც არ ვხვდებით ფლორის არცერთ დაცულ სახეობას. ტერიტორიაზე წარმოდგენილი მცენარეული არის ხელოვნურად გაშენებული. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული ცვლილებებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა განთავსებულია მხოლოდ არსებულ შენობა-ნაგებობებში და შესაბამისად ხელოვნურად გაშენებულ მცენარეულ საფარზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

5.2.5.2 ფაუნა

ზოოლოგიური კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის აღწერა და მოზინადრე ცხოველთათვის მნიშვნელოვანი საარსებო ჰაბიტატების განსაზღვრა, რომლებიც გვხვდება ან/და შესაძლოა შეგვხვდეს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა, საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებზე (წითელ ნუსხებში შეტანილი სახეობები, ბერნის, ბონის კონვენციებით და სხვა ნორმატიული აქტებით დაცული სახეობები).

5.2.5.2.1 კვლევისას გამოყენებული მასალები

საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერებისას ვაფიქსირებდით და ვარკვევდით ცხოველქმედების ნიშნებს: კვალი, ექსკრემენტები, სოროები, ბუმბული, ბეწვი და სხვა. ასევე გამოვიყენეთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებული მონაცემები, ყოველივე ეს იძლევა საშუალებას აღიწეროს საკვლევ არეალში არსებული ფაუნა და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები.

გამოყენებული ხელსაწყოები

- ფოტო აპარატი - Canon PowerShot SX60 HS
- ფოტო აპარატი - Canon PowerShot SX50 HS
- Garmin montana 680 GPS
- 8x42 ბინოკლი „Opticron Trailfinder 3 WP”

5.2.5.2.2 საველე კვლევის მიმართულებები:

ძუძუმწოვრების კვლევა - ვიზუალური დაფიქსირება, ფოტოაპარატით დაფიქსირება, ნაკვალევის, ექსკრემენტის, ბეწვის, ფულუროს, სოროს, ბუნაგის აღმოჩენა. ნადავლის აღმოჩენის შემთხვევაში, სხეულზე მიყენებული ჭრილობის მიხედვით მტაცებლის იდენტიფიცირება.

დამურების კვლევა - ძუძუმწოვრების კვლევის მეთოდიკა. დამურების დეტექტორით დაფიქსირება (Anabat Walkabout).

ფრინველების კვლევა - დასაკვირვებლად შემალლებული ადგილის შერჩევა, ჭოგრიტით დაკვირვება, ვიზუალური დაფიქსირება, ფოტოაპარატით დაფიქსირება, სმენითი იდენტიფიცირება, ცხოველქმედების მახასიათებლების აღმოჩენა.

ქვეწარმავლების და ამფიბიების კვლევა - ვიზუალური, ფოტოაპარატით დაფიქსირება, სპეციფიური არეალების დათვალიერება.

უხერხემლოების კვლევა-ვიზუალური აღრიცხვა, ქვების, ნიადაგის, მცენარეთანარჩენების დათვალიერება.

5.2.5.2.3 ფაუნის კვლევის შედეგები

საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული ხმელეთის ფაუნის საველე კვლევების და არსებული სამეცნიერო ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, თუ ფაუნის, რომელი წარმომადგენლები არიან გავრცელებული საწარმოს მიმდებარედ (სამრეწველო ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე). ასევე მოხდა სახეობების იდენტიფიკაცია და მათი ტაქსონომიურად ვალიდური სამეცნიერო სახელწოდებების განსაზღვრა.

საველე კვლევის დროს, საკვლევ ტერიტორიაზე გამოიყო 1 ჰაბიტატი, რომლებიც EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით იქნა გამოყოფილი, ეს ჰაბიტატია:

- J განაშენიანებული, სამრეწველო ან სხვა ხელოვნური ჰაბიტატები

5.2.5.2.3.1 ძუძუმწოვრები

საწარმოს განთავსების რაიონში მტაცებელი ძუძუმწოვრებიდან გვხვდება: მგელი (*Canis lupus*), ტურა (*Canis aureus*), მელა (*Vulpes vulpes*), დედოფალა (*Mustela nivalis*), კვერნა (*Martes sp.*), მაჩვი (*Meles meles*). მღრღნელებიდან: ციყვი (*Sciurus vulgaris*), ტყის ძილგუდა (*Dryomys nitedula*), ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*), მცირეაზიური მემინდვრია (*Chionomys roberti*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*), მცირე თაგვი (*Sylviaemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Apodemus fulvipectus*), სახლის თაგვი (*Mus musculus*), შავი ვირთაგვა (*Rattus rattus*), რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*) და ა.შ. მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), მცირე თხუნელა (*Talpa levantis*), გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenstaedti*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*), ასევე კურდღელი (*Lepus europeus*) და სხვა.

საკვლევ რეგიონში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობები წარმოდგენილია 5.2.5.2.3.1.1. ცხრილში.

ცხრილი 5.2.5.2.3.1.1. საკვლევ რეგიონში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობები

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv.	დაფიქსირდა (ჰაბიტატის ტიპები - 1-) არ დაფიქსირდა X
1.	მაჩვი	Meles meles	LC	-	√	x
2.	კურდღელი	Lepus europeus	LC	-	√	x
3.	კლდის კვერნა	Martes foina	LC	-	√	x
4.	დედოფალა	Mustela nivalis	LC	-	√	x
5.	ტყის ძილგუდა	Dryomys nitedula	LC	-		x
6.	სტეპის თაგვი	Apodemus fulvipectus	LC	-		x
7.	ევროპული ზღარბი	Erinaceus concolor	LC	-	√	x
8.	მცირე თხუნელა	Talpa levantis	LC	-		x
9.	მგელი	Canis lupus	LC	-	√	x
10.	მელა	Vulpes vulpes	LC	-		x
11.	ტურა	Canis aureus	LC			x
12.	კავკასიური ციყვი	Sciurus anomalus	LC	VU	√	x
13.	კავკასიური თხუნელა	Talpa caucasica	LC	-		x
14.	კვერნა	Martes martes	LC	-	√	x
15.	თაგვი	Apodemus mystacinus	LC			x
16.	წითელი ციყვი	Sciurus vulgaris	LC			x
17.	ჩვეულებრივი ძილგუდა	Glis glis	LC			x
18.	დაღესტნური მემინდვრია	Terricola daghestanicus	LC			x
19.	მცირეაზიური მემინდვრია	Chionimys roberti	LC			x
20.	ჩვეულებრივი მემინდვრია	Microtus arvalis	LC			x
21.	საზოგადოებრივი მემინდვრია	Microtus socialis	LC			x
22.	გრძელკუდა კბილთეთრა	Crocidura gueldenstaedtii	LC			x
23.	თეთრმუცელა კბილთეთრა	Crocidura leucodon	LC			x
24.	მცირე თაგვი	Apodemus uralensis	LC			x
25.	სახლის თაგვი	Mus musculus	LC			x
26.	შავი ვირთაგვა	Rattus rattus	LC			x
27.	რუხი ვირთაგვა	Rattus norvegicus	LC			x

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:

EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

5.2.5.2.3.2 ღამურები-ხელფრთიანები (Microchiroptera)

ღამურები ერთადერთი მფრინავი ძუძუმწოვრები არიან. დაახლოებით 50 მილიონ წელს ითვლის მათი არსებობა და ევოლუციური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს ცოცხალ ორგანიზმებს განეკუთვნებიან. ახასიათებთ ჯგუფური ცხოვრების წესი, ასევე შეუძლიათ ხელფრთიანების სხვა სახეობებთან ერთად თანაარსებობა. ესაჭიროებათ განსხვავებული ტიპის თავშესაფრები:

- ტრანზიტული თავშესაფარი;
- გამოსაზამთრებელი თავშესაფარი;
- შესაწყვილებელი თავშესაფარი;
- სანაშენე თავშესაფარი;

- ზაფხულის თავშესაფარი;

ახასიათებთ ზამთრის ძილი. გამოსაზამთრებელი თავშესაფარი ძირითადად მღვიმეები, კლდოვანი ნაპრალები, ძველი ნაგებობებია, სადაც ტემპერატურა 6-12 გრადუსამდეა. 5 გრადუსზე ქვევით ღამურათა უმრავლესობა იღუპება. აქტიურ პერიოდში ღამურები მღვიმეებს, კლდოვან ნაპრალებს, შენობა-ნაგებობებს და ხის ფულუროებს აფარებენ თავს. ძირითადად იკვებებიან მწერებით. ერთი ღამურა ღამის განმავლობაში რამდენიმე ათას მწერს ანადგურებს.

ხელფრთიანების ყველა სახეობა, რომლებიც საქართველოში გვხვდება, შეტანილია ზონის კონვენციის დანართ II-ში და დაცულია EUROBATS-ის შეთანხმებით. ამ შეთანხმების თანახმად საქართველო ვალდებულია დაიცვას პროექტის არეალში და მის მახლობლად დაფიქსირებული ყველა სახეობა.

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და სავსე კვლევის მიხედვით, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიებზე შესაძლოა მოხვდეს ხელფრთიანთა შემდეგი სახეობები: *Rhinolophus ferrumequinum* - დიდი ცხვირნალა, *Rhinolophus hipposideros* - მცირე ცხვირნალა *Myotis blythii* - ყურწვეტა მლამიობი, *Myotis emarginatus* - სამფერი მლამიობი *Myotis mystacinus* group - ჯგუფი ულვაშა მლამიობი, *Nyctalus noctula* - წითური მეღამურა, *Nyctalus leisleri* - მცირე მეღამურა, *Eptesicus serotinus*-მეგვიანე ღამურა, *Pipistrellus pipistrellus* - ჯუჯა ღამორი, *Pipistrellus pygmaeus* - პაწია ღამორი, *Pipistrellus kuhlii* - ხმელთაშუაზღვის ღამორი, *Plecotus auritus* - რუხი ყურა, *Miniopterus schreibersii* - ჩვეულებრივი ფრთაგრძელი და სხვა.

ცხრილი 5.2.5.2.3.2.1. საკვლევ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ხელფრთიანთა სახეობები

N	ქართული დასახელება	ლათინური დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv.	CMS	დაფიქსირდა (ჰაბიტატის ტიპები - 1) არ დაფიქსირდა X
1.	მურა ყურა	<i>Plecotus auritus</i>	LC	-	✓	✓	x
2.	დიდი ცხვირნალა	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	LC	-	✓	✓	x
3.	მცირე ცხვირნალა	<i>Rhinolophus hipposideros</i>	LC	-	✓	✓	x
4.	ჩვ. ფრთაგრძელი	<i>Miniopterus schreibersii</i>	NT	-	✓	✓	x
5.	მეგვიანე ღამურა	<i>Eptesicus serotinus</i>	LC	-	✓	✓	x
6.	წვეტყურა მლამიობი	<i>Myotis blythii</i>	LC	-	✓	✓	x
7.	წითური მეღამურა	<i>Nyctalus noctula</i>	LC	-	✓	✓	x
8.	მცირე მეღამურა	<i>Nyctalus leisleri</i>	LC	-	✓	✓	x
9.	ჯუჯა ღამორი	<i>Pipistrellus pipistrellus</i>	LC	-	✓	✓	x
10.	პაწია ღამორი	<i>Pipistrellus pygmaeus</i>	LC		✓	✓	x
11.	ხმელთაშუაზღვის ღამორი	<i>Pipistrellus kuhlii</i>	LC		✓	✓	x
12.	სამფერი მლამიობი	<i>Myotis emarginatus</i>	LC		✓	✓	x
13.	ულვაშა მლამიობი	<i>Myotis mystacinus</i>	LC	-	✓	✓	x

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:

EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

5.2.5.2.3.3 ფრინველები (Aves)

საკვლევ ტერიტორიის მაღალი ანთროპოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, აქ ფრინველთა დაცული სახეობების მოხვედრა ნაკლებად სავარაუდოა, ტერიტორიაზე ძირითადად გვხვდება სინატროპული სახეობები. ცხრილში 5.2.5.2.3.3.1. მოცემულია ინფორმაცია საწარმოს განთავსების რაიონში აღრიცხული ფრინველთა სახეობების შესახებ. საკვლევ ტერიტორიაზე (საწარმოს მიმდებარე ტერიტორია) დაფიქსირდა ფრინველთა შემდეგი სახეობები: გარეული მტრედი (*Columba livia*), საყელოიანი გვრიტი (*Streptopelia decaocto*), თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla alba*), შაშვი (*Turdus merula*), შოშია (შროშანი) (*Sturnus vulgaris*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), დიდი წივწივა (*Parus major*), მოლურჯო წივწივა (*Parus caeruleus*), ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*), მოყვითალო გრატა (*Emberiza citrinella*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), მწვანულა (*Carduelis chloris*), მინდვრის ბელურა (*Passer montanus*), სახლის ბელურა (*Passer domesticus*), ჩხიკვი (*Garrulus glandarius*), ყორანი (*Corvus corax*), რუხი ყვავი (*Corvus corone*), კაჭკაჭი (*Pica pica*)

ცხრილი 5.2.5.2.3.3.1. საწარმოს მიმდებარე ტერიტორიებზე გავრცელებული ფრინველთა სახეობები

N	ქართული დასახელება	სამეცნიერო დასახელება	ინგლისური დასახელება	გადაფრენის სეზონურობა	IUCN	RLG	Bern Conv.	CMS	დაფიქსირდა (ჰაბიტატის ტიპები - 1-) არ დაფიქსირდა X
1.	მიმინო	<i>Accipiter nisus</i>	Eurasian Sparrowhawk	YR-R	LC		√		x
2.	ძერა	<i>Milvus migrans</i>	Black Kite	M	LC		√	√	x
3.	ჩვეულებრივი კაკაჩა	<i>Buteo buteo</i>	Common Buzzard	M	LC		√	√	x
4.	კრაზანაჭამია (ან ირაო)	<i>Pernis apivorus</i>	European Honey-Buzzard	BB,M	LC				x
5.	ალალი	<i>Falco columbarius</i>	Merlin	M	LC		√	√	x
6.	ჩვეულებრივი კირკიტა	<i>Falco tinnunculus</i>	Common Kestrel	M	LC		√	√	x
7.	ჭაობის ძელქორი (ან ჭაობის ბოლობეჭედა)	<i>Circus aeruginosus</i>	Western Marsh Harrier	YR-R, M	LC		√	√	x
8.	გარეული მტრედი	<i>Columba livia</i>	Rock Dove	YR-V	LC				1
9.	გულიო (ან გვიძინი)	<i>Columba oenas</i>	Stock Dove	M	LC			√	x
10.	ქედანი	<i>Columba palumbus</i>	Common Wood-Pigeon	M	LC				x
11.	ჩვეულებრივი გვრიტი	<i>Streptopelia turtur</i>	Eurasian Turtle-Dove	BB, M	VU				x
12.	საყელოიანი გვრიტი	<i>Streptopelia decaocto</i>	Eurasian Collared-Dove	YR-R, M	LC				1
13.	ოფოფი	<i>Upupa epops</i>	Common Hoopoe	M	LC		√		x
14.	ოქროსფერი კვირიონი	<i>Merops apiaster</i>	European bee-eater	BB, M	LC				x
15.	მინდვრის ტოროლა	<i>Alauda arvensis</i>	Eurasian Skylark	M	LC				x
16.	ქოჩორა ტოროლა	<i>Galerida cristata</i>	Crested Lark	M	LC				x
17.	ტყის ტოროლა	<i>Lullula arborea</i>	Wood Lark	M	LC				x
18.	სოფლის მერცხალი	<i>Hirundo rustica</i>	Barn Swallow	BB,M	LC		√		x
19.	ქალაქის მერცხალი	<i>Delichon urbicum</i>	Northern House-Martin	YR-V	LC		√		x
20.	თეთრი ბოლოქანქარა	<i>Motacilla alba</i>	White Wagtail	YR-R	LC		√		1
21.	რუხი ბოლოქანქარა	<i>Motacilla cinerea</i>	Grey Wagtail	M	LC		√		x
22.	ყვითელი ბოლოქანქარა	<i>Motacilla flava</i>	Yellow Wagtail	M	LC		√	√	x
23.	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	<i>Phoenicurus phoenicurus</i>	Common Redstart	BB,M	LC		√		x
24.	შაშვი	<i>Turdus merula</i>	Eurasian Blackbird	YR-R	LC		√		1

25.	წრიპა შაშვი (მგალობელი შაშვი)	<i>Turdus philomelos</i>	Song Thrush	M	LC		√		x
26.	შოშია (შროშანი)	<i>Sturnus vulgaris</i>	Common Starling	YR-R, M	LC				1
27.	თობიტარა	<i>Aegithalos caudatus</i>	Long-tailed Tit	YR-R	LC		√		1
28.	გულწითელა	<i>Erithacus rubecula</i>	European Robin	BB	LC		√		1
29.	დიდი წივწივა	<i>Parus major</i>	Great Tit	YR-R	LC		√		1
30.	მცირე წივწივა	<i>Parus ater</i>	Coal Tit	YR-R	LC				x
31.	ჭინჭრაქა	<i>Troglodytes troglodytes</i>	Winter Wren	YR-R	LC		√		1
32.	მინდვრის ბელურა	<i>Passer montanus</i>	Tree Sparrow	M	LC				1
33.	სახლის ბელურა	<i>Passer domesticus</i>	House Sparrow	YR-R	LC				1
34.	მოლალური	<i>Oriolus oriolus</i>	Eurasian Golden Oriole	M	LC		√	√	x
35.	ჩხიკვი	<i>Garrulus glandarius</i>	Eurasian Jay	YR-R	LC				1
36.	რუხი ყვავი	<i>Corvus corone</i>	Hooded Crow	YR-R	LC				1
37.	კაჭკაჭი	<i>Pica pica</i>	Black-billed Magpie	YR-R	LC				x
38.	გაზაფხულა ჭივჭავი	<i>Phylloscopus trochilus</i>	Willow Warbler	BB	LC		√		x
39.	ჩვეულბრივი ჭივჭავი	<i>Phylloscopus collybita</i>	Common Chiffchaff	BB	LC				x
40.	თეთრწარბა (ანუ მდელოს) ოვსადი	<i>Saxicola rubetra</i>	Whinchat	BB	LC		√	√	x

სახეობების სეზონური ცხოვრების პერიოდი მოცემულ ტერიტორიაზე:

YR-R = მთელი წლის განმავლობაში საქართველოშია აქ ბუდობს და მრავლდება; YR-V = ამ ტერიტორიების ვიზიტორია; არ მრავლდება, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში აქ არის; BB = ტერიტორიაზე შემოდის მხოლოდ გასამრავლებლად; M = მიგრანტი; მიგრაციის დროს (შემოდგომაზე და გაზაფხულზე) შეიძლება მოხვდეს ამ ტერიტორიაზე

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:

EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

5.2.5.2.3.4 ქვეწარმავლები (კლასი: Reptilia)

საპროექტო რეგიონში ხვლიკებიდან გვხვდება: გველხოკერა (*Ophisaurus apodus*), მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*), ზოლიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*), საშუალო ხვლიკი (*Lacerta media*), ქართული ხვლიკი (*Darevskia rudis*). გველებიდან: გველბრუცა (*Typhlops vermicularis*), სპილენძა (*Coronella austriaca*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), წენგოსფერი მცურავი (*Platyceps najadum*), წითელმუცელა მცურავი (*Dolichophis schmidti*), საყელოიანი ეირენისი (*Eirenis collaris*), კატისთვალა გველი (*Telescopus fallax*), წყნარი ეირენისი (*Eirenis modestus*), გიურზა (*Macrovipera lebetina*), ასევე ხმელთაშუაზღვეთის კუ (*Testudo graeca*) და სხვა.

ცხრილი 5.2.5.2.3.4.1. საკვლევე ტერიტორიის მიმდებარედ ლიტერატურულად ცნობილი სახეობები

N	ქართული (სამეცნიერო დასახელება)	ლათინური დასახელება	IUCN	RLG	Bern Conv.	დაფიქსირდა (ჰაბიტატის ტიპები - 1) არ დაფიქსირდა X
1.	სპილენძა	<i>Coronella austriaca</i>	LC		√	x
2.	წენგოსფერი მცურავი	<i>Platyceps najadum</i>	LC			x
3.	წითელმუცელა მცურავი	<i>Dolichophis schmidti</i>	LC			x
4.	საყელოიანი ეირენისი	<i>Eirenis collaris</i>	LC			x
5.	წყნარი ეირენისი	<i>Eirenis modestus</i>	LC			x
6.	გიურზა	<i>Macrovipera lebetina</i>	LC			x
7.	გველბრუცა	<i>Xerotyphlops vermicularis</i>	LC			x
8.	კატისთვალა გველი	<i>Telescopus fallax</i>	LC			x
9.	ჩვეულებრივი ანკარა	<i>Natrix natrix</i>	LC			x
10.	გველხოკერა	<i>Ophisaurus apodus</i>	LC			x
11.	ზოლიანი ხვლიკი	<i>Lacerta strigata</i>	LC			x
12.	საშუალო ხვლიკი	<i>Lacerta media</i>	LC			x
13.	მარდი ხვლიკი	<i>Lacerta agilis</i>	LC		√	x
14.	ქართული ხვლიკი	<i>Darevskia rudis</i>	LC			x
15.	ხმელთაშუაზღვეთის კუ	<i>Testudo graeca</i>	VU	VU	√	x

IUCN - კატეგორიები ფორმულირდება შემდეგი სახით:
 EX – გადაშენებული; EW – ბუნებაში გადაშენებული; CR – კრიტიკულ საფრთხეში მყოფი; EN – საფრთხეში მყოფი; VU – მოწყვლადი; NT – საფრთხესთან ახლოს მყოფი; LC – საჭიროებს ზრუნვას; DD – არასრული მონაცემები; NE – არ არის შეფასებული

5.2.5.2.3.5 უხერხემლოები (Invertebrata)

უხერხემლო ცხოველების ფაუნა ანგარიშში ეყრდნობა ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის და სავლე კვლევის შედეგებს. ჩატარებული სავლე კვლევების მიზანი იყო პროექტის გავლენის ზონაში მობინადრე უხერხემლო ცხოველებისთვის ადგილსამყოფლების განსაზღვრა და ამ ტერიტორიაზე გავრცელებული უხერხემლო ცხოველების იდენტიფიკაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა წითელი ნუსხის და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დაცულ სახეობებს.

უხერხემლოების აღრიცხვა ხდება ვიზუალურად, აქ შედის პეპლები, ხოჭოები, ნემსიყლაპიები, ფუტკრისნაირები, კალიები, ობობები, მოლუსკები. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- მწერების ჭერა და იდენტიფიკაცია;
- ქვებისა და ნიადაგის საფენის გადაბრუნება;
კოდი	დასახელება		გაფრქვეულია გაწმენდის გარეშე		სულ მოხვედა გამწმენდ მოწყობილობაში	სულ	მათ შორის უტილიზებულია		
			სულ	ორგანიზებული გამოყოფის წყაროდან					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
123	რკინის ტრიოქსიდი (რკინის ოქსიდი) (რკინაზე გადაანგარიშებით)	22.30028	22.30028	-	-	-	-	22.30028	0.00
133	კადმიუმის ოქსიდი (კადმიუმზე გადაანგარიშებით)	0.056860	0.056860	-	-	-	-	0.056860	0.00
143	მანგანუმი და მისი ნაერთები (მანგანუმის (IV) ოქსიდზე გადაანგარიშებით)	0.10622	0.10622	-	-	-	-	0.10622	0.00
146	სპილენძის ოქსიდი (სპილენძზე გადაანგარიშებით)	0.005680	0.005680	-	-	-	-	0.005680	0.00
163	ნიკელი (მეტალური ნიკელი)	0.199010	0.199010	-	-	-	-	0.199010	0.00
183	ვერცხლისწყალი (ლითონური ვერცხლისწყალი)	0.014210	0.014210	-	-	-	-	0.014210	0.00
184	ტყვია და მისი არაორგანული ნაერთები (ტყვიაზე გადაანგარიშებით)	0.739190	0.739190	-	-	-	-	0.739190	0.00
203	ქრომი (ექვსვალენტისანი) (ქრომის (VI) ოქსიდზე გადაანგარიშებით)	0.028430	0.028430	-	-	-	-	0.028430	0.00
207	თუთიის ოქსიდი (თუთიაზე გადაანგარიშებით)	1.023490	1.023490	-	-	-	-	1.023490	0.00
301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	2128.056	2128.056	-	-	-	-	2128.056	0.00
304	აზოტის (II) ოქსიდი (აზოტის ოქსიდი)	1.715557	1.715557	-	-	-	-	1.715557	0.00
322	გოგირდმჟავა (H2SO4 მოლეკულის მიხედვით)	0.162000	0.162000	-	-	-	-	0.162000	0.00
325	დარიშხანი, არაორგანული ნაერთები (დარიშხანზე გადაანგარიშებით)	0.042640	0.042640	-	-	-	-	0.042640	0.00

330	გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის ანჰიდრიდი)	320.770400	320.770400	-	-	-	-	320.770400	0.00
337	ნახშირბადის ოქსიდი	6867.485	6867.485	-	-	-	-	6867.485	0.00
342	აირადი ფტორიდები	0.002452	0.002452	-	-	-	-	0.002452	0.00
344	სუსტად ხსნადი ფტორიდები	0.010370	0.010370	-	-	-	-	0.010370	0.00
348	ორთოფოსფორმჟავა	0.013000	0.013000	-	-	-	-	0.013000	0.00
410	მეთანი	100.800000	100.800000	-	-	-	-	100.800000	0.00
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	0.000075	0.000075	-	-	-	-	0.000075	0.00
2902	შეწონილი ნაწილაკები	32413.05282	90.3748238	-	32322.87600	31676.41922	31676.41922	736.831600	97.73
2908	არაორგანული მტვერი: 70-20% SiO ₂	0.005470	0.005470	-	-	-	-	0.005470	0.00
2936	ხის მტვერი	0.53875	0.25075	-	0.288	0.202	0.202	0.33675	37,5

6.2.4 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის ანგარიში

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაზნევის კომპიუტერული მოდელირება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაზნევის კომპიუტერული მოდელირება შესრულებულია შპს „რუსთავის ფოლადი“-ს 60 გაფრქვევის წყაროს ერთდროულად ფუნქციონირებისას და ფონის სახით გათვალისწინებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/8390, 30/12/2022 წლის წერილის დანართში მოცემული საწარმოების გაფრქვევები:

- შპს „რუსელოს“ ფეროშენადნობების საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების გაფრქვევები (გ-401 - გ-446);
- სააქციო საზოგადოება „რუსთავილი“-ს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების გაფრქვევები (გ-601 - გ-612);
- შპს „ბულატი“-ს ტერიტორიაზე მდებარე შ.პ.ს. „არესემ კორპი“-ს ფეროშენადნობის საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების გაფრქვევები (გ-301 - გ-315);
- შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს რუსთავის ცემენტის ქარხნის ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების გაფრქვევები (გ-701 - გ-723). ვერ იქნე მოძიებული მშრალი წესით ცემენტის წარმოების ქარხნის დოკუმენტაცია, რომელიც განთავსებულია შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საზღვრიდან 500 მეტრის რადიუსში. გათვალისწინებულია სველი მეთოდით ცემენტის წარმოების ქარხნის გაფრქვევები (მანძილი 730.0 მ);

ასევე გათვალისწინებულია:

- შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ტერიტორიაზე მდებარე შპს „ელბა ექსპორტი“-ს კირის საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების გაფრქვევები (გ-101 - გ-126);
- შპს „ჯეოსთილი“-ს მეტალურგიული საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების გაფრქვევები (გ-201 - გ-248);
- შპს „მნ გრუპი-2021“-ს ტერიტორიაზე მდებარე შპს „ჯორჯიან ელოის გრუპი“-ს ფეროშენადნობთა ქარხნის ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების გაფრქვევები (გ-501 - გ-515);

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაზნევის კომპიუტერულ მოდელირებაში ფონის სახით გამოყენებულია ის ნივთიერებები, რომლებიც გაიფრქვევა შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ფუნქციონირებისას.

ზემოთმოყვანილ გაანგარიშებების საფუძველზე შესრულებულია გაზნევის ანგარიში [15]-ს მიხედვით.

საანგარიშო მოედანი

მოედნის სრული აღწერა				სიგანე (მ)	ბიჯი (მ)		საშუალო სიღრმე (მ)
1-ლი მხარის შუა წერტილის კოორდინატები (მ)		2-ლი მხარის შუა წერტილის კოორდინატები (მ)			სიგანეზე	სიგრძეზე	
X	Y	X	Y				
-3048.00	-260.00	5042.00	-260.00	4800.000	200.00	200.00	2.00

საკონტროლო წერტილები


წერტილი N	კოორდინატები (მ)		წერტილის ტიპი
	X	Y	
1	-68.00	1589.50	საცხოვრებელი სახლი მანძილი 200.0 მ.
2	-267.00	1405.50	საცხოვრებელი სახლი მანძილი 240.0 მ.

3	-516.50	805.50	რუსთავის დამოუკიდებელი ინსტიტუტი მანძილი 50.0 მ.
4	-909.00	126.00	საცხოვრებელი სახლი მანძილი 32.0 მ.
5	-430.50	-602.00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №17 პენიტენციური დაწესებულება მანძილი 50.0
6	62.50	-1152.50	საცხოვრებელი სახლი მანძილი 1.0 მ.
7	392.00	-1356.00	საცხოვრებელი სახლი მანძილი 20.0 მ.
8	880.50	-1566.00	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №16 პენიტენციური დაწესებულება მანძილი 39.0
9	0.42	1884.84	ნორმირებული 500 მ-იანი ზონის საზღვარი
10	1946.55	0.03	ნორმირებული 500 მ-იანი ზონის საზღვარი
11	-1.33	-1706.15	ნორმირებული 500 მ-იანი ზონის საზღვარი
12	-1456.21	-0.22	ნორმირებული 500 მ-იანი ზონის საზღვარი


ნივთიერებები, რომელთა ანგარიშიც არა მიზანშეწონილია, ან რომლებიც არ მონაწილეობს ანგარიშში ანგარიშის მიზანშეწონილობის კრიტერიუმები E3=0.01

კოდი	დასახელება	ჯამი Cm/ზდკ
0133	კადმიუმის ოქსიდი (კადმიუმზე გადაანგარიშებით)	0.005
0146	სპილენძის ოქსიდი (სპილენძზე გადაანგარიშებით)	0.000
0163	ნიკელი (მეტალური ნიკელი)	0.004
0183	ვერცხლისწყალი (ლითონური ვერცხლისწყალი)	0.002
0203	ქრომი (ექსვალენტიანი) (ქრომის (VI) ოქსიდზე გადაანგარიშებით)	0.001
0207	თუთიის ოქსიდი (თუთიაზე გადაანგარიშებით)	0.001
0325	დარიშხანი, არაორგანული ნაერთები (დარიშხანზე	0.003


ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის გრაფიკული ნაწილი




ნივთიერება: 0123 რკინის ტრიოქსიდი (რკინის ოქსიდი) (რკინაზე გადაანგარიშებით). მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0143 მანგანუმი და მისი ნაერთები (მანგანუმის (IV) ოქსიდზე გადაანგარიშებით). მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0184 ტყვია და მისი არაორგანული ნაერთები (ტყვიაზე გადაანგარიშებით). მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0301 აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი). მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0304 აზოტის (II) ოქსიდი (აზოტის ოქსიდი).
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0330 გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის ანჰიდრიდი).
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0322 გოგირდმჟავა (H2SO4 მოლეკულის მიხედვით).
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0337 ნახშირბადის ოქსიდი.
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0342 აირადი ფტორიდები.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0344 სუსტად ხსნადი ფტორიდები.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0348 ორთოფოსფორმჟავა.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 0410 მეთანი.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19.
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 2902 შეწონილი ნაწილაკები.
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 2908 არაორგანული მტვერი: 70-20% SiO2.
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 2936 ხის მტვერი.
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 6034 ტყვიის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.




ნივთიერება: 6041 გოგირდის დიოქსიდი და გოგირდმჟავა.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.



ნივთიერება: 6053 წყალბადის ფთორიდი და ფთორის სუსტად ხსნადი მარილები.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.



ნივთიერება: 6204 აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი.
მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.



ნივთიერება: 6205 გოგირდის დიოქსიდი და წყალბადის ფთორიდი.
 მაქსიმალური კონცენტრაციები საკონტროლო წერტილებში.

6.2.5 მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მიღებული შედეგები და ანალიზი

შემაჯამებელ ცხრილში მოცემულია საკონტროლო წერტილებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაციები ზღვ-წილებში.

მავნე ნივთიერება		მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის წილი ობიექტიდან	
კოდი	დასახელება	უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე	500მ რადიუსის საზღვარზე
1	2	3	4
0123	რკინის ტრიოქსიდი (რკინის ოქსიდი) (რკინაზე გადაანგარიშებით)	0.522	0.193
0143	მანგანუმი და მისი ნაერთები (მანგანუმის (IV) ოქსიდზე გადაანგარიშებით)	0.338	0.379
0184	ტყვია და მისი არაორგანული ნაერთები (ტყვიაზე გადაანგარიშებით)	0.062	0.045
0301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0.941	0.783
0304	აზოტის (II) ოქსიდი (აზოტის ოქსიდი)	0.027	0.011
0322	გოგირდმჟავა (H ₂ SO ₄ მოლეკულის მიხედვით)	0.009	0.001
0330	გოგირდის დიოქსიდი (გოგირდის ანჰიდრიდი)	0.503	0.320
0337	ნახშირბადის ოქსიდი	0.279	0.182
0342	აირადი ფტორიდები	0.006	0.003
0344	სუსტად ხსნადი ფტორიდები	0.002	0.001
0348	ორთოფოსფორმჟავა	0.009	0.001
0410	მეთანი	0.007	0.004
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉	0.089	0.131
2902	შეწონილი ნაწილაკები	0.585	0.360
2908	არაორგანული მტვერი: 70-20% SiO ₂	0.077	0.035
2936	ხის მტვერი	0.206	0.078
6034	ტყვიის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი	0.496	0.322
6041	გოგირდის დიოქსიდი და გოგირდმჟავა	0.503	0.319
6053	წყალბადის ფთორიდი და ფთორის სუსტად ხსნადი მარილები	0.006	0.004
6204	აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი	0.617	0.560
6205	გოგირდის დიოქსიდი და წყალბადის ფთორიდი	0.279	0.178

6.2.6 დასკვნა

გაანგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საწარმოს საზღვრიდან უახლოეს მოსახლესთან (რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ქარხნის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს, უშუალოდ ქარხნის საზღვართან) და 500 მ ნორმირებული ზონის მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. ამდენად, საწარმოს ფუნქციონირება სამტატო რეჟიმში არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხის გაუარესებას და მიღებული გაფრქვევები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები.

6.2.7 შემარბილებელი ღონისძიებები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების რისკების მინიმუმამდე შემცირების და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვის მიზნით გატარებული იქნება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობის ტექნიკური გამართულობის სისტემატური კონტროლი;
- საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების დაცვის მდგომარეობაზე სისტემატური კონტროლი;
- ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ემისიების მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით და უწყვეტი მონიტორინგის სისტემის საშუალებით;
- მილსაგლინავი საამქროს გაფრქვევ მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის მონოქსიდის ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით - შესრულების ვადა 2024 წლის მე-3 კვარტალი;
- სორტული გლინვის საამქროს გაფრქვევ მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის ოქსიდის ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით- შესრულების ვადა 2024 წლის მე-3 კვარტალი;
- საფასონე-სამსხმელო საამქროს 3 ტ/სთ და 5 ტ/სთ წარმადობის ღუმელებისათვის მოეწყობა ახალი აირმტვერდამჭერი სისტემა და გაფრქვევ მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა შეწონილი ნაწილაკების აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის მონოქსიდის ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით- შესრულების ვადა 2024 წლის მე-3 კვარტალი;
- ელექტროფოლად სადნობ საამქროში არსებული და დაკონსერვებული 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელების ამოქმედება მოხდება მხოლოდ აირმტვერდამჭერი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობის შემდეგ;
- საფასონე-სამსხმელო საამქროში დაკონსერვებულია 1 ტონიანი ჰორიზონტალური ელექტრორკალური ღუმელი, 3 ტონიანი ინდუქციური ღუმელი, 0.4 ტონიანი ინდუქციური ღუმელები, საჭიროების შემთხვევაში დაიწყებს ფუნქციონირებას მხოლოდ აირმტვერდამჭერი სისტემების მოწყობის და უწყვეტი მონიტორინგის სისტემაში ჩართვის შემდეგ;
- მადანაღმდგენელი 5 მგვტ-იანი სილიკომანგანუმის ღუმელის ამოქმედება მოხდება მხოლოდ აირმტვერდამჭერი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობის შემდეგ;
- სამოდელო ხის უბანზე მოწყობილი იქნება გამწოვი ვენტილაცია და აირმტვერნარევის მტრისგან გაწმენდის მიზნით (მტვერდამჭერი ციკლონი)-შესრულების ვადა 2024 წლის მე-3 კვარტალი;
- საამქროში სადაც გამოიყენება სალესი (აბრაზიული) ქვების მქონე დანადგარები აღიჭურვება ლოკალური გამწოვი სისტემით - შესრულების ვადა 2026 წელის 1 იანვარი;
- აირმტვერდამჭერი ფილტრების სახელოების შეცვლა მოხდება მწარმოებელი კომპანიის ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადებში და არაგეგმიურად საჭიროების შემთხვევაში;
- სისტემატურად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების რაოდენობის შემცირების მიზნით, მათ შორის: საამქროების შენობების და ფანჯრების შემინვა და შეძლებისდაგვარად ჰერმეტიზაცია, სადნობი ღუმელების და ციხვლულელების გამწოვი სავენტილაციო სისტემების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, ჯართის აირჭრის უბნების დახურულ სათავსებში განთავსება და სხვა;

- უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მიერ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზენორმატიული გაფრქვევის დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოხდება საამქროს ან კონკრეტული უბნის ექსპლუატაციის შეჩერება და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით;
- ტექნოლოგიური ან/და დამხმარე დანადგარების გაუმართაობით და ჰერმეტიკობის დარღვევის შემთხვევაში საწარმო, საამქრო ან/და საამქროს კონკრეტული განყოფილება დაექვემდებარება ავარიულ გაჩერებას;
- მტვრის გავრცელების რისკების მინიმიზაციის მიზნით, ნაყარი ნედლეული მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება მოხდება სპეციალური საფარით დაფარული ძარის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით;
- მშრალი ამინდის პირობებში, საჭიროების შემთხვევაში მოხდება საწარმოს შიდა გზების დანამვა ამტვერების პრევენციის მიზნით;
- საწარმოში დასაქმებულ პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი გარემოსდაცვითი და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე;
- საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მოხდება მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება;
- ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების ზემოთ აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგი უახლოესი საცხოვრებელი ზონის და 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარებზე, მონიტორინგის გეგმის მიხედვით.

6.2.8 ზოგადი მოსაზრებები ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ და საწარმოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები

გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ფონური მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის ადგილი აქვს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის კონცენტრაციის გადაჭარბებას. არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების ერთერთი ძირითადი ღონისძიებაა ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სამრეწველო საწარმოს ემისიის ორგანიზებული წყაროები აღიჭურვოს აირმტვერდამჭერი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემებით.

როგორც 6.2.8 პარაგრაფშია მოცემული, საწარმოს ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელი აღჭურვილია აირმტვერდამჭერი სისტემით და დამონტაჟებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემა. რაც შეეხება საწარმოში არსებულ სხვა ღუმელებს, ყველა კონკრეტული ღუმელისათვის განსაზღვრულია აირმტვერდამჭერი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობის კონკრეტული ვადები (იხილეთ შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა, პარაგრაფი 7.).

აირმტვერდამჭერი სისტემების მოწყობამდე, დღეისათვის დაკონსერვებულია ფოლადსადნობ საამქროში არსებული 2 ერთეული 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელი და საფოსო-სამსხმელო საამქროში არსებული ერთ ტონიანი ჰორიზონტალური ელექტრორკალური ღუმელი, 3 ტონიანი ინდუქციური ღუმელი, 0.4 ტონიანი ინდუქციური ღუმელი და მადანაღმდგენელი 5 მგტ-იანი სილიკომანგანუმის ღუმელი.

უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობაა გათვალისწინებული მილსაგლინავი და სორტული გლინვის საამქროების გამახურებელი ღუმელების გამფრქვევ მილებზე.

აღნიშნული და შემარბილებელი ღონისძიებების გეგმით დაგეგმილი სხვა ღონისძიებების შესრულება მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს ქალაქის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.

6.3 ხმაურის გაანგარიშებისას გამოყენებული მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები

6.3.1 ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია

საქართველოში ხმაურის გავრცელების დონეები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“. ხმაურის დონე არ უნდა აღემატებოდეს ამ რეგლამენტით დადგენილ დონეებს. აღნიშნული ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე წინამდებარე დოკუმენტში განსახილველი პროექტისთვის მიღებული იქნა ხმაურთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

ცხრილი 6.3.1.1. ხმაურთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები

რანჟირება	კატეგორია	საცხოვრებელ ზონაში	სამუშაო. ინდუსტრიულ ან კომერციულ ზონაში
1	ძალიან დაბალი	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3 დბა-ზე ნაკლებით. საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში <45 დბა-ზე. ხოლო ღამის საათებში <40 დბა-ზე	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3დბა-ზე ნაკლებით და <70 დბა-ზე
2	დაბალი	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3-5დბა-ით. საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში <50დბა-ზე. ხოლო ღამის საათებში <40დბა-ზე	აკუსტიკური ფონი გაიზარდა 3-5 დბა-ით და <70 დბა-ზე
3	საშუალო	აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 6-10დბა-ით. საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში >55დბა-ზე. ხოლო ღამის საათებში >45დბა-ზე	<70 დბა-ზე. აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 6-10 დბა-ით
4	მაღალი	აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 10 დბა-ზე მეტით. საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში >70 დბა-ზე. ხოლო ღამის საათებში >45 დბა-ზე	>70 დბა-ზე. აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 10 დბა-ზე მეტით
5	ძალიან მაღალი	აკუსტიკური ფონი სენსიტიურ რეცეპტორებთან გაიზარდა 10დბა-ზე მეტით. საცხოვრებელ ზონაში დღის საათებში >70 დბა-ზე და ახლავს ტონალური ან იმპულსური ხმაური. ღამის საათებში >45 დბა-ზე	>70 დბა-ზე. ახლავს ტონალური ან იმპულსური ხმაური

6.3.2 ზემოქმედების შეფასება


ქარხნის ტერიტორიაზე ხმაურწარმომქმნელი ძირითადი წყაროები განთავსებულია საწარმოო საამქროების დახურულ შენობებში, რაც გარკვეულად ამცირებს ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების დონეებს. საწარმოს გარემოსდაცვითი სამსახურის მიერ, ხმაურის დონეების მონიტორინგი წარმოებს როგორც საამქროების სამუშაო ზონებში, ასევე საამქროების მიმდებარე ტერიტორიებზე.

ხმაურის გავრცელების დონეების ინსტრუმენტული გაზომვები ჩატარდა გზმ-ს პროცესში, რომლის დროსაც დონეების განსაზღვრა მოხდა ასევე საწარმოს საზღვრის პერიმეტრზე შერჩეულ წერტილებშიც. გაზომვის შედეგები მოცემულია ცხრილში 6.3.2.1., ხოლო საწარმოს საზღვრის პერიმეტრზე შერჩეული საკონტროლო წერტილების განლაგების სქემა სურათზე 6.3.2.1.

ცხრილი 6.3.2.1. ხმაურის ინსტრუმენტული გაზომვის შედეგები

წყაროს N	დასახელება	ხმაურის დონე დეციბელებში		
		სამუშაო ზონები, დბა	საამქროს მიმდებარე ტერიტორია, დბა	ქარხნის საზღვრის პერიმეტრზე, დბა
1	ელექტროფოლადსადნობი	110	62	
2	სორტული გლინვის საამქრო	105	58	
3	მილსაგლინავი საამქრო	115	65	
4	საფასონო-საჩამომსხმელო	95	56	
5	საურნალე საამქრო	120	95	
6	მექანიკურ-შემკეთებელი	85	56	
7	ლითონკონსტრუქციების	92	52	
8	წყალმომარაგების სატუმბი სადგური	90	54	
9	საკომპრესორო		95	
10	წერტილი N1: X=501879, Y=4598545			48
11	წერტილი N2: X= 501696, Y= 4598167			52
12	წერტილი N3: X= 501434, Y= 4597651			67
13	წერტილი N4: X= 501882, Y= 4597207			71
14	წერტილი N5: X= 503145, Y= 4596266			42
15	წერტილი N6: X= 502279, Y= 4599013			45

სურათი 6.3.2.1. საწარმოს საზღვრის პერიმეტრზე ხმაურის გაზომვის საკონტროლო წერტილების განლაგების სქემა



გაზომვის შედეგების მიხედვით, საწარმოს პერიმეტრზე შერჩეულ საკონტროლო წერტილებში დღის საათებისათვის დადგენილ ნორმებზე გადაჭარბებას ადგილი აქვს 2 წერტილში, რაც გამოწვეულია ელექტროფოლადსადნობ და მილსაგლინავ საამქრობთან სიახლოვით.

საცხოვრებელი ზონების საზღვრებზე ხმაურის დონეების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია მოქმედი საამქრობის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარებული გაზომვებს შედეგები.

როგორც 4.1. პარაგრაფის 4.1.2. სურათზეა მოცემული, ქარხნის მოქმედი საამქრობი, რომლებშიდაც განთავსებულია ხმაურის გავრცელების წყაროები, მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული საწარმოს საზღვრიდან და შესაბამისად საცხოვრებელი ზონებიდან, გარდა მილსაგლინავი საამქროსა, რომელიც N17 სასჯელაღსრულების დაწესებულების შენობიდან დაცილებულია 30 მ-ით, და საწარმოს დასავლეთით მდებარე საცხოვრებელი ზონის საზღვრისა საიდანაც დაცილების მანძილი შეადგენს 50 მ-ს. ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება შესრულებულია აღნიშნული წერილებისათვის და გამოყენებულია ამ წერტილების სიახლოვეს საწარმოს საზღვართან ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვის შედეგები.

ხმაურის გავრცელების გაანგარიშებები ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- განისაზღვრება ხმაურის წყაროები და მათი მახასიათებლები;
- განისაზღვრება ხმაურის გავრცელების მიმართულება ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე. შესრულებულია გარემოს ელემენტების აკუსტიკური გაანგარიშებები, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგაობა და ა.შ.);
- განისაზღვრება ხმაურის მოსალოდნელი დონე საანგარიშო წერტილებში და ხდება მისი შედარება ხმაურის დასაშვებ დონესთან;
- საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება ხმაურის დონის საჭირო შემცირების ღონისძიებები.

როგორც აღინიშნა, საწარმოში წარმოდგენილი ხმაურის გამომწვევი ძირითადი სტაციონალური წყაროები, რომლებიც ძირითადად განთავსებულია დახურულ შენობაში, გარდა ამისა, საწარმოს ტერიტორიაზე, ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებულია შიდა გზები, რაც ასევე ხმაურის გავრცელების დამატებითი წყაროა.

საწარმოდან ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშებისას დაშვებულია ყველაზე პესიმისტური სცენარი, როცა ხმაურის ყველა წყარო იმუშავებს ერთდროულად.

საანგარიშო წერტილში ბგერითი წნევის ოქტავური დონეები, გაიანგარიშება ფორმულით:

$$L = L_p - 15 \lg r + 10 \lg \Phi - \frac{\beta_a r}{1000} - 10 \lg \Omega, \quad (1)$$

სადაც,

L_p – ხმაურის წყაროს სიმძლავრის ოქტავური დონე;

Φ – ხმაურის წყაროს მიმართულების ფაქტორი, უგანზომილებო, განისაზღვრება ცდის საშუალებით და იცვლება 1-დან 8-მდე ბგერის გამოსხივების სივრცით კუთხესთან დამოკიდებულებით);

r – მანძილი ხმაურის წყაროდან საანგარიშო წერტილამდე;

Ω – ბგერის გამოსხივების სივრცითი კუთხე, რომელიც მიიღება: $\Omega = 4\pi$ -სივრცეში განთავსებისას;

$\Omega = 2\pi$ - ტერიტორიის ზედაპირზე განთავსებისას; $\Omega = \pi$ - ორ წიბოიან კუთხეში; $\Omega = \pi/2$ – სამ წიბოიან კუთხეში;

β_a – ატმოსფეროში ბგერის მილევადობა (დბ/კმ) ცხრილური მახასიათებელი.

ოქტავური ზოლების საშუალო გეომეტრიული სიხშირეები, H3ც.	63	125	250	500	1000	2000	4000	8000
β _a დბ/კმ	0	0.3	1.1	2.8	5.2	9.6	25	83

ხმაურის წარმოქმნის უბანზე ხმაურის წყაროების დონეების შეჯამება ხდება ფორმულით: n

$$10\lg \sum 10^{0.1L_{pi}^{n-1}} \quad (2)$$

სადაც: L_{pi} – არის i -ური ხმაურის წყაროს სიმძლავრე.

გათვლების შესასრულებლად გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

- 1) თუ ერთ უბანზე განლაგებულ რამდენიმე ხმაურის წყაროს შორის მანძილი გაცილებით ნაკლებია საანგარიშო წერტილამდე მანძილისა, წყაროები გაერთიანებულია ერთ
- 2) ერთ ჯგუფში გაერთიანებული წყაროების ხმაურის ჯამური დონის გავრცელების შესაფასებლად საანგარიშო წერტილამდე მანძილად აღებულია მათი გეომეტრიული ცენტრიდან დაშორება;
- 3) სიმარტივისთვის, გათვლები შესრულებულია ბგერის ექვივალენტური დონეებისთვის (დბა) და ატმოსფეროში ბგერის ჩაქრობის კოეფიციენტად აღებულია მისი ოქტავური მაჩვენებლების გასაშუალოებული სიდიდე: $\beta_{საშ}=10.5$ დბ/კმ;

ანგარიშისათვის აღებულია მოქმედი საამქროების მიმდებარე ტერიტორიებზე ინსტრუმენტული გაზომვებით მიღებული ხმაურის გავრცელების დონეები (იხილეთ ცხრილი 6.3.2.1.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქარხნის საამქროები მნიშვნელოვანი მანძილებითაა დაცილებული ერთმანეთისაგან და შესაბამისად ყველა საამქროს ხმაურის დონეების შეჯამება მიზანშეწონილი არ არის, რადგან მიღებული იქნება არა რელევანტური შედეგები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვრებზე ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება მოხდება საწარმოს საზღვრებზე ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვების შედეგების გათვალისწინებით.

როგორც აღინიშნა, მილსაგლინავი საამქროს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან დაცილების მანძილი შეადგენს 30 მ-ს, ხოლო საწარმოს საზღვართან (წერტილი N4) ჩატარებული გაზომვის შედეგების მიხედვით ხმაურის საშუალო დონემ შეადგინა 71 დბა. დასავლეთის მხარეს საცხოვრებელი ზონის საზღვრამდე დაცილების მანძილი შეადგენს 50 მ-ს, ხოლო საწარმოს საზღვარზე (წერტილი N3) ხმაური გავრცელების დონემ შეადგინა 67 დბა.

საკონტროლო წერტილებში ხმაურის დონის გაანგარიშება ხდება პირველი ფორმულის გამოყენებით:

- N17 სასჯელაღსრულების დაწესებულების საზღვარი-დაცილება 30 მ:

$$L = 71 - 15 \cdot \lg + 10 \cdot \lg 30 - 10.5 \cdot 30 / 1000 - 10 \cdot \lg 2 \quad \pi = 43.5 \text{ დბა}$$

- საწარმოს დასავლეთით მდებარე საცხოვრებელი ზონის საზღვარი - დაცილება 50 მ:

$$L = 67 - 15 \cdot \lg + 10 \cdot \lg 30 - 10.5 \cdot 67 / 1000 - 10 \cdot \lg 2 \quad \pi = 39.5 \text{ დბა}$$

გაანგარიშების შედეგების მიხედვით, საწარმოს ტერიტორიის სამხრეთის მხარეს მდებარე დაწესებულების საზღვართან, ადგილი აქვს ღამის საათებისათვის დადგენილი ხმაურის გავრცელების დონის გადაჭარბებას (ნორმა 40 დბა), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და ხელოვნურ ბარიერებს (ხე მცენარეები, ბეტონი ღობე და სხვა), ხმაურის გავრცელების დონეები შემცირდება მინიმუმ 5-10 დბა-თი და შესაბამისად ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

გამომდინარე იქედან, რომ ქარხნის ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი ზონები შედარებით დიდი მანძილებითაა დაცილებული საზღვრებიდან, ხმაურის გავრცელების დონეები არ გადააჭარბებს ნორმირებულ დონეებს. როგორც აღინიშნა, საწარმოს ტერიტორიიდან ხმაურის გავრცელების დონეებს მნიშვნელოვნად ამცირებს ტერიტორიაზე არსებული მცენარეული საფარი.

ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებულია ასევე, საწარმოს ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციისათვის მიმდინარე სატრანსპორტო ოპერაციები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სატრანსპორტო ოპერაციების უპირატესად სრულდება ქალაქის შემოვლითი გზების გამოყენებით, ნეგატიური ზემოქმედების რისკი არ არის მაღალი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ხმაურის გავრცელების დონეები არ გადააჭარბებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილებით მიღებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ დონეებს. აღნიშნული დასტურდება იმ ფაქტით, რომ ხმაურის ზენორმატიულ გავრცელებასთან დაკავშირებით მოსახლეობის საჩივარ განცხადებები ქარხნის ადმინისტრაციაში შემოსული არ არის.

6.3.3 შემარბილებელი ღონისძიებები

ხმაურის ზენორმატიული გავრცელების რისკების მინიმუმადე შემცირების მიზნით, გატარებული იქნება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- სისტემატიურად განხორციელდება საწარმოში განთავსებული ტექნოლოგიური დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი მაკორექტირებელი ზომები;
- უზრუნველყოფილი იქნება ნედლეულის შემოტანის და პროდუქციის გატანის ოპერაციებში ჩართული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობა;
- ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული იქნება მხოლოდ ქ. რუსთავის სამრეწველო ზონებში განთავსებული და ქ. რუსთავის შემოვლითი გზები და საჭიროების შემთხვევაში არსებული რკინიგზა.
- სისტემატიურად განხორციელდება საწარმოში განთავსებული ტექნოლოგიური დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში გატარდება შესაბამისი მაკორექტირებელი ზომები;
- მონიტორინგის გეგმის მიხედვით განხორციელდება ხმაურის გავრცელების დონეების მონიტორინგი, ინსტრუმენტული გაზომვის მეთოდით, საწარმოს საზღვარზე საცხოვრებლო ზონის მიმართულებით შერჩეულ საკონტროლო წერტილში;
- ქარხნის საწარმოო საამქროებში, საჭიროების შემთხვევაში პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება დაცვის საშუალებებით (ყურსაცმეები);
- საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მოხდება მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება, ზემოთჩამოთვლილი ღონისძიებების გათვალისწინებით.

6.4 ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული ზემოქმედება

6.4.1 ზემოქმედების დახასიათება

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადგილი აქვს როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასთან დაკავშირებით ადგილი აქვს წარმოქმნილი

ნარჩენების რაოდენობრივ ცვლილებას, მაგრამ ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობა შეცვლილი არ არის, გარდა აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრისა, რაც ქარხანაში არ წარმოიქმნებოდა ასეთი სისტემების არ არსებობის გამო. 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის ამოქმედებასთან დაკავშირებით გაზრდილია დნობის პროცესში წარმოქმნილი წიდის რაოდენობა, კერძოდ 40 000 ტონიდან გაზრდილია დაახლოებით 80 ათას ტ/წლამდე. მეორეული ხენჯის რაოდენობა გაზრდილია 2700 ტონიდან გაზრდილია 3200 ტ/წლამდე. აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 1450

ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის (10 02 02), ხენჯის (10 02 10) და მტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის (10 02 15) მართვა მოხდება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით, რომელიც თან ერთვის გზშ-ს ანგარიშს (იხილეთ დანართი 3.).

წიდის და ხენჯის დროებითი დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით, ხდება ელექტროფოლადსადნობი საამქროს აღმოსავლეთის მხარეს არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე, რომლის გეოგრაფიული კოორდინატებია:

1. X=502307, Y= 4597513;
2. X= 502390, Y= 4597401;
3. X= 502465, Y= 4597450;
4. X= 502361, Y= 4597561.

დღეისათვის ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ წიდის საყარზე დასაწყობებულია დაახლოებით 700-800 ათასი ტონა წიდა.

საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი წიდა დაექვემდებარება გადამუშავებას მეტალური და არამეტალური ფრაქციების მიღების მიზნით. მეტალური ფრაქცია დაბრუნდება ფოლადსადნობ საამქროში, როგორც ნედლეული, ხოლო არამეტალურ ფრაქციას გაუკეთდება რეალიზაცია შემდგომი გამოყენების მიზნით ან დასაწყობდება წიდისა და ჯართის გადამუშავების საამქროს ტერიტორიაზე.

აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის დასაწყობება ხდება, ელექტროფოლადსადნობი საამქროს კომპლექსში არსებულ დახურულ სათავსში ნაყარის სახით და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კონტრაქტორს. დაგროვების შესაბამისად, მტვრის გადაცემა გათვალისწინებულია შესაბამის კონტრაქტორზე სამშენებლო მასალების წარმოების მიზნით, ან დასაწყობდება საწარმოს წიდისა და ჯართის დამუშავების საამქროს (წიდასაყარი) ტერიტორიაზე. მტვრის საწარმოო ციკლში დაბრუნების ტექნოლოგიური პროცესის დანერგვა ამ ეტაპზე არ გათვალისწინებული არ არის.

გზშ-ს პროცესში შპს „რუსთავის ფოლადი“-ს დაკვეთით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიაში ჩატარდა მეტალურგიული საწარმოს მტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის ლაბორატორიული და წიდის ლაბორატორიული კვლევა. ლაბორატორიის მიერ 2022 წლის დასკვნის მიხედვით საწარმოში წარმოქმნილი წიდა, ხენჯი და მტვერი მიეკუთვნება არასახიფათო ნარჩენებს. ლაბორატორიული კვლევის ანგარიში თან ერთვის გზშ-ის ანგარიშს (იხილეთ დანართი N5).

რაც შეეხება ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელ სახიფათო ნარჩენებს, მათგან აღსანიშნავია:

- ინდუსტრიული და სატრანსპორტო ზეთების ნარჩენები;
- ზეთებით დაბინძურებული ქსოვილების ნარჩენები;
- შედუღების ელექტროდების ნარჩენები;

- ნარევი შესაფუთი მასალა;
- აბსორბენტები, ფილტრის მასალები.

ქარხანაში სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობებისათვის გამოყოფილია შესაბამისი სათავსები. ნარჩენების მართვის პროცესის ორგანიზაციას და ზედამხედველობას ახორციელებს გარემოსდაცვითი მმართველი.

6.4.2 შემარბილებელი ღონისძიებები

ნარჩენების წარმოქმნასთან და გავრცელებასთან დაკავშირებული რისკები მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა განხორციელდეს ნარჩენების სახეობების, მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით. ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების დროს მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს გარემოს დაბინძურება, დანაგვიანება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის თანახმად, ნარჩენების წარმოქმნილი და ნარჩენების მფლობელი ვალდებული არიან, ნარჩენები თავად დაამუშაონ ან შეგროვების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების მიზნით გადასცენ შესაბამისი უფლების მქონე პირებს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საწარმოს ექსპლუატაციის ფაზებზე წარმოქმნილი ნარჩენების ნაწილის დამუშავებას უზრუნველყოფს შპს „რუსთავის ფოლადი“, ხოლო ნაწილი, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. ნარჩენების მართვა მოხდება ნარჩენების მართვის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, მათ შორის:

- უზრუნველყოფილი იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ნარჩენების სეგრეგირებული შეგროვება (სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების გამოყოფა ერთმანეთისაგან);
- უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეგრეგირებული მეთოდით შეგროვებისათვის საჭირო რაოდენობის სპეციალური კონტეინერების განთავსება და მარკირება (ფერი, წარწერა);
- საწარმოში მიღებული ჯართის დახარისხების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები (მოკალულები, ემალირებული, მოთითებული და ფერადი ლითონების, ასევე ძლიერ დაჟანგული მეტალები და სხვა) შემდგომი მართვისათვის გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორს;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ხდება ქ. რუსთავის დასუფთავების მუნიციპალური სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის გამოყოფილია შესაბამისი სათავსები, რომელიც მოწყობილია შესაბამისი წესების დაცვით;
- დროებითი შენახვის ობიექტზე განთავსებული სახიფათო ნარჩენები ინახება კონტეინერებში და/ან კასრებში და/ან ტომრებში, რომლებზეც დატანილია შესაბამისი სახიფათო ნარჩენის აღმნიშვნელი კოდი;
- უზრუნველყოფილია სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტზე შემოტანილი ნარჩენების აღრიცხვა (შემოსული სახიფათო ნარჩენების რაოდენობა, სახეობა და წარმოშობა), ასევე, მითითებულია ადგილი, სადაც გაიგზავნა სახიფათო ნარჩენები დროებითი შენახვის ობიექტიდან. სახიფათო ნარჩენის გატანა საწარმოდან ხორციელდება ლიცენზირებული კონტრაქტორების მიერ;
- უზრუნველყოფილი იქნება საწარმოში დაგეგმილი 50 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენების (წიდის, ხენჯის და ფილტრის მტვერის) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ტექნიკური რეგლამენტის „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და

დამუშავების სპეციალური მოთხოვნები“-ს (საქართველოს მთავრობის 29.03. 2016 წლის დადგენილება №145) შესაბამისად მოხდება ობიექტის რეგისტრაცია;

- შეძლებისდაგვარად მოხდება საწარმოო ნარჩენების ხელახალი გამოყენება;
- აკრძალული იქნება: სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; ნარჩენების შეგროვება კონტეინერის გარეთ; მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება; თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე; სახიფათო ნარჩენების საკანალიზაციო სისტემაში, მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების სხვა ორგანიზაციაზე გადაცემის შემთხვევაში, ნარჩენების გადაცემა შესაბამისი ნებართვის/რეგისტრაციის მქონე ორგანიზაციას;
- ნარჩენების საბოლოო განთავსება მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე, შესაბამისი წესებისა და ნორმების დაცვით;
- უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების ტრანსპორტირების წესების დაცვა (ნარჩენების ჩატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებში მათი ტევადობის შესაბამისი რაოდენობით);
- ნაყარი ნარჩენების საწარმოს ტერიტორიაზე და მის გარეთ ტრანსპორტირება მოხდება სპეციალური საფარით აღჭურვილი ძარის მქონე სატრანსპორტო საშუალებებით;
- აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის დასაწყობება მოხდება ბიგ-ბეგებში დაფასოებული სახით, რისთვისაც მტვერდამჭერი სისტემის ბუნკერზე დამონტაჟებული იქნება შესაბამისი ტექნიკური საშუალება.
- ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელთაც პერიოდულად უტარდება ინსტრუქტაჟი;

6.5 ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული რისკები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული რისკები შეიძლება განვიხილოთ საქმიანობის შემდეგ სახეებით :

- საწარმოს ნედლეულით მომარაგება;
- საწარმოში წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირება.

6.5.1 ზემოქმედების შეფასება


ქარხნის ნედლეულს წარმოადგენს შავი ლითონის ჯართი და წიდის გადამუშავების პროცესში მიღებული მეტალური ფრაქცია. ამ ეტაპზე, საწარმოში ჯართის მიღება მიმდინარეობს ავტომატურად, თუმცა, ტერიტორიაზე ასევე შემოდის რკინიგზა და საჭიროების შემთხვევაში, ხდება მისი გამოყენებაც. ქარხნის წიდისა და ჯართის გადამუშავების საამქროდან მეტალური ფრაქციის ტრანსპორტირება ხდება ავტოტრანსპორტის გამოყენებით.

საწარმოს, სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან ესაზღვრება რუსთავი-გარდაბანის საავტომობილო გზა, დასავლეთის მხრიდან გაგარინის ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთის და ჩრდილ-აღმოსავლეთის მხრიდან დავით გარეჯის ქუჩა. აღნიშნული გზები აქტიურად გამოიყენება მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული სამრეწველო საწარმოების, მათ შორის შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მიერ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გზები დაკავშირებულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალს.

შპს „რუსთავის ფოლადის“ მიერ ნედლეულით მომარაგებისათვის გაგარინის ქუჩა და რუსთავი-

გარდაბანის საავტომობილო გზა, წიდის მეტალურგიული ფრაქციის ტრანსპორტირებისათვის, ხოლო ჯართით და სხვა ნედლეულით მომარაგების და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის უპირატესად გაგარინის ქუჩა და შედეგ გამარჯვება-რუსთავის საავტომობილო გზა. გზების განლაგების სქემა მოცემულია სურათზე 6.5.1.1.

სურათი 6.5.1.1. საწარმოს ნედლეულით მომარაგებისათვის გამოყენებული გზების სქემა



როგორც აღნიშნულიდან ჩანს, საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა, ძირითადად წარმოებს სამრეწველო ზონაში განთავსებული და შემოვლითი გზების გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს ერთ-ერთ ნედლეული, წიდის გადამუშავებისაგან მიღებული ლითონის ჯართი, ელექტროფოლადსადნობ საამქროს მიეწოდება შპს „რუსთავის ფოლადის“ საკუთრებაში არსებული წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი სამქროდან, ხოლო კირით მომარაგება ქარხნის ტერიტორიაზე არსებული შპს „ელბა ექსპორტი“-ს კირის საწარმოდან.

როგორც აღინიშნა ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში სატრანსპორტო ოპერაციები სრულდება ნედლეულით მომარაგებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციისათვის. საწარმოში წარმოებული პროდუქციის (ფოლადის ნაშაადი) რაოდენობა შეადგენს 280 000 ტონას წელიწადში, რისთვისაც საჭიროა დაახლოებით 341 000 ტონა ჯართი. გარდა ამისა დაახლოებით 5%-ს შეადგენს სხვადასხვა დამხმარე მასალები. შესაბამისად ქარხნისათვის საჭირო ნედლეულის მიახლოებით რაოდენობა იქნება 358 000 ტონა წელიწადში. შესაბამისად ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული ნედლეულის და პროდუქციის საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 638 000 ტონას წელიწადში.

ქარხნის ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის ძირითადად გამოყენებულია დიდი ტვირთამწეობის (საშუალოდ 25 ტ) სატრანსპორტო საშუალებები. 638 000 ტონა ტვირთის ტრანსპორტირებისათვის წელიწადში საჭირო იქნება 25 200 სატრანსპორტო ოპერაციის შესრულება, რაც წელიწადში 350 სამუშაო დღის გათვალისწინებით (სატრანსპორტო ოპერაციები სრულდება ძირითადად სამუშაო დღეებში) დღის განმავლობაში იქნება 72 სატრანსპორტო ოპერაცია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სატრანსპორტო ოპერაციების ნაწილი სრულდება სარკინიგზო ტრანსპორტით და შესაბამისად ავტოტრანსპორტით შესრულებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა იქნება შედარებით ნაკლები. წინასწარი დაგეგმვა, თუ რა სატრანსპორტო საშუალება იქნება გამოყენებული ნედლეულის ან მზა პროდუქციის

ტრანსპორტირებისათვის, არ არის შესაძლებელი, რადგან ეს დამოკიდებულია ჯართის მომწოდებლებსა და მზა პროდუქციის შემსყიდველ კომპანიებზე. გამომდინარე აქედან სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების შეფასება შესრულებულია მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტისათვის, რადგან საავტომობილო ტრანსპორტი, სარკინიგზო ტრანსპორტთან შედარებით, ხასიათდება გარემოზე ზემოქმედების მაღალი რისკებით.

როგორც წესი, ქარხნის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სატრანსპორტო ოპერაციები სრულდება ძირითადად დღის და საღამოს საათებში 0.6:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე, გარდა ფორსმაჟორული სიტუაციებისა. უშუალოდ ქარხნის ტერიტორიაზე ნედლეულისა და მზა პროდუქციის გადაადგილება წარმოებს 24 საათის განმავლობაში, რაც აუცილებელია ქარხნის საქმიანობის სპეციფიკის და მუშაობის რეჟიმის გათვალისწინებით.

როგორც აღინიშნა, ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის ძირითადად გამოყენებულია ქ. რუსთავის გარეუბნებში გამავალი გზები და სატრანსპორტო საშუალებების ქ. რუსთავის ტერიტორიაზე მოხვედრის რისკი არ არის მაღალი.

მზა პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება გაგარინის ქუჩიდან ივანე ჯავახიშვილის ქუჩის გავლით და შემდეგ გამარჯვება-რუსთავის გზის გამოყენებით ქ. თბილისის შემოვლითი გზამდე (E60), საიდან დაკავშირება შესაძლებელია ქვეყნის ყველა კუთხესთან. აღნიშნული სატრანსპორტო სქემის გამოყენება ხელსაყრელია ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, კერძოდ: საწარმო მდებარეობს ქ. რუსთავის აღმოსავლეთ საზღვარზე და ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალთან დაკავშირება ბევრად უფრო ადვილია შემოვლითი გზის გამოყენებით, ვიდრე ქალაქის ცენტრალური ქუჩების გავლით.

ქ. რუსთავის ტერიტორიაზე გავლით შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ის სატრანსპორტო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებული იქნება თვით ქალაქის ტერიტორიაზე მოქმედი ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურების მიზნით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქ. რუსთავის მჭიდროდ დასახელებულ უბნებზე გამავალი გზების გამოყენების ალბათობა მინიმალურია და შესაბამისად ქალაქის სატრანსპორტო ნაკადებზე (რომელიც დღეისათვის ისედაც გადატვირთულია) დამატებითი ნეგატიური ზემოქმედება არ არის მაღალი. შესაბამისად მოსალოდნელი არ არის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე დამატებითი მაღალი ზემოქმედება.

გამომდინარე ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული სატრანსპორტო სქემის მკაცრად დაცვის შემთხვევაში, საწარმოს მიმდინარე საქმიანობა ქ. რუსთავის სატრანსპორტო ნაკადებზე და ასევე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და აკუსტიკურ ფონზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

6.5.2 შემარბილებელი ღონისძიებები

სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების მინიმინზაციის მიზნით, გატარებული იქნება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- შპს „რუსთავის ფოლადი“-ს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებებით ნედლეულის, მზა პროდუქციის და ნარჩენების ტრანსპორტირება მოხდება სამრეწველო ზონის ტერიტორიაზე გამავალი და ქალაქის შემოვლითი გზების გამოყენებით. საავტომობილო ტრანსპორტირების გარდა, საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება სარკინიგზო ტრანსპორტი;
- ჯართის მიწოდებისა და მზა პროდუქციის რეალიზაციისათვის აუცილებელი სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება უპირატესად დღის და საღამოს საათებში (06:00-დან 23:00 საათამდე), გარდა ფორსმაჟორული სიტუაციებისა;
- საწარმოს შესასვლელთან განთავსებული იქნება გამაფრთხილებელი ფირნიშები, რომ სატვირთო ოპერაციებისათვის გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ ქალაქის შემოვლითი

- გზები;
- სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება მოხდება მხოლოდ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილისა და „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ მე-15 მუხლის შესაბამისად გაცემული ნებართვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით;
 - საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული იქნება შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვის მიზნით არაუმეტეს 30 კმ/სთ-მდე;
 - საწარმოს მიზნებისათვის დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე ტრანსპორტირება მოხდება არაუმეტეს 50 კმ/სთ სიჩქარით;
 - საწარმოს ტერიტორიაზე ამტვერების რისკების შემცირების მიზნით, უზრუნველყოფილი იქნება გზის ზედაპირების წყლით დასველება;
 - მტვრის გავრცელების რისკების მინიმუმაცის მიზნით ნაყარი ტვირთების ტრანსპორტირება მოხდება სპეციალური საფარით აღჭურვილი მარის მქონე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით;

6.6 ზემოქმედება წყლის გარემოზე

წყლის გარემოზე ზემოქმედების კუთხით წინამდებარე დოკუმენტში განხილულია მხოლოდ წყლის ხარისხის გაუარესების რისკები. საწარმოს მიმდინარე საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ განიხილება ისეთი ზემოქმედებები, როგორცაა წყლის დებიტის ცვლილება, მდინარეთა ნატანის გადაადგილების შეზღუდვა, კალაპოტისა და ნაპირების სტაბილურობის დარღვევა და ა.შ.

6.6.1 ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია

ცხრილი 6.6.1.1. ზედაპირული წყლის ხარისხზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები

რანჟ.	კატეგორია	წყლის ხარისხის გაუარესება
1	ძალიან დაბალი	ნივთიერებათა ფონური კონცენტრაცია და წყლის სიმღვრივე შეუმჩნეველად შეიცვალა
2	დაბალი	ნივთიერებათა კონცენტრაცია ან სიმღვრივე გაიზარდა 50%-ზე ნაკლებით, თუმცა არ აღემატება ზღვ-ს
3	საშუალო	ნივთიერებათა კონცენტრაცია ან წყლის სიმღვრივე გაიზარდა 50-100%-ით, თუმცა არ აღემატება ზღვ-ს
4	მაღალი	ნივთიერებათა კონცენტრაცია ან წყლის სიმღვრივე გაიზარდა 100%-ზე მეტით, ან გადააჭარბა ზღვ-ს
5	ძალიან მაღალი	ნივთიერებათა კონცენტრაცია ან წყლის სიმღვრივე გაიზარდა 200%-ზე მეტად და გადააჭარბა ზღვ-ს

6.6.2 ზემოქმედების დახასიათება

როგორც 4.3.10. პარაგრაფშია მოცემული, საწარმოს სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ქ. რუსთავის წყალსადენის ქსელიდან, ხოლო ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენებულია მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებული ტექნიკური წყალმომარაგების სათაო ნაგებობის შახტური ჭებიდან აღებული წყალი.

საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების სპეციფიკის გათვალისწინებით, ტექნიკური წყლის დიდი რაოდენობის გამოყენება საჭიროა გამაგრებელი სისტემების ფუნქციონირებისათვის. მაგრამ ქარხნის გამაგრებელ სისტემებში დანერგილია ბრუნვითი

წყალმომარაგება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამოყენებული წყლის რაოდენობას. ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემებში საჭიროა წყლის დამატება დანაკარგების შევსების მიზნით, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 600 ათას მ³-ს.

როგორც 4.3.10.1. პარაგრაფშია მოცემული, ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი როგორც საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, ასევე საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ჩაშვებულია გარდაბნის რეგიონული გამწმენდი ნაგებობის მიმყვან კოლექტორში შესაბამისი ხელშეკრულების (იხილეთ დანართი N1) საფუძველზე. გამომდინარე აღნიშნულიდან ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებას ადგილი არ აქვს და შესაბამისად, ზედაპირული წყლების ხარისხზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

საწარმოს შიდა გზები და საწარმოო ტერიტორიები დაფარულია მყარი საფარით, რაც მინიმუმამდე ამცირებს მიწისქვეშა წყლების ხარისხზე ზემოქმედების რისკებს. საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების დაბინძურების წყაროები წარმოდგენილია ტრანსპორტის უბანზე, სადაც მოწყობილია სანიაღვრე წყლების არინების სისტემა და სალექარი.

საწარმოს ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო ზეთების კასრები განთავსებულია სპეციალურად გამოყოფილ სათავსში, ხოლო საწვავის სამარაგო რეზერვუარი მოწყობილია მყარი წყალგამტარი საფარით დაფარულ მოედანზე, რომელიც შემოსაზღვრულია ბეტონის შემოზღუდვით, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ავარიულად დაღვრილი სითხეების ტერიტორიაზე გავრცელებას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ წიდა არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს, მისი საწარმოს ტერიტორიაზე დროებით დასაწყობება მიწისქვეშა წყლების ხარისხზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია, თუმცა საჭიროა ზოგადი ხასიათის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება.

6.6.3 შემარბილებელი ღონისძიებები

ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში წყლის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, გატარებული იქნება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე სისტემატური ზედამხედველობა;
- ნავთობპროდუქტების და ზეთები შენახვის და გამოყენების პირობების დაცვის კონტროლი, ხოლო ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაბინძურებული ფენის დროული მოხსნა და გატანა ტერიტორიიდან შემდგომი მართვის მიზნით;
- ზეთების განთავსების უბანზე და საწვავის სამარაგო რეზერვუარის ტერიტორიაზე დაღვრის შედეგების სალიკვიდაციო საშუალებების (ადსორბენტები, ნიჩბები, სხვა.) განთავსება;
- სისტემატურად მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო და სანიაღვრე კანალიზაციის სისტემების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი აღდგენითი სამუშაოების შესრულება;
- ზეთების და სხვა საწვავ-საპოხი მასალების მართვაზე დასაქმებული პერსონალის ინსტრუქტაჟი გარემოსდაცვით და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე.

6.7 ზემოქმედება გრუნტის ხარისხზე

6.7.1 ზემოქმედების დახასიათება

როგორც აღინიშნა, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისათვის საწარმოს ტერიტორიაზე დამატებით ახალი შენობა-ნაგებობების ან კომუნიკაციების მოსაწყობად სამშენებლო სამუშაოების შესრულება საჭირო არ ყოფილა. ახალი ღუმელი მოწყობილია არსებულ საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებში შესაბამისად მიწის სამუშაოები შესრულებულია საწარმოო შენობების შიდა სივრცეში.

საწარმოს შიდა გზები და საამქროების მიმდებარე ტერიტორიები დაფარულია მყარი საფარით, შესაბამისად გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ტექნოლოგიური ციკლისათვის საჭირო ზეთები და სხვა მასალები ინახება ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში და ავარიული დაღვრის შემთხვევაში ტერიტორიაზე გავრცელების რისკი მინიმალურია.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო, საწარმოო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლები ჩართულია გარდაბნის რეგიონული გამწმენდი ნაგებობის მიმყვან კოლექტორში. როგორც აუდიტის პროცესში დადგინდა, საწარმოს შიდა წყალარინების ქსელების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაბამისად გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

იქიდან გამომდინარე, რომ წიდა არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს, მისი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებით გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საერთო ჯამში დაგეგმილი საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, გრუნტის ხარისხზე ზემოქმედების რისკი მინიმალურია, თუმცა მაინც საჭიროა ზოგადი ხასიათის შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. რომელიც მოცემულია ქვეთავში.

6.7.2 შემარბილებელი ღონისძიებები

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გრუნტის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით, გატარებული იქნება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე სისტემატური ზედამხედველობა;
- ნავთობპროდუქტების და ზეთები შენახვის და გამოყენების პირობების დაცვის კონტროლი, ხოლო ავარიული დაღვრის შემთხვევაში დაბინძურებული ფენის დროული მოხსნა და გატანა ტერიტორიიდან შემდგომი მართვის მიზნით;
- ზეთების განთავსების უბანზე და საწვავის სამარაგო რეზერვუარის ტერიტორიაზე დაღვრის შედეგების სალიკვიდაციო საშუალებების (ადსორბენტები, ნიჩბები, სხვა.) განთავსება;
- ზეთების რეგენერაციის უბანზე მოწყობილია ავარიული დაღვრის შემთხვევისათვის განკუთვნილი შემკრები სისტემა;
- სისტემატურად მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე კანალიზაციის სისტემების ტექნიკური გამართულობის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი აღდგენითი სამუშაოების შესრულება;
- ზეთების და სხვა საწვავ-საპოხი მასალების მართვაზე დასაქმებული პერსონალის ინსტრუქტაჟი გარემოსდაცვით და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე.

6.8 სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების დახასიათება

6.8.1 ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს გავლენით, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და აკუსტიკური ფონის გაუარესებას.

ჩატარებული გაანგარიშებების, პროგრამული მოდელირების და ხმაურის გავრცელების დონეების ინსტრუმენტული გაზომვის შედეგების მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი ზონების საზღვრებთან, საწარმოდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების მიწისპირა კონცენტრაციები და ხმაურის გავრცელების დონეები არ გადააჭარბებს ნორმირებულ მაჩვენებლებს.

საწარმოს ტერიტორია დაცულია (ტერიტორია შემოღობილია და უზრუნველყოფილია სადღეღამისო დაცვა) და შესაბამისად, მათე უცხო პირების მოხვედრის რისკი მინიმალურია. შესაბამისად საწარმოს ექსპლუატაციის ფაზაზე მოსახლეობის უსაფრთხოების რისკები მინიმალურია.

ტექნოლოგიურ პროცესებთან და ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედების რისკი არსებობს საწარმოში დასაქმებულ პერსონალზე, რისთვისაც საჭირო იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება.

საწარმოში დასაქმებული ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესების რისკები შესაძლებელია უკავშირდებოდეს საამქროებში და სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების აირების არსებობას. საწარმოში, ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის ეტაპზე, შესაძლებელია ადამიანების კონტაქტმა მოწყობილობებთან და მასალებთან გამოიწვიოს ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა, რასაც თან შეიძლება მოჰყვეს ადამიანის ორგანიზმისათვის დაზიანების მიყენება მოკლე დროში. გარდა ამისა, ტექნოლოგიური მავნე პროცესების ხანგრძლივმა მოქმედებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ადამიანის ხანგრძლივი ე.წ. პროფესიული დაავადების განვითარება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შრომის უნარიანობის შემცირება ან სრული დაკარგვა.

საწარმოო საამქროებში პერსონალისათვის მოწყობილია გასახდელები და სანიტარიული კვანძები. მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

პერსონალს უტარდება წინასწარი და პერიოდული სწავლება პირადი და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე. უსაფრთხოების წესების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს პასუხისმგებელი პირი-უსაფრთხოების ინჟინერი.

6.8.1.1 შემარბილებელი ღონისძიებები

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შემცირების და თავიდან არიდების მიზნით დაგეგმილია შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- საამქროებში უზრუნველყოფილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების არსებობა და გამართულობა;
- უზრუნველყოფილი იქნება ელექტრო მოწყობილობების და დანადგარების დამიწება და გამართულობა;
- სწრაფად აალებადი მასალები და სითხეები შენახული იქნება სპეციალურ ტარაში და სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, ნორმებით დაშვებული ოდენობით;
- დანადგარებისა და მოწყობილობების რემონტის და/და ტექნიკური დათვალიერების დროს გაკონტროლდება ტექნიკური დეტალების გამართულობა;
- საამქროების შენობებთან და ტექნოლოგიურ დანადგარებთან აკრძალული იქნება მისასვლელი გზების ჩახერგვა;

- უზრუნველყოფილი იქნება ტექნოლოგიური დანადგარების კიბეების და მათი მოაჯირების, ასევე გადასასვლელი ბაქნების გამართულობა;
- უზრუნველყოფილი იქნება პერსონალის სწავლება და ტესტირება ჯამრთელობის დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის სპეციალური ტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა და მათი გამოყენების კონტროლი;
- ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი გამაფრთხილებელი, მიმთითებელი და ამკრძალავი ნიშნების დამონტაჟება;
- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- სამუშაო უბნებზე უცხო პირთა უნებართვოდ ან სპეციალური დამცავი საშუალებების გარეშე მოხვედრის და გადაადგილების კონტროლი;
- ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალის წარმოება;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების რისკების მინიმიზაციის მიზნით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლი.
- საწარმოში მუდმივად ტარდება საწარმოო ტრავმებისა და პროფესიული დაავადებების პროფილაქტიკური ღონისძიებები და გააჩნიათ შესაბამისი დოკუმენტაცია.

6.8.2 ზემოქმედება დასაქმებაზე და ეკონომიკურ საქმიანობაზე

საწარმოში განხორციელებული ცვლილებები სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული არ ყოფილა ახალი ღუმელი და მისი დამხმარე ინფრასტრუქტურა მოწყობილია არსებულ შენობა ნაგებობებში.

საწარმო ქ. რუსთავის მოსახლეობისათვის წარმოადგენს დასაქმების ერთერთ ძირითად წყაროს. დღეისათვის დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 1300-მდე ადამიანს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. შესაბამისად ამ თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ზემოქმედება უნდა შეფასდეს, როგორც დადებითი.

საწარმოში განხორციელებული ცვლილებები, მატ შორის ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ახალი ღუმელის ამოქმედება მნიშვნელოვანია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდის და სტაბილური მიწოდების თვალსაზრისით. აღნიშნული დადებითად აისახება რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ადგილობრივ ბაზარზე გარკვეულად შემცირდება იმპორტირებული მასალების პროცენტული წილი. მნიშვნელოვნად გაიზრდება, ასევე საწარმოს მიერ ქვეყნის ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები.

6.9 კუმულაციური ზემოქმედება

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული საწარმო განთავსებულია ქალაქის საწარმოო ზონაში, სადაც დღეისათვის ფუნქციონირებს არაერთი საწარმოო ობიექტი, მათ შორის შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოები, ცემენტის საწარმოები და სხვა. შესაბამისად, არსებობს გარემოზე კუმულაციური ზემოქმედების მაღალი ალბათობა, რომლის აღმოფხვრა ან მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია მიზანმიმართული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით.

კუმულაციურ ზემოქმედებაში იგულისხმება, საქმიანობის და საკვლევი რაიონის ფარგლებში არსებული და პერსპექტიული საწარმოების კომპლექსური ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რაც ქმნის ჯამური ზემოქმედების ეფექტს. წინამდებარე პარაგრაფში კუმულაციური ზემოქმედების რისკები შეფასებულია საწარმოს მიმდებარე 500 მ-იანი ნორმირებული ზონის ფარგლებში არსებული სამრეწველო საწარმოების გათვალისწინებული. დღეისათვის საწარმოს

500 მ-იანი ნორმირებული ზონის ფარგლებში ფუნქციონირებს შემდეგი საწარმოო ობიექტები: შპს „ჯეოსთილი“-ის მეტალურგიული საწარმო, შპს „ბულატი“-ს ფეროშენადნობთა საწარმო, შპს „რუსელოი“-ს ფეროშენადნობთა საწარმო, სს რუსთავილი“-ს ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის საწარმო, შპს „ნიუ პლასტიკ ჯი“, სს „ე უ ინვესთმენტი“, სს „მეტალურგრემონტი“, შპს „მილენიუმ ქონსტრაქშენი“, შპს „კავკასპაკი“, შპს „ქვები“ შპს „რუსთავი“, შპს „4ჯ“ და შპს „გზატკეცილი“.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების რისკებიდან, განხილვას ექვემდებარება:

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება;
- სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება;
- ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული ზემოქმედება;
- ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული ზემოქმედება;
- ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედება: შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული ქარხნის და მის მიმდებარე 500 მ-იანი ზონაში მოქმედი საწარმოების საქმიანობების სპეციფიკის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერში, კუმულაციური (ჯამური) ეფექტის მქონე ნივთიერებებიდან უნდა განვიხილოთ: აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის მონოოქსიდი შეწონილი ნაწილაკები.

ქარხნის ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასებულია არსებული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, კერძოდ: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელების გაანგარიშება და პროგრამული მოდელირება შესრულებულია 500 მ-იანი ზონის ფარგლებში მოქმედი შემდეგი საწარმოების ემისიების გათვალისწინებით: შპს „ჯეოსთილი“-ის მეტალურგიული საწარმო, შპს „ბულატი“-ს ფეროშენადნობთა საწარმო, შპს „რუსელოი“-ს ფეროშენადნობთა საწარმო, სს რუსთავილი“-ს ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“-ს ცემენტის საწარმო. (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სხვა საწარმოებს არ გააჩნიათ შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები არ გააჩნიათ).

წინამდებარე ანგარიშის 6.2. პარაგრაფში მოცემული გაანგარიშების შედეგების მიხედვით, საწარმოს სამტატო რეჟიმში ფუნქციონირების პირობებში, საწარმოდან 500 მეტრიანი ზონის საზღვარზე და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, არახელსაყრელ მეტეოპირობების გათვალისწინებით, არცერთი დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ მნიშვნელობებს. მავნე ნივთიერებათა მიწისპირა კონცენტრაციები ზღვ-ს წილებში არ აჭარბებს 1-ს.

აღსანიშნავია, რომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების რისკების შემცირების მიზნით ქარხანაში განხორციელებულია მთელი რიგი შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ქარხანაში ახლად მოწყობილი 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი აღჭურვილია მაღალეფექტური ქსოვილოვანი ფილტრებით, ხოლო გამფრქვევ მილზე დამონტაჟებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემა;
- დემონტაჟი გაუკეთდა ელექტროფოლადსადნობ საამქროში არსებულ ინდუქციურ ღუმელებს, რომლებსაც არ გააჩნდათ აირგამწმენდი სისტემები;
- დაკონსერვებულია და აირგამწმენდი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობამდე ექსპლუატაციაში არ იქნება გაშვებული ელექტროფოლადსადნობ საამქროში არსებული 10 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელები;
- დაკონსერვებულია და უმოქმედო მდგომარეობაშია საფასონე-საჩამომსხმელო საამქროში არსებული 1 ტონიანი ჰორიზონტალური ელექტრორკალური ღუმელი, 3 ტონიანი ინდუქციური ღუმელი, 0.4 ტონიანი ინდუქციური ღუმელი და

- მადანადმდგენელი 5 მგვტ-იანი სილიკომანგანუმის ღუმელი;
- საფასონე-საჩამომსხმელო საამქროში არსებულ 3 ტ/სთ და 5 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელებისათვის გათვალისწინებულია აირმტვერდამჭერი და ონლაინ მონიტორინგის სისტემების მოწყობა;
- ონლაინ მონიტორინგის სისტემების მოწყობაა დაგეგმილი ასევე სორტული გლინვის და მილსაგლინავი საამქროს აირების გამფრქვევ მილებზე.
- როგორც შესრულებული ასევე დაგეგმილია შემარბილებელი ღონისძიებები

ზემოქმედების რისკების ზრდა მოსალოდნელია ავარიული სიტუაციების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად შეამცირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედების რისკებს და შესაბამისად საწარმოს ნორმალურ რეჟიმში მუშაობის პირობებში უახლოესი საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ზღვრულად დასაშვებს ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება წინამდებარე ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმებით გათვალისწინებული ვალდებულებების უპირობო შესრულება, მათ შორის აირგამწმენდი სისტემების ტექნიკური გამართულობის სისტემატური კონტროლი.

სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციური ზემოქმედება: საწარმოს ექსპლუატაციის ფაზაზე, სატრანსპორტო ოპერაციები ძირითადად უკავშირდება საწარმოში ნედლეულის შემოტანას და წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირებას.

როგორც 6.5 პარაგრაფშია მოცემული, ქარხნის მიმდინარე საქმიანობის მიზნებისათვის წლის განმავლობაში ტრანსპორტირებას ექვემდებარება დაახლოებით 638 000 ტონა ტვირთი და 350 სამუშაო დღის გათვალისწინებით დღის განმავლობაში შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების მაქსიმალური რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 72-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმო მდებარეობს სამრეწველო, სადაც განთავსებული სამრეწველო საწარმოები ასევე საჭიროებენ მნიშვნელოვანი რაოდენობის სატრანსპორტო ოპერაციების შესრულებას (მაგალითად შპს „ჯეოსთილი“-ს ქარხნის საჭიროებისათვის შესასრულებელი სატრანსპორტო ოპერაციების მაქსიმალური რაოდენობა დაახლოებით შეადგენს 78-ს). აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქის საწარმოო ზონაში არსებული საწარმოო ობიექტებისათვის საჭირო სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობა მაღალია და არსებობს ქალაქის სატრანსპორტო ნაკადებზე მაღალი ნეგატიური ზემოქმედების რისკები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოო ზონის ტერიტორია, სადაც თავმოყრილია ძირითადი საწარმოო ობიექტები, შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებთან დაკავშირებულია შემოვლითი გზით, შესაძლებელია კუმულაციური ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირება.

როგორც გზმ-ს პროცესში ჩატარებული კვლევის შედეგებით დადგინდა, დღეს არსებული მდგომარეობით, ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში არსებული და ქალაქის შემოვლითი გზები, უზრუნველყოფს სატრანსპორტო ნაკადების შეუფერხებლად გატარებას, შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ მოქმედი საწარმოების სატრანსპორტო ოპერაციების ერთობლივად (კუმულაციურად) განხორციელების პირობებში, გზებზე სატრანსპორტო ნაკადების შეფერხება არ ფიქსირდება.

როგორც 6.5 პარაგრაფშია მოცემული საწარმოს ნედლეულით მომარაგება და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება წარმოებს ქ. რუსთავის შემოვლითი გზებით (გამარჯვება-რუსთავის საავტომობილო გზა), რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ქალაქის სატრანსპორტო ნაკადებზე კუმულაციური ზემოქმედების რისკებს. ქალაქის საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე შეიძლება მხედეს მხოლოდ ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც მოემსახურებიან ადგილობრივ მომხმარებლებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით საცხოვრებელი ზონების ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და

აკუსტიკურ ფონზე და შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მაღალი რისკი მოსალოდნელი არ არის.

აკუსტიკურ ფონზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება: საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურწარმოქმნელი წყაროები (კომპრესორები, ელექტროძრავები და სატუმბი მოწყობილობები, ვენტილატორები და სხვა) განთავსებულია საწარმოო საამქროებში. გარდა ამისა, საწარმოს ტერიტორიაზე, ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა წარმოადგენს ხმაურის გავრცელების დამატებით წყაროს.

აღსანიშნავია, რომ ქარხნის მოქმედი საამქროები, რომლებშიდაც განთავსებულია ხმაურის გავრცელების წყაროები, მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული საწარმოს საზღვრიდან და შესაბამისად საცხოვრებელი ზონებიდან, გარდა მილსაგლინავი საამქროსა, რომელიც N17 სასჯელაღსრულების დაწესებულების შენობიდან დაცილებულია 30 მ-ით და საწარმოს დასავლეთით მდებარე საცხოვრებელი ზონის საზღვრისა საიდანაც დაცილების მანძილი შეადგენს 50 მ-ს. შესაბამისად უახლოესი საცხოვრებელი ზონების აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების რისკი არ არის მაღალი, რაც დადასტურებულია გზმ-ს პროცესში ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვების შედეგებით, კერძოდ: უშუალოდ საწარმოს საზღვრებზე ჩატარებული გაზომვების შედეგების მიხედვით, ხმაურის გავრცელების დონეები არ აჭარბებს ნორმირებულ მნიშვნელობებს. აღნიშნული გამოწვეულია ერთის მხრივ იმით, რომ ხმაურის გამოწვევი ძირითად წყაროების მქონე საამქროები მნიშვნელოვანი მანძილებითაა დაცილებული საწარმოს საზღვრიდან და მეორეს მხრივ სტაციონარული წყაროები განთავსებულია დახურულ საწარმოო შენობებში.

რაც შეეხება მიმდებარე ტერიტორიებზე მოქმედ საწარმოო ობიექტების მიერ წარმოქმნილი ხმაურის კუმულაციურ ზემოქმედებას არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან აღნიშნული საწარმოები დიდი მანძილებითაა და დაცილებული შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ქარხნის საამქროებიდან, რაც მინიმუმამდე ამცირებს კუმულაციური ზემოქმედების რისკებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, საწარმოს საზღვარზე ჩატარებული ინსტრუმენტული გაზომვების შედეგების მიხედვით ხმაურის ნორმირებულ დონეებზე გადაჭარბებას ადგილი არ აქვს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, უახლოესი საცხოვრებელი ზონების ტერიტორიებზე აკუსტიკურ ფონზე კუმულაციური ზემოქმედების რისკი არ არის მაღალი.

ნარჩენების წარმოქმნასთან დაკავშირებული ზემოქმედება: საწარმოში ახალი ღუმელის ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით ნარჩენების სახეობრივი შემადგენლობის მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ აქვს, კერძოდ: დამატებით წარმოიქმნება მხოლოდ 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვერი, რადგან ქარხანაში ადრე არსებულ ღუმელებს არ გააჩნდა მტვერდამჭერი სისტემები. რაოდენობრივი თვალსაზრისით მცირედით გაიზარდა წარმოქმნილი წიდის და მეორეული ხენჯის რაოდენობა. რაც შეეხება სხვა ნარჩენებს მათი რაოდენობის მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ქონია.

როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული საწარმოს გააჩნია წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს წიდის დამუშავება, კერძოდ: წიდის მეტალურ და არამეტალურ ფრაქციებად დაყოფა. საამქროში წარმოებული წიდის მეტალური ფრაქცია, წარმოადგენს ელექტროფოლად სადნობი საამქროს ნედლეულის ძირითად წყაროს. ელექტროფოლადსადნობი საამქროს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის და ხენჯის დროებით დასაწყობება ხდება ქარხნის ტერიტორიაზე გამოყოფილ უბანზე შემდგომი გამოყენების მიზნით. ქარხნის ტერიტორიაზე გამოყოფილ სათავსშია ასევე დასაწყობებული აირმტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვერი.

რაც შეეხება სხვა ნარჩენებს, მათი მართვა ხდება ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად, კერძოდ: სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვისათვის გადაეცემა ამ საქმიანობაზე შესაბამისი უფლების მქონე კომპანიებს, რაზედაც საწარმოს გააჩნია სათანადო ხელშეკრულებები.

გამომდინარე აღნიშნულიდან საწარმოში ახალი ღუმელის ამოქმედება და ამასთან დაკავშირებით ნარჩენების რაოდენობის გაზრდა მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე: სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით კუმულაციური ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც დადებითი ზემოქმედება, რადგან ახლად ამოქმედებულ ღუმელს გააჩნია მაღალეფექტური აირმტვერდამჭერი სისტემა და უწყვეტი მონიტორინგის სისტემა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედების რისკებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს ნორმალურ რეჟიმში მუშაობის პირობებში მინიმალურია აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების ალბათობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით არსებული დადებითი ზემოქმედება, კერძოდ: საწარმოში მუდმივ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულია 1300-მდე ადამიანი და შესაბამისად შპს „რუსთავის ფოლადი წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად დამსაქმებელს.

მნიშვნელოვანია ასევე საწარმოს წვლილი ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაში.

6.10 შესაძლო ავარიული სიტუაციების განვითარების რისკები და რისკების მართვის ღონისძიებები

საწარმოში ავარიული სიტუაციების შექმნის და განვითარების ორი ფაქტორი არსებობს, ანთროპოგენური და ბუნებრივი.

ანთროპოგენური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური რეგლამენტით დადგენილი პროცედურების და პროცესების დარღვევა, საწარმოში დასაქმებული ადამიანების მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევა, საწარმოში არსებული ტექნოლოგიური დანადგარების და მოწყობილობების გაუმართაობა და სხვა.

საწარმოში, როგორც ბუნებრივი, ასევე ანთროპოგენური ფაქტორით გამოწვეული ავარიის შედეგად, ადგილი ექნება ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში სიტუაციების შექმნა-განვითარებას, რასაც მოყვება ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების სწრაფი გავრცელება (ჰაერის დაგაზიანება), რაც თავის მხრივ გაზრდის ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანების

ფეროშენადნობთა საწარმოებში, უსაფრთხოების წესები რეგულირდება „ფეროშენადნობთა წარმოების უსაფრთხოების წესებით“, აღნიშნული „წესები“ ადგენს მოთხოვნებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე აპროექტებს, აშენებს, არემონტებს და ექსპლუატაციას უწევს ფეროშენადნობთა საწარმოებს.

საწარმოში შესაძლო ავარიული სიტუაციების განვითარების რისკების მართვის ზოგადი ღონისძიებები წარმოდგენილია მომდევნო თავში, ხოლო ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა, საამქროების მიხედვით მოცემულია დანართში 4.

6.10.1 ავარიული სიტუაციების პრევენციის ღონისძიებები და ავარიებზე რეაგირება

საწარმოში ავარიული სიტუაციების შექმნის და განვითარების პრევენციის მიზნით,

შესრულება შემდეგი მოთხოვნები:

- საწარმოში არსებული საზომ საკონტროლო ხელსაწყოების გამართულობის შემოწმება;
- ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;
- პერსონალის სპეციალური ტანსაცმლის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა და მათი გამოყენების კონტროლი.
- ავარიის აღმომჩენი პირი ვალდებულია:
- ავარიის შესახებ აცნობოს ცვლის უფროსს;
 - ჯართი და აალებადი მასალა სამუშაო უბნებიდან დაგროვებისთანავე იქნება გატანილი;
 - აალებადი და ადვილად აალებადი მასალა არ განთავსდება (ან დასაწყობებულ იქნას) დროებით ან მუდმივ შენობებში, კონსტრუქციებსა და სასაწყობო სივრცეებში.
 - ფეროშენადნობთა ღუმლების ქურასთან, სამუშაო ბაქნებისა და ელექტროდების მოედნების იატაკი უნდა იყოს დენგაუმტარი და მშრალი;
 - აკრძალული სადნობი აგრეგატების ექსპლუატაცია მათი გაცივების სისტემიდან წყლის ჟონვისას;
- ელექტროლუმელებთან დასაქმებული თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს და დაიცვას შემდეგი მოთხოვნილებები:
 - ყურადღებით შეამოწმოს ჯართი და ამოიღოს ფეთქებადსაშიში საგნები;
 - თვალყური ადევნოს ჩამყრელი ნიჩბების წესიერ მდგომარეობაში ყოფნას, არ გამოიყენოს უწესივრო ნიჩბები;
 - თვალყური ადევნოს, რომ კაზმის ნიჩბით შეყრის სამარჯვო იყოს წესიერი;
 - აირების და ალის მისაფარიდან გამოხეთქვის თავიდან ასაცილებლად სამუშაოდ არ გამოიყენოს უწესივრო მისაფარი. კაზმის ჩაყრის შემდეგ მისაფარი ჩაკეტოს მაგრად;
 - ელექტროდების გაღვივების, აირების და ალის გამოხეთქვის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია თვალყური ადევნოს ელექტროლუმელების თაღის ხვრელებში შემამჭიდროებელი სამარჯვის მდგომარეობას;
 - თვალყური ადევნოს თაღის კაუჭის წესიერ მდგომარეობაში ყოფნას, რომლითაც თაღი იკიდება ამწის კავზე მისი რემონტისათვის მოხსნის დროს;
 - თვალყური ადევნოს ელექტროდების მოსახსნელი სამარჯვის კაკვის წესიერ მდგომარეობაში ყოფნას. აკრძალულია თაღის და ელექტროდების გადაადგილება თუ კაკვებს აქვთ დაზიანებები;
 - ელექტროლუმელების შეკეთების და ელექტროდების გამოცვლის დროს მუშაობა წარმოებს მხოლოდ სპეციალური განაწესის თანახმად, ელექტრო ენერჯის სრული გამორთვის შემდეგ;
 - თვალყური ადევნოს ელექტროლუმელის მოსახსნელი კიბეების და მოაჯირების წესიერ მდგომარეობაში ყოფნას;
 - თვალყური ადევნოს ელექტროლუმელის გადახრის მექანიზმის წესიერ მდგომარეობაში ყოფნას;
 - თვალყური ადევნოს ჩამომსხმელი ციცხვის წესიერ მდგომარეობაში ყოფნას. არ გამოიყენოს სამუშაოდ ჩამოსასხმელი ციცხვი თუ ამწის კაკვზე მოსადებ კაუჭს აქვს დაზიანება, ჩაჭექილები და ნაპრალები;
 - ელექტროლუმელის გარშემო უნდა იყოს სისუფთავე, სიმშრალე და არ იყოს დახერგილი;
 - ორმო სადაც ციცხვებში წარმოებს ლითონის ჩასხმა უნდა იყოს მშრალი და სუფთა;
 - ელექტროლუმელი, შეკეთების შემდეგ კარგად უნდა გამოშრეს;
 - თანამშრომლებს, რომლებსაც უხდებათ ამწე მექანიზმებზე ტვირთის ჩაბმა და ტრანსპორტირება ეკრძალებათ სამუშაოზე მისადგომი სამარჯვის (გვარლი, ჯაჭვი) გამოყენება, რომელიც არ არის შემოწმებული და არა აქვს გამოცდის შესაბამისი აბრა.
- მისადგომი სამარჯვის გამოყენებამდე ამწეს ქვეშ მომუშავე ტვირთის ჩამბმელი ვალდებულია:
 - გულმოდგინედ შეამოწმოს მისადგომის სამარჯვის, ჯაჭვების წესიერობა. ჯაჭვის რგოლები, რომლებსაც აქვს ბზარები, ნაღარები, ამოჭმულები და გაჭიმულია, მათი სამუშაოზე გამოყენება აკრძალულია;
 - გულმოდგინედ შეამოწმოს ამწეს კავი, რომელიც ჩამოკიდებულია გვარლზე ან

- ტრავერსზე;
- ტვირთის ტრანსპორტირების და ჩაბმის ადგილი უნდა იყოს კარგად განათებული.

6.11 ნარჩენი ზემოქმედება:

საწარმოში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებები ნარჩენი ზემოქმედების ზრდასთან დაკავშირებული არ არის, კერძოდ: 35 ტ/სთ წარმადობის ახალი ღუმელი მოწყობილია არსებულ საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებში და შესაბამისად ახალი ტერიტორიების ათვისებას ან მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების შესრულებას ადგილი არ ქონია. ცვლილებები განხორციელებულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიებზე და შესაბამისად გარემოზე ზემოქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ზემოქმედება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალი ღუმელი აღჭურვილია მაღალი ეფექტურობის მქონე აირგამწმენდი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემებით და ელექტროფოლად სადნობ საამქროში არსებული 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელები დაკონსერვებულია აირგამწმენდი სისტემების მოწყობამდე, მნიშვნელოვნადაა შემცირებული საამქროს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედების ალბათობა. როგორც ანგარიშშია მოცემული, დაკონსერვებულია, ასევე საფასონე-საჩამომსხმელო საამქროში არსებული ყველა ღუმელი, გარდა 3 და 5 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელებისა, რომლებზედაც გათვალისწინებულია აირმტვერდამჭერი სისტემების მოწყობა.

გამომდინარე აღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებები მაღალ ნარჩენ ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება

6.12 საწარმოს დროებითი გაჩერების ან ექსპლუატაციის შეწყვეტის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები

6.12.1 ქარხნის მოკლევადიანი გაჩერება ან რემონტი

ქარხნის ექსპლუატაციის დროებითი გაჩერების ან არსებული ობიექტების რემონტის (მიმდინარე და კაპიტალური) შემთხვევაში, საექსპლუატაციო სამსახური შეიმუშავებს საქმიანობის დროებით შეჩერებასთან ან რემონტთან დაკავშირებულ ოპერატიულ გეგმას, რომელიც პირველ რიგში მოიცავს უსაფრთხოების მოთხოვნებს და შეთანხმებული იქნება ადგილობრივ თვითმართველობასთან და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან.

6.12.2 ქარხნის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტა ან კონსერვაცია

ქარხნის ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის შემთხვევაში, შექმნება სალიკვიდაციო ორგანო, რომელიც დაამუშავებს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმას. ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმა შეთანხმებული იქნება უფლებამოსილ ორგანოებთან, მათ შორის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან. გეგმის ძირითად შინაარსს წარმოადგენს უსაფრთხოების მოთხოვნები.

საქმიანობის შეწყვეტამდე გატარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- ტერიტორიის შიდა აუდიტის ჩატარება – ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობის დაფიქსირება, ავარიული რისკების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით პრობლემატური უბნების გამოვლენა და პრობლემის გადაწყვეტა;
- დამხმარე ინფრასტრუქტურის დროებითი დემობილიზაცია – სასაწყობო მეურნეობის შეძლებისდაგვარად გამოთავისუფლება დასაწყობებული მასალისაგან, ნარჩენებისგან,

- ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების განთავსებისთვის სპეციალური ტერიტორიის გამოყოფა;
- ტერიტორიის გარე პერიმეტრის გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნებით უზრუნველყოფა.

6.12.3 ქარხნის ლიკვიდაცია

ქარხნის ლიკვიდაციის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრისათვის გათვალისწინებული იქნება სპეციალური პროექტის დამუშავება.

აღნიშნული პროექტის დამუშავებაზე პასუხისმგებელია შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ადმინისტრაცია. არსებული წესის მიხედვით ობიექტის გაუქმების სპეციალური პროექტი შეთანხმებული იქნება უფლებამოსილი ორგანოების მიერ და ინფორმაცია მიეწოდება ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიული პირს.

პროექტი გაითვალისწინებს ტექნოლოგიური პროცესების შეწყვეტის წესებს და რიგითობას, შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების დემონტაჟს, სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების წესებს და პირობებს, უსაფრთხოების დაცვის და გარემოსდაცვითი ღონისძიებებს, საშიში ნარჩენების გაუვნებლობის და განთავსების წესებს და პირობებს, სარეკულტივაციო სამუშაოებს და სხვა.

6.13 ინფორმაცია საწარმოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების და მათი აღმოფხვრისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ

გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 6.13.1

ცხრილი 6.13.1. ინფრამაცია საწარმოში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების და მათი აღმოფხვრის გატარებული ღონისძიებების შესახებ

N	საკითხის დასახელება	შესრულების მდგომარეობა
1	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის/თვითმონიტორინგის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:	საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოსდაცვითი თვითმონიტორინგის გეგმა მოცემულია წინამდებარე გზშ-ს ანგარიშის პარაგრაფში 8.
1.1.	საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ და უახლოეს მოსახლესთან ხმაურის დონის და ვიბრაციის ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილები (შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით) და პერიოდულობა;	იხილეთ პარაგრაფი 8, ცხრილი 8.1.
1.2.	საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერულ ჰაერში ემისიების ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილები (შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით) და პერიოდულობა;	იხილეთ პარაგრაფი 8, ცხრილი 8.1.
1.3.	ჩამდინარე წყლების, მათ შორის მათში მძიმე მეტალების განსაზღვრის მიზნით ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილები (შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით) და პერიოდულობა;	საწარმოს ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებას ადგილი არ აქვს და შესაბამისად ჩამდინარე წყლების ხარისხის მონიტორინგი წარმოებს მხოლოდ ტრანსპორტის უბნის ტერიტორიაზე არსებული სალექარიდან მიღებული ჩამდინარე წყლებისათვის, კვარტალში ერთხელ გათვალისწინებულია ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკების და ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადების შემცველობის კვლევა. იხილეთ გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 8. ცხრილი 8.1.
1.4.	საწარმოს მიმდებარედ, ნიადაგის ქიმიური კვლევის ადგილები (შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით) და პერიოდულობა;	იხილეთ პარაგრაფი 8, ცხრილი 8.1.
1.5.	საწარმოს შემოტანილ ნედლეულზე და ასევე გატანილ პროდუქციაზე რადიაციული გამოსხივების ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები. ამასთან, ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება კომპანიამ უნდა უზრუნველყოს გეგმის შეთანხმებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.	შემოტანილ ნედლეულზე და ასევე გატანილ პროდუქციაზე რადიაციული გამოსხივების ინსტრუმენტული მონიტორინგი დღეისათვის არ ხორციელდება. მაგრამ გათვალისწინებულია შესაბამისი აპარატურის შეძენა და დამონტაჟება.
1.6.	გაფრქვევის ის წყაროები, რომლებზეც სავალდებულოა მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013	უწყვეტი მონიტორინგის სისტემა მოწყობილია ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ელექტროფოლად სადნობი ღუმელის გამფრქვევ მილზე. საწარმოში არსებული სხვა ღუმელებზე უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობის გეგმა გრაფიკი მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში.

	<p>წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად.</p> <p>ამასთან, საქმიანობის განხორციელების პროცესში მუდმივად უზრუნველყოს მონიტორინგის განხორციელება სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის/თვითმონიტორინგის გეგმის შესაბამისად (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი, მეოთხე, მეექვსე და მერვე პირობა). მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა:</p>	<p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის დეტალური გეგმა მოცემულია პარაგრაფში 8., ცხრილი 8.1.</p>
2	<p>ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარადგინოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განახლებისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების მოთხოვნებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გადამუშავებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, სადაც დეტალურად, საამქროების მიხედვით გაწერილი იქნება საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისა და საწარმოს ტერიტორიაზე დაყრილი სამშენებლო ნარჩენების მართვის საკითხები. ნარჩენების მართვის გეგმაში ასევე დეტალურად, საამქროების მიხედვით, კონკრეტული ვადების მითითებით (არაუგვიანეს 01.03.2022) განისაზღვროს ინსპექტირების პროცესში გამოვლენილი, დანაგვიანებული/დაზინძურებული ტერიტორიების დასუფთავებისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ნარჩენების მართვის გეგმაში ასევე განსაზღვრული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებები, სეპარირების მეთოდის აღწერა და პირობები (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე მე-2 პირობა);</p>	<p>ნარჩენების მართვის განახლებული გეგმა თან ერთვის გზმ-ს ანგარიშს.</p>
3	<p>ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა, დროებით უსაფრთხო განთავსების და გადაცემის კონტროლი (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-3 პირობა). კერძოდ:</p>	

3.1	<p>ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ ალიკვეთოს საწარმოს ტერიტორიის ნარჩენებით დანაგვიანება/დაბინძურება და შემდგომში საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნებისა და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. ამასთან, დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში სრულად უზრუნველყოს საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების ნაკადების შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე შესაბამისი რაოდენობის მარკირებული კონტეინერების განთავსება;</p>	<p>საწარმოში დღეისათვის გატარებულია გარკვეული ღონისძიებები ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შექმნა, მარკირება და საწარმოს ტერიტორიაზე განთავსება.</p>
3.2	<p>ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, არ განახორციელოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge) სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმების წარმოების გარეშე;</p>	<p>გათვალისწინებულია: სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმებით.</p>
3.3	<p>ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში კომპანიამ მიმართოს სამინისტროს საქმიანობის რეგისტრაციის მიზნით, 2-დან 10-მდე ტონამდე სახიფათო არჩენების დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასთან დაკავშირებით. რეგისტრაციის შემდგომ, არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში კომპანიამ მოაწყოს სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტი „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №145 დადგენილების შესაბამისად. შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით;</p>	<p>შესრულებულია.</p>
4	<p>ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური გეგმა-გრაფიკი, კონკრეტული ვადების მითითებით (არაუგვიანეს 31.12.2024 წ.), სადაც დეტალურად იქნება გაწერილი საამქროებში აირმტვერდამჭერი, გამწმენდი და ასპირაციული მოწყობილობების, ასევე შემწოვი და გამწოვი სისტემების მოწყობის ღონისძიებები. მათ შორის, ასახული იქნება ნაღობი მასიდან დეკანტაციის პროცესით წილის მოცილებისას მავნე ნივთიერებების არაორგანიზებული გაფრქვევისას წარმოქმნილი სუნის მართვის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებები, გეგმა-გრაფიკის</p>	<p>საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე ზემოქმედების რისკების მინიმიზაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი მოცემულია წინამდებარე ანგარიშის პარაგრაფში 7, ცხრილში 7.1.</p>

	<p>მითითებით (არაუგვიანეს 31.12.2023 წ.). შემდგომში, საქმიანობა განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური გეგმა-გრაფიკის შესაბამისად და მხოლოდ იმ დანადგარების გამოყენებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი აირმტვერდამჭერი, გამწმენდი და ასპირაციული მოწყობილობებით, ასევე შემწოვი და გამწოვი სისტემებით (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-5 პირობა);</p>	
5	<p>ადმინისტრაციული მოწერილობის ჩაბარებიდან დაიწყოს და შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს საქმიანობის განხორციელება „დაბინძურებული სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-8 პირობა) და არსებული პირობების გათვალისწინებით, გზმ-ის სფეროში გაცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვ ნორმების შესაბამისად;</p>	<p>საწარმოში მოქმედი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმონიტორინგის დეტალური გეგმა მოცემულია გზმ-ს ანგარიშის მე-8 პარაგრაფის 8.2 ცხრილში. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი თან ერთვის გზმ-ს ანგარიშს.</p>
6	<p>ადმინისტრაციული მოწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, არსებული პირობების გათვალისწინებით და გზმ-ის სფეროში გაცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების პროექტი და შემდგომში საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოს ზღვ ნორმების პროექტით განსაზღვრული, სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა/დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;</p>	<p>ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი წარდგენილია სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, ხოლო განახლებული პროექტი თან ერთვის გზმ-ს ანგარიშს.</p>
7	<p>ადმინისტრაციული მოწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს საწარმოს ტერიტორიაზე, სამქროებში და წიდასაყარზე დაფქვა-დახარისხების სამუშაოების მიმდინარეობისას ტერიტორიის მორწყვის პერიოდულობა და გრაფიკი, ხოლო შეთანხმების შემდგომ უზრუნველყოს მისი დაცვა;</p>	<p>გათვალისწინებულია: ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ძრავების გამოწვა ხდება თერმულ ღუმელში</p>

8	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ ალიკვეთოს დაშლილი ძრავების გამოწვა ღია კასრში და შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს ზეთებით დაბინძურებული, დაშლილი ძრავების გამოწვა კამერულ თერმულ ღუმელში;	გათვალისწინებულია: ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ძრავების გამოწვა ხდება თერმულ ღუმელში.
9	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს საწარმოს ტექნოლოგიური რეგლამენტით განსაზღვრული სავალდებულო პირობების შესრულება, რომელიც ითვალისწინებს გაფრქვევების, წყალმომარაგების, წყალჩაშვების, ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვას და უსაფრთხოების ღონისძიებების პერიოდულ ჩატარებას (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-9 პირობა). კერძოდ:	
9.1	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს საწარმოში მთელ რიგ უვნებზე, ზოგიერთ აგრეგატზე და მოწყობილობებზე ტექნოლოგიურ პროცესში მონაწილე დანადგარების, მილგაყვანილობების, ბუნკერების და მილტუჩა შეერთებების ჰერმეტიკულობის დაცვა;	საწარმოს შესაბამისი სამსახურები სისტემატურად ახორციელებს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ტექნიკური გამართულობის კონტროლს და საჭიროების შემთხვევაში არსებული დაზიანებების აღდგენისათვის საჭირო სამუშაოებს.
9.2	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს საწარმოს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიური ინსტრუქციის შესაბამისად, ლითონის ჯართის შემოწმება ფეთქებად-საშიშროებაზე (რომელმაც უნდა განიცადოს ბრიკეტირება), საქმიანობის განხორციელების პროცესში არ დაუშვას შეუმოწმებელი ჯართის ბრიკეტირება. აღნიშნული დამადასტურებელი დოკუმენტაციის შენახვა საწარმოში მოხდეს არანაკლებ 3 წლის ვადით;	გათვალისწინებულია: სისტემატურად წარმოებს შემოტანილი ჯართის ფეთქებად უსაფრთხოებაზე შემოწმება და ხება შედეგების დოკუმენტირება.
9.3	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში მუდმივად უზრუნველყოს საწარმოში შემოტანილი ნედლეულის (ჯართის) განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე;	როგორც ძველ ასევე ახალ საურნალე საამქროებთან მოწყობილია დასამუშავებელი და დამუშავებული დასაწყობების ადგილები
9.4	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური გეგმა-გრაფიკი, კონკრეტული ვადების მითითებით (არაუგვიანეს 31.12.2023 წ.), სადაც დეტალურად იქნება გაწერილი საწარმოო ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემის მოწყობის ღონისძიებები, მათ შორის, ავტო-სატრანსპორტო საამქროს ტერიტორიაზე, მანქანების რეცხვისას წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები. შემდგომში,	შესრულებულია.

	ლონისძიებები განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;	
9.5	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ აღკვეთოს ავტოსატრანსპორტო საამქროს ტერიტორიაზე, მანქანების რეცხვისას წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ჩადინება გრუნტში, ამასთან, შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებამდე (9.4 პუნქტი) უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების ბეტონირებულ სამსეკციან სალექარში ჩადინება;	გათვალისწინებულია: სამრეცხაოს ჩამდინარე წყლები ჩაშვებულია სალექარში
10	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი, კონკრეტული ვადების მითითებით (არაუგვიანეს 31/12/2024 წ.) საწარმოში არსებული ძველი დანადგარების ექსპლუატაციის პირობების და ტექნოლოგიის გაუმჯობესების, ასევე, მათი გადაიარაღების ღონისძიებების შესახებ. შემდგომში, მუდმივად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-10 პირობა);	საწარმოში წლების განმავლობაში მიმდინარეობს ტექნოლოგიური დანადგარ მოწყობილობის განახლება და გადაიარაღება. ამის ნათელი მაგალითია ფოლადსადნობ საამქროში ახალი ელექტრორკალური ღუმელის მოწყობა, სორტული გლინვის საამქროში ახალი 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის დამონტაჟება და სხვა. გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების გეგმა გრაფიკი მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში. იხილეთ პარაგრაფი 8, ცხრილი 8.1.
11	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში დაასრულოს საწარმოს სრულყოფილი აღჭურვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-11 პირობა);	შესრულებულია: საწარმოს ტერიტორიაზე არსებული საწარმოო ობიექტებზე განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.
12	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში დაასრულოს საწარმოში მუშა-მოსამსახურეების აღჭურვა სპეცტანსაცმლით და საჭიროების შემთხვევაში მტვრისა და ხმაურის ინდივიდუალური დაცვის საშუალებით (2009 წლის 20 იანვრის №6 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მე-12 პირობა);	შესრულებულია: საწარმოს პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის სპეციალური ტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.
13	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში შეიმუშავოს და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს საწარმოში ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირების გეგმა;	გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში (ამპ) ატმოსფერულ ჰაერში ემისიების შემცირების ღონისძიებათა გეგმა. რაც შეეხება ავარიულ ავარიის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემთხვევაში, შესაბამისი რეაგირების გეგმას, ასეთი გეგმა საწარმოს არ გააჩნია, რადგან როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაშია მოცემული, აირმტვერდამჭერი სისტემების დაზიანების ან მავნე

		ნივთიერებათა ზენორმატიული გაფრქვევის დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გაფრქვევის წყაროს ექსპლუატაციის შეჩერება და შესაბამისი მავორექტირებელი ღონისძიებების გატარება.
14	ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში დეპარტამენტში წარმოადგინოს კომპანიის მიერ შემუშავებული სპეციალური ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქცია. ასევე, ვინაიდან შპს „რუსთავის ფოლადის“ კუთვნილი მეტალურგიული ქარხნის მიმდინარე საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის (ექსპლუატაციის პირობების) ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის (№117, 18.11.2019 წ) გაცემის შესახებ მინისტრის 2019 წლის 25 ნოემბრის №2-1129 ბრძანება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 17 დეკემბრის №2-1664 ბრძანებით გამოცხადდა ძალადაკარგულად, შპს „რუსთავის ფოლადი“ ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოს სკოპინგის ანგარიში, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით.	საწარმოში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის კონტროლს ახორციელებს საგანგებო სიტუაციების რეგიონალური მართვის სამსახური, შეთანხმებული ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქციის მიხედვით. წინამდებარე გზშ-ს ანგარიში მომზადებულია 2022 წლის 13 ოქტომბრის N402/ს ბრძანებით გაცემული N60 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული ვალდებულებების მიხედვით.

6.14 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 16 სექტემბრის N2-297 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ

N	პირობები	შესრულების მდგომარეობა
1	საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს და შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) კონკრეტული გეგმა	შესრულებულია: გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) განახლებული გეგმა მოცემულია წინამდებარე ანგარიშში. იხილეთ პარაგრაფი 8.
2	საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ 6 თვის ვადაში დამუშავდეს და შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან ნარჩენების მართვის გეგმა	შესრულებულია: ნარჩენების მართვის განახლებული გეგმა მოცემულია წინამდებარე ანგარიშში. იხილეთ დანართი 3.
3	საწარმოს ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვის, დროებით უსაფრთხო განთავსების და გადაცემის მკაცრი კონტროლი, ასევე საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები გადაეცეს აღნიშნულ საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე შესაბამის ორგანიზაციას	შესრულებულია: ნარჩენების მართვა წარმოებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

4	ჩატარდეს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგების ქიმიური ანალიზი	გათვალისწინებულია: წინამდებარე ანგარიშში მოცემული მონიტორინგის გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგების ლაბორატორიული კვლევა.
5	საამქროები (მილსაგლინავი, სორტული, მილამდიდავი, საურნალე და ზოგიერთი სხვა), რომელთაც არ გააჩნიათ ასპირაციის, გაზებისა და აირმტვერნარევის გაწმენდის სისტემა, უნდა აღიჭურვოს შესაბამისი აირგამწმენდი საშუალებებით	გათვალისწინებულია: წინამდებარე ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია საწარმოში არსებულ ყველა სადნობ ღუმელზე აირგამწმენდი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობა.
6	ჩამდინარე წყლების ქიმიური კონტროლის პროგრამაში ჩართულ იქნეს მძიმე მეტალები და შესაბამისად მოხდეს პერმანენტული აღრიცხვიანობის წარმოება	საწარმოში წარმოქმნილი საწარმოო -სანიაღვრე წყლების ხელშეკრულების საფუძველზე ხდება გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის მიმეცან კოლექტორში. შესაბამისად ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში არ ხდება.
7	„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ შესახებ საქართველოს კანონის III თავის, მე-4 მუხლის შესაბამისად, ცემენტის და კირის საწარმოების საქმიანობაზე უნდა აღებულ იქნეს ცალ-ცალკე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა	შესრულებულია: როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული, ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემულია მოიჯარე „ელბა ექსპორტი“-ს სახელზე, ხოლო ცემენტის წარმოებას ადგილი არ ქონია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების დღიდან და შესაბამისად გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.
8	საწარმოს ფუნქციონირებისას უნდა დაწესდეს: <ul style="list-style-type: none"> • ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებისა და მათი მაქსიმალური კონცენტრაციების კონტროლი; • გამწმენდი სისტემის, მოწყობილობების მუშაობის რეჟიმის და გაწმენდის ეფექტურობის კონტროლი; • სალექარის გამართულობის და მუშაობის რეჟიმის კონტროლი 	შესრულებულია: ქარხნის შესაბამისი სამსახურების მიერ ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შემცირების ზედამხედველობა. წინამდებარე ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის გეგმები ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების კონკრეტულ ღონისძიებებს და სისტემატურ მონიტორინგს.
9	შესრულდეს საწარმოში ტექნოლოგიური რეგლამენტით განსაზღვრული სავალდებულო პირობები, რომელიც ითვალისწინებს ატმოსფერული გამოფრქვევების, წყალმომარაგების, წყალჩაშვების, ელექტრომომარაგების, ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვის და უსაფრთხოების ღონისძიებების პერიოდულ ჩატარებას	შესრულებულია: საწარმოში ძირითადად დაცულია ტექნოლოგიური რეგლამენტით განსაზღვრული სავალდებულო პირობები.
10	საწარმოს მეტალურგიული საამქროების საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდირებულია მათი გადაიარაღება და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა	შესრულებულია:

		საწარმოში მუდმივად მიმდინარეობს საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციის და ტექნოლოგიური გადაიარაღების ღონისძიებები, ამის ნათელი მაგალითია ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის მოწყობა და ძველი ფოლადსადნობი ღუმელების ექსპლუატაციის შეწყვეტა, სორტული გლინვის საამქროში ახალი 43 ტ/სთ ღუმელის მოწყობა და სხვა.
11	უზრუნველყოფილი იქნას ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების და ინვენტარის მუდმივი მზადყოფნა	შესრულებულია: საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ხანძარქრობისათვის საჭირო ინვენტარი და მოწყობილობა.
12	მომსახურე პერსონალი აღიჭურვოს სპეც. ტანსაცმლითა და მტვერის და ხმაურისაგან დაცვის საშუალებებით	შესრულებულია: ქარხნის პერსონალი უზრუნველყოფილია შესაბამისი სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

7 შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა

7.1 ზოგადი მიმოხილვა

გარემოსდაცვითი ღონისძიებების იერარქია შემდეგნაირად გამოყურება:

- ზემოქმედების თავიდან აცილება/პრევენცია;
- ზემოქმედების შემცირება;
- ზემოქმედების შერბილება;
- ზიანის კომპენსაცია.

ზემოქმედების თავიდან აცილება და რისკის შემცირება შესაძლებლობისდაგვარად შეიძლება მიღწეულ იქნას საწარმოს ექსპლუატაციისას საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გამოყენებით. შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილი გათვალისწინებულია პროექტის შემუშავებისას. თუმცა ვინაიდან ყველა ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, საქმიანობის გარემოსადმი მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპისთვის და ყველა რეცეპტორისთვის განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა მოცემულია ცხრილში 7.1. გეგმა „ცოცხალი“ დოკუმენტია და მისი დაზუსტება და კორექტირება მოხდება სამუშაო პროცესში მონიტორინგის/დაკვირვების საფუძველზე.

გეგმით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელია შპს „რუსთავის ფოლადი“.

ცხრილი 7.1. შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა

რეცეპტორი/ ზემოქმედება	ზემოქმედების აღწერა	ზემოქმედების მოსალოდნელი დონე	შემარბილებელი ღონისძიებები	შესრულების ვადები
ემისიები ატმოსფერული ჰაერში	<ul style="list-style-type: none"> • ნედლეულის შემოტანის, დასაწყობების და დამუშავების ოპერაციები • კაზმის მომზადების და მიწოდების პროცესის ოპერაციები; • საჩამომსხმელო საამქროში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები; • სორტული გლინვის და მილსაგლინავ საამქროებში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები; • საფასონე-საჩამომსხმელო საამქროში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები; • დამხმარე ინფრასტრუქტურის მუშაობასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესები. 	მაღალი უარყოფითი	<ul style="list-style-type: none"> • საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობის ტექნიკური გამართულობის სისტემატური კონტროლი; 	მუდმივად
			<ul style="list-style-type: none"> • საწარმოში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების დაცვის მდგომარეობაზე სისტემატური კონტროლი; 	მუდმივად
			<ul style="list-style-type: none"> • ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ემისიების სისტემატური ინსტრუმენტული მონიტორინგი უწყვეტი მონიტორინგის სისტემის საშუალებით განხორციელდება, ელექტროფოლადსადნობი საამქროს გამგრეკვე მილში შემდეგ მავნე ნივთიერებებზე: შეწონილი ნაწილაკები და ნახშირბადის მონოქსიდი; 	მუდმივად
			<ul style="list-style-type: none"> • მილსაგლინავი საამქროს გაგრეკვე მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის მონოქსიდის ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით; 	მუდმივად- 2024 წლის მე-3 კვარტლიდან
			<ul style="list-style-type: none"> • სორტული გლინვის საამქროს გაგრეკვე მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის მონოქსიდის ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით; 	მუდმივად- 2025 წლის მე-3 კვარტლიდან
			<ul style="list-style-type: none"> • საფასონე-სამსხმელო საამქროს 3ტ/სთ და 5 ტ/სთ წარმადობის ღუმელებისათვის მოეწყობა ახალი აირმტვერდამჭერი სისტემა და გაგრეკვე მილზე დამონტაჟდება უწყვეტი მონიტორინგის სისტემა შეწონილი ნაწილაკების და ნახშირბადის მონოქსიდის ინსტრუმენტული მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით; 	მუდმივად- 2025 წლის მე-3 კვარტლიდან
			<ul style="list-style-type: none"> • ელექტროფოლად სადნობ საამქროში არსებული და დაკონსერვებული 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელების ამოქმედება მოხდება მხოლოდ აირმტვერდამჭერი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობის შემდეგ (35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის ამოქმედებასთან დაკავშირებით, უახლოეს მომავლში 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელების ამოქმედება საჭიროებას არ წარმოადგენს); 	საჭიროების შემთხვევაში 2026 წლის პირველი იანვრიდან
			<p>საფასონე-სამსხმელო საამქროში დაკონსერვებულია:</p> <ul style="list-style-type: none"> • 1 ტონიანი ჰორიზონტალური ელექტრორკალური ღუმელი, 3 ტონიანი ინდუქციური ღუმელი, 0.4 ტონიანი ინდუქციური ღუმელი, რომელებიც ჩაერთვებიან ერთიან მონიტორინგის სისტემაში; • მადანადმდგენელი 5 მგვტ-იანი სილიკომანგანუმის ღუმელი. 	საჭიროების შემთხვევაში 2026 წლის პირველი იანვრიდან

		<p>აღნიშნული ღუმელების ამოქმედება მოხდება საჭიროების მიხედვით, მხოლოდ აირმტვერდამჭერი და უწყვეტი მონიტორინგის სისტემების უზრუნველყოფის შემდეგ.</p>	
		<ul style="list-style-type: none"> სამოდერო ხის უბანზე მოწყობილი იქნება გამწოვი ვენტილაცია და აირმტვერნარევის გაწმენდის მიზნით მტვერდამჭერი ციკლონი; 	2024 წლის მე-3 კვარტალი
5.3	ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და საწარმოს სამუშაო რეჟიმის (24 სთ) გათვალისწინებით დეტალური ინფორმაცია ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ (ხმაურის ყველა წყაროს გენგემაზე დატანით), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების მითითებით	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.3. ხმაურის გავრცელების ყველა სტაციონარული წყარო განთავსებულია ქარხნის ტერიტორიაზე მოქმედ საამქროებში. შესაბამისად გაანგარიშებისათვის აღებულია ცალკეულ საამქროს მიმდებარე ტერიტორიაზე ინსტრუმენტული გაზომვით დაფიქსირებული ხმაურის გავრცელების დონეები. ქარხნის საამქროების განლაგების სქემა მოცემულია სურათზე 4.1.2.
5.4	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.7. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის საწარმოო შენობებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებას ადგილი არ ქონია
5.5	შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.6.
4.6	ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.1.1. ცხრილი 6.1.1.1.
5.7	ობიექტის ექსპლუატაციის პერიოდში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.4.
5.8	ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, განხილული იქნეს	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.5.

	ზემოქმედების შეფასება სატრანსპორტო ნაკადებზე, შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად	
5.9	მნიშვნელოვანია, გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია მოცემული იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.8.
5.10	კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია 500 მ-იან რადიუსში და მის მიმდებარედ არსებული/საპროექტო ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის. ამასთან მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი. კუმულაციურ ზემოქმედებასთან მიმართებაში, განისაზღვროს შესაბამისი, დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის, ხმაურის დონისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით წარმოდგენილ იქნეს საუკეთესო ალტერნატიული ღონისძიებები, დეტალური დასაბუთებით)	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.9.
5.11	გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში)	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.11.
5.12	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა	გათვალისწინებულია: იხილეთ დანართი 4
5.13	ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შემუშავებული კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 7.
5.14	ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით შემუშავებული გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ. მითითებით), სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ატმოსფერულ ჰაერში ემისიებსა და ხმაურის გავრცელებას;	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 8.
5.15	გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 10.

6.0	საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:	
6.1	შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა (16.09.2019; N2-897) და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (№06; 20.01.2009) განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი)	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.14.
6.2	ობიექტზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური-არაგეგმიური შემოწმებების, გამოვლენილი დარღვევების (არსებობის შემთხვევაში) და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების შესახებ ინფორმაცია. მნიშვნელოვანია აღნიშნული წარმოდგენილი იქნეს ერთიანი ცხრილის სახით, სადაც გამოვლენილი დარღვევების, კონკრეტული ქმედებების და შესაბამისი გონივრული ვადების გარდა, საწარმოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მითითებული უნდა იყოს განსაზღვრულ ვადებში დარღვევების აღმოფხვრამდე შესასრულებელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია. ცხრილში თანმიმდევრულად, უნდა აისახოს საწარმოს ტექნოლოგიურ უზნებზე გამოვლენილი დარღვევები, კონკრეტული პრევენციული ქმედებები, შესაბამისი გონივრული ვადები და საბოლოო მიზნის მისაღწევად განსაზღვრული მოკლევადიანი/გრძელვადიანი გარემოსდაცვითი ღონისძიებები	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.13.
6.3	სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემიდან დღემდე საწარმოში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც დღემდე გრძელდება, მათ შორის მოეწყო ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ლუმელი. ამასთან, N 91 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან დღემდე არ განხორციელებულა ცემენტის წარმოება. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს, როგორც N 6, ისე N 91 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებისა და შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი. გზშ-ის ანგარიშმა უნდა მოიცავს შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით) განსაზღვრული საქმიანობების ანალიზი და გზშ-ის ანგარიშში, კანონმდებლობის შესაბამისად, აისახოს მოთხოვნა 2019 წლის 16 სექტემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (N 2-897) შესაბამისი №06 (20.01.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის, ასევე 2009 წელს გაცემული №91 (25.09.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და შესაბამისი	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 1. და პარაგრაფი 10

	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (N 2-912; 23/09/2019) ძალადაკარგულად გამოცხადების შ	
6.4	<p>სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (2009 წლის 25 სექტემბრის N 91 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) მიღებიდან დღემდე არ განხორციელებულა ცემენტის წარმოება და ცემენტისთვის განკუთვნილ დანადგარებზე, მიმდინარეობს კირის წარმოება, რომელიც იჯარით გადაცემულია შპს „ელბა ექსპორტზე“. ამასთან აღსანიშნავია, რომ კირის წარმოებაზე გაცემულია დამოუკიდებელი - №90 (25.09.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე გაცემულ საქმიანობებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის: რის საფუძველზე მიმდინარეობს ცემენტისათვის განკუთვნილ დანადგარებზე კირის წარმოება და ა.შ</p>	<p>შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ბალანსზე არსებული ინფრასტრუქტურა, რომლებიც გათვალისწინებული იყო ცემენტის და კირის წარმოებისათვის იჯარით გადაცემულია შპს „ელბა ექსპორტზე“ და გამოყენებულია კირის წარმოებისათვის.</p> <p>შპს „ელბა ექსპორტზე“ კირის წარმოების საქმიანობაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება- ბრძანება N505/ს- 07.12.2022 წელი.</p>
6.5	<p>სკოპინგის ანგარიშის განხილვისა და სააგენტოში არსებული მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია ნაწილი არ არის შესაბამისობაში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 18 თებერვლის №DES42100000029 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული საწარმოს არაგეგმიური შემოწმების შედეგებთან, რაც საჭიროებს დაზუსტებას და წარმოსადგენი დოკუმენტაციის გზდ-ის შემოწმების შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის: სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში შემოტანილი ლითონის ჯართი მოწოდება (ხორციელდება ვიზუალური ინსპექტირება) ფეთქებად საშიშროებაზე და მხოლოდ შემოწმების შემდეგ მიმდინარეობს მისი წინასწარი დამუშავება, ხოლო ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ არ ხდება ლითონის ჯართის ფეთქებად-საშიშროებაზე შემოწმება;</p> <p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საფასონო-სამსხმელო საამქროში დამონტაჟებულია ერთი - 3 ტონიანი, ორი - 5 ტონიანი მოცულობის ელექტრორკალური ღუმელები და კიდევ ერთი ელექტრორკალური ღუმელი (რომლის მოცულობის შესახებ ინფორმაცია მითითებული არ არის და საჭიროებს დაზუსტებას), დამონტაჟებულია ასევე თერმული ნორმალიზაციის ღუმელი, მადანთერმული ღუმელი და ფეროშენადნობების სადნობი 2 ერთეული ღუმელი, ხოლო შემოწმების შედეგების მიხედვით, ფასონური სხმულების (საფასონო-სამსხმელო) საამქროში სულ დამონტაჟებულია 4 ერთეული ელექტრორკალური ღუმელი, ერთი ინდუქციური და 2 ერთეული</p>	<p>გათვალისწინებულია: ანგარიშში მოცემულია დაზუსტებული ინფორმაცია, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საწარმოში შემოტანილი ჯართის დასაწყობებისას ხდება ვიზუალური შემოწმება ფეთქებად საშიშროებაზე. 2. ანგარიშში მოცემულია დასუსტებული ინფორმაცია საფასონო-სამსხმელო საამქროში არსებული ღუმელების თაობაზე. დღეისათვის საამქროში ფუნქციონირებს 2 ღუმელი 5 ტონიანი და 3 ტონიანი. სხვა დანარჩენი ღუმელები დაკონსერვებული და უმოქმედოა. იხილეთ პარაგრაფი 4.3.5. 3. მილსაგლინავ საამქროში ვენტილაცია ხორციელდება ბუნებრივი გზით, აერაციული ფანების საშუალებით.

	<p>საწრობი ღუმელი; დოკუმენტის თანახმად, მილსაგლინავ საამქროს ტერიტორია უზრუნველყოფილია სააერაციო „ფანრებით“ და გამწოვი ვენტილაციის სისტემით, ხოლო სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საწარმოს არაგეგმიური შემოწმებით დადგინდა, რომ მილსაგლინავ საამქროში არ არის ვენტილაციის სისტემა, საამქროს შენობაში გამოყოფილი მავნე აირების ორგანიზებული აირაციული ფარნებიდან ატმოსფეროში გაფრქვევისათვის</p>	
6.6.	<p>საწარმოს არაგეგმიური შემოწმების შედეგების მიხედვით, ლითონის ჯართის დასაწყობება ხდება ქაოტურად, მიღებულ ჯართში შერეულია თხევადი აირის ბალონები, ყველანაირი ჭურჭელი (კასრები, რომელიც დაბინძურებულია სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით და სხვ). მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების, შემოსული ჯართის შემოწმება-კლასიფიკაციის და ა.შ შესახებ</p>	<p>შემარბილებელი ღონისძიებების გეგმით და ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებულია ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სიტემის დანერგვა და უპირობო შესრულება.</p>
6.7	<p>სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საწარმოს არაგეგმიური შემოწმებით გამოვლინდა მეტალურგიული საწარმოდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების არაორგანიზებული გაფრქვევების ფაქტები, მათ შორის: აირული ჭრის სამუშაოები მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, არაორგანიზებულად, რის შედეგადაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების არაორგანიზებული გაფრქვევა; ფოლადის ნადნობის მასის ჩამოსხმის დროს ღუმელიდან და მილგაყვანილობებიდან ხდებოდა დიდი რაოდენობის მავნე ნივთიერებების არაორგანიზებული გაფრქვევა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საწარმოში წარმოქმნილი არაორგანიზებული გაფრქვევების მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია</p>	<p>არაორგანიზებული გაფრქვევის წყარო წარმადგენს სტაციონარული გაფრქვევის წყაროების ერთერთ სახეობას, რაც განსაზღვრულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით. შესაბამისად მათი აღკვეთა მეტალურგიული წარმოების ტექნოლოგიიდან გამომდინარე შესაძლებელი არ არის. აღნიშნული წყაროების ორგანიზებულ წყაროებად ფორმირება ატმოსფეროში გავრცელებულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივ შემადგენლობას არ შეცვლის. რაც შეეხება ნადნობის ჩამოსხმის დროს არაორგანიზებული გაფრქვევების ლოკალიზებას, ღუმელის ასპირაციის სისტემა უზრუნველყოფს წარმოქმნილი აირების სრულად შეწოვას. ცალკეული შემთხვევების დროს, არაორგანიზებული გაფრქვევების წარმოქმნა დაკავშირებულია ასპირაციული სისტემის მართვის პირობების დარღვევასთან.</p>
6.8	<p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ახალი - 35 ტ/სთ წარმადობის ფოლადსადნობი ღუმელის სამონტაჟო სამუშაოები დამთავრებულია და მიმდინარეობს მისი სატესტო რეჟიმში გამოცდის პროცედურები, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას და არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ანგარიშში ასახვას, ვინაიდან - ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს წარმომადგენლის მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ახალი ელექტრორკალური ღუმელი უკვე ექსპლუატაციის რეჟიმშია</p>	<p>გათვალისწინებულია: ანგარიშში მოცემულია, რომ 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელი გადაცემულია ექსპლუატაციაში ემისიების გაანგარიშებები შესრულებულია აღნიშნული გათვალისწინებით.</p>

6.9	დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელისთვის განკუთვნილი ახალი ჯართის დამუშავების უბნის, კაზმის მომზადების უბნის და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის შესახებ	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 4.3.1. და 4.3.2.1.
6.10	სორტული გლინვის საამქროს შემადგენლობაშია 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელი. საამქრო გადაამუშავებს 150 000 ტ/წელ ნამზადს, წელიწადში 7200 სამუშაო საათის პირობებში - რაც საათური წარმადობისა და წლის განმავლობაში დაგეგმილი სამუშაო საათების გათვალისწინებით საჭიროებს დაზუსტებას	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 4.3.4.
6.11	საამქროში არსებობს ასევე 25 ტ/სთ წარმადობის ღუმელი, რომლის გამოყენება დაგეგმილია სარეზერვოდ. მნიშვნელოვანია დაზუსტდეს წელიწადში რამდენი დღე, საათი და რა მიზნით შეიძლება იმუშაოს 25 ტ/სთ წარმადობის ღუმელმა. ამასთან, მნიშვნელოვანია გზშ-ის ანგარიშში მკაფიოდ დაფიქსირდეს, რომ ტექნოლოგიური ხაზების ერთდროულად მუშაობა არ მოხდება	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 4.3.4. როგორც პარაგრაფშია მოცემული 15 ტ/სთ წარმადობის ღუმელი სარეზერვოა და მისი გამოყენება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ახალი 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის დაზიანების შემთხვევაში და შეჩერდება ამ უკანასკნელის გამართვის მომენტიდან. შესაბამისად რამდენი დღე ან საათი იმუშავებს წინასწარ ვერ იქნება განსაზღვრული.
6.12	შპს „რუსთავის ფოლადი“ გეგმავს ახალი გამწმენდი სისტემების მოწყობა-ექსპლუატაციას, რასთან დაკავშირებითაც გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია, მათ შორის მოწყობის კონკრეტული დროის და დანადგარის ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მითითებით (საპასპორტო მონაცემებთან ერთად)	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.2.7. და პარაგრაფი 7 (შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა)
6.13	ფოლადსადნობ საამქროში მოწყობილი 35 ტ/სთ წარმადობის ახალი ელექტროღუმელი აღჭურვილია მაღალეფექტური მტვერდამჭერი სახელოიანი ფილტრებით, თუმცა როგორც დოკუმენტაციიდან დგინდება მტვერდამჭერი სისტემა არ არის ამოქმედებული და მისი ამოქმედება დაგეგმილია 35 ტ/სთ წარმადობის ახალი ელექტროღუმელი ღუმელის ექსპლუატაციაში შევლის შემდგომ. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან, როგორც სააგენტოს წარმომადგენლის მიერ ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა ახალი ელექტრორკალური ღუმელი უკვე ექსპლუატაციის რეჟიმშია	ანგარიშში მოცემულია, რომ 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელი ექსპლუატაციაშია, მტვერდამჭერ სისტემასთან ერთად
6.14	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელებს შეუწყდება ექსპლუატაცია და განახლება მოხდება მხოლოდ ახალი აირგამწმენდი სისტემების მოწყობის შემდეგ. აღნიშნული ასევე საჭიროებს	როგორც ანგარიშში მოცემულია 10 ტ/სთ წარმადობის ღუმელები დაკონსერვებულია და ამოქმედება მოხდება მხოლოდ მტვერდამჭერი სისტემების მოწყობის შემდეგ.

	დაზუსტებას ვინაიდან სააგენტოს წარმომადგენლის მიერ გამოვლინდა, რომ ახალი ელექტროკალური ღუმელი უკვე ექსპლუატაციის რეჟიმშია	
6.15	გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვრის მართვის სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების დეტალური ანალიზი-განხილვა. დაჭერილი მტვრის აგლომერაციისა და შესაბამისად აგლომერაციის საამქროს ამოქმედების, მტვრის შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციისთვის გადაცემის, სახიფათო ნარჩენების ობიექტზე განთავსების, ასევე საწარმოს საკუთრებაში არსებულ წიდასაყარზე განთავსება-სამშენებლო მასალების წარმოებაში გამოყენების საკითხებიდან - უპირატესობა მიენიჭოს გარემოსდაცვითი კუთხით ყველაზე საუკეთესო ვარიანტს და წარმოდგენილი იქნეს შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის გარემოსდაცვითი დასაბუთება	როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული, დღეისათვის აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვერი დასაწყობებულია ფოლადსადნობი საამქროს მიმდებარედ არსებულ შენობაში . დაგროვების შესაბამისად მტვრის მართვა დაგეგმილია ორი მიმართულებით: რეალიზაცია სამშენებლო მასალების წარმოების მიზნით და საწარმოს წიდასა და ჯართის დამუშავების საამქროს ტერიტორიაზე დასაწყობება,
6.16	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პაკეტირებისათვის განკუთვნილი ჯართიდან მიმდინარეობს მავნე მინარევებიანი, მოკალული, ემალირებული, მითითებული და ფერადი ლითონების, ასევე ძლიერ დაჟანგული მეტალების ამორჩევა. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას აღნიშნული ნარჩენის მართვის საკითხების შესახებ ინფორმაცია	როგორც გზმ-ს ანგარიშის 6.4.2 პარაგრაფშია მოცემული, საწარმოში უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვება და ნარჩენები, მათ შორის ჯართის დახარისხების პროცესში წარმოქმნილი შემდგომი მართვისათვის გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორებს.
6.17	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების ნაწილის დამუშავებას (წიდა და სამშენებლო ნარჩენები) უზრუნველყოფს შპს „რუსთავის ფოლადი“, წიდასა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში. აღნიშნული საკითხის საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან წიდასა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროზე, კერძოდ - ქ. რუსთავში, წიდასაყარის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „რუსთავის ფოლადის“ ნარჩენების დამუშავების საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე გაცემულია მხოლოდ სკოპინგის დასკვნა (N 2-385 05/05/2020) და აღნიშნულ საქმიანობაზე შპს „რუსთავის ფოლადს“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ აქვს	წიდასა და ჯართის გადამამუშავების საამქროს მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადების პროცესშია და უახლოეს პერიოდში თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.
6.18	ხმაურით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ქვეთავში აღნიშნულია, რომ საწარმო ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროებია კომპრესორები და სატუმბი მოწყობილობები, რაც საჭიროებს დაზუსტებას - ვინაიდან საწარმოში განთავსებულია ისეთი მაღალი ხმაურწარმომქმნელი უბნები, როგორცაა მაგალითად ჯართის მიღება-დამუშავების ობიექტი, მილსაგლინავი საამქრო და სხვ	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.9.
6.19	დაზუსტებას საჭიროებს სატრანსპორტო ნაკადების ზრდით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, რომელიც განხილული უნდა იქნას	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.9.

	არა მხოლოდ გზებზე ნაკადების შეფერხების, არამედ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების კრილში	
6.20	ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ არცერთი ღუმელი (დაბინძურების სტაციონარული წყარო) არ არის აღჭურვილი აირმტვერდამჭერი/გამწმენდი მოწყობილობის სისტემებით. აქედან გამომდინარე, ღუმელებიდან გამოყოფილი ყველა მავნე ნივთიერება გაწმენდის გარეშე გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ღუმელების აირმტვერდამჭერი/გამწმენდი მოწყობილობის სისტემებით აღჭურვამდე გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.2.7. და პარაგრაფი 7 (შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა)
6.21	სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტექნიკური წყალმომარაგება ხორციელდებოდა მდ. მტკვარზე არსებული სათაო ნაგებობიდან, რომელიც წლების განმავლობაში უმოქმედო მდგომარეობაშია და დღეისათვის გამოიყენება შახტური ჭების წყალი, რომელთა წყლით უზრუნველყოფა ხდება ე.წ. „მარის არხიდან“ და ტყეპარკში არსებული ტბიდან. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ე.წ. „მარის არხის“ და „ტყეპარკში“ არსებული ტბის შესახებ, მათ შორის მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს აღნიშნული ობიექტებიდან წყალაღების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 4.3.10.
6.22	დოკუმენტის თანახმად, ჩამოსხმის დამთავრების და ციცხვიდან წიდის მოცილების შემდეგ, ციცხვი მიაქვთ გამოსარეცხ სტენდთან. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ნარეცხი წყლების მართვის საკითხების შე	ციცხვის გამორეცხვის პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი საწარმოო სანიაღვრე ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულია გარდაბნის გამწმენდი ნაგებობის მიმყვან კოლექტორში.
6.23	სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საამქროდან დაბრუნებული წყალი გაივლის შხეფსაცივრებს და გაგრილებული წყალი ჩაედინება წყალსაცავში. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია აღნიშნული წყალსაცავის შესახებ	გათვალისწინებულია: როგორც 4.3.10. პარაგრაფშია მოცემული შეხეფსაცივრიდან გაგრილებული წყალი ჩაედინება სალექარში.
6.24	დოკუმენტში წარმოდგენილი საკადასტრო მონაცემებით ვერ მოხერხდა საპროექტო ტერიტორიის იდენტიფიცირება (ს/კ 02.07.04.079), თუმცა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს „რუსთავი ფოლადის“ მეტალურგიული საწარმოს საკადასტრო მონაცემებია - 02.07.04.764, რაც გზმ-ის ეტაპზე საჭიროებს დაზუსტებას	გათვალისწინებულია: ანგარიშში წარმოდგენილია დაზუსტებული ინფორმაცია. იხილეთ პარაგრაფი 4.1.
6.25	წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, მილსაგლინავ საამქროში აგრეგატ „დგან 400- ზე“, სორტული გლინვის საამქროსა და საფასონო-სამსხმელო საამქროში შესაძლებელია წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დაზუსტებული ინფორმაცია წარმოებული პროდუქციის შესაძლო გაზრდის შესახებ	გამომდინარე იქედან, რომ საფასონო-საჩამოსხმელო საამქროში ექსპლუატაციაში დარჩენილია მხოლოდ 2 ღუმელი, წარმოებული პროდუქციის ზრდას ადგილი არ ექნება.

		მილსაგლინავ და სორტული გლინვის საამქროებში გადამუშავდება ფოლად სადნობი საამქროს მიერ წარმოებული ნამზადი. კერძოდ: სორტული გლინვის საამქროში 168 000 ტონა ხოლო მილსაგლინავ საამქროში 112 000 ტონა.
6.26	დოკუმენტის მიხედვით, ჯართისა და წიდის გადამამუშავებელი საამქროს გარემოსდაცვითი დოკუმენტაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილია დამოუკიდებლად, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	ჯართისა და წიდის გადამამუშავებელი საამქროს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 აგვისტოს N424/ს ბრძანებით გაცემული N20 სკოპინგის დასკვნის მიხედვით და უახლოეს პერიოდში წარდგენილი იქნება სააგენტოში,
6.27	სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ფოლადის ჩამოსხმის პროცესის და ციხვის ტრანსპორტირების განმავლობაში მიმდინარეობს ინერტული აირის (არგონი) დაბერვა. გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ინერტული აირების დაბერვის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (დაბერვის დროს აირების გავრცელების არეალის, შესაძლო ზემოქმედების და ა.შ შესახებ)	წარმოებული ნადნობის ციხვლუმელზე დამუშავების პროცესში არგონის დაბერვა ხდება გამდნარი მასის გაერთვაროვნებისათვის და მასში მავნე ნივთიერებების მოსაცილებლად. დაბერვის პროცესში არგონის გაწევა ხდება ღუმელის გამწოვი ვენტილაციის საშუალებით და გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში აირგამწმენდი სისტემის გავლით. არგონი წარმოადგენს ინერტულ აირს და შესაბამისად გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.
6.28	წარმოდგენილი უნდა იქნას დაზუსტებული ინფორმაცია შერეული გამონაბოლქვის ტემპერატურის დაცემისა და შენარჩუნების ტექნოლოგიის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია ნახშირბადის მონოქსიდის, მყარი ნაწილაკების მოცილებისა და მართვის შესახებ	გათვალისწინებულია. როგორც 4.3.2.4. პარაგრაფშია მოცემული, ელექტროლუმელის მეოთხე ლიობიდან გამოსული ცხელი გამონაბოლქვი გადადის ნაპერწკალდამჭერ კამერაში მას შემდეგ, გადადის წყლით გაგრილების კვამლსადენში სადაც ტემპერატურა ეცემა 450°C-ზე დაბლა და საბოლოოდ გადის ცირკულაციური გამწოვი ხუფის მქონე მთავარ კვამლსადენში, სადაც ხდება მისი დაბალი ტემპერატურის მქონე ჰაერთან შერევა და საბოლოო ჯამში შერეული გამონაბოლქვის ტემპერატურა ეცემა 120°C-ზე დაბლა. ჰაერთან შერევის პროცესში ნახშირბადის მონოქსიდი ნაწილობრივ იჟანგება ნახშირორჟანგად. მტვრის მსხვილი ნაწილაკები ილექება ნაპერწკალდამჭერში.
6.29	გზმ-ის ანგარიშში ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი იქნეს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არსებული მდგომარეობის შესახებ	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 6.2.8.

	ინფორმაცია. ამასთან ქ. რუსთავში ჰაერის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში განისაზღვროს რამდენად შეცვლის/ცვლის რუსთავის მეტალორგიული ქარხანა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საერთო ფონს, ასევე საჭიროების შემთხვევაში მითითებული იყოს რა სახის ღონისძიებებს დაგეგმავს და განახორციელებს კომპანია ქ. რუსთავის საერთო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით	
6.30	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნეს პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედარებითი ანალიზი. განისაზღვროს - გარემოზე მიყენებული ზიანისა და ეკონომიკურ-სოციალური სარგებლის ურთიერთშეწონის საკითხები. ამასთან წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი შეფასება, რამდენად დააბალანსებს მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი გარემოზე მოსალოდნელ ზემოქმედებას, მათ შორის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ ზემოქმედებას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე	გათვალისწინებულია: იხილეთ გზშ-ს ანგარიში პარაგრაფი 3.1.
6.31	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი დასაბუთება რამდენად უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობა - დაგეგმილი წარმოების რეგულაციების სრული დაცვით განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ საწარმოს შენობა მოძველებულია, (ფუნქციონირებს მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან) და შესაძლებელია შენობის გვერდებიდან გაიფრქვეს ჯართის ჩატვირთვის დროს წარმოქმნილი აირმტვერნარევი (ელექტრორკალური ღუმელების უბნიდან). შესაბამისად, საწარმომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნულის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენა	ელექტროფოლად სადნობი საამქრო და დამხმარე ინფრასტრუქტურა განთავსებულია საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობებში, რომელთა ფართობი და ტექნიკური მდგომარეობა აკმაყოფილებს მეტალორგიული წარმოებისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. რაც შეეხება საამქროს ფანჯრებიდან და გვერდებიდან არაორგანიზებული გაფრქვევების მინიმუზაციის ღონისძიებებს, შემარბილებელი ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებულია ფანჯრების და ლიობების შემინვა, ასევე ფოლადსადნობი ღუმელის და ციხვ ღუმელის გამწოვი სისტემების ტექნიკური გამართულობის სისტემატური ზედამხედველობა.
6.32	სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ნედლეულს წარმოადგენს რკინის ჯართი. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, საქმიანობა განხილული უნდა იქნას, ასევე როგორც ნარჩენების აღდგენა („გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად)	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 1.
6.33	გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების დეტალური ანალიზი და შემარბილებელი ღონისძიებები სრულ თანხვედრაში უნდა იყოს პროექტის მახასიათებლებთან და დაგეგმილ საქმიანობასთან	გათვალისწინებულია

6.34	გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა	გათვალისწინებულია
სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდე“-ს კომენტარები:		
1.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, შპს „რუსთავის ფოლადის“ საწარმო განთავსებულია 02.07.04.079 საკადასტრო კოდის ფარგლებში. ელექტრონული გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი დაიყო სამ საკადასტრო კოდად (02.07.04.764; 02.07.04.014; 02.07.02.486), შესაბამისად დოკუმენტში წარმოდგენილი კოდი აღარ არის ვალიდური და საჭიროებს კორექტირებას	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 4.1.
2.0.	შპს „რუსთავის ფოლადის“ ტერიტორიის ფარგლებში, ს/კ 02.07.02.950; ს/კ 02.07.04.017; ს/კ 02.07.04.015 ფარგლებში ფიქსირდება შპს „ბულატი“ (ჩვენი ინფორმაციით აღნიშნული საწარმო ფუნქციონირებს შპს „არსემ კორპის“ სახელით), რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ივნისის N 2-527 ბრძანებით აღებული აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ფეროშენადნობების წარმოებაზე (სილიკომანგანუმის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე). აღნიშნული საწარმო ნახსენები არ არის წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, მოცემული საწარმო გათვალისწინებული უნდა იყოს კუმულაციური ზემოქმედების ნაწილშიც, რადგან ისიც არანაკლები დარღვევით ფუნქციონირებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტული საწარმოს მხრიდან, შპს „რუსთავის ფოლადის“ ტერიტორიის ჩაყოლებაზე არსებული გზა საკმაოდ მოუწესრიგებელია და ხშირად სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებისას ადგილი აქვს ატმოსფერულ ჰაერში დიდი რაოდენობით მტვრის გავრცელებას, რასაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს გზმ-ის ანგარიშში	გათვალისწინებული: საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება შესრულებულია 500 მ-იანი ზონის ფარგლებში არსებული საწარმო ობიექტების გაფრქვევების გათვალისწინებით, მათ შორის გათვალისწინებულია აღნიშნული საწარმოს გაფრქვევები. რაც შეეხება აღნიშნული საწარმოს მიერ გამოყენებული გზის მდგომარეობას, წინამდებარე ანგარიშის განხილვის საგანს არ წარმადგენს და ანგარიშში ვერ იქნება ასახული.
3.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კომპანიის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღებიდან დღემდე არ განხორციელებულა ცემენტის წარმოება და ცემენტისთვის განკუთვნილ დანადგარების ნაწილზე, მიმდინარეობს კირის წარმოება. როგორც ცნობილია, კირის წარმოებაზე კომპანიას ცალკე გააჩნია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც 2019 წელს გადაეცა შპს „ელბა ექსპორტს“. გზმ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს ის, თუ რატომ მიმდინარეობს ცემენტისათვის განკუთვნილ დანადგარებზე კირის წარმოება და გათვალისწინებული იყო თუ არა კირის წარმოებაზე გაცემულ დასკვნაში	შპს „ელბა ექსპორტზე“ იჯარით არის გადაცემული შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ბალანსზე არსებული კირის წარმოებისათვის განკუთვნილი კირის საამქრო. აღნიშნული საამქროს ნაწილზე 2009 წლის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გაცემული იყო ნებართვა ცემენტის წარმოების თაობაზე, რაც არ განხორციელებულა.

	ის, რომ პროდუქციის დამზადება უნდა განხორციელდეს ცემენტის წარმოებისთვის განკუთვნილ დანადგარებზე.	შპს „ელბა ექსპორტი“ დღეისათვის საქმიანობას ახორციელებს 07/12/2022 წლის N505/ს ბრძანებით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე.
4.0	სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დღეისათვის ახალი, 35ტ/სთ წარმადობის ფოლადსადნობი ღუმელის სამონტაჟო სამუშაოები დამთავრებულია და მიმდინარეობს სატესტო რეჟიმში გამოცდის პროცედურები. შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ, ამავე პროექტის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ფარგლებში სამინისტროს წარმომადგენელმა დაათვალიერა ტერიტორია. აღნიშნული ღუმელი უკვე დამონტაჟებული იყო და ფუნქციონირებდა, რაზეც კომპანიის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, რომ ფოლადსადნობი ღუმელი სატესტო რეჟიმში ჩართეს. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ღუმელის სატესტო რეჟიმში ფუნქციონირების თაობაზე არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან გაუმართლებელია 1 წლის განმავლობაში აღნიშნული მიზეზით ფუნქციონირებდეს დანადგარი. კომპანია მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დანადგარს ამუშავებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე და ამას უწოდებს სატესტო რეჟიმს, რათა თავიდან აიცილოს უკმაყოფილება და შესაძლო შეზღუდვები. ამასთან, გაცნობებთ, რომ უკანასკნელი დღეების მანძილზე ჩვენმა ჯგუფმა აღნიშნული საწარმოდან დააფიქსირა არაერთი დარღვევა, რომლის ამსახველი ფაქტები შეგიძლიათ იხილოთ ბმულსა და ფოტოებზე:	წინამდებარე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულია, რომ 35ტ/სთ წარმადობის ფოლადსადნობი ღუმელი ექსპლუატაციაშია და ყველა გაანგარიშება და შეფასება შესრულებულია ამ მიდგომით
5.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, თითოეული საამქროდან მის გარშემო არსებულ ობიექტებამდე ზუსტი მანძილების დადგენა შეუძლებელია და თითოეულ საამქროს ფართობსაც მხოლოდ პირობითი და ამავე დროს არაზუსტი დატვირთვა ექნება. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს თითოეული საამქროს GPS კოორდინატი, რათა საზოგადოებას და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს საშუალება ჰქონდეს თავად გადაამოწმოს მანძილები იმ ობიექტებამდე, რომელიც კომპანიის ტერიტორიის გარშემო მდებარეობს	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 4.1., ნახაზი 4.1.1.. საწარმოს სტრუქტურული ერთეულის ფა დანადგარ მოწყობილობის განთავსების ადგილების GPS კოორდინატი მოცემულია დანართში ნ6.
6.0	გზშ-ის დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს მანძილი უახლოეს მოსახლემდე	გათვალისწინებულია: იხილეთ პარაგრაფი 4.1. და სურათი 4.1.1.
7.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში შემოტანილი ლითონის ჯართი მოწმდება (ხორციელდება ვიზუალური ინსპექტირება) ფეთქებად-საშიშროებაზე და მხოლოდ შემოწმების შემდეგ მიმდინარეობს მისი წინასწარი დამუშავება. აღნიშნული ინფორმაცია აგრეთვე მოცემული იყო ამავე პროექტის გზშ-ის დოკუმენტშიც, თუმცა გზდ-ის მიერ	ჯართი ფეთქებად საშიშროების განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდები არ არსებობს და შესაბამისად კონტროლი ხორციელდება ვიზუალური დათვალიერებით.

	განხორციელებული ინსპექტირების ფარგლებში გამოვლინდა, რომ მსგავსი შემოწმება საწარმოს ტერიტორიაზე არ ხდება. აღნიშნული საკითხი გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია რას მოიცავს ვიზუალური ინსპექტირება და როგორ შეიძლება ვიზუალური ინსპექტირებით დადგინდეს კონკრეტული ჯართის ფეთქებადობის საშიშროება.	
8.0	გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ჯართის ღია უბანზე დამუშავების (ჭრის) დროს, აალების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია; ამასთან მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჯართის შემდგომი მართვის ღონისძიებებზე.	როგორც ანგარიშშია მოცემული, ჯართის დასაწყობების უბანზე ხდება ჯართის ვიზუალური დათვალიერება და დახარისხება. დახარისხების პროცესში ადვილად აალებადი, ასევე სახიფათო ნარჩენების დასაწყობება ხდება სახეობების მიხედვით და შემდგომი მართვის მიზნით უნდა გადაეცეს შესაბამის კონტრაქტორს.
9.0	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია 35ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელისთვის განკუთვნილი ახალი ჯართის დამუშავების უბნის, კაზმის მომზადების უბნის და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის შესახებ	გათვალისწინებულია იხილეთ პარაგრაფი 4.3.1.5. და 4.3.2.1.
10.0	სკოპინგის დოკუმენტის თანახმად, 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალურ ღუმელს ემსახურება აირმტვერდამჭერი მოწყობილობა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, გზდ-ის მიერ განხორციელებული ინსპექტირების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა არსებულ შენობა ნაგებობაში - მომუშავე საამქროებში განთავსებული შემწოვი და გამწოვი სისტემები მწყობრიდან გამოსულია და არ მუშაობს ან არ არის დამონტაჟებული. ამასთან, როგორც ინსპექტირების მასალებიდან ირკვევა, საწარმოში არსებული ღუმელების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების გასაწმენდად არ არის დამონტაჟებული მტვერდამჭერი მოწყობილობები და მავნე ნივთიერებები ყველა ღუმელიდან ყოველგვარი გაწმენდის გარეშე გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელის აირების გაფრქვევა ხდება საწარმოში არსებული, დაახლოებით 104 მ სიმაღლის მილიდან. დღეისათვის 35ტ/სთ წარმადობის ღუმელის აირების გამწმენდი სისტემის სამონტაჟო სამუშაოები დამთავრებულია და მომზადებულია ექსპლუატაციისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ღუმელი უკვე ფუნქციონირებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე, რატომ არ არის გაშვებული ექსპლუატაციაში მისთვის განკუთვნილი აირების გამწმენდი სისტემა ?	როგორც წინამდებარე ანგარიშშია მოცემული 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალურ ღუმელის აირგამწმენდი სისტემა გაშვებულია ექსპლუატაციაში.
11.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, არსებული 2 x 10 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალურ ღუმელებს აირგამწმენდი სისტემები დღეისათვის არ	როგორც ანგარიშშია მოცემული, 2 x 10 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალურ ღუმელი დაკონსერვებულია და მათი

	<p>გააჩნია და წარმოქმნილი აირების გაფრქვევა ხდება გაწმენდის გარეშე ორი, დაახლოებით 30 მ სიმაღლის მილის საშუალებით. დაახლოებით ერთი წლის წინ განხორციელებული გზდ-ის ინსპექტირების შედეგად, დაფიქსირდა მილგაყვანილობებიდან დიდი რაოდენობის არაორგანიზებული მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ფაქტი, რის გამოც ფოლადსადნობი საამქროს კორპუსის ღია ღიობებიდან ხდებოდა დაბინძურებული აირის გაფრქვევა. სკოპინგის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ და გავითვალისწინებთ ქალაქში არსებული ჰაერის მდგომარეობას, საწარმოში დღემდე ანალოგიური სიტუაციაა. ის, რომ მილგაყვანილობებიდან დიდი რაოდენობის არაორგანიზებული მავნე ნივთიერებები იფრქვევა გაწმენდის გარეშე, ცნობილია შესაბამისი უწყებებისთვის. რა ზომების მიღებას აპირებს სააგენტო შპს „რუსთავის ფოლადის“ მიმართ ფილტრების დაყენებამდე?</p>	<p>ექსპლუატაციაში გაშვება მოხდება მხოლოდ აირმტვერდამჭერი სისტემის მოწყობის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელი სრულიად საკმარისია და ძველი ღუმელების გამოყენება საჭიროებას არ წარმოადგენს.</p>
12.0	<p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ელექტრორკალურ ღუმელში და ციცხვ - ღუმელში მასალის ჩატვირთვის და დნობის პროცესში წარმოქმნილი კვამლი გროვდება და იწმინდება მტვერდამჭერი სისტემის მეშვეობით. გამომდინარე იქიდან, რომ ერთი წლის წინ გზდ-ის მიერ ჩატარებული ინსპექტირებისას საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ ღუმელებზე მტვერდამჭერი სისტემების არსებობა არ გამოვლენილა, საჭიროდ მიგვაჩნია გადაწყვეტილების გაცემამდე კიდევ ერთხელ ჩატარდეს ინსპექტირება რათა გავიგოთ საწარმოში არსებული რეალური ინფორმაცია, დღეის მდგომარეობით</p>	<p>დღეისათვის ელექტრორკალური და ციცხვ ღუმელების აირმტვერნარევი ჩართულია აირმტვერდამჭერ სისტემაში.</p>
13.0	<p>გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოდან ადგილი აქვს უამრავი არაორგანიზებული მავნე ნივთიერების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, აუცილებელია წარმოდგენილი იყოს საწარმოდან არაორგანიზებული გაფრქვევების შემცირების კონკრეტული ღონისძიებები.</p>	<p>ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შემცირების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის საამქროების შენობების ღიობების შეძლებისდაგვარად შემინვა, აირჭრის უბნების დახურულ შენობებში განთავსება და სხვა.</p>
14.0	<p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „მილსაგლინავ საამქროში წარმოქმნილი ნამწვი აირების გაფრქვევა ხდება 80 მ სიმაღლის საკვამლე მილის საშუალებით. საამქროს ტერიტორია უზრუნველყოფილია სააერაციო „ფანრებით“, ცალკეული უბნები კი აღჭურვილია გამწოვი ვენტელაციის სისტემით“. ანალოგიური ინფორმაცია მოცემული იყო გზშ-ის ანგარიშშიც, თუმცა ინსპექტირების მასალებით დადგინდა, რომ მილსაგლინავ საამქროში არ არის ვენტელაციის სისტემა, საამქროს შენობაში გამოყოფილი მავნე აირების ორგანიზებული აერაციული ფარნებიდან ატმოსფეროში</p>	<p>მილსაგლინავი საამქროში არსებული ღუმელების ნამწვი აირები გაიფრქვევა საკვამლე მილის საშუალებით, ხოლო არაორგანიზებული ემისიების გაფრქვევა ხდება ბუნებრივი გზით აერაციული ფანრების (სარკმელების) საშუალებით.</p>

	გაფრქვევისათვის. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.	
15.0	სკოპინგის ანგარიშში მოცემულ თავში 2.3.4 „სორტული გლინვის საამქრო“ აღნიშნულია - საამქროში არსებობს 25 ტ/სთ წარმადობის ღუმელი. მისი დემონტაჟი არაა გათვალისწინებული, საჭიროების შემთხვევაში (43 ტ/სთ წარმადობის ღუმელის გეგმიური შეკეთება ან დაზიანება) გამოყენებული იქნება სარეზერვოდ. რა გარანტია არსებობს, რომ ორივე ღუმელი ერთდროულად არ იმუშავებს? არსებობს თუ არა რაიმე სახის ტექნოლოგიური შეზღუდვა?	როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული სორტული გლინვის საამქროში არსებული ღუმელების პარალელურ რეჟიმში მუშაობა პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან ტექნიკურად შეუძლებელია არსებულ ერთ საგლინავ ხაზზე 2 ღუმელში გახურებული ნამზადის მიწოდება. საგლინავი ხაზის ერთი ღუმელიდან, მე-2 ღუმელზე დაერთება საჭიროებს გარკვეული ტექნიკური ღონისძიებების შესრულებას.
16.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საფასონო-სამსხმელო საამქროში არსებულ ღუმელებს აირგამწმენდი სისტემები არ გააჩნია (ძველი არსებული სისტემები გამოსულია მწყობრიდან და უმოქმედოა) და შპს „რუსთავის ფოლადი“ გეგმავს ახალი გამწმენდი სისტემების მოწყობას და ექსპლუატაციას. საამქროს გააჩნია ნამწვი აირების გაფრქვევის 15 მ სიმაღლის მილი, რომელიც ამ ეტაპზე უმოქმედო მდგომარეობაშია. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ინფორმაცია ცნობილია შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები უწყებებისთვის, რა ღონისძიებების გატარებას აპირებს სააგენტო აღნიშნულის თაობაზე და იგეგმება თუ არა უწყებამ კომპანიას გააჩერებინოს აღნიშნული ღუმელები გამწმენდი სისტემების მოწყობასა და ამუშავებამდე	როგორც ანგარიშშია მოცემული, საფასონო-სამსხმელო საამქროში არსებულ ყველა ღუმელი არის დაკონსერვებული გარდა 5 და 3 ტონა ტევადობის ღუმელებისა, რომლებზედაც შემარბილებელი ღონისძიებების გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია აირგამწმენდი სისტემის და უწყვეტი მონიტორინგის სიტემის დამონტაჟება.
17.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დამხმარე წარმოებასა და განყოფილებებს მიეკუთვნება აგრეთვე გარემოსდაცვითი განყოფილებაც, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი. დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციასა და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარემოსდაცვითი განყოფილება აღნიშნულ საწარმოში სათანადოდ არ ფუნქციონირებს, რადგან საწარმო გარემოსდაცვით სტანდარტს არ აკმაყოფილებს და წლების განმავლობაში არაორგანიზებული გაფრქვევებით აზიანებს ქ. რუსთავის მაცხოვრებლების ჯანმრთელობას. კომპანიამ შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე განახორციელა უამრავი ცვლილება და დღესაც თავისუფლად ფუნქციონირებს, რაც წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დარღვევას და აღნიშნული ინფორმაცია, ვფიქრობთ, ცნობილი უნდა იყოს გარემოსდაცვითი განყოფილებისთვის	გარემოსდაცვითი განყოფილების მოვალეობაა დააფიქსიროს არსებული მდგომარეობა და მდგომარეობა საქმის კურსში ჩააყენოს საწარმოს ადმინისტრაცია. მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება განყოფილების ფუნქციებს და შესაძლებლობებს აღემატება.
18.0	სკოპინგის დოკუმენტის თანახმად, გარემოსდაცვითი განყოფილება აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით. რა ტექნიკაზეა საუბარი და რა	განყოფილებას გააჩნია ატმოსფერული ემისიების, ხმაურის გავრცელების და გარემოს სხვა ობიექტებზე ზემოქმედების მონიტორინგისათვის საჭირო აღჭურვილობა. თვით

	გარემოსდაცვით მიმართულებით ხდება მათი გამოყენება საქმიანობის ფარგლებში?	მონიტორინგი ხორციელდება გეგმიურად და არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ადმინისტრაციას.
19.0	გზმ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სალექარების პარამეტრების შესახებ. ამასთან, ინფორმაცია იმის თაობაზე თუ როგორ ხდება სალექარებიდან ამოღებული ხენჯის მართვა	როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული, სალექარების გაწმენდის პროცესში ამოღებული ხენჯის განთავსება ხდება წიდასაყარზე.
20.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „დღეისათვის, ქარხნის მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა წარმოებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით. ტექნოლოგიური ციკლის ცვლილების მიხედვით, წარმოქმნილი განახლებული ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებული იქნება გზმ-ს პროცესში და დადგენილი წესით შეთანხმდება სამინისტროსთან“. როგორც დოკუმენტიდან და ინსპექტირების მასალებიდან ირკვევა, საწარმოში ცვლილებების უმეტესობა უკვე განხორციელებულია, შესაბამისად კომპანიას სამინისტროსთან უკვე უნდა ჰქონდეს განახლებული ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმებული. ამასთან, ნარჩენების მართვის გეგმის განახლება შესაძლებელია ნებისმიერ პერიოდში, იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ცვლილებას უკვე შეთანხმებულ ნარჩენების მართვის გეგმაში. საინტერესოა, რატომ შეუძლია კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების გარეშე ცვლილებების განხორციელება და ფუნქციონირება, ხოლო ნარჩენების მართვის გეგმის შესთანხმებლად და ფილტრების დასაყენებლად ელოდება შესაბამისი გადაწყვეტილების აღება?	ნარჩენების მართვის კორექტირებული გეგმა თან ერთვის გზმ-ს ანგარიშს. იხილეთ დანართი N3.
21.0	გზმ-ის ანგარიშში უნდა დაზუსტდეს აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დამონტაჟების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები. ამასთან სააგენტომ კომპანიას უნდა განუსაზღვროს აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვერის შემადგენლობაზე ჩატარებული შესაბამისი ანალიზების წარმოდგენის ვადები, რათა დაზუსტდეს მათი სახიფათოობის/არასახიფათოობის სტატუსი და უკვე განისაზღვროს მათი მართვის კონკრეტული მიმართულებები	აირმტვერდამჭერი მოწყობილობების დამონტაჟების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადები მოცემულია შემარბილებელი ღონისძიებების გეგმაში. იხილეთ პარაგრაფი 7.
22.0	სკოპინგის ანგარიშის თანახმად, აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვერი შეიცავს გარკვეული რაოდენობის მეტალებს და შესაძლებელია მისი ცემენტთან ან სხვა შემკვრელთან (კირი) აგლომერაციით, მოხდეს მისი გარკვეულ ზომებად დაბრიკეტება და ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება. დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში აღნიშნული პროცესიდანაც	როგორც გზმ-ს ანგარიშშია მოცემული აირმტვერდამჭერ მოწყობილობაში დაჭერილი მტვერის დასაწყობება ხდება ფოლადსადნობი საამქროს მიმდებარედ არსებულ დახურულ შენობაში და დაგროვების შესაბამისად გადაეცემა შესაბამის კონტრაქტორს სამშენებლო მასალების წარმოების მიზნით ან

		<p>გატანილი იქნება საწარმოს ჯართისა და წიდის გადამამუშავებელი სააქმროს ტერიტორიაზე დასაწებების მიზნით.</p> <p>შესაბამისად ამ ეტაპზე მტვრის ტექნოლოგიურ ციკლში დაბრუნება დაგეგმილი არ არის.</p>
23.0	<p>სკოპინგის დოკუმენტში წარმოდგენილი ალტერნატივების განხილვა არის ფასადური, პირველ რიგში იმიტომ, რომ ცვლილებების უმეტესობა უკვე განხორციელებულია. მეორე საკითხი არის ის, რომ აღნიშნული ალტერნატივები არ არის შეფასებული გარემოსდაცვითი კუთხით და ნათლად ჩანს, რომ კომპანიას მოცემული ცვლილებები განხორციელებული და დაგეგმილი აქვს ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და მეტი ეკონომიკური სარგებელის მისაღებად. ამასთან, ალტერნატივების თავში აღნიშნულია, რომ გარემოსდაცვითი კუთხით ზეგავლენა არ იქნება მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ გეოლოგიურ გარემოზე, დაცულ ტერიტორიებზე, ვიზუალურ-ლანდშაფტურ ცვლილებაზე, წყლის გარემოსა და ნიადაგზე არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება. დოკუმენტის მკითხველს ძალიან კარგად ესმის, რომ საწარმოო ზონაში განთავსებულ ობიექტს, რომელსაც გააჩნია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, ზემოქმედება ვერ ექნება ზედაპირული წყლის ობიექტსა და ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე. საწარმოს მთავარი ზემოქმედების რეცეპტორი არის ატმოსფერული ჰაერი და წარმოების შედეგად მასში არაორგანიზებულად, გაწმენდის გარეშე გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, რომელიც წლების მანძილზე დამოუკიდებლად და კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით აზიანებს მოსახლების ჯანმრთელობას. შესაბამისად, ალტერნატივების ნაწილი მთლიანად საჭიროებს გადამამუშავებას და ადეკვატური ინფორმაციის წარმოდგენას;</p>	<p>თუ გავითვალისწინებთ, რომ შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული ქარხანა მოქმედი საწარმოა ანგარიშში განხილული ალტერნატიული ვარიანტები მისაღებად უნდა ჩაითვალოს.</p> <p>განხორციელებული ცვლილებები და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები უზრუნველყოფს გარემოზე ზემოქმედების რისკების მნიშვნელოვნად შემცირებას, რაც ასახულია არაქმედების ალტერნატიულ ვარიანტში.</p>
24.0	<p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ქარხნის ტერიტორიაზე მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესები სრულდება დახურულ კაპიტალურ შენობებში, რაც გარკვეულად ამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს. გზდ-ის ინსპექტირების დროს გამოვლინდა, რომ ატმოსფერულ ჰაერში შენობის სახურავის ღიობებიდან იფრქვეოდა მავნე ნივთიერებები, შესაბამისად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საწარმოს შენობების ჰერმეტიკულად დაცულობისა და „კაპიტალურობის“ საკითხი</p>	<p>გზმ-ს ანგარიშში არსადაა ნახსენები, რომ საწარმოო საამქროები ჰერმეტიკულია და არაორგანიზებულ ემისიებს ადგილი არ აქვს.</p> <p>რაც შეეხება ხმაურის გავრცელების საკითხს ხმაურწარმომქმნელი სტაციონარული წყაროების აბსოლუტური უმრავლესობა განთავსებულია რკინა ბეტონის კონსტრუქციის შენობებში, რაც არანაკლებ 20 დბა-თი ამცირებს ხმაურის გავრცელების დონეებს. ხმაურის დონეების გავრცელების დონეები რეცეპტორამდე</p>

		დაცილების მანძილის უკუპროპორციულია და შესაბამისად ადგილი აქვს მნიშვნელოვან შემცირებას.
25.0	აქვს თუ არა კომპანიას ტექნიკური წყლის მოხმარებაზე შესაბამისი ნებართვა/შეთანხმება?	საწარმოს მიზნებისათვის ტექნიკური წყლის ზედაპირული წყლის ობიექტებიდან აღებას ადგილი არ აქვს. შესაბამისად წყალაღების ტექნიკური პირობების შეთანხმების ვალდებულება არ გააჩნია.
26.0	გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს გარშემო განთავსებულია სხვა საწარმოო ობიექტები, სასურველია გზშ-ის ანგარიშში ტერიტორიის გარშემო არსებული ობიექტები წარმოდგენილი იყოს ცხრილის სახით, შესაბამისი მანძილებისა და დანიშნულების მითითებით	საწარმოს მიმდებარე 500 მ-იანი ზონის ფარგლებში არსებული საწარმოო ობიექტები და დაცილების მანძილები მოცემულია პარაგრაფში 4.1. სურათი 4.1.1.
	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შეუქცევადი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია, სადაც ასახული იქნება გარკვეული ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, ამასთან, აღნიშნული პროექტით განხორციელებული ინვესტიციის რაოდენობა, რომელიც აჩვენებს კონკრეტული ციფრებით იმ ეკონომიკურ სარგებელს, რასაც საქმიანობა მოუტანს უშუალოდ ქ. რუსთავს და რამდენად აბალანსებს ეს სარგებელი გარემოსდაცვითი კუთხით მიყენებულ ზიანს	საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია მოცემულია პარაგრაფში 6.11.
27.0	გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე საწარმოში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის დანერგვისა და განხორციელების საკითხი. მათ შორის, გაფრქვევის წყაროების, მონიტორინგს დაქვემდებარებული კომპონენტების, თვითმონიტორინგისთვის შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია. როდის შეიძენს კომპანია აღნიშნულ სისტემას, როდის მოხდება მისი მონტაჟი და როდის ჩაერთვება იგი სამინისტროს ერთიან სისტემაში. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული კომპანია იყო ერთადერთი, რომელმაც სააგენტოს არ მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როდის მოაწესრიგებდა აირმტვერდამჭერი მოწყობილობების საკითხს, დანერგავდა თვითმონიტორინგის სისტემას და ჩაერთვებოდა სამინისტროს ერთიან ელექტრონულ სისტემაში	იხილეთ პარაგრაფი 8.
28.0	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ საწარმოო ობიექტის გენერალური გეგმაზე დატანილი უნდა იყოს გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი ყველა წყარო.	იხილეთ პარაგრაფი 6.2.2.
29.0	გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის მიერ წარმოებული სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობაზე, სატრანსპორტო ოპერაციების პირობებზე და მარშრუტზე, რომელიც შეთანხმებული იქნება მერიასთან	საწარმოს მიმდინარე საქმიანობის მიზნებისათვის სატრანსპორტო ოპერაციები ძირითადად სრულდება საწარმოო ზონაში არსებული და ქალაქის შემოვლითი გზების გამოყენებით.

30.0	გეგმავს თუ არა კომპანია ქ. რუსთავისთვის განახორციელოს გარემოსდაცვითი ღონისძიებები?	კომპანია მონაწილეს იღებს ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი გარემოსდაცვით ღონისძიებებში. გარდა ამისა საწარმოში განხორციელებული ცვლილებები და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები მიმართულია ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.
31.0	როგორც ცნობილია, შპს „რუსთავის ფოლადს“ გააჩნია წიდასაყარი, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს უნებართვოდ. ამასთან, არსებობს ეჭვი, რომ აღნიშნულ წიდასაყარზე თავსდება არამხოლოდ შპს „რუსთავის ფოლადის“ ნარჩენი წიდა, არამედ სხვა საწარმოებისაც, რომელთაც წარმოების შედეგად რჩებათ აღნიშნული ნარჩენი. შეგახსენებთ, რომ წიდასაყარის ტერიტორია წარმოადგენს მტკვრის სანაპიროს და გამომდინარე იქიდან, რომ ზოგ ადგილას წიდა განთავსებულია უშუალოდ მდინარის ნაპირზე, არსებობს ზედაპირული წყლის დაბინძურების ფაქტები. ვინაიდან კომპანიამ დღემდე ვერ უზრუნველყო აღნიშნულ ობიექტზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულება, დოკუმენტების მწყობრში მოყვანა და შესაბამისი გადაწყვეტილების აღება, საჭიროდ მიგვაჩნია სააგენტომ გააკონტროლოს უნებართვოდ მოწყობილ წიდასაყარზე წიდის განთავსების პირობები	წიდასაყარის საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია მომზადების პროცესშია და უახლოეს პერიოდში წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში.

10 დასკვნები და რეკომენდაციები

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების წინამდებარე გზა-ს პროცესში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მიხედვით საწარმოში ექსპლუატაციაში გადაეცა ელექტროფოლადსადნობი საამქროს 35 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი, ხოლო სორტული გლინვის საამქროში 43 ტ/სთ წარმადობის ღუმელი;
- ახალი 35 ტ/სთ წარმადობის ღუმელის ექსპლუატაციაში გადაცემასთან დაკავშირებით, ელექტროფოლად სადნობი საამქროს წარმადობა 140 000 ტონიდან გაიზარდა 280 000 ტონამდე და შესაბამისად გაიზარდა საწარმოს მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის პროდუქციის, მათ შორის უნაკერო მილების რაოდენობა;
								ზღვ-ს წილი	მგ/მ3	ზღვ-ს წილი	მგ/მ3	
1	-68.00	1589.50	2.00	0.002	4.316E-04	124	5.18	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.001	2.616E-04	156	8.21	-	-	-	-	3
2	-267.00	1405.50	2.00	0.001	2.615E-04	92	8.21	-	-	-	-	0
3	-516.50	805.50	2.00	8.059E-04	1.612E-04	114	0.82	-	-	-	-	0
8	880.50	-1566.00	2.00	6.877E-04	1.375E-04	119	8.21	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	4.529E-04	9.058E-05	60	0.82	-	-	-	-	0
5	-430.50	-602.00	2.00	4.019E-04	8.038E-05	19	13.00	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	3.515E-04	7.029E-05	298	0.82	-	-	-	-	3
7	392.00	-1356.00	2.00	3.169E-04	6.338E-05	116	13.00	-	-	-	-	0
6	62.50	-1152.50	2.00	3.071E-04	6.142E-05	8	0.82	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	2.954E-04	5.908E-05	63	0.82	-	-	-	-	3
11	-1.33	-1706.15	2.00	2.289E-04	4.578E-05	7	0.82	-	-	-	-	3

ნივთიერება: 0348 ორთოფოსფორმჟავა

N			ს მ მ					ფონი	ფონი გამორიცხვამდე	ს ტიპი
---	--	--	-------	--	--	--	--	------	--------------------	--------

	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)		კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ3	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ზღვ-ს წილი	მგ/მ3	ზღვ-ს წილი	მგ/მ3	
5	-430.50	-602.00	2.00	0.009	1.726E-04	29	0.88	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.002	3.880E-05	129	2.16	-	-	-	-	0
6	62.50	-1152.50	2.00	0.002	3.343E-05	335	3.39	-	-	-	-	0
3	-516.50	805.50	2.00	0.001	2.178E-05	169	5.31	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.001	2.153E-05	325	5.31	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	0.001	2.126E-05	108	5.31	-	-	-	-	3
11	-1.33	-1706.15	2.00	9.170E-04	1.834E-05	348	8.30	-	-	-	-	3
8	880.50	-1566.00	2.00	7.193E-04	1.439E-05	315	8.30	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	6.752E-04	1.350E-05	181	13.00	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	6.067E-04	1.213E-05	187	13.00	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	5.161E-04	1.032E-05	261	13.00	-	-	-	-	3
9	0.42	1884.84	2.00	5.159E-04	1.032E-05	188	13.00	-	-	-	-	3

ნივთიერება: 0410 მეთანი

N	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ3	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ3	ზღვ-ს წილი	მგ/მ3	
1	-68.00	1589.50	2.00	0.007	0.334	139	0.75	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.005	0.262	102	0.75	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.004	0.185	164	0.75	-	-	-	-	3
5	-430.50	-602.00	2.00	0.002	0.115	32	0.75	-	-	-	-	0
3	-516.50	805.50	2.00	0.002	0.102	54	1.13	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.001	0.074	99	1.13	-	-	-	-	0
6	62.50	-1152.50	2.00	0.001	0.064	357	1.13	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	8.889E-04	0.044	345	1.13	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	8.080E-04	0.040	1	5.76	-	-	-	-	3
12	-1456.21	-0.22	2.00	7.070E-04	0.035	91	2.55	-	-	-	-	3
10	1946.55	0.03	2.00	5.828E-04	0.029	307	8.65	-	-	-	-	3
8	880.50	-1566.00	2.00	5.701E-04	0.029	335	0.75	-	-	-	-	0

ნივთიერება: 2754 ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19

N	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ3	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ3	ზღვ-ს წილი	მგ/მ3	
10	1946.55	0.03	2.00	0.131	0.131	186	13.00	-	-	-	-	3
8	880.50	-1566.00	2.00	0.089	0.089	56	13.00	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.061	0.061	74	13.00	-	-	-	-	0
6	62.50	-1152.50	2.00	0.047	0.047	83	13.00	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	0.039	0.039	68	13.00	-	-	-	-	3

5	-430.50	-602.00	2.00	0.032	0.032	98	13.00	-	-	-	-	0
3	-516.50	805.50	2.00	0.021	0.021	126	13.00	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.021	0.021	111	13.00	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.019	0.019	138	13.00	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	0.019	0.019	143	13.00	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.017	0.017	147	13.00	-	-	-	-	3
12	-1456.21	-0.22	2.00	0.017	0.017	106	13.00	-	-	-	-	3

ნივთიერება: 2902 შეწონილი ნაწილაკები

N	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ ³	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	
8	880.50	-1566.00	2.00	0.585	0.292	31	1.38	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.447	0.224	65	1.38	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	0.430	0.215	141	0.57	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.360	0.180	161	0.88	-	-	-	-	3
10	1946.55	0.03	2.00	0.352	0.176	216	1.38	-	-	-	-	3
6	62.50	-1152.50	2.00	0.343	0.171	81	1.38	-	-	-	-	0
3	-516.50	805.50	2.00	0.326	0.163	144	1.38	-	-	-	-	0
5	-430.50	-602.00	2.00	0.311	0.156	29	0.88	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.287	0.143	158	0.88	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	0.272	0.136	59	2.17	-	-	-	-	3
4	-909.00	126.00	2.00	0.249	0.125	107	0.50	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	0.168	0.084	102	0.50	-	-	-	-	3

ნივთიერება: 2908 არაორგანული მტვერი: 70-20% SiO₂

N	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ ³	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	
8	880.50	-1566.00	2.00	0.077	0.023	121	5.70	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.044	0.013	118	1.50	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	0.035	0.011	102	1.50	-	-	-	-	3
6	62.50	-1152.50	2.00	0.032	0.010	120	4.33	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	0.029	0.009	185	4.33	-	-	-	-	3
5	-430.50	-602.00	2.00	0.020	0.006	125	4.33	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.013	0.004	130	4.33	-	-	-	-	0

3	-516.50	805.50	2.00	0.012	0.004	142	4.33	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	0.011	0.003	123	4.33	-	-	-	-	3
2	-267.00	1405.50	2.00	0.010	0.003	150	4.33	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	0.010	0.003	154	4.33	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.009	0.003	156	4.33	-	-	-	-	3

ნივთიერება: 2936 ხის მტვერი

N	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ³	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ³	ზღვ-ს წილი	მგ/მ³	
3	-516.50	805.50	2.00	0.206	0.103	129	1.70	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.128	0.064	70	8.65	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.101	0.051	168	8.65	-	-	-	-	0
5	-430.50	-602.00	2.00	0.095	0.047	20	8.65	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	0.087	0.044	179	8.65	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	0.078	0.039	73	13.00	-	-	-	-	3
9	0.42	1884.84	2.00	0.071	0.035	182	13.00	-	-	-	-	3
6	62.50	-1152.50	2.00	0.065	0.033	356	13.00	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.055	0.028	347	13.00	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	0.053	0.027	283	13.00	-	-	-	-	3
11	-1.33	-1706.15	2.00	0.046	0.023	359	13.00	-	-	-	-	3
8	880.50	-1566.00	2.00	0.044	0.022	335	13.00	-	-	-	-	0

ნივთიერება: 6034 ტყვიის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი

N	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ³	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ³	ზღვ-ს წილი	მგ/მ³	
8	880.50	-1566.00	2.00	0.496	-	32	1.71	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.403	-	66	1.71	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	0.322	-	215	1.71	-	-	-	-	3
6	62.50	-1152.50	2.00	0.318	-	82	1.71	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	0.283	-	104	3.36	-	-	-	-	3
3	-516.50	805.50	2.00	0.243	-	142	1.71	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.235	-	152	3.36	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.220	-	158	4.71	-	-	-	-	3
1	-68.00	1589.50	2.00	0.218	-	155	4.71	-	-	-	-	0
5	-430.50	-602.00	2.00	0.211	-	127	4.71	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.177	-	124	1.71	-	-	-	-	0

12	-1456.21	-0.22	2.00	0.154	-	125	4.71	-	-	-	-	3
----	----------	-------	------	-------	---	-----	------	---	---	---	---	---

ნივთიერება: 6041 გოგირდის დიოქსიდი და გოგირდმჟავა

N	კოორდ. x (მ)	კოორდ. Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ ³	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	
8	880.50	-1566.00	2.00	0.503	-	32	1.43	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.401	-	66	1.43	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	0.319	-	214	1.43	-	-	-	-	3
6	62.50	-1152.50	2.00	0.314	-	82	2.06	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	0.284	-	104	4.31	-	-	-	-	3
3	-516.50	805.50	2.00	0.226	-	141	2.98	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	0.217	-	155	4.31	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.214	-	151	4.31	-	-	-	-	0
5	-430.50	-602.00	2.00	0.210	-	127	4.31	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.207	-	158	4.31	-	-	-	-	3
4	-909.00	126.00	2.00	0.176	-	124	1.43	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	0.153	-	124	4.31	-	-	-	-	3

ნივთიერება: 6053 წყალბადის ფთორიდი და ფთორის სუსტად ხსნადი მარილები

N	კოორდ. x (მ)	კოორდ. Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ ³	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	
8	880.50	-1566.00	2.00	0.006	-	28	13.00	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	0.006	-	124	5.20	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.004	-	64	13.00	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.004	-	156	13.00	-	-	-	-	3
3	-516.50	805.50	2.00	0.003	-	120	0.53	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.003	-	93	8.23	-	-	-	-	0
6	62.50	-1152.50	2.00	0.003	-	80	13.00	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	0.003	-	218	13.00	-	-	-	-	3
11	-1.33	-1706.15	2.00	0.002	-	58	13.00	-	-	-	-	3
5	-430.50	-602.00	2.00	0.002	-	102	13.00	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.002	-	63	0.83	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	0.001	-	65	0.83	-	-	-	-	3

ნივთიერება: 6204 აზოტის დიოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი

N	კოორდ. x (მ)	კოორდ. Y(მ)	სიმაღლე მ.	კონცენტრაცია ზღვ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ ³	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილის ტიპი
								ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	ზღვ-ს წილი	მგ/მ ³	
3	-516.50	805.50	2.00	0.617	-	147	1.22	-	-	-	-	0
5	-430.50	-602.00	2.00	0.613	-	27	1.22	-	-	-	-	0

9	0.42	1884.84	2.00	0.560	-	168	1.22	-	-	-	-	3
1	-68.00	1589.50	2.00	0.532	-	140	0.82	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.504	-	347	1.22	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.500	-	166	1.22	-	-	-	-	0
4	-909.00	126.00	2.00	0.495	-	98	1.22	-	-	-	-	0
6	62.50	-1152.50	2.00	0.481	-	356	1.81	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	0.416	-	359	1.81	-	-	-	-	3
12	-1456.21	-0.22	2.00	0.396	-	92	1.22	-	-	-	-	3
8	880.50	-1566.00	2.00	0.370	-	330	1.81	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	0.316	-	270	1.81	-	-	-	-	3

ნივთიერება: 6205 გოგირდის დიოქსიდი და წყალბადის ფთორიდი

N	კოორდ. x (მ)	კოორდ Y(მ)	სიმაღლე მ:	კონცენტრაცია ზდკ-ს წილი	კონცენტრაცია მგ/მ3	ქარის მიმართ.	ქარის სიჩქ.	ფონი		ფონი გამორიცხვამდე		წერტილ ის ტიპი
								ზდკ-ს წილი	მგ/მ3	ზდკ-ს წილი	მგ/მ3	
8	880.50	-1566.00	2.00	0.279	-	32	1.27	-	-	-	-	0
7	392.00	-1356.00	2.00	0.222	-	66	1.87	-	-	-	-	0
10	1946.55	0.03	2.00	0.178	-	215	1.87	-	-	-	-	3
6	62.50	-1152.50	2.00	0.177	-	82	1.87	-	-	-	-	0
11	-1.33	-1706.15	2.00	0.158	-	104	4.06	-	-	-	-	3
3	-516.50	805.50	2.00	0.126	-	141	2.75	-	-	-	-	0
1	-68.00	1589.50	2.00	0.121	-	155	4.06	-	-	-	-	0
2	-267.00	1405.50	2.00	0.120	-	151	4.06	-	-	-	-	0
5	-430.50	-602.00	2.00	0.117	-	127	4.06	-	-	-	-	0
9	0.42	1884.84	2.00	0.116	-	158	4.06	-	-	-	-	3
4	-909.00	126.00	2.00	0.098	-	124	1.87	-	-	-	-	0
12	-1456.21	-0.22	2.00	0.085	-	124	4.06	-	-	-	-	3

12.3 დანართი 3. ნარჩენების მართვის გეგმა

12.3.1 შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „რუსთავის ფოლადი“-ს მეტალურგიული ქარხნის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმას, რომელიც მომზადებულია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის საფუძველზე და მისი შინაარსი შეესაბამება - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №211.

„ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს მოთხოვნების საფუძველზე, კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან ნებისმიერი რაოდენობის სახიფათო ნარჩენი ან ფიზიკური პირის შემთხვევაში – 1 000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – 400 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი, ვალდებულია შეიმუშაოს კომპანიის „ნარჩენების მართვის გეგმა“ და განსაზღვროს გარემოსდაცვითი მმართველი (კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი).

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „რუსთავის ფოლადის“-ს საქმიანობის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, შემუშავებულია ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს სამწლიან პერიოდს (2024-2025-2026 წწ).

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა ახლდება ყოველ 3 წელიწადში ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა ახლდება ყოველ 3 წელიწადში ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში.

12.3.2 ნარჩენების მართვის პოლიტიკა და კონტროლის სტანდარტები

შპს „რუსთავი ფოლადი“-ს ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებულია, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

კომპანიის მიერ უზრუნველყოფილი იქნება ნარჩენების მართვის გეგმის გადახედვა მინიმუმ 6 თვეში ერთხელ და ასევე საქმიანობაში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, რათა უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისობა მოცემულ ვითარებასთან.

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად მზადდება შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიში და ქარხნის ექსპლოატაციის პროცესში გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, რაც დადგენილი წესით შეთანხმდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. აღნიშნულ დოკუმენტებში გათვალისწინებული იქნება წვის პროცესში წარმოქმნილი ემისიების მონაცემები.

12.3.3 ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

კომპანიის სრული სახელწოდება - შპს „რუსთავის ფოლადი“

სამართლებრივი ფორმა: შ.პ.ს. - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

იურიდიული მისამართი: 0105, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კოტე აფხაზის ქ., 44

ფაქტიური მისამართი: 3700, ქვემო ქართლი, რუსთავი, გაგარინის ქ., 12

რეგისტრაციის თარიღი: 11/29/2011წ.

საიდენტიფიკაციო ნომერი: №404411908

ხელმძღვანელის და გარემოსდაცვითი მმართველის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

გენერალური დირექტორი - იგორ კორიტკო

ტელ.: +995 595 07 09 87

ელ-ფოსტა: contacts@rustavisteel.com

გარემოსდაცვითი მმართველი - გელა ათანელიშვილი

ტელ.: +995 595 99 53 70

ტელ (ოფისი): +995 32 2 60 66 99 (1040)

ფაქსი: +995 32 2606699(3030); +995 32 2492233(3030)

ელ-ფოსტა: g.atanelishvili@rustavisteel.com

ვებ-გვერდი: <http://www.rmp.ge>

12.3.4 კომპანიის საქმიანობის მოკლე აღწერა

2011 წელს შეიქმნა შპს „რუსთავის ფოლადი“, რომელმაც შეიძინა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აქტივები.

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ახალი მენეჯმენტისა და მფლობელების მიზანია ინვესტიციებისა და რესტრუქტურისა მთავარი პროგრამის ფარგლებში, აღადგინოს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და განავითაროს საქმიანობა რეგიონალურ და ახალ გლობალურ ბაზრებზე.

მეტალურგიული ქარხანა მრავალი სახეობის პროდუქციას აწარმოებს, რომელთა შორისაა: არმატურა, უნაკერო მილები, კვადრატული ნამზადი, თუჯის სხმულები, ლითონკონსტრუქციები, მექანიკური დეტალები, ფასონური სხმულები და სხვ.

აღნიშნული პროდუქციის წარმოებისათვის ქარხანას გააჩნია:

- **ძირითადი საამქროები:** მილსაგლინავი; ფოლადსადნობი; სორტული გლინვის; საფასონო-სამსხმელო; წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი;
- **მექანიკური და დამხმარე საამქროები:** შემკეთებელ-მექანიკური; ტექნოლოგიურ მოწყობილობათა შემკეთებელი; ლითონკონსტრუქციების; მეტალურგიული ღუმელების შემკეთებელი; ენერგომემკეთებელი; ელექტრომემკეთებელი; ელექტრომომარაგების; ენერგოძალური; ჟანგბადის საამქრო; საკომპრესორო; საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის; სამშენებლო მასალათა წარმოების; სარემონტო-სამშენებლო; ექსპერიმენტული.

დამხმარე წარმოებას მიეკუთვნება აგრეთვე, რკინიგზის, ავტოტრანსპორტის, მეტროლოგიის და გარემოსდაცვითი განყოფილებები; ცენტრალური და ელექტრო-ტექნიკური ლაბორატორიები.

12.3.5 შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის გეგმა

წინამდებარე ნარჩენების მართვის გეგმა მომზადებულია საქართველოს კანონის- ნარჩენების მართვის კოდექსის (2015 წ 15 იანვარი) საფუძველზე.

შემუშავებული გეგმა მოიცავს:

- ინფორმაციას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ (წარმოშობა, სახეობა, შემადგენლობა, რაოდენობა);
- ინფორმაციას ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ (განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში);
- წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირების მეთოდების აღწერას;

- ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდებსა და პირობებს;
- ნარჩენების ტრანსპორტირების პირობებს;
- ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებულ მეთოდებს ან/და იმ პირის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც ნარჩენები შემდგომი დამუშავებისთვის გადაეცემა;
- ნარჩენებთან უსაფრთხო მოპყრობის მოთხოვნებს;
- ნარჩენებზე კონტროლის მეთოდებს.

12.3.6 კომპანიის საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების უმრავლესობა, როგორცაა ლითონი, წიდა, მეორეული ხენჯი და სხვ. გადამუშავდება მეტალურგიულ ქარხანაში წიდისა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში. გადამამუშავება/დახარისხების შემდგომ ხდება საწარმოო პროცესში ხელახალი გამოყენება ან/და რეალიზაცია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მარტენისა და ბრძმედის წიდის მაგნიტური სეპარაციის მეთოდით მიღებული ლითონური მასები, რომელთა შემადგენლობაშიც რკინის შემცველობა 70%-მდეა, გამოიყენება ფოლადის დნობაში. არა მაგნიტური დამუშავებული წიდები - გამოიყენება სამშენებლო ბლოკების დასამზადებლად, კლინკერის წარმოებაში, ცემენტის წარმოებაში და ასევე, მშენებლობის პროცესში სხვადასხვა დანიშნულებით.

ინფორმაცია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სავარაუდო რაოდენობის, სახიფათოობის, ფიზიკური მდგომარეობის და მართვის შესახებ, მოცემულია ცხრილში №12.3.6.1¹.

¹ცხრილში წარმოდგენილია ის ნარჩენებიც, რომელთა გადამამუშავება თავად კომპანიის მიერ ხდება.

ცხრილი 12.3.6.1 ინფორმაცია შპს „რუსთავის ფოლადის“-ს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ²

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო (დიახ/არა)	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათობის მახასიათებელი	წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა წლების მიხედვით,			განთავსება/ აღდგენის ოპერაციები	ნარჩენის მართვა/კონტრაქტორი კომპანიები
					2024 წ	2025 წ	2026 წ		
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ზედაპირის დამფრავი საშუალებების (საღებავები, ლაქები და მოჭიქვისას და ემალირებისას გამოყენებული საშუალებები), წებოვანი ნივთიერებების/შემკრავი მასალების, ლუქის დასადები მასალების და საბეჭდი მელნის წარმოების, მიღების, მიწოდებისა და გამოყენებისას (MFSU) - ჯგუფის კოდი 08									
08 01 საღებავების და ლაქების წარმოების, მიღების, მიწოდების, გამოყენებისა და მოცილების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები									
08 01 11*	ნარჩენი საღებავი და ლაქი, რომელიც შეიცავს ორგანულ გამსხნელებს ან სხვა სახიფათო ქიმიურ ნივთიერებებს	დიახ	თხევადი	H-3B – აალებადი H 5 – მავნე	0.04 ტ	0.04 ტ	0.04 ტ	D 10	შპს „სანიტარი“ შპს „მედიკალ ტექნოლოგი“
10 02 ნარჩენები შავი მეტალურგიისა და ფოლადსახმელი ინდუსტრიიდან									
10 02 01	წიდის გადამუშავების ნარჩენები	არა	მყარი	-	10 000 ტ	10 000 ტ	10 000 ტ	R 13	დროებით განთავსდება წიდასაყარზე
10 02 02	გადამუშავებული წიდა	არა	მყარი	-	52 000 – 55 000 ტ	52 000 – 55 000 ტ	52 000 – 55 000 ტ	R4/R5	ფოლადის დნობის დროს წარმოქმნილი წიდა განთავსდება ფოლადსადნობი საამქროს ტერიტორიაზე, გადამუშავება წიდასა და ჯართის გადამუშავების საამქროში.
10 02 10	მეორეული ხენჯი	არა	მყარი	-	2 700 – 2950 ტ	2 700 – 2950 ტ	2 700 – 2950 ტ	R4/R5	მეორეული ხენჯის ნარჩენის 2% გამოიყენება ფოლადის დნობის პროცესში. ძირითადი ნაწილი საწყობდება ფოლადსადნობი საამქროს ტერიტორიაზე, ნაწილი გადის წიდასაყარზე შემდგომი გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის. თვეში დაახლოებით რეალიზდება 1000-2000 ტ ხენჯი. ნაწილი გადაეცემა ჰაიდელბერგ ცემენტს.
10 02 15	სხვა წიდები და ფილტრის ნალექები ³	არა	მყარი	-	1345 ტ	1345 ტ	1345 ტ	R5	ფილტრებზე დაჭერილი მტვერი ერევა წიდასთან ერთად და გადამუშავდება წიდასაყარზე

² შედგენილია „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №426. 2015 წლის 17 აგვისტო ქ. თბილისი - შესაბამისად.

³ ნარჩენი არა სახიფათოა, რაც დადასტურებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრის აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის საგამოცდო ანგარიშის დასკვნით.

10 02 11*	გასაგრძელებლად გამოყენებული წყლის დამუშავების შედეგად მიღებული ნავთობის შემცველი ნარჩენები	დიახ	თხევადი/ლექი	H-3B – აალებადი H 5 – მავნე	4.7 ტ	4.7 ტ	4.7 ტ	D10	შპს „სანიტარი“
10 09 ნარჩენები რკინის შემცველი ნაწილების ჩამოსხმიდან									
10 09 03	ლუმელის წიდა	არა	მყარი	-	4.4 ტ	4.4 ტ	4.4 ტ	R4/R5	წიდეები ფასონური სხმულების საამქროდან განთავსდება წიდასაყარზე და გადამუშავდება წიდასა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში
10 09 10	გამონაბოლქვი აირების მტვერი, რომელსაც არ ვხვდებით 10 09 09 პუნქტში ⁴	არა	მყარი	-	5.0 ტ	5.0 ტ	5.0 ტ	R5	15 ტონიან ელექტრორკალურ ლუმელზე დაჭერილი მტვერი ერევა წიდასთან ერთად და გადამამუშავდება წიდასაყარზე
10 10 ნარჩენები ფერადი ლითონების შემცველი ნაწილების ჩამოსხმიდან									
10 10 03	ლუმელის წიდა	არა	მყარი	-	0.4 ტ	0.4 ტ	0.4 ტ	R4/R5	გადამამუშავებელ წიდასთან ერთად წიდასა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში
ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას - ჯგუფის კოდი 12									
12 01 ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას									
12 01 21	გამოყენებული სახეხი ნაწილები და სახეხი მასალები, რომელსაც არ ვხვდებით 12 01 20 პუნქტში (აბრაზიული ქვები)	არა	მყარი	-	0.40 ტ	0.40 ტ	0.40 ტ	R5	აღნიშნული ნარჩენი გადამამუშავდება წიდასთან ერთად წიდასა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში
ზეთის ნარჩენები (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა, რომლების განხილულია 05, 12 და 19 თავებში) - ჯგუფის კოდი 13									
13 01 ნარჩენი ჰიდრაულიკური ზეთები									
13 01 11*	სინთეტური ჰიდრაულიკური ზეთები	დიახ	თხევადი	H 3-B - აალებადი H 5- მავნე	1.3 ტ	1.3 ტ	1.3 ტ	D 10	შპს „სანიტარი“
13 02 ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სხვა ზეთები და ზეთოვანი ლუმბრიკანტები									
13 02 06*	ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის სინთეტიკური ზეთები და სხვა ზეთოვანი ლუმბრიკანტები	დიახ	თხევადი	H 3-B - აალებადი H 5- მავნე	3.3 ტ	3.3 ტ	3.3 ტ	R13	შპს „სანიტარი“

⁴ ნარჩენი არა სახიფათოა, რაც დადასტურებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გემოლოგიისა და მინერალურ ნივთიერებათა კვლევის, დიაგნოსტიკისა და გადამამუშავების რესპუბლიკური ცენტრის აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის საგამოცდო ანგარიშის დასკვნით.

13 03 საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთებისა და სხვა სითხეების ნარჩენები									
13 03 08*	სინთეტური საიზოლაციო და თბოგადამცემი ზეთები	დიახ	თხევადი	H 3-B - აალეზადი H 5- მავნე	0.6 ტ	0.6 ტ	0.6 ტ	R13	შპს „სანიტარი“
შესაფუთი მასალის, აბსორბენტების, საწმენდი ნაჭრების, ფილტრებისა და დამცავი ტანსაცმლის ნარჩენები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სხვა პუნქტებში - ჯგუფის კოდი 15									
15 01 შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით)									
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით (კონდენსატორების შეფუთვის საპოხი მასალებით დაბინძურებული ქაღალდი; ზეთების და საღებავების ცარიელი კონტეინერები)	დიახ	თხევადი	H 5- მავნე	1.2 ტ	1.2 ტ	1.2 ტ	D 10	შპს „სანიტარი“
15 02 აბსორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის									
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმის, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით (მათ შორის ნავთობპროდუქტები თ დაბინძურებული ხის ბურბუშელა და სხვ.) ⁵	დიახ	მყარი	H 3-B - აალეზადი H 5 - მავნე	2.5 ტ	1.95 ტ	1.95 ტ	D10	შპს „სანიტარი“

⁵ აღნიშნული ნარჩენის რაოდენობრივი მაჩვენებელი, ასევე დამოკიდებულია სახიფათო ნივთიერებების (ნავთობპროდუქტების) დაღვრასთან.

15 02 03	აბორბენტები, ფილტრის მასალა, საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც არ გვხვდება 15 02 02 პუნქტში	არა	მყარი	-	3.0 ტ	3.0 ტ	3.0 ტ	D10	შპს „სანიტარი“
ნარჩენები, რომელიც სხვა პუნქტებში გათვალისწინებული არ არის - ჯგუფი 16									
16 01 განადგურებას დაქვემდებარებული სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები და მწყობრიდან გამოსული და სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებიდან მიღებული ნარჩენები (13, 14, 16, 06 და 16 08-ს გარდა)									
16 01 03	განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები	არა	მყარი	-	6.0 ტ	6.0 ტ	6.0 ტ	R13	შპს „სანიტარი“
								R3 /R4	შპს „რაბერ ტექი“
16 01 07*	ზეთის ფილტრები	დიახ	მყარი	H 5 - მავნე H-15	2 ტ	2 ტ	2 ტ	D10	შპს „სანიტარი“
16 01 11*	ხუნდები, რომლებიც შეიცავს აზბესტს	დიახ	მყარი	H-7 კანცეროგენული	0.25 ტ	0.25ტ	0.25 ტ	D1	შეიფუთება მოქმედი სტანდარტის მიხედვით და განთავსდება ქ. რუსთავის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, სპეციალურ უჯრედში
16 01 14*	ანტიფრიზი სითხეები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს	არა	თხევადი	-	0.05 ტ	0.05 ტ	0.05ტ	D10	შპს „სანიტარი“
16 02 წუნდებული/მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები და მისი ნაწილები									
16 02 13*	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელიც შეიცავს სახიფათო კომპონენტებს, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-დან 16 02 12-მდე პუნქტებში	დიახ	მყარი	H 15	1.2 ტ	1.2 ტ	1.2 ტ	R13	შპს „ჯი სი ელ“
16 02 14	მწყობრიდან გამოსული ხელსაწყოები, რომელსაც არ ვხვდებით 16 02 09-	არა	მყარი	-	1.5 ტ	1.5 ტ	1.5 ტ	R12	შპს „ჯი სი ელ“

	დან 16 02 13-მდე პუნქტებში ⁶								
16 05 კონტეინერებში მოთავსებული ქიმიური ნივთიერებები და აირები									
16 05 05	საწარმოო აირები მაღალი წნევის ცილინდრებში, რომელსაც არ ვხვდებით 16 05 04 პუნქტში	არა	მყარი	-	0.7 ტ	0.7 ტ	0.7 ტ	R4	ჟანგბადის ბალონების დაცლილ მდგომარეობაში არსებობის შესახებ სტანდარტების სამსახურის დასკვნის შემდგომ იჭრება 50X70X70 სმ ზომებად და იგზავნება ფოლადსადნობ სამქროში გადასადნობად. ხდება სრული გადამუშავება
16 06 ბატარეები და აკუმულატორები									
16 06 01*	ტყვის შემცველი ბატარეები	დიახ	მყარი	H 6 – ტოქსიკური H-15	5.5ტ	5.5ტ	5.5ტ	R13	შპს „სანიტარი“
სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაზინძურებული ადგილებიდან - ჯგუფი 17									
17 01 ცემენტი, აგურები, ფილები და კერამიკა									
17 01 02	აგურები	არა	მყარი	-	3 300.10 ტ	3 600.10 ტ	4 300.0 ტ	R5	ნახშირბად მაგნეზიტის ცეცხლგამძლე აგურის ნარჩენების გადარჩევა ხდება, ვარგისი გამოიყენება ისევ ციცხვებისა და ღუმელების ასაშენებლად, უვარგისი (დაახლოებით 50 %) გადამუშავდება წიდასთან ერთად
					10 800.2 ტ	12 000.0 ტ	14 000.0 ტ	R5	ცეცხლგამძლე შამოტის აგურების ნარჩენების გადარჩევა ხდება, ვარგისი გამოიყენება ისევ ციცხვების ასაშენებლად უვარგისი დაახლოებით 50 % იფქვება გადამუშავდება წიდასთან ერთად
17 01 03	ფილები და კერამიკული ნაწარმი	არა	მყარი	-	7500 ტ	7500 ტ	7500 ტ	R5	განთავსდება წიდასაყარზე და გადამუშავდება წიდასთან ერთად. წილისა და ჯართის გადამამუშავებელ სამქროში
სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები (ასევე მოიცავს საგზაო სამუშაოების ნარჩენებს დაზინძურებული ადგილებიდან - ჯგუფი 17									
17 04 მეტალები (მოიცავს მათ შენადნობებსაც)									

⁶ წარმოდგენილი ნარჩენი არაა სახიფათო, რადგან არ შეიცავს სახიფათო კომპონენტებს.

17 04 07	შერეული ლითონები (სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ლითონების ნარჩენები; დაცლილი ცეცხლმაქრების მეტალის კორპუსები და სხვ.)	არა	მყარი	-	8400 ტ	8400 ტ	8400 ტ	R4	შპს „რუსთავის ფოლადი“ - ს საწარმოო პროცესში ხელახალი გამოყენება
17 06 საიზოლაციო მასალები და აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები									
17 06 01*	საიზოლაციო მასალები, რომლებიც შეიცავენ აზბესტს	დიახ	მყარი	H-7-კანცეროგენული	0.5ტ	0.5ტ	0.5ტ	D1	შეიფუთება მოქმედი სტანდარტის მიხედვით და განთავსდება ქ. რუსთავის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, სპეციალურ უჯრედში
17 06 05*	აზბესტის შემცველი სამშენებლო მასალები (შიფერი)	დიახ	მყარი	H-7 კანცეროგენული	0.25 ტ	0.25ტ	0.25 ტ	D1	შეიფუთება მოქმედი სტანდარტის მიხედვით განთავსდება ქ. რუსთავის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, სპეციალურ უჯრედში
ნარჩენები, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოების, ჩამდინარე წყლების გადამამუშავებელი საწარმოებისა და წყლის ინდუსტრიიდან - ჯგუფი 19									
19 12 ნარჩენები მექანიკური დამუშავებიდან (მაგალითად დახარისხება, დამსხვრევა, დაპრესვა, პელეტიზირება), რომლებიც არ არის განსაზღვრული აღნიშნულ კატეგორიაში)									
19 12 04	პლასტმასი და რეზინი (ნამუშევარი რეზინის მილები)	არა	მყარი	-	1.0 ტ	1.0ტ	1.0 ტ	R3	შპს „პკლ ეკო სოლუმენსი“
მუნიციპალური ნარჩენები და მსგავსი კომერციული, საწარმოო და დაწესებულებების ნარჩენები, რაც ასევე მოიცავს მცირედი ოდენობებით შეგროვებული ნარჩენების ერთობლიობას - ჯგუფი 20									
20 01 განცალკევებულად შეგროვებული ნაწილები (გარდა 15 01)									
20 01 21*	ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნარჩენები	დიახ	მყარი	H 6 -ტოქსიკური	0.08 ტ	0.08 ტ	0.08 ტ	D 9	შპს „სანიტარი“ შპს „მედიკალ ტექნოლოგი“
20 03 სხვა მუნიციპალური ნარჩენები									
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	მყარი	-	14.38 ტ	14.88ტ	14.88ტ	D1	განთავსდება ქ. რუსთავის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე

შპს „სანიტარი“

საქმიანობის მიზანი - „სახიფათო ნარჩენების გაუვნებლობის საწარმო (საწარმოო ქიმიური ნარჩენების ნეიტრალიზაციისა და ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების ბიორემედიაციის პოლიგონის მოწყობა. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000021, კოდი MD1, 08/10/2013 წ. ნებართვის გაცემის საფუძველი - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №51; 07.10.2013 წ.

საქმიანობის მიზანი - ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაცია) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის საწარმოს ექსპლოატაცია. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000287, კოდი MD 1, 09/10/2017 წ. ნებართვის გაცემის საფუძველი - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №71; 06.10.2017 წ.

შპს „სანიტარის“ სახიფათო ნარჩენების განთავსებისა და დამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (საწარმოს გაფართოება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-351. 16/05/2018 წ და ბრძანების ცვლილება №2-1606; 08/12/2021.

შპს „მედიკალ ტექნოლოგი“

საქმიანობის მიზანი - ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია. გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-714. 26/07/2019. ნებართვის გაცემის საფუძველი - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №74; 29.12.2015 წ.

საქმიანობის მიზანი - ნარჩენების აღდგენის და განთავსების (ნარჩენების გაუვნებელყოფა-დეტოქსიკაცია, ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენების დემერკურიზაცია და გამოყენებული ზეთების რეგენერაცია). გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-1261. 31/12/2020. ნებართვის გაცემის საფუძველი - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №4; 11.01.2017 წ.

შპს „პკლ ეკო სოლუშენსი“

საქმიანობის მიზანი - რეზინტექნიკური ნაწარმისა და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს მოწყობა და ექსპლოატაცია. გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-809. 23/08/2019.

შპს „რაბერ ტექი“

საქმიანობის მიზანი - ნარჩენების აღდგენის - განადგურებას დაქვემდებარებული საბურავების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-363, 26/03/2021. ნებართვის გაცემის საფუძველი - ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №92; 19.12.2017)

შპს „ჯი სი ელ“

რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობა - არანაკლებ 2 და არაუმეტეს 10 ტონა სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და ოპერირება. საქმიანობის რეგისტრაციის ნომერი: 1883515708.

რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობა - არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება. საქმიანობის რეგისტრაციის ნომერი: 3168538963. ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი: 405372252.

შენიშვნა:

1. შპს „რუსთავის ფოლადი“-ს თანამშრომლების სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს შპს „ქართული ფოლადის სამკურნალო ცენტრი“, რომელიც მდებარეობს ქარხნის მიმდებარედ (3700, ქვემო ქართლი, რუსთავი, გაგარინის ქ., 12). აღნიშნულ კომპანიას გააჩნია ნარჩენების მართვის გეგმა, ამდენად სამედიცინო ნარჩენები ნუსხაში წარმოდგენილი არ არის.

12.3.7 ნარჩენების მართვის ღონისძიებები

12.3.7.1 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების პრევენციისა და აღდგენის მიზნით, გათვალისწინებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- სახიფათო მასალების ჩანაცვლება ნაკლებად სახიფათოთი ან ნაკლებად ტოქსიკურით, ან იმ მასალით რომელიც ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის;
- ნებისმიერი სახის ნივთები, ნივთიერება ან სამშენებლო მასალა, ობიექტის ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სამუშაოების/ ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად წარმართვისათვის;
- შესყიდვების პროცესში შესატყვისი ზომები იქნება მიღებული, რათა თავიდან იქნას აცილებული გადამეტებული შესყიდვები;
- წარმოქმნილი ნარჩენები შესაძლებლობისამებრ გამოყენებული იქნება ხელმეორედ;
- მოხდება კონტროლი, რათა შემცირდეს რესურსების გაფუჭება, მათი ვადის გასვლა, თვისებების დაკარგვა, დაბინძურება;
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევის თავიდან აცილების მიზნით, შემოღებული იქნება ნარჩენების სეგრეგაციის მკაცრი სისტემა;
- მოხდება სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო განთავსება, რათა არ წარმოიშვას ჯანმრთელობისთვის რისკი და გარემოს დაბინძურების შემთხვევა თავიდან იქნას აცილებული;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ადგილები იდენტიფიცირებული და დაპროექტებული იქნება საწარმოო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით;
- ტერიტორიები, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სახიფათო ნარჩენების დაღვრის რისკს - აღჭურვება დაღვრაზე რეაგირების შესაბამისი აღჭურვილობით;
- აკრძალული იქნება: სახიფათო ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; ნარჩენების შეგროვება კონტეინერის გარეთ; მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება; თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე; სახიფათო ნარჩენების შესაბამისი ნებართვის მქონე ინსინერატორის გარეთ დაწვა; სახიფათო ნარჩენების საკანალიზაციო სისტემაში, მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება;

ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი; მოხდება პერსონალის ტრენინგი ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

12.3.7.2 წარმოქმნილი ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება

ნარჩენების მართვის კოდექსი (2015 წ) [მუხლი 29] კომპანიას ავალდებულებს აწარმოოს ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგება სამინისტროს წინაშე და ნარჩენების შესახებ მონაცემები შეინახოს 3 წლის განმავლობაში.

ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმა და შინაარსი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით - საქართველოს მთავრობის დადგენილება №422. 2015 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“.

კომპანიის მიერ ანგარიში უნდა შეივსოს ყოველწლიურად, ივსება წინა წლის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია და გაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონულად, მომდევნო წლის 1 მარტამდე.

ელექტრონული ფორმების შევსება მოხდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება №2-11. 2018 წლის 9 იანვარი ქ. თბილისი - „აღრიცხვა-

ანგარიშგების ელექტრონული ფორმებისა და ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული ფორმების შევსების წესის შესახებ“ - შესაბამისად.

ელექტრონული ბაზაში ნარჩენების აღრიცხვამდე, წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ ინფორმაცია: სახეობა, რაოდენობა, სახიფათოობის მახასიათებელი, დასაწყობების და შემდგომი მართვის პროცესების და სხვ. აღწერა მოხდება ჟურნალში.

12.3.7.3 წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, განთავსება, მარკირება

საქმიანობის განხორციელების პროცესში ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მათი სახეობის და სახიფათოობის მახასიათებლის მიხედვით:

- ტერიტორიაზე, შესაბამის უბნებზე დაიდგმება პლასტმასის/ლითონის კონტეინერები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად;
- ფერადი და შავი ლითონების ნარჩენები დაგროვდება სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე და შემდგომ ხელმეორედ გადამუშავდება ელექტრორკალურ ღუმელებში;
- მეორეული ხენჯი, წიდა, საწარმოო პროცესში გამოყენებული სახეები ნაწილების (აბრაზიული ქვები და სხვ.) ნარჩენები; ელექტრორკალურ ღუმელზე დაჭერილი მტვერი; ნახშირბად მაგნეზიტისა და შამოტის ცეცხლგამძლე აგურების ნარჩენები; სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ინერტული ნარჩენები და სხვ. განთავსდება წიდასაყარზე და გადამუშავდება წიდასა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში;
- შესაფუთი მასალების ნარჩენები დაგროვდება წარმოქმნის ადგილზე სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერებში; სახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული შესაფუთი მასალები, მათ შორის კონდენსატორების შეფუთვის საპოხი მასალებით დაბინძურებული ქაღალდი, განთავსდება განცალკევებით;
- ნამუშევარი საბურავები შეგროვდება ნარჩენის წარმოქმნის ადგილზე, მყარი საფარის მქონე ღია მოედანზე;
- მყარი სახიფათო ნარჩენები როგორცაა: სატრანსპორტო საშუალებების ზეთის ფილტრები, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და საწმენდი საშუალებები, თხევადი მასისგან თავისუფალი საღებავების და ზეთების ტარა და სხვ. განთავსდება მათთვის გამოყოფილ სპეციალურ კონტეინერში, რომლებიც განთავსებული იქნება ნარჩენების წარმოქმნის უბანთან ახლოს, დროებითი დასაწყობების ტერიტორიაზე;
- ფილტრებზე დაგროვილი მტვერი განთავსდება მარყუჟიან ტომრებში (ბიგ-ბეგი);
- ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორები (ელექტროლიტისაგან დაუცვლელი) პირდაპირ გატანილი იქნება დროებითი შენახვის უბანზე (სასაწყობე სათავსი) და განთავსდება ყუთებში. დროებითი შენახვის ადგილს ექნება ვენტილაცია ან/და განიავების შესაძლებლობა;
- თხევადი სახიფათო ნარჩენები (ზეთების, ანტიფრიზის, საღებავის ნარჩენები, ზეთიანი/ნავთობიანი წყალი/ლექი და სხვ.) და სახიფათო ნივთიერებების შემცველი ნალექები ცალცალკე შეგროვდება დახურულ კონტეინერებში ან ავზებში, რომლებიც დაცულია გაჟონვისგან და გატანილი იქნება დროებითი შენახვის უბანზე;
- ნარჩენი ზეთის მართვასა და დამუშავებაზე ვრცელდება შემდეგი სპეციალური მოთხოვნები:
 - სავალდებულოა წარმოქმნის ადგილზე ნარჩენი ზეთების განცალკევება სხვა ნარჩენებისგან;
 - ნარჩენი ზეთები ინახება დახურულ კონტეინერებში ან ავზებში, რომლებიც დაცულია გაჟონვისგან და აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით;
- აზბესტშემცველი ნარჩენები დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ორმაგი პლასტიკის ფენით და შეფუთულ აზბესტის ნარჩენებზე უნდა გაკეთდეს აღნიშვნა სახიფათო ნარჩენების - აზბესტის შემცველობის შესახებ;

- ლუმინესცენტური ნათურები და სხვ. ვერცხლისწყლის შემცველი ნივთები განთავსდება კარგად შეკრულ პოლიეთილენის პარკებში, და შემდეგ მუყაოს დაუზიანებელ შეფუთვაში, რომელიც გამორიცხავს მათი დაზიანებას ტრანსპორტირების დროს. გატანილი იქნება დროებითი შენახვის უბანზე, რომელსაც ექნება განიავების შესაძლებლობა. საწარმოო უბნებზე ამ სახის ნარჩენების დაგროვება აკრძალულია.

აკრძალული იქნება:

- ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე ხანგრძლივი დროით დაგროვება;
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება;
- თხევადი და მყარი სახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევა;
- სახიფათო ნარჩენების შერევა სხვა სახის ნარჩენებთან, მისი ნეიტრალიზაციის მიზნით;
- თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე;
- რეზინის ან სხვა ნარჩენების დაწვა;
- სახიფათო ნარჩენების მიწისქვეშა ან/და ზედაპირულ წყლებში ჩაშვება/გადაღვრა;
- აკუმულატორებზე, კარტირჯებზე მექანიკური ზემოქმედება.

კომპანიის ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების შეგროვებისათვის განკუთვნილი კონტეინერების მარკირება შესაბამისი წარწერებით ან ნიშნებით, რათა შესაძლებელი გახდეს მათი შიგთავსის განსაზღვრა და ზუსტად აღწერა. ეს ასევე, აუცილებელია ნარჩენების მართვისა და უსაფრთხოების წესების დაცვისათვის. მნიშვნელოვანია გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების/წარწერების განთავსება (**იხ. დანართი 1**).

აღნიშნული უნდა განხორციელდეს შემდეგი წესების დაცვით:

- კონტეინერებზე, სადაც განთავსდება სახიფათო ნარჩენები დატანილი იქნება შესაბამისი, მაფრთხილებელი ნიშნები;
- სახიფათო ნარჩენების განთავსების ადგილებზე გამოკრული იქნება სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის წესები;
- იმ ადგილებში სადაც განთავსებული იქნება სახიფათო ნარჩენები და ამ ტერიტორიაზე დამცავი საშუალებების გარეშე შესვლა აკრძალულია - დატანილი იქნება შესაბამისი, მაფრთხილებელი ნიშნები;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებზე დატანილი იქნება შესაბამისი ნიშნები;
- ადგილები, სადაც ნარჩენები დროებით განთავსდება (განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების შემთხვევაში) მარკირებული იქნება შესაბამისი მაფრთხილებელი ნიშნებით;
- დაზიანების შემთხვევაში, ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებიდან მოიხსნება და ახლით ჩანაცვლდება მასზე, მანამდე არსებული ნიშნები;
- ყველა ნიშანი, რომელიც დატანილი იქნება ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერებსა და დროებითი განთავსების ადგილებზე, უნდა იკითხებოდეს ადვილად, რათა პერსონალმა ადვილად შეძლოს ნიშნების შინაარსის გაგება;
- მაფრთხილებელი ნიშნები შესრულებული უნდა იყოს ქართულ და იმ უცხოურ ენაზე (საჭიროების შემთხვევაში), რომელიც გასაგები იქნება კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის.

12.3.7.4 ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს წარმოების სიმძლავრეებიდან გამომდინარე საწარმოში დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახეობის ნარჩენი წარმოიქმნება. შპს „რუსთავის ფოლადი“-ს

საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ითვალისწინებს მათ დროებით შენახვას ქარხნის ტერიტორიაზე, შემდგომში სწორი მართვის ღონისძიებების გატარებამდე. აღსანიშნავია, რომ საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები მაქსიმალურად გამოიყენება ხელმეორედ საწარმოო პროცესებში.

აღნიშნულის შესაბამისად, შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ტერიტორიებზე მოწყობილია ნარჩენების დროებითი დასაწყობების ადგილები.

მარტენისა და ბრძმედის წიდა, ჯარი და სხვ. ნარჩენები, განთავსებულია მეტალურგიული ქარხნის წიდასა და ჯართის გადამამუშავებელი საამქროს ტერიტორიაზე (117,43 ჰექტარი). ამჟამად წიდასაყარზე არსებული ჯართისა და წიდას რაოდენობა დაახლოებით 8 მლნ. ტონას შეადგენს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №144. (2016 წლის 29 მარტი ქ. თბილისი) „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ - განსაზღვრულია, რომ იმ შემთხვევაში თუ ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილზე განთავსდება 50 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი, უნდა მოხდეს ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის რეგისტრაცია.

არასახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის რეგისტრაციისთვის განაცხადს თან უნდა დაერთოს იმ ღონისძიებათა აღწერილობა, რომელთა მეშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედება.

კომპანიის ტერიტორიაზე დროებითი შენახვის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ყველა სახის სახიფათო ნარჩენი სეპარირდება ცალკე არასახიფათო ნარჩენებისგან;
- სახიფათო ნარჩენები განთავსდება სპეციალურად შერჩეულ კონტეინერებში;
- მყარი და თხევადი ნარჩენების ერთმანეთში არევა არ მოხდება;
- სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი დროებითი დასაწყობების ტერიტორიები მოეწყობა საკვებისთვის განკუთვნილი ადგილებისგან მოშორებით;
- უნდა გამოირიცხოს შემთხვევითი გაჟონვით ან დაღვრით, ნიადაგისა ან გრუნტის წყლების დაბინძურება;
- უნდა გამოირიცხოს ნარჩენების გაფანტვა ქარის მიერ;
- ქურდობის ფაქტების მინიმუმამდე შემცირება;
- თავიდან უნდა იქნას აცილებული ნარჩენებთან ცხოველების შეხება;
- ნარჩენების კონტეინერები უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის ნარჩენების ზომას, ფორმას, შემადგენლობას და სახიფათოობის მაჩვენებელს;
- კონტეინერების დაზიანება, კოროზია ან ცვეთა; რისთვისაც უნდა შეირჩეს შესაბამისი მასალისაგან დამზადებული კონტეინერები;
- სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, ნარჩენების განთავსების ადგილზე იქნება მაფრთხილებელი ნიშნები/წარწერები (რომლებიც მიუთითებენ შენახულ სახიფათო ნარჩენებზე (კატეგორია, სახეობა, სახიფათოობა);
- ყველა ნიშანი, რომელიც დატანილი იქნება ნარჩენების დროებითი განთავსების ადგილებზე, უნდა იკითხებოდეს ადვილად, რათა პერსონალმა ადვილად შეძლოს ნიშნების შინაარსის გაგება;
- დაზიანებული კონტეინერების გამოყენება მკაცრად უნდა იყოს აკრძალული. თვეში ერთხელ შემოწმდეს და აღირიცხოს სახიფათო ნარჩენების შესაბამისად გამოყენებული კონტეინერების მდგომარეობა;

- აღირიცხოს შენახვის მიზნით შემოსული სახიფათო ნარჩენების რაოდენობა, სახეობა და წარმოშობა; შენახვის მიზნით შემოსული სახიფათო ნარჩენების ადგილი საცავში; ადგილები, სადაც გაიგზავნა სახიფათო ნარჩენები დროებითი შენახვის ობიექტიდან.

სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სახიფათო ნარჩენების დროებით შენახვის ადგილები უნდა იყოს გადახურული, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით;
- შენახვის ადგილის ქვედა ფენა (ძირი) დამზადებული უნდა იყოს ისეთი მასალისგან, რომელიც არ შედის რეაქციაში ან არ იწოვს შენახულ ნარჩენებს, წყალგაუმტარია და ითვალისწინებს ნარჩენების დაღვრის/გაფანტვის რისკს;
- სახიფათო ნარჩენებით ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, შენახვის ადგილი აღჭურვილი უნდა იყოს წვიმის წყლის შეგროვების სისტემით;
- ნარჩენების განთავსებისათვის სასურველია მოეწყოს სტელაჟები/თაროები;
- სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, დროებითი შენახვის ადგილი აღჭურვილი იქნება მაფრთხილებელი ნიშნებით;
- კონტეინერი, რომელიც გამოიყენება სახიფათო ნარჩენებისთვის, შენახვის ადგილზე მოთავსდება იმგვარად, რომ ნარჩენებთან წვდომა მარტივი და უსაფრთხო იყოს;
- ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილის ფართობი საკმარისი უნდა იყოს კონტეინერების გარეცხვისა და გამართვისთვის.

ობიექტის ტერიტორიაზე ნარჩენების დროებითი დასაწყობების მოედნები შესაბამისობაში იქნება შემდეგ მოთხოვნებთან:

- მოედნის საფარი იქნება მყარი;
- მოედანს ექნება მოსახერხებელი მისასვლელი ავტოტრანსპორტისათვის;
- ნარჩენების ატმოსფერული ნალექების და ქარის ზემოქმედებისაგან დასაცავად გათვალისწინებული იქნება ეფექტური დაცვა (ფარდული, ნარჩენების განთავსება ტარაში, კონტეინერები და ა.შ.);
- მოედნების პერიმეტრზე გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნები და დაცული იქნება უცხო პირების ხელყოფისაგან.

12.3.7.5 ნარჩენების გადაცემის და ტრანსპორტირების წესები

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საქმიანობის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების დროს დაცული იქნება სანიტარიული და გარემოსდაცვითი წესები, კერძოდ:

- გადასატანი ნარჩენები სათანადოდ არის შეფუთული, რაც ტრანსპორტირების დროს გამორიცხავს ნარჩენებით გარემოს დაბინძურებას, სხვადასხვა გარემოსდაცვითი და ჯანმრთელობის რისკებს.
- ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის გამოყენებულია შესაბამისი უსაფრთხო და დაუზიანებელი კონტეინერები;
- უზრუნველყოფილია კონტეინერის მარკირება და თავსებადობა იმ ნარჩენებისადმი, რომელთა ტრანსპორტირებაც ხორციელდება;
- ნარჩენების ტრანსპორტირებისას არ ხდება ერთმანეთისადმი შეუთავსებელი ნარჩენების ერთსა და იმავე კონტეინერში მოთავსება.

ტრანსპორტირების დაწყებამდე ელექტრონულ სისტემაში შეივსება და სამინისტროში გაიგზავნება სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა (**იხ. დანართი 2**), ხოლო მათი ტრანსპორტირებისას, მომზადდება სახიფათო ნარჩენის საინფორმაციო ფურცელი (**იხ. დანართი 3**), თითოეული ნარჩენისათვის ცალ-ცალკე. წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია ნარჩენების წარმოშობის, კლასიფიკაციისა და სახიფათო თვისებების შესახებ. ასევე, სათანადო

სახიფათოობის აღმნიშვნელი ნიშნები და ინფორმაცია უსაფრთხოების ზომებისა და პირველადი დახმარების შესახებ ავარიის შემთხვევისთვის.

აღნიშნული ფურცელი თან ახლავს სახიფათო ნარჩენების ყოველ გადაზიდვას.

ნარჩენების გატანაზე კონტრაქტორი პირის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, გარემოსდაცვითი მმართველის მიერ, განხორციელდება პერიოდული მონიტორინგი და შედეგები აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში.

12.3.7.6 ნარჩენების დამუშავება/საბოლოო განთავსება

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ითვალისწინებს მათ დროებით შენახვას კომპანიის ტერიტორიაზე, შემდგომში სწორი მართვის ღონისძიებების გატარებამდე.

შპს „რუსთავის ფოლადი“-ს ქარხნის ტერიტორიაზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენები, რომელთა გატანა და განთავსება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე დაშვებულია, დაგროვების შესაბამისად (სავარაუდოდ თვეში 2-3-ჯერ) ქ. რუსთავის დასუფთავების მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გატანილი იქნება ქ. რუსთავის ნაგავსაყრელზე;

საწარმოს საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წიდის, ფილტრის მტვრის (რომელიც არ შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს) ნარჩენები განთავსდება შპს „რუსთავის ფოლადი“ -ს წიდისა და ჯართის გადამუშავების საამქროს წიდასაყარის ტერიტორიაზე, შემდეგ მოხდება გადამუშავება წიდისა და ჯართის გადამუშავების საამქროში. წიდის გადამუშავება ხდება გადამამუშავებელ აგრეგატზე, რომლის შემადგენელი ნაწილებია: რხევის მექანიზმი, მაგნიტური სეპარატორი, ტრანსპორტიორის ლენტა და 2 მბრუნავი დოლი, სადაც ხდება ლითონის ჯართისა და ინერტული მასალის სხვადასხვა ფრაქციების მიღება. ხდება ზემოაღნიშნული ნარჩენის სრული უტილიზაცია. წიდასაყარზე წიდის გადამუშავების ნარჩენები (ქვები, აგურის ნამსხვრევები და სხვა) საწყობდება მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, შემდგომი რეალიზაციისათვის;

ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე, სორტული გლინვის და მილსაგლინავ საამქროებში წარმოქმნილი მეორეული ხენჯის 2% გამოიყენება ფოლადის დნობის პროცესში. ძირითადი ნაწილი საწყობდება ფოლადსადნობი საამქროს ტერიტორიაზე რეალიზაციისათვის, ნაწილი გადის წიდასაყარზე შემდგომი გადამუშავებისათვის. თვეში დაახლოებით რეალიზდება 1000-2000ტ. ხენჯი.

საწარმოო პროცესში გამოყენებული სახეხი ნაწილების (აბრაზიული ქვები და სხვ.) ნარჩენები გადამუშავდება წიდასთან ერთად წიდისა და ჯართის გადამამუშავებელ საამქროში.

ჟანგბადის აირის ბალონები (მისი დაცლილ მდგომარეობაში არსებობის შესახებ სტანდარტების სამსახურის დასკვნის შემდგომ), ცეცხლმაქრების მეტალის კორპუსები გადამუშავდება შემდეგნაირად: საურნალე საამქროში ჯართი იჭრება 50x70x70 სმ ზომებად და იგზავნება ფოლადსადნობ საამქროში გადასადნობად. ჭრის შედეგად რჩება წიდა 1 ტონაზე 0,05 % რომელიც სრულად გადამუშავდება წიდასაყარზე.

ნახშირბად მაგნეზიტინი და შამოტის ცეცხლგამძლე აგურების ნარჩენების გადაირჩევა, ვარგისი გამოიყენება ისევ ციცხვებისა და ღუმელების ასაშენებლად გამოუსადეგარი აგურის ნარჩენები (დაახლოებით 50 %) გადამუშავდება წიდასაყარზე.

